

# ლეგიტიმი

სარიდა



აპთადებილ ხარაძებილი  
შოთა ვეპუა  
აცასტასია მღბაჟიმე  
გიორგი ზუგდითავილი  
გიორგი ზარდამე  
ზაალ ჯიქიმე  
თმელო ქარცივამე  
ია მერაგიგვილი  
მაგდა ჩაცესელიანი  
რევზ გაჯელიმე  
ქმომან ქოლგორდი  
დაზი ჩალაგავალი  
ალექსადროვა კუკავა  
სულიკო ფაიქიმე  
ანა გლურეამე  
ანა სიჭირება  
გიგა ფიჭია  
თამარი კევია  
ჭიანა დევამე  
თამარ ცოხამე  
თვალა გოცამე  
თორნიკე ჯვიაზაური  
ლუგა ხატიაზვილი  
მარიამ ლაზარებავილი  
მარიამ ჩხეიმე  
დათია კოტორავალი  
ნინო ბუზარიაზვილი  
ნინო გოგუა  
ნინო ცეიტიზვილი  
დათია მარგიანი  
ზურა გორგომე  
ტატო ლაზაური  
მელანო ჩოკორაია  
გიორგი ცერცვამე  
გიორგი გოგუა  
მარიამ კაკალავილი  
ირეა მიქავა  
ანა ილურიმე  
რუსულან ჯავალავილი  
მაგდა გელაზვილი  
მარიამი რაზმამე  
ქმომან გელაზვილი  
განო ქავეგაია  
ნინო ნარიმანიზვილი  
ნიკა საბელაზვილი

# ჩემი უცხო

სტუდენტა  
ლიტერატურულ-კუპლისტის  
კრებული

ნიგნი მახუთა

თბილისი  
2021



თბილისის  
მუნიციპალიტეტის მერია

გრიგოლ რობაკიძის  
სახელმწის უნივერსიტეტი

**პროექტის ავტორი და რედაქტორი  
სალომე კაპანაძე**

სარედაქციო საბჭო:  
შორენა ლეგანიძე  
ბერა ქურჩული  
ილაკლი შავათავა  
გური დავითლიძე  
შალვა პერიანიძე


გამოცემის რედაქტორი  
მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი  
ალექსანდრე კუზანაშვილი

გამოცემლობა  
„სვეტი“

© დებიუტი. თბილისი, 2021

ISBN



ვანო ქავშბაია „მარტონება სახლი“ ტილო, შერეული ტექნიკა  
50 X 70. თბილისის სამხატვრო აკადემია



## ავთანდილ ხარაგავილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ლოგლი დ0

ჩემი სახელი, როგორც ჩემი დების სახელები აკრძალულია.

ბავშვობიდანვე დავკარგე შიში და

ქალაქებით დავიდე ბინა

ადგილზე, სადაც ღმერთი იყო ჩემი მეგზური

და სულიერი იშვიათად მესტუმრებოდა.

ვცხოვრობდი მარტო, მიტოვებულ მომცრო ფიცრულში,

არც შუქი მქონდა, არც სხვა რამე

ფუფუნების მსგავსი საგანი.

ჩემს საცხოვრებელს შემოვავლე ფიჩების ღობე,

რომ ღამლამობით ნადირისგან დამეცვა თავი.

თუმც ცეცხლი მენთო, ყოველ ღამით ვწერდი მის შუქზე,

ვწერდი ლექსებსაც, მოთხრობებსაც და პოემებსაც.

ჩემი სახელი არათუ შეეფერებოდა ამ მომცრო სენაკს,

არამედ მის ფონზე უფრო ღარიბულსაც კი ხდიდა მას.  
როგორც აღვნიშნე, ჩემი სახელი აკრძალულია,  
ჩვენი მშობლების ახირებით ასე დაგვარქვეს-  
ჰარიეტი, ჰერმიონა და ლორდი დი,  
ეს სახელები იმ ქვეყნების მიხედვით შეგვირჩიეს,  
სადაც მათ ყველაზე მეტად უყვარდათ  
მოგზაურობა (ისლანდია, მექსიკა)  
თავად ჩეხები გახლავართ, ქალაქ კუტნა-გორადან.  
აქ ალბათ ყველას გიუი ვგონივარ,  
ან სხვა რა უნდა იფიქრონ ჩემზე,  
მოვწყდი ყველას და ყველაფერს,  
ჩამოვიშორე მეგობრები, რომლებიც არც არასდროს მყოლია.  
ერთ ასეთივე სტუმრობის დროს სურვილმა მძლია,  
რომ ქალაქთან მყოფ მუზეუმზე თვალი შემევლო,  
ამქვეყნად ბევრი როდი გახლავთ  
გოთიკური სტილის ტაძარი,  
რომელზეც უწინ წამეკითხა, თუმც არ მენახა.  
ამ ადგილს უხვად მისტიური ამბავი ახლავს,  
არ გავაგრძელებ მასზე თხრობას, თუმც ერთს კი გეტყვით,  
თვალით ხილულმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა,  
ამ ტაძრის შიგნით ყველა ნივთი მისტიური  
რიტუალის ნაწილი გახლავს,  
ადამიანის თავის ქალებს შეხვდებით ყველგან,  
არა ერთს, ან ორს – ათასობით მოპირწკლულ ტაძარს.

## დაბრუნება

ჩქარი ნაბიჯით და არა კრძალვით მიხმობდა სახლი,  
 თუმცა კი, სახლი როდი ჰქვია, მე სადაც ვსახლობ,  
 ერთი ფიცრული, ეზოში ხით და ხეზე ვაშლით,  
 ყოველ წელინადს, სწორედ ამ დროს, ნაყოფს რომ ალპობს.  
 სხვა რამ არ არის, გარდა წყლისა, წყალი მაქვს უხვად,  
 ჩემსავე ოთახში, გაჭრილ ჭიდან წყურვილს რომ ახშობს.  
 გარდა წერისა, ჰობად სხვა მაქვს კიდევ ქცეული,  
 ქვების გროვებას ცოტაოდენ ტკივილიც ახლავს,  
 და ახლაც ტაძრის კედლიდან მოვტეხე კენჭი,  
 თუმცა კი, მეტად ძვალს წააგავს თავისი ფერით.  
 დავბრუნდი სახლში, ნესტის სუნმა მომგვარა ხველა,  
 თუმც ჯამრთელობას არ ვუჩივი, ბევრი მაქვს ნაკლი,  
 შემყარა სურდო შემოდგომის ბალახის მტვერმა  
 და ამავე დროს მხედველობა დამაკლდა თვალის.  
 დავიწყე წერა, მრგვალ მაგიდას მზის შუქი აკრთობს,  
 ალმოსავლეთის მზე მწველია – ზამთარშიც მათბობს.  
 აქ ხშირად იცის თოვლიც, წვიმაც, ქაოსიც, ქარიც,  
 რადგან ეს სახლი მთის ფერდობზე არის ნაგები.  
 (უცნაურია, რომ ამ ჭიდან წყალი ამოდის).


## წყეული ლაპა

ჩამოეფარა ზეცას ბინდი, სხეულს კი – სევდა.  
 ადამიანი ნამდვილ სახეს იბრუნებს ლამე,  
 არც მე არა ვარ იმათთაგან გამონაკლისი-  
 ვფიქრობ უაზროდ, ვფიქრობ ჩემზე და არა სხვაზე.  
 დავანთე ცეცხლი და მის შუქზე განვაგრძე წერა...  
 ვგრძნობ ლექსად ვშთანთქავ ლამის ნაღველს,  
 ჭარბად რომ მახლავს.  
 და აი ისიც:

ახლა ამ სახლში ყველაფერი სულივით თეთრი,  
 მძიმე სურათი გაყინული და კედლის ცენტრში,  
 გამოსახული ნაკურთხი წყლით, ჯვარია მკვეთრი  
 და ის მე მიცავს დიისტანციით- ორიოდ მეტრი.

ჭა – თავმოხდილი ჩემს ოთახში, უძირო ფსკერით  
 და მასში მყოფი დემონების ამოსვლის ნება,  
 მეც მათი ლუკმა გავხდებოდი, რომ არა ღმერთი  
 და ეს სანთლები მის გარშემო შექმნილი კრება.

მიფიქრია, რომ გამეტეხა, გამეღო კარი,  
 მაგრამ სისუსტე მოლოდინი საშიშზე მეტად,  
 დავიარები ორმოცი დღით ოთახში მკვდარი  
 და მრგვალ მაგიდას მოვისაზრებ სიმძიმის ცენტრად.



## შოთა ვეკუა

თბილისის სახელმწიფო  
სამედიცინო უნივერსიტეტი

\* \* \*

ღმერთებს უმადლოდე, არიადნა,  
მაგ შენს სავსე მკერდს და გიშრის თვალებს,  
გარეთ საამური ქარია და  
კაბაც საამურად გიშრიალებს.

მოდი წავიმღეროთ „აშო ჩელა“  
სიმებდაწყვეტილი ჩონგურიდან,  
წყლული უმარილოდ არ მორჩება,  
რინა მუშო მოკო დომღურიდა.

რა დროს ხიდის თავზე ცაცხვებია?!  
ერთიც ჩამომისხი, გემაშვედა,  
ომში გენერლებიც მარცხდებიან  
და თუ დავმარცხდები დედაშენთან.

დაე, გამოგაწყონ საბატონოდ,  
დაე, მიგათხოვონ ბატონიშვილს,  
ქორწილს დანიშნავენ საბატონ დღეს  
და თუ იმ ქორწილშიც არ მომიშვეს.

ყოფა რაღად მინდა, არიადნა,  
რინა ვამიღირუ უსკანეთი,  
მოდი წავიმღეროთ დარდიანად  
ბოლო „აშო ჩელა“ თუ გწამს ღმერთი.

\* \* \*

დედის რძისფერი ღმერთი მყავდა, ჩემო ანიტა,  
იყო ბავშვობა ტოქსიკური წლების ვიზამდე,  
მერე გავძვერი, გავიქეცი ჩემი კანიდან,  
ჩემს თავს ცხოვრება მოვპარე და წამოვიზარდე.

უკან დავტოვე ლოცვის მსგავსი მშობლის ხელები,  
მზე ეწყებოდათ ტერთუებიდან თმების ღერომდე,  
მერე კი იყო სხვა ქალაქი, უცხო ხმელეთი,  
სადაც ათასგვარ ენასა და ხმაზე მღეროდნენ.

და ღმერთი გახდა მაშინ ქუჩა, თრობა, აზარტი,  
დროს გავექეცი, დროც გამექცა, როგორც იციან,  
მერე იყავი შენ, შენი ხმა, თმები ბაზალტის,  
ბოლოს ვისწავლე უშენობის დეფინიცია.

იყო ბალზაკი, დოსტოევსკი, კიდევ ვინ იცის,  
ლამეს ვათევდი, უფრო ხშირად ლამემ მათია.  
ფონად ფირფიტა ხმადამტვერილ ძველი ვინილის,  
„ბითლზი“, „ქუინი“, „პინკ ფლოიდის“ ქრესტომათია.

ტრადიციულად იწყებოდა მერე დილები,  
ვრჩებოდით ცალკე ერთმანეთის გაღმა-გამოღმა,  
თავისუფლებას ვუმდეროდით, რადგან დილეგი,  
ერთმანეთისთვის ერთიანად უნდა გამოვლრონათ.

რამდენი ლექსი ჩაუყლაპავთ მეტროს ვაგონებს,  
ხომ არ გამომრჩა, შემახსენე რამე, ანიტა,  
მე მოგონებებს პეპლისმჭერი ბადით ვაგროვებ,  
დედის რძისფერი ღმერთი იქნებ ვნახო თავიდან.

### წერილი ოპერე

იმდენი რამე დამიგროვდა, უნდა მოგიყვე,  
უნდა მოგიყვე, რომ ვეღარ ვწერ ლექსებს, ვფაფხურობ,  
ყოველ საღამოს სიზმრებს ვატან შენთან მოკითხვებს,  
სიზმრებს, რომლებსაც შესაძლოა აღარც ნახულობ.

შემატყობინეს, რომ წაგვექცა ბალში გულაბი,  
დიდთოვლობამდე დაგვესეტყვა პაპის მარანი,  
მე კი გავტეხე სანახევროდ სავსე ყულაბა,  
რომლითაც უნდა შეგვეძინა კატამარანი.

გუშინ ბაზარზე გავიტანე ძველი წიგნები,  
მანამდე მივწვდი მამაჩემის თიხის ფიალებს,  
ხელგაშვერილი ამეკიდნენ გზაზე „ციგნები“  
და ტაქსის ფული უანგაროდ ჩავუჩირიალე.

ყინვაში ფეხით ავიარე მთელი აღმართი,  
ქურთუკი ტანზე შემომაცვდა, ლამის დაძველდა,  
ბინის ქირაზეც მომიწია დილით კამათი,  
რადგან ხელფასი ავეჯივით გამინახევრდა.

გადავეჩვიე პირქვე წოლას, ვწვები გულალმა,  
ჭერზე დავხაზე სამომავლოდ ყველა მიზანი,  
გროში მასესხა ორიოდე სკოლის გუშაგმა,  
ხვალ ამ ფულს ბებოს წამლებისთვის გამოგიგზავნი.

ხვალ ლექციებიც დამეწყება, აბა დროებით!  
გადამათენდა, შევიჩვიე ძილის აბები,  
შენ ეს წერილი წაიკითხე განმარტოებით  
და სახლში თქვი, რომ კარგადაა ჩემსკენ ამბები.



## ანასტასია ელგაძიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პირა

იმ ღამეს თევზების გვერდით ჩაეძინა.  
ჩაეძინა ისე ღრმად და მშვიდად,  
რომ გალვიძება აღარ უცდია.  
არც ის უდარდია, რისთვის გაიმეტებდნენ ტალღები,  
ლმობიერებით დიდად რომ არ გამოირჩევიან.  
ასე უპირობო ნდობა განა გაგონილა?

– ღმერთო, დააშრე მდინარე! – იტყვის დედამისი.

სანამ კედლის გასწვრივ ჩამნკრივებული ქალები  
ერთმანეთს უშნოდ შეკონინებულ იმედებს აჩეჩებდნენ,  
გონებაში ზაფხულის ის შუადღე დავაბრუნე,

როცა მართვის სწავლებისას ველოსიპედს  
სკამის კიდით მიჭერდა.  
წამით გავიფიქრე, რომ ველოსიპედზე კი არა,  
საკუთარ ორ ფეხზე ვეღარ შევძლებდი  
წონასწორობის დაცვას,  
ზურგს ის თუ არ გამიმაგრებდა,  
თუმცა, ამგვარი სისუსტის ფუფუნება  
ხშირად როდი გვეძლევა.

როგორც ჩანს, ზოგჯერ ბეღურები მიწაზე  
ჩვენი მამის ნების გარეშეც ვარდებიან.

იმ ლამეს თევზების გვერდით ჩაეძინა.  
ჩაეძინა ისე ღრმად და მშვიდად,  
რომ გაღვიძება აღარც უცდია.

– ღმერთო, დააშრე მდინარე! – თქვა დედამისმა.

## გადასახატვება


### ჩიტს, რომელიც შევიფარე და ვერ გადავარჩინე

ვინ მოგცა ნება, გერქვას მესია,  
უფლება, როლი მოირგო მხსნელის  
თან მისთვის, ვისაც არ უთხოვია,  
იმისთვის, ვინც შენ არასდროს გელის  
– იმეორებდა ხმა გონებაში

ფირის მოშლილი კასეტასავით  
 და მერე რა, რომ ნაადრევია,  
 ნაადრევია ამხელა ჯვარი.  
 ეპილოგს მაინც იმსახურებდი,  
 ლამაზს, შესაფერს, ბოლო სცენაში –  
 თუ არ იშლიდი, დაგეთმო სული  
 რაღა აქ, ჩემი ხელის მტევანში?!

ამ მტევნით, როგორც უმწეო ბავშვმა  
 გავთხარე ჩიტის სამარე მომცრო,  
 ჩიტის, რომელიც ისე გაფრინდა,  
 რომ ფრენის სწავლა ვერც კი მოასწრო

და მაპატიე, რომ ვერ გიშველე,  
 გისოსებით რომ გიშენე სახლი  
 თან ხსნის სახელით, ნაადრევია,  
 ნაადრევია ამხელა ჯვარი.



## გიორგი ზუბითაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი.

\* \* \*

არ გინდა, ნუ შეგიყვარდები!  
მარტია, ტირიან ტირითვნი,  
მზე ჩაცხრა, მთვარე მთას აგორდა,  
არ გინდა, ძვირფასო, ტირილი –  
ქარი ჩემს სათქმელს ამბობდა.  
მე ტყვე ვარ, უტყვი და მშვიდი,  
გხედავ და ოცნებით ავივსე,  
აყვავდა ჩვენ წინაც ის შინდი,  
ასე რომ მოისაკლისე.  
სიყვარულს მპარავენ ქალები  
თვალები მაინც შენ გელიან,  
არ გინდა, ნუ შეგიყვარდები,  
ქარები ჩემს სათქმელს მღერიან.

მე ტყვე ვარ, მაგ თმათა, მაგ თვალთა,  
უკან დგას საცეცხლე გომორი.  
უხეში ამინდის კვალდაკვალ,  
დავდივართ, ქარია როგორი...

\* \* \*

კლდეზე მოსულო ყვავილო,  
მოსულო მზის სანახავადა,  
განა შენც გექცა საწუთრო  
ვერ დალეულად ძმარადა.  
განა შენც დაიტირებდი  
მშობელსა საიქიოთა,  
ბედნიერი ხარ ყვავილო,  
ტირილი ჩვენ ვიკითხოთა.

\* \* \*

ბინდდება, თეთრად აენთნენ მთანი  
და გალავნები ქვაკირიანი  
ინგრევა, როცა ზმუის გრიგალი,  
ბინდდება, თეთრად აენთნენ მთანი.  
პოი, სოფელო, ციხე-სოფელო! —  
მიყურებ მუნჯი, თვალცურემლიანი,  
ჩემო ძირ-ფესვო, ჩემო მშობელო,  
რამ გაგიჩინა ეგ კაეშანი?!

სულში ჩასახლდი, სულში პოეტის,  
იქ ასვენია შენი აკვანი,  
ნეტავ ვიცოდე, ვის, რას მოელი,  
რა არის შენი გულგასახარი?  
სახლ-ყორე ჭინჭრის სუსხმა შესუსხა,  
მე რომ მსუსხავდა ისე ზამთარი,  
ბინდდება, მთვარის შუქი მეუწყა,  
ბალლობიდან რომ იყო ჩამქრალი.

### უცნობ გოგონეს

არ ვიცი, ვინ ხარ, შემხვდი ქუჩაში,  
(ველურდებოდა სიოსგან ქარიც)...  
რაღა დროს ჩემი დალუპვა იყო,  
გიცნობდე მაინც...  
ბნელში მზის სხივად შემოიჭერი,  
სულ ერთი წამით და ხელში ვარდით...  
სახეზე გენთო ელფერი მარტის,  
იმ ერთი წამით.  
ვაჲ, რა დროს ჩემი დალუპვა იყო!

\* \* \*

მიყვარდა, ახლაც ის მიყვარს –  
ია ლურჯი და პატარა,  
ქარი რომ უშლის ნაწნავებს,  
ქარს რაღა უნდა, ნეტა რა!  
რად მეცილება სიყვარულს,  
მკერდს რად უგრილებს იასა,  
ნავიდეს, თავისი ნახოს  
შემოეხვიოს ნიავსა.  
ნეტა შენ ლურჯო იაო,  
ჩემს გულზემც დაგაბნიაო,  
შემომეხვიო ქალადა,  
მემრე მესროლონ ტყვიაო.



## გიორგი ზარნაძე

აკაკი წერეთლის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ეცადე

როცა სიტყვები მნიშვნელობას დაგვიკარგავენ,  
ამოვა მთვარე, სავსე მთვარე, სავსე და ლურჯი.  
რაღაც მთავარი სულ მარტივად დაგვავიწყდება.  
ასეც არ იყოს, კროსვორდივით, ურჩი ფერია,  
ჩვენ კი საორჭოფოდ გვექნება საქმე.

ვუსმენ ალბომებს მოპოეტო ესპანელ მწერლის.  
ქუჩა ისეთი მარტივია, ქუჩა სადაა  
და ვინაიდან და რამეთუ ბალახზე ვწვები  
და ვინაიდან და რადგანაც მე მიყვარდა სხვა  
ქალი, საფოსებრ ცნობიერი მეტასტაზებით.  
ვეუბნებოდი – მელამაზება შენი აქცენტი,  
ფრანგული ოდნავ.

ძირს დავარდნამდე ქალებს მუდამ ჰაერი იჭერთ.  
მის თვალებში კი არაბული ლამე ყვაოდა  
და ერთნაირად ადარდებდა მთვრალებს და ბიჭებს.

ჩემი ხელების  
ჩემი თითების  
ჩემს თვალებამდე  
მანძილში დიდი ჩიტები წვანან.  
ის ამბობდა, რომ ძალზე უნდოდა  
თოვლში სირბილი. მეც წამიყვანა.

როცა ხდებოდნენ ასე სიზმრები,  
როგორც ფაქტები მოისტორიო,  
მე დავიშალე, მის ხელებს დავრჩი,  
როგორც ქურუმს ან კრემატორიუმს.

მას უცნაურად ესმის ფიზიკა და ქიმიური ელემენტების  
სახესხვაობით შენაერთებში იპოვა ჩემი ჰარამეტრები.

ახლა ქარია და ჩემში ვიღაც  
ამ გაუგონარ მუსიკას უკრავს.  
ახლა ქარია და ქარის მხარეს მთვრალი  
უსხედან ძმები სხვა სუფრას.

როგორ წავიდე, როცა მარტო ვარ.  
როცა სივრცეში დარჩა ხმაური.  
როცა სიზმრები არტისტულია.  
გალვიძებები – სულ უცნაური.

აღარც თვალები ყვებიან მითებს.  
აღარც ტუჩები იორთქლებიან.  
ვზივარ. ვეწევი და ჩემი ღამე  
თითქოს პაოლოს ტრიოლეტია.

## დანის ტახჩე წარეგილი

მე ჩაგახედებ დაღლილ სულში,  
სადაც ნახავ, რომ  
ანგელოზები ლოცულობენ  
და ხნიერ ღმერთებს  
რძესავით ეღვრებათ წვერში ჩრდილები-  
წვიმიანში ტყეთა ნირვანა.  
მაგრამ მოგიწევს შეიხედო ბნელ კარს იქითაც,  
კუდიანები თვალებით რომ იწყევლებიან.

მათ არ იციან არაფერი. არც წაუკითხავთ,  
როგორ იღვიძებს დილა – იმას უთვალთვალებენ.

ოთახი მოჰვავს უსაფუძვლო მტკიცების მოტივს;  
დანაც აგდია – თვითმკვლელობის შესაძლებლობა.

შენი სახიდან გადამხტარი მზერის ნატეხი  
ზუსტი კადრია;  
არ გააჩნია რომელ სიცილს გამოამუდავნებს.  
ვზივარ ასე და სამურაის ამბებზე ვამბობ-

– დიდებულია თოვზე გავლა თუ პირზე დანის –  
არ გაუმართლათ პოეტებს და მწეველ ჯამბაზებს.

როგორ მოგიყვე ეს ამბავი.

შენ ალბათ სულ სხვა

დეკორებში იმოგზაურე.

და ნაკლებია ალბათობა სუნის შეგრძნების,

რომ არა ერთი ცუდი კადრი შობის ღამიდან.

რომ არა ერთი სიხარული.

კარგის პროგნოზი.

\* \* \*

როცა სივრცეში მხოლოდ ხმებია:

„ო, არასოდეს. არას ოდეს. და ვერასოდეს“,

მივესალმები აზრებს მკაცრად შესიტყვებიანს,

რომ ვერ ამბობენ.

როგორ მოხდება რამე, როცა არაფერში ვარ.

ასე სიჩუმე ეჯახება გაუვალ კედელს.

იყო ლალი და უსათნოეს ფერში თმებს შლიდა

თმებში და მტრედებს.

აქ იქმნებიან ტიპაჟები მკაცრად არტისტულ.

გარეთ ქარები ატმის მწარე არყით თვრებიან.

წამოგყვებიან დასალიერს ჭიქა არყისთვის,

ქარები ჩვენზე არტისტებია –

რიან, რა ადრე მომენატრე ამ წლის ნოემბერს.

გული რა თოვლით გამთეთრებია.  
 რომელ შაბათ დღეს,  
 მზით თუ მთვარით,  
 სად გიპოვნიდე,  
 ან ირგვლივ ვისი კალენდრებია..

\* \* \*

ობმოდებული აბები,  
 ლრიალი გამოსავალია,  
 ქუჩები – გადაკეტილი.  
 სარეკლამო აბრებს მაინც არავინ აქცევს ყურადღებას,  
 აფთიაქებთან ისევ უშნოდ ვიყინებით და  
 საპრეზიდენტო არჩევნებში ისევ იდიოტები კანდიდატობენ.  
 სად ვარ მე?  
 სად ხარ შენ?  
 სალამი მედროვეების ეპოქავ  
 და თაყვანი მედროვეებო –  
 თქვენ ყველაზე მაგარი ტიპები ხართ დღეს,  
 კურტ კობეინზე მაგრებიც კი.  
 ვერლიბრებს ვერიდებოდი,  
 ვერლიბრებიც მერიდებოდნენ  
 და დავდიოდით ასე ერთმანეთზე დაფიქრებულები,  
 არ ვსვამდით,  
 არ ვეწეოდით,  
 მხოლოდ ჩვენივე მელანქოლიაში ვიხრჩობოდით და  
 წარმოსახვით წისქვილებში ვფქვავდით ხორბალს.

მერე მოვიდა ზამთარი უნაყოფო  
და დააობა ძილის აბები.  
ამბებს სიზმრებზე ვერ მოგიყვები,  
ვერც ჩემზე.  
ქუჩა თითქოს მშრალია.  
არსად მიშვებენ ძველი ჩიხები,  
აქვე ვიძინებ და მიხარია  
როცა ვიღვიძებ.



## ზაალ ჯიქიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი.

### ჩემი გზა

მე გზას ვერ დავალ, თუ ეკლები მასზე ფენილი,  
სულს არ მისერავს, არ მახსენებს წამების თარეშს...  
მე ამ მწველ გზაზე მეფერფლება ფრთები ფენიქსის,  
აღდგომასავით ველოდები სამხრეთის ქარებს.  
ვერ დაუშვებენ ჩემს სასცენო ფარდებს, ძვირფასო,  
ჩემი პარტია რაღაც სხვაა, რაღაც უსაზღვრო...

ნუღარ იტირებ, იქ ზამთარი უფრო ძვირს ფასობს,  
მე კი სიცივე ღმერთად მიღირს, ღმერთივით ბასრობს  
ნუ დაიჯერებ ჩემზე ამბავს რომში წასვლაზე,  
ყველას, ყველა გზა რომისაკენ როდი აცილებს,  
ძვირფასო, გზები რომზე უფრო შორსაც მიდიან!  
ნუ დაიჯერებ ,ჩემი გზა რომ რომში მაცილებს.

## ერთდან ბეჭები

რა ტკივილები შეუნახავს ამ გულს აქამდე!  
 რამდენი სიტყვა: მშვიდობით ან შემდეგ ნახვამდე.  
 რა მისხალ-მისხალ შემოჭმული ნერვები დამრჩა,  
 რომ ამ ხრიალით დავაპირე გრძნობების გამლა!  
 „რაც მამონებდეს, ისვე მკლავდეს“.

წამით არ მინდა,  
 რომ უხმაუროდ გამოვიდე ყველა კარიდან...  
 არც დარბაისლის ქუდი მინდა, არც გიუის პალტო,  
 ასჯერ გიუი ვარ ყველა გიუზე, ჩემს თავთან მარტო  
 და თუ სიბერის მემატება სივერცხლისფერე,  
 მეც მრზასავით ახალგაზრდა იერს ვიფერებ.  
 ფეხზე მკიდია ყველა ჩინის სიხმამაღლე

თუ სამხრეს ქვემოთ ყველა შრამი სახეს ამართლებს,  
 მე ავგაროზის შავი თვალით იესოს ვუცქერ  
 შეშინებული მოციქულის ყალბი სახიდან...  
 ამ სიერთგულეს ველარ ვიტევ და ღალატს ვუწევ,  
 მგლური შიმშილით გამოვდივარ კრავის ტყავიდან.  
 ჭირმა წაილოს ყველაფერი, ყველა ცოდვილი!  
 თამადობით ან ალავერდით: ჩემით ან ჩემზე,  
 მე ვაღიარე, სხვას კი ვატყობ არავის უნდა,  
 დაწყებულსა და დამთავრებულს ერიდან-ბერზე,

## მესამის ლოცვა

გადავიტანე ბოლო სუნთქვა ზამთრის სუსხივით,  
ლეში გაათბო საარაკო მზემ და მაისმა.  
გულში ვერ აღწევს ცხრა სხივიდან – ცხრავე ცრუ სხივი,  
უკანასკნელი მოჰკიანის ბორგვაც გაისმა...

სიკვდილი გარქვეს, რა დაგარქვა მასზე დიადი,  
თუ შემიწირავ ალალ იყოს შესაწირავი..  
არ გენირები ცრემლთა ცვენით როგორც დიაცი,  
თუ სისხლი იღვრის, მე ვქურუმობ, მე ვარ მწირავიც!

სამსონი მერქვა გამომშეულ ლომებს ვმუსრავდი...  
აფრიკას ვიყავ, კერპი ვიყავ ტომთა მესაის!  
თავი დავხარო, შენს სენს ასე ვერ განვეურნავდი,  
თავს შენ დამიხრი, უკვდავების წესიც ეს არის!

## მანდოლი

რა ქარი იყო, ან რა ურცხვი, თან რა მქროლვარე,  
ჩამოუყრიათ ბებერ ჭადრებს გზებზე ცრემლები,  
ქალი დაუდის ამ ტროტუარს, კენტი, მთრთოლვარე,  
ვაჟნი მის ახდილ მანდილს სდევენ ვითარც მწევრები!

მაგრე თუ გშვენდა ეგ გიშერი კისერს გრეხილი,  
რაღად გეხურა ეგ მანდილი, იქნებ გამანდო...

ან რად დაატყდა მარტო შენს თავს ეს ქარტეხილი  
და ამ ქუჩაში დარდი მარტო შენ რად დაგატყო.

უმალ გამოველ, მეც ქუჩაში ვქრივარ ქორივით,  
ფრთხებს ვერ შემირხევს ამ ქარების შლეგი წრიალი.  
გავითავისებ მადევრობას უცხო როლივით,  
ყელზე შეგაპამ აპრეშუმის მანდილს შრიალით.

მერე იქნებ, აღარც სდუმდე ეგრე დალვრემით,  
მერე იქნებ, კისკისიც კი გამოგეპაროს...  
ჩამაქრობინე ეს ხანძარი შენი სახელით,  
თუნდაც დაგვალულ მიჯნურის გზას გადავეყარო!

არა, რა მითხრა ქალმა, სდუმდა ვითარც აჩრდილი,  
მკვახე კაშკაშით ჩაიარა მტვრიანი შარა,  
მე, სინანულით გავიფიქრე, „ოხ, ის მანდილი“..  
ოხ, ის მანდილი არ მიმეცა, არა და არა!



## თედო ქარცივაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შავი ზღვა

შექვსინუს პონტოზე ლივინგსტონები ნადირობენ ქაფშიაზე,  
ქარშია მზე დამალული, ლრუბლებს ზემოდან ლვენთებად,  
გემის კიჩოს ტალღა ურტყამს და გაადენს ზანზარს მძიმედ,  
ზედან ქედნი დასცექრიან – თავი მოაქვთ ღმერთებად.

აქ ხავსმოდებულ ქვაზე დატოვეს  
ნაჭრილობები, ვით დიდი შრამი,  
ამ მინას ეძღვნა ლექსი მრავალი,  
სევდიანობა, ვით მანდელშტამი.

დაფრინავს ცაზე ფრთაგაშლილი ლურჯი არწივი,  
კისერს კი უქნევს ლაჟვარდისფერ პორიზონტს მწვანეს,  
ის მოგრძელოა, ჩამოსხმული თითქოს ყანწივით,  
სევდით გაჰკივის და მაგონებს გოდებას მწარეს.

## გაჯაფიე, ღმერთო, ვერ დაგიჭიო...

(ტიციან ტაპიძის მოტივებზე)

და ალიონზე ისევ ატირდა არღანი სულის,  
მტკვარიც შორს არის და მე არ ძალმის თავის დახრჩობა...  
განა მარტო ვარ ჩემი ფიქრებით?! – არა მგონია.  
მხოლოდ გარშემო, სილუეტების ბნელი ფონია.

მტკვარი შორია, მაგრამ გალობას ვისმენ ჭოროხის,  
იგი მეძახის და თან ერთვის შავ წყლებს ბათუმის.  
მეძახის კვნესით ავხორცი ქალის დაკივლებებით,  
სულში გრძნობა მაქვს ეშმაკეულის ხელის ფათურის.

მე გარდავიქმენ მოჩვენებად სევდიანთათვის,  
რათა შევუკრთო სიმწარე შვილებს დაკარგულ დედის,  
ყოველ საღამოს ფანტაზიებში ვისმენ გოდებას,  
გოდებას, ტირილს და უკანასკნელ სიმღერას გედის.

და როგორც ქრისტე, ვმაღლდები ცაში ხელებგაშლილი,  
ფეილამბერის მექას დავხედე თავად ზეციდან,  
მე გაპარული კოსმოსის სივრცეს დავუმეგობრდი,  
ყველა თქვენთაგანს საამურად როცა გეძინათ.

ისე ჩავეშვი სიღრმეებში მოგონებების,  
რომ ბოროტება დღევანდელის კვლავ დამავიწყდა.  
მფარველო სულო, ახლა შენშია იმედი მხოლოდ,  
ან ავხორცებო, იქნებ მიშველოთ, ქვებით ჩამქოლოთ?!

\* \* \*

ისევ და ისევ შენი ლანდი დამსდევს ქუჩებში  
და მონატრება ცხოვრების ძალებს უკლებლივ მართმევს.  
შენი სინაზე ვერ ვპოვე ვერც ერთ ქალის ტუჩებში  
და ახლა ვიცი, რომ ისევ შენკენ ლტოლვაღა მმართებს.  
ყოველი სახის უკან შენს თვალებს ვხედავ, მაოცებ...  
და გულიც უფრო შენი მსგავსებით მიცემს სიმწრისგან,  
ნეტავ, სადა ხარ?! ნეტავ ვიცოდე, რატომ წახვედი...  
ღმერთო, შენც რატომ მტანჯავ ამდენი მწარე სიზმრისგან?!  
მარტო ვარ, როგორც პატარა პრინცი პლანეტის ზურგზე,  
მაგრამ არ არის ჩვენში მსგავსება მზის სიყვარულის  
დილით ალიონს ზიზღით ვუყურებ, ბოროტი ფიქრით,  
და მხოლოდ ერთი ლამაზი გრძნობა მაქვს სიბრალულის.  
ახლა მე ამ სტროფს ვწერ სევდის ნაზი შემობრუნებით,  
რჩეულიშვილის ტანგოს მე ვცეკვავ ნელი ქმედებით,  
ფერფლივით ფაფუკ წვეთებს წვიმისას ვგრძნობ ჩემს სახეზე,  
და სიყვარულით შენს ლანდს ვეხვევი ჩემი ხელებით.



## ია მერაპიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### საზოგადო საბუთად თავზონე

რად აგემლვრია, თავო, იერი,  
რა შესვი ასე მნარე, ამოთქვი.  
ახლოა ქვეყნის დასალიერი,  
გამოსცდი მიწას, ქვაში გამოთლილს.  
კვლავ გესიზმრება ევთანაზია  
და სულინმიდის ახშობ ვედრებას.  
ჰო, იქაური ფერი ნაზია,  
აქ ბნელს ეჩვევი, წახვალ ვიდრემდე.  
აკი დაწერე მასზე უწინაც  
და წყევლასავით დღემდე ატარებ.  
თუმც სამადლობელს აღარ უწირავ  
და არ ახარებ შენით სატანებს.

კეთრი დაგედო – თეთრი სიყვითლე –  
 და ვეღარ იცლი ნადებს გულიდან,  
 ერთხელ მზიური მხარეც იხილე,  
 შეგრჩა პერანგზე მარად წუხილად.  
 ან შეფრენილხარ ღვთიურ ღრუბელზე  
 და წარსულის წილ აწმყოს ადიდებ,  
 რომ იმქვეყნიურ ყოფის ზღურბლზევე  
 მიგიხაროდეს უფლის ტახტისკენ.  
 ცოდვას გაიცლი ნაემბაზარი,  
 ამოგაწვდიან ლოცვებს მოყვასნი,  
 შემოგეხსნება მწარე ბაწარი  
 და შეიმოსავ თეთრს შავოსანი.

## ექთხელ სიზმანს შეეძლოს ეგების

ნაჭრილობევს ნელსურნელი კასია  
 ელვენთება უფრთხილესი ჩრდილებით.  
 ხვედრის მსგავსად დამძიმებულ ხასიათს  
 გამოსცრიან მწვანე თვალის ჭრილები.  
 ვიცი, სხვის ტანს შემოაცვამ ლიანებს  
 და ცად ასწევ ყვავილიან ობელისკს.  
 მხოლოდ ჩემთან, ჩემთან დაიგვიანებ,  
 ჩვენ არასდროს შეგვახვედრებს სოფელი.  
 დაისიზმრებ დროგარდასულ ქიმერას...  
 ერთხელ სიზმარს შეეშალოს ეგების,  
 სხვის მაგიერ მე გეზმანო წამიერ,  
 თავგანწირულ სიყვარულად გექმნები.

რა თქმა უნდა, ეს ოცნება მტვერია,  
მეტოვე გადახვეტავს ეზოდან.  
დაიცლება დილით პერიფერია  
და ჩაივლის, რაც მწყუროდა ესოდენ.  
ცის შემყურე ტოტებივით მასხია  
იმედები, დამტვრეული მაჯები.  
ჭრილობაზე ნელსურნელი კასია –  
შენი მზერით გაჩენილი ნაულენთი.

### დაბადება

ისევ ვუგალობ ახალ განთიადს  
ნამისოდენა, ძველი იმედით,  
სანამ დაკეცავს ღამის მანტიას,  
გასახელი აქვს თვალი იმდენი...  
შეგეხიდება როცა არავინ,  
როცა შენ გალობ ერთი ორისას,  
გესმის შენიდან ხმა შემზარავი  
და კრებ დამსხვრეულ გულს მინორიდან.  
ჩაბრუნებული კვირტში სიჩვილე,  
თვალები – ჯერაც ღმერთის მოშიში –  
ყვავილქცევამდე ნუ დაიჩივლებ,  
დაინამები მზეთა ლოდინში.  
ან შეიმოსე ვარდისფერები –  
შენითლებული თეთრი ნუგეში,  
სანამ სისავსით დაიბერება  
შენი სიწმინდე ყოფის ნაგავში.

კვლავაც მწიფდები სახუთაპრილოდ,  
დედის ტანს გულ-ფილტვს უჭერ ხელებით,  
სულს ჩაუდგამენ ცივ მარმარილოს  
და გამოაღწევ გლოვის ღელეში.  
არ დაივიწყო დრო უხსოვარი  
და სისპეტაკე თეთრი სავანის.  
შემოგირჩება გული ფრთოვანი,  
ბავშვის თვალებით სტირი სანამდის.

\* \* \*

გამიხსენებდეს, მოვიდეს ვინმე  
და ჩემს ტანს მღვრიე ჩასვამდეს წყლებში.  
შემომეცალოს კეთოვანს იქნებ  
სნებიანი და დაღლილი ლეში.  
ვინ დაიჯერებს ამ რწმენის მარცვალს  
შენ გარდა ელი, ელო, ელი!  
შენ იქით იყოს თუ გინდა არც რა –  
მხოლოდ მწუხარე ძე კაცის ხელი.  
კვლავაც დავეძებ გულში ნაზარეთს,  
მაგრამ არ სჩანან არსად მოგვები.  
ელი, სნეული გელი ლაზარეთს  
და რა ხანია ვეღარ მოგყვები.



## მაგლა ჩანასელიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

\* \* \*

ზეცამ ნისლებში გაახვია სვანეთის მთები,  
ცამდე აზიდულ მწვერვალებზე ღრუბლები წვანან,  
მიიჩქარიან მაღლობისკენ სავალი გზები,  
სად გულისცემას აჰყოლია სვანური ნანა.

თავზე დაგყურებს მდუმარება ალესილ კლდეთა,  
აკვანს დაგირწევს ანგელოზი ცისფერი ფრთებით,  
ჩანგის სიმები უხსოვარ დროთა მორევში ფეთქავს  
კოშკებს ამშვენებს ბუდეები ჩუქურთმებივით...

ცისფერ კალაპოტს გაარღვევენ კლდეთა სვეტები,  
ნისლად დაღვრილი მთების სუნთქვა ხეობას ატკბობს,  
ისე ამაყად გაგიტაცებს სიძველის სუნი,  
თეთნულდის ზეცა შარავანდედს მოჰყენს სამყაროს.

\* \* \*

გადის თვეები, ზეცა არხევს თოვლში წამნამებს,  
უკვე ვეღარც ვწერ და რითმებიც სადღაც გარბიან,  
იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს  
დეკემბრის თეთრი ღამეები ენაცვლებიან.

თუმც ყოველი დღე შენზე ფიქრში ათენებს ღამეს,  
მე სიმარტოვის ბულბული ვარ, როგორც გრანელი.  
კვლავ შენს სარკმელთან მოსეირნე მთვარეზე ვბრაზობ,  
თეთრ სასთუმალთან მომილაგა ღამემ დარდები.

მწვერვალთა კიდეს ვერ ეხებასხივთა ალერსი,  
ზამთრის სილურჯე ბილიკებზე ფიფქებად ცვივა,  
ფიქრთა აკლდამას ცივ ზენრებში ახვევს სიშორე,  
უშენოდ ყოფნა რომ იცოდე, სულ უფრო მტკივა....

საათმა თითქოს ახლებურად ჩამკრა თორმეტს,  
ეს დეკემბერიც მიიღია თეთრ ღამეებში.  
შორიდან ვითვლი ათრთოლებულ წამნამთა ფეთქვას,  
უძირო მზერა იზმორება ზღვისფერ თვალებში.

გადის თვეები ზეცა არხევს თოვლში წამნამებს,  
უკვე ვეღარც ვწერ და რითმებიც სადღაც გარბიან.  
იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს,  
დეკემბრის თეთრი ღამეები ენაცვლებიან.

\* \* \*

ლურჯი ხატება ზეცას ეკვრის, როგორც ციალი,  
ლოდინს უწესებს შემოდგომა მთვარის ორეულს.  
სადამდე ივლის მარტოობის ეტლი უმზეო  
არავინ იცის, არვინ უწყის, არავის ესმის...

კედლებს აწყდება მონატრების მძიმე ხუნდები,  
ფიქრთა რელსებზე დაცვენილი დარდი მწიფდება,  
სადამდე ივლის მარტოობის ეტლი უმზეო,  
ჯვარცმული სული ყველა მხრიდან რად იდევნება

ზღვარგადასული გრძნობით შევსვამ სავსე ფიალას,  
რომ დავივიწყო ამ ცხოვრების ამაო მზერა,  
შევერცხლილ მთებზე გადაწოლილ ზეცას შეჰყვირის  
ტკივილიანი ხმით ნათქვამი ქალის სიმღერა.



**რევაზ გაველიძე**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

\* \* \*

კანკალებ், მაგრამ კოცნის კოცონზე  
დაიდაგები, დარჩები ავლად  
და ხელის მხოლოდ ერთი შეხებით  
შესუდრულ ყინვას გარდავქმნი გვალვად.

ყურში ჩამესმის შენი ჩუმი ხმა,  
გამოწვეული ნაზი ალერსით,  
სულგანაბული, ყელმოლერებით  
დგას ჩემ წინ ქალი ტანზე ხავერდით.

უხინჯო, გავარვარებულ სხეულს,  
დახუნძლულს ვნებით, სიცოცხლის უინით,  
ხარბად ეხვევა ურცხვი წადილი,  
ანათებს არეს ურიცხვი სხივით

და ვენაფები მენამულ ბაგეს,  
ვაწყდები მზერას დაბნედილ თვალთა,  
ოხშივრით იულინთება გარემო,  
აღარ გაქვს დარდი წამებულ წამთა.

### ადგენატს

ბროლის, უხამურ და ნატიფ ტანზე  
ჩამოშლილია თმა, ვით ჩანჩქერი,  
ჩემი ლექსები არის გრიგალი,  
სიყვარული კი – თოვლის წამქერი.

მარადუამ შენით შთაგონებული  
მე ხვამიადად მივირთმევ შარბათს,  
სიახლოვეა სინათლე ბნელში,  
სიშორე – შანთი, ვნატრობ მის შთანთქმას.

როცა სხეულში ღველფი კრთის ოდენ  
დიად ალს ვაგიზგიზებ ანაზდად,  
ექსტაზის დოზა იწვევს შენს თრთოლვას,  
შვლის ნუკრს მოგევლინები ავაზად.



## ქათევან ჯოლომიძი

გორის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი

### სპეციალისია

ამინდზე დგომამ ცვალებადობა მოგიწყოს,  
ან ორმა სიცისფრებ  
ერთმანეთი გამოიზოგოს სილამაზის რიტორიკისთვის,  
რომ საზღვრები ჩაიყენო გულწრფელობაში.  
რა არისტოკრატული სითამამე...  
ახლა არ იღვრებოდა ვაშლის სურნელი ფლაკონებიდან,  
უღრან განცდამდე?  
სხეულის გაფიცხება ტროპიკულ ბაღზე ხელოვნურია,  
რარიგ ყვავილად,  
რარიგ ნაყოფით,  
რარიგ სიმწიფედ...  
და მეტისმეტი იდილია,  
ამ მოზღაპრო სიმშვიდეში,  
გადავეჩვიე...

\* \* \*

ჩემი შვილი დღის სინათლის გამხელამდე მეუბნება,  
 როგორ გააგრძელა,  
 ისევ გუშინდელი სიზმარი და  
 რომ არა ქუთუთოების სიმსუბუქე,  
 აუცილებლად დაასრულებდა  
 დიალოგს მამასთან.  
 სიტყვებამდე ვიცი,  
 როგორია იქ მისი სული,  
 სადაც სიყვარული მოიცავს ღია მკლავებს და  
 ემოწმება ცრემლებს შორის წარმოთქმული ბოდვა,  
 მხურვალე ლოცვასავით.  
 ზუსტად ვიცი,  
 რომ მეტი სიფხიზლისთვის,  
 უფროდაუფრო გაიმეტებს,  
 მზარდი თვალით დრო, დაუნდობელი...  
 და ზრუნვას დაემსგავსება,  
 ვაშლის ხის ჩრდილში ნუგეში,  
 ფერადად მოპორიზონტო...  
 ზუსტად ვხვდები,  
 მისი სახის სიბადრით,  
 მის სიზმარში როდის მოდის მამაშვილობა...  
 ზუსტად ვიცი, რომ ჩიტისგულა ძმასაც დაანაყრებს  
 საკუთარი სიზმრებით,  
 როცა ღამე დამალავს შეცდომებს და  
 სიტყვითაც ვერ ჩაერევი...

მე,  
უძვლო,  
უხორცო,  
უსულო... ვგულიანდები.

\* \* \*

რა ემსახურება გამოფხიზლებას,  
როცა ის სიზმრები ნაბიჯებით კი არა,  
ძარღვებით მომდევენ,  
ჰემატომებში სიუჟეტს ავითარებენ და  
ძილს მაიძულებენ ორივე ხელზე ლურსმნებით...  
ესეც ტკივილის მუდმივი მახსოვრობა,  
რომ მეცხოვრა,  
რომ ბავშვობის მდინარეში არ გამევლო თუნდაც ყველაზე  
ლირიული სიზმარი – სხეულების ერთმანეთზე განკურნება,  
ან სიყვარულის თავშესაფარი...  
მოგხხვეოდი ნაპირებმორდვეული ყოველი დაბრუნებით,  
ყოველი უკან გამოხედვის სევდით,  
მაგრამ ლურსმნებს ძალა აქვთ დაბადებიდან და  
ხელიგულებში ღრმად მესობიან გენეტიკის,  
მხედრული ტრადიციის და გზაჯვარედინების წყალობით.  
რა შემეძლო იმის მეტი,  
რომ დავიჯერე მათი შესისხლხორცება,  
მათი სიმსუბუქე...  
იმისიც მჯერა,  
რომ ისეთი უდროოა ეს ძილი,

როგორც მდინარის გაყინვა და სიზმრების  
გატანების ნაცვლად,  
ერთმანეთის თვალებში საუკუნოდ ვიმსხვრევით.

...

შენში გადარჩენილი საკუთარი თავი რომ მომიტანოს,  
მითხარი, რა უნდა ემსახუროს გამოფხიზლებას,  
ძილ-ბურანის პირველი უფსკრული?

### გრძელობა

ნერვებს რომ მეხსიერება გამოაცალო,  
გადაივარცხნი მხოლობითის ეიფორიას,  
სტილი – მოამნეზიო.

დედობის ეპიზოდი ჩრდილს მოგაგონებს,  
შვილების მიერ წარმოქმნილს,  
მათივე მზერის არეში.

ვისთვის სევდაა,  
დაგვიანებული შეხვედრის გულისწყვეტასავით..  
გადაახვიო და ერთი პერსონაჟის ამოჭრა,  
თავისთავად გულისხმობს რამდენიმეს,  
მარტივ მამრავლებად დაუშლელობას.

კადრი დატოვო – უკანონო მიშენებებს შეგაჯახებს შუბლით  
და ამის მერე კიდევ გიკვირს,  
რატომაა საკუთარ თავზე რთული პოეტიკით ტრიალი,  
ზოგადი გაუგებრობა?

თუნდაც, სიტყვებში ღმერთი ჩაიყენო...  
სხვას რას მთავაზობ ამ ჩამოფასებულ სივიწროვეში?

ფანტაზია უნიათო კაცი ხომ არაა,  
მაგიურად რომ მოითვინიერო...  
ამიტომ ისევ სიზმრებს გადაიმეორებ და ვერ გამომირჩევ,  
ორი ცხოვრებიდან ბუნდოვანებას...  
მხოლოდ სურნელი რჩება,  
როგორც მკაფიო შთაბეჭდილება და მაგალითი,  
თუ როგორ შეიძლება ყნოსვამ სიცხადეში ილაპარაკოს,  
მოგონებების ეტიკეტებით...

\* \* \*

ქალაქში,  
რაც უფრო მტკნარი განწყობა დაისადგურებს,  
მით უფრო შესამჩნევი ხდება,  
ჩემი ჩვეულებრივად ქაოსური  
ნაბიჯების აუჩქარებელი მიმოსვლა.  
როდის ვიარე ასეთი სიმშვიდით ბოლოს,  
საერთოდ, ასე როდის ვიარე...  
დაცემული ტემპით,  
თითქოს მუდმივად  
მხედრული პოზის საპირისპიროდ.  
არადა, ისიც ვიცი, როგორ მელიან,  
ვიცი, თუმცა არ მეჩქარება და  
ვინარჩუნებ სხეულის რხევის სტაბილურობას...  
ღიმილისმომგვრელია  
მდგომარეობა ამ დროს,

რადგან ახლა ყველაზე უკეთ  
 საკუთარი თავიც ვიცი,  
 უკუპროპორციულად, ღიმილით უფრო,  
 როგორც სამყაროში გამორკვევის პუნქტუაცია.  
 ამ მცდელობაში, ტუჩის კუთხეს როგორ მალავენ,  
 მხოლოდ ჩემი კი არა,  
 უცხვირპირო პირბადეების პლანტაციები,  
 ამიტომ მეფიქრება,  
 დაუფარავ თვალებამდე ღიმილი რამ ამოგვიყვანოს...  
 ასე ნისლისფერი გაზაფხულიც  
 ჯერ რომ არ მინახავს (რა გულმავიწყი ოპტიმიზმია..)  
 ამ მეგადროში როგორ მინდა,  
 სულიერი თანაბარმარცვლებით  
 და აუჩქარებლად,  
 მხოლოდ კარგად ყოფნით გადავიკვეთოთ...

\* \* \*

სიტყვებმა სიმართლე უნდა მაჩვენონ,  
 იქნებ ამიტომაც,  
 თითოეულის მიღმა შენ ხარ, მოციქულივით...  
 სინამდვილეს ვინ ამიხსნის მანამდე,  
 შეხვეულმა ბუნდოვანებამ ჯერ აუცილებლად ბროლი უნდა  
 გამოიაროს,  
 მერე ამდენი მდნარი იმპრესია ვიზუალში,  
 სულიერ დონემდე...

და თუ მოძრაობა განწმენდასავით?!  
ჩავდივარ და ყოველ ჩასვლაზე  
ახალი საკუთარი თავი ამომაქვს,  
მეტიც – ვენდობი, როცა  
ნდობას ხარისხი კი არა, ფერები აქვს,  
სიმკვეთრეზე დაგეშილი.  
რომელი ერთი მოძღვრება გინდა,  
სიყვარულიდან?  
სიყვარულისთვის?...  
მათ შორისაა ბუნებრივი დრო,  
როცა ვერ გითმენ და  
მერე, რამდენი მეტრ-წამი ქარის გავლით გარემოცული,  
ფიჭვებზე აუტანელი სიზმრები ქრიან...  
მთავარია, იქამდე არ გაჩერდნენ,  
ვიდრე არ მიხვდებიან,  
საოცრებები კი არა,  
შენ მომენატრე, ღმერთო!



## დაჩი ჩალაპაშვილი

დავით ალმაშენებლის სახელობის  
ეროვნული თავდაცვის აკადემია

### მიზანებული სეგმენტი

მე მივატოვე სევდა, გარდამოსული ჩემზე  
ღამით ფიქრებში გნატრობ და სიზმრებს ვხედავ თქვენზე.  
მე ისევ მიყვარს ჩვენი წელზე მოხვევა ნაზი  
და გემო მინდა ვიგრძნო თქვენი ტუჩების მძაფრი

თქვენ, ქალბატონო, იცით?  
საიდან მოდის სევდა, ან ის თუ მაინც იცით,  
სიზმრებში რეებს ვბედავ,  
შემოგირიგეთ ვფიქრობ, მაგრამ ვიღვიძებ მარტო  
საუბარს ვერ გიბედავთ, ისევ იმ ზამთარს ვნატრობ

ოჳ, როგორ მტანჯავს აწყმო, როგორ დავტოვე სევდა,  
მაგრამ სიზმრებში ვტირი, როცა თქვენს სახეს ვხედავ

თვალების გუგებს ქვემოთ, ოჭ, როგორ მახსოვს ცრემლი,  
ლოყები ალისფერი, ღიმილი ყოვლისმთქმელი

და როგორ ვნანობ წარსულს, ამდენი სიზმრის შემდეგ,  
ერთი თვე არის ღამე ხატივით შემეკედლე  
და ამდენი ხნის შემდეგ, ნუთუ სუსტი ვარ მაინც?!  
მე გაზაფხულმა მძლია, ვერ ველოდები მაისს.

მე შენ მიყვარხარ მაინც, დედამიწიდან ცამდე,  
და ამ სიზმრების გარდა, მსურს ანგელოზად მყავდე  
დამაფარებდი კალთას, გავკაფავთ ეკალ-ბარდებს  
და, გეფიცები, ამ წამს ჩვენს საუკუნედ ვაქცევა.



## ალექსანდრე კუკავა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

### ცელის ცხოველები

სოფლის პნელ შუქებში მივიკვლევთ გზას მე და სანდრო. თავზე სავსე მთვარე დაგვნათის, როგორც პოლარული ნათება ესკიმოსებს. ცივი ქარი გველივით იგესლება და სიცივისაგან გაყინულები სწრაფი ნაბიჯებით ვახტებით გუბებს. შორს, მთიდან ისმის ტურების შემაწუხებელი კივილი. რაღაცნაირად სევდიანი საღამოა, თითქოს მთელმა სოფელმა დაიძინა სამარადისოდ. ჩაბნელებული სახლების შემხედვარეს შიში მიპყრობს და სანდროსკენ ვიცქირები, რომელიც ჩაფიქრებული გუბის ნინ დამდგარა და სევდიანი სახით მღვრიე ანარეკლს აკვირდება. ნელი ნაბიჯებით ვუახლოვდები მას და მხარზე ხელს ვადებ. ქარმა ხის ტოტები აახმაურა და სადღაც სასაფლაოსკენ გაინავარდა, სადაც შავი ფისოები ცეკვავენ. ხანგრძლივი დუმილის მერე სანდრომ ზურგი აქცია გუბეს და გზა განაგრძო. რამდენიმე წუთი მეც ვცდილობდი

მღვრიე წყალში მეპოვნა საკუთარი ანარეკლი, მაგრამ ჩემი სახე უკვალოდ გამქრალიყო.

- ჯიბიდან სიგარეტი ამოვილე და სანდროს წამოვეწიე.
- სად მივდივართ? – მკითხა მოულოდნელად.
  - იქ, სადაც ჰორიზონტს მიღმა სხვა სამყაროა.
  - და რა ვიცით, რომ სწორად მივდივართ?
  - არ ვიცით, არც არასდროს ვიცოდით, – ვპასუხობ სევ-დიანი ხმით და სიგარეტს ვაწვდი.

სანდრო ღრმა ნაფაზში ჩაიკარგა და მთისკენ ბილიკს აუყვა. ანომალიურად ფორმირებულ ხეებს შორის მივიკვლევდით სინათლის წერტილისკენ მიმავალ გზას. ფულუროებიდან გარდაცვლილი ადამიანების გატანჯული სახეები იმზირებოდნენ. შორს საიდანდაც ყვავების ავისმომასწავებელი ჩხავილი ისმოდა. მთვარის სხივები ძლივს გვინათებდა გზას, მწარე მოგონებებად ფორმირებული ქარი მოსვენებას არ აძლევდა დაკარგულ სულებს. მოსაწევნარევი ფიქრები ქაოსურად დაქროდნენ გონებაში. აღმართის ბოლოს, სადღაც შორს იკარგებოდა უსასრულობისკენ მიმავალი უხილავი ბილიკები. უკუნ სიბნელეში ზოგჯერ გაიელვებდა ხოლმე სინათლის უცნაური სახიერება. სანდრო წინ შეუჩერებლივ მიიწვდა, თუმცა აღმართს დასასრული არ უჩანდა. უეცრად რაღაცას წამოვდე ფეხი და მიწაზე მოწყვეტით დავენარცხე, ტკივილმა გველივით გაისრიალა სხეულში. ხეებს შორის უცნაურმა ლანდმა გაიელვა და წინ, ბურუსში თეთრად მბრწყინავი ადამიანის ფიგურა გამოისახა. სანდრომ მალევე წამომაყენა და სილუეტს წამოვეწიეთ, რომელიც ჩია მოხუცი აღმოჩნდა. უსიცოცხლო მზერამ სევდიან სახეში შესცურა.

- თქვენც?

იკითხა უცნობმა და ქათქათა წვერებში სევდიანად ჩაიღია. სანდრომ გაოცებული სახე მიიღო. მოხუცი იქვე ჩამოჯდა და ალაპარაკდა:

— დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ამ უსასრულო ბილიკებს მივყვები. მეც თქვენი ასაკისა ვიქწებოდი, როცა აქ მოვხვდი, თუმცა მწვერვალი მიუწვდომელია. ქარმა ძლიერად შეაზანზარა ხეები. როცა ტალღამ გადაიარა მოხუცის პირისპირ დავჯექით. უცნაური მეგზური სადღაც სიბძნელეში იყურებოდა. მცირე დუმილის შემდეგ მან სანდროს ჰკითხა:

— რა შესცოდე?

არ ვიცი. მარტო დავრჩი. გაღმერთება მსურდა, მაგრამ სამყარო თავზე დამემხო. — სევდიანად უპასუხა მან.

აქ მუდამ ქარია? — ვიკითხე ცოტა არ იყოს მოულოდნელად. მოხუცმა მძიმედ ამოიხვნეშა, წვერზე ხელი გადაისვა ჯიბიდან ილუზია ამოიღო, გააბოლა და სანდროს გაუწოდა.

— აქ ოცნებების ქარიშხალია, — მიპასუხა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მოხუცმა. ნეონების ცას ავხედე, სადაც თევზები ალარ დაცურავდნენ. გონებაში უამრავი კითხვა ირეოდა. ერთ-ერთმა ყველას დაასწრო და ჯანსაღი ბაგეებიდან გამოძვრა.

— ჰორიზონტს მიღმა ცოცხლობენ?

— იქ მხოლოდ მკვდარი სურვილების სასაფლაოა, — უმალვე მიპასუხა თეთრ წვერებში ჩამალულმა დამჭკნარმა ტუჩებმა.

— გაღმერთებაც ერთ-ერთი სურვილთაგანია? — იკითხა სანდრომ. მოხუცი უმალვე წამოდგა, სხეული შეიბერტყა და დაბნეულმა უპასუხა.


— მე დღეს შენსავით მოკვდავი ვარ.

- ეს რას ნიშნავს? – გაკვირვება ვერ დამალა სანდრომ
- ღმერთად ყოფნა ადამიანის სევდიანი დაისია. სანდრომ ცას ახედა სიცარიელეს გაუღიმა და აგდებულად დაიყვირა:
- სად ხარ? – დუმილმა მოლოდინი შთანთქა. მოხუცს სახე ქარისთვის მიეშვირა და ჩუმად ბუტბუტებდა.
- რა საამურია ადამიანად ყოფნა თუნდაც ერთი დღით.
- მოკეტე, მოხუცო! – იღრიალა სანდრომ.
- შენ ვერც კი წარმოგიდგენია რა არის ადამიანი, – ირონიულად უპასუხა მან.
- სწორედ რომ მე წარმომიდგენია. ღმერთმა თავის საკუთრებად აქცია ყველა მოკვდავი! – სასოწარკეთილმა წამოვიყვირე.
- თქვენ არავის ეკუთვნით და არავინ გმართავთ. სწორედ ეს მინდოდა გცოდნოდათ.
- გაჩუმდი, გაჩუმდი! – აღრიალდა სანდრო.
- განა ასე ძნელია ადამიანად ყოფნა?
- კიდევ უფრო ძნელია ნაღმერთლად ცხოვრება, – როგორც კი ეს სიტყვები აღმოხდა სანდროს ბაგეებს, მოხუცი გაქრა. შეცდუნებულმა გამოვართვი მას მელანქოლიანაკიდებული მოგონებები და სევდის ნაფაზში ჩავიკარგე. რამდენიმე წუთი ვიდექით გაშეშებულნი ხის ძირას, მერე ნაცრისფერ ბილიკს ავუყევით და პატარა გორაკზე ასვლისთანავე წინ მატარებლის სადგური გამოჩნდა. მტვრისგან გაშავებული სარკეები, გადახდილი სახურავი, ფერდაკარგული კედლები და მოუვლელი ბალი მხოლოდ იმაზე მიანიშნებდა, რომ ადამიანებმა სადგური დიდი ხნის წინ მიატოვეს. ლიანდაგის რელსებიც დამტვრეულიყო და ზოგან საერთოდ მიწას დაეფარა რკინის გზა. მთვარის შუქის ფონზე შიშველი ხეები საზარლად გამ-

ოიყურებოდნენ. სანდრო სკამზე მძიმედ დაეშვა და სიგარეტს მოუკიდა. შორს საიდანლაც უარნაშოს სევდიანი ხმა ისმოდა. უეცრად შენობიდან რაღაც უცნაური ხმები გაისმა და ფანჯარაში შავმა სილუეტმა გაირბინა.

– ნუ გეშინია, ალექს, ყოველ ლამით აჩრდილები დაძრნიან! – თქვა სანდრომ.

- ცოდვილი სულები?
  - რომლებიც მყუდრო ადგილს დაეძებენ.
  - დღის სინათლეს ემალებიან?
  - რადგან ვერ ფარავენ წაწყმედილ სულს.
  - ვერც ბოროტ ღიმილს?
  - ვერ მალავენ ვერც ბოროტ თვალებს და ზიზღით სავსე სურვილს.
  - ხალხთან ყოფნაც აკრძალული აქვთ?
  - ამქვეყნიური ოცნებებიც.
  - სამარადისოდ?
- ეს მათი სასჯელია! – მიპასუხა სანდრომ და წამოდგა.



ვანო ქავშბაია „ტანგო“. მუყაო, შერეული ტექნიკა.  
35 X 50. თბილისის სამხატვრო აკადემია



## სულიკო ფაირიძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

### გამოყენება

პაციენტის ანკეტა

სახელი: რობ.

გვარი: ქართველი.

ასაკი: 40 წელი (ორმოცი წელი).

სქესი: მამრობითი.

პროფესია: მოყვარული მწერალი, მუსიკოსი, მხატვარი, მომღერალი. მცდელობა ჰქონდა ეცადა თავი დიდ ავიაციაში მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო უარყოფილი იქნა ამ საქმიანობისთვის.

მისამართი: სარაჯიშვილის N23.

საკონტაქტო პირი გადაუდებელ შემთხვევაში:

574 77 77 77

579 27 33 21

დიაგნოზი: მწვავე იდენტურობის დისოციური აშლილობა (მგომარეობა, როდესაც ადამიანის ცნობიერებაში ცოცხლობს არა ერთი, არამედი უამრავი პიროვნება, რომელიც განსაზღვრული თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს).

რა სურს ადამიანს ცხოვრებისგან? ეს თვითონაც არ იცის. გიუების პლუსი სწორედ ესაა. ვინაა გიუი, ის, ვინც არ იცის რა სურს, თუ ის, ვინც იცის რა სურს და არაფერს აკეთებს მისივე სურვილის ასასრულებლად. ეძიე საკუთარ თავში ის, რაც განვასხვავებს სხვისგან, შექმენი ეპოქა! გახდი ისტორიის ნაწილი! არჩევანი შენზეა, თუ გინდა ეგდე ამ ბრბოში, რომელსაც ჭამა-სმის მეტი საზრუნავი მთელი ცხოვრება არაფერი აქვს და ეცადე არაფრით იყო მათგან განსხვავებული. ეს ძალიან მარტივია. ადამიანიც ხომ ის არსებაა, რომელიც სიმარტივისკენ მიიღების მთელი ცხოვრება და რა მოვა დრო, როდესაც მას მარტოდვე დაივიწყებენ და შენ, ერთ-ერთი მათგანო, გეკითხები: რას გრძნობ ახლა, ან რას ფიქრობ, გაიაზრე, შენს „დიად“ სახელს რა მალე დაივიწყებენ. ალბათ, კი, რადგან სახელი რომ არ განაღვლებდეს, აქამდე კითხვა-კითხვით არც ჩამოყვებოდი ტექსტს. იქნებ გინდა, რომ გამაკრიტიკო და ნაკლს ეძებ. ეს მე სულ არ მადარდებს. მე უიღბლო ვარ და ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ ისე, რაღა დაგიმალო და, ჩემზე მეტ უიღბლოებსაც შევხვედრილვარ. წარმოიდგინე, ხალხით გადაჭედილი ქუჩა, სადაც ერთი გზააბნეული მირჩევს მე, მოდის და სიგარეტის მოსაკიდებლად ასანთს მთხოვს.

ჰო, ცოტა ღიმილის მოგვრელია.

გეთანხმები, მაგრამ საშინელი მაინც მისი იმედგაცრუე-

ბული სახის ყურებაა, როცა მე თავაზიანად ვპასუხობ: მაპატიიე, გეთაყვა, არ ვეწევი. იშვიათად ვიყენებ სიტყვა „გეთაყვას“ ანდაც, თამამად ვიტყვი, თითქმის არასდროს, მაგრამ მაინც დავწერე ნიშნად იმისა, რომ რაოდენ ხელოვნურია ჩვენი ქცევა, როცა საზოგადოებასთან გვაქვს კონტაქტი. მათ თუ გადაპრანჭულად არ ესაუბრე, ეს ხომ უზრდელობაა და ვის სჭირდება ეს თქვენი დამპალი ეტიკეტი.

დასწყევლოს ღმერთმა! ან საერთოდ ვინ მოიგონა? იტყვიან მადლობას და წავლენ! ან მოგიხდიან ბოდიშს და ყველაფერს ისე შეგატოვებენ ხელში, ვითომ აქაც არაფერი. გააქრო ეტიკეტმა გრძნობები. გააქრო რეალური გულიდან ამოძახილი სინანულის გრძნობა და შვა გაუგებარი რამ, რაც შენნაირებს იპყრობს და ანადგურებს. მე არ ვიცი, ახლა რატომ ვწერ, გაიგებ, ვერ გაიგებ, ეს თემაც ბუნდოვანია ჩემთვის, მაგრამ მე მაინც ვეცდები... იქნებ, სჯობდა, სულ არ დამეწერა, მაინც შენ მოგანდობ, იქნებ რეალობასთან ახლოს ხარ, ჩემზე უფრო ახლოს და დამეხმარო კიდეც მისკენ მიმავალ გზაზე.

რა საინტერესოა ადამიანი, მისი ქცევა, ქვეცნობიერი, რომელიც იგონებს, იჯერებს და იმისდა მიხედვით იქცევა. საბოლოოდ რას ნიშნავს ეს? არაფერს, სწორედ რომ, არაფერს! რადგან მისი ცხოვრება ერთ დიდ მისსივე მოწყობილ ხელოვნურ გარემოს ემსგავსება, რაც სრული ბლეფია, მაგრამ ის იმდენად გულუბრყვილოა, იმდენად ბედნიერია., აღარაფერი ახსოვს, ვერაფერს ხედავს და ჰარმონიულად კვლავ მიჰყვება ხელოვნურ გარემოს, ხელოვნურ ცხოვრებასა და ხელოვნურ ყოფას. აი, რატომ არის გენიოსების დეფიციტი!

მოაზროვნეთა გზა რთულია. ისინი სიმარტივეს არას-დროს ანიჭებენ უპირატესობას. გამომიცდია გრძნობა, რომელიც გტანჯავს, გინდა უკუაგდო ის შენიდან, მაგრამ რამდენადვე გინდა რომ განდევნო, იმდენადვე მის შესისხლხორცებაზე ზრუნავ. მიუხედავად იმისა, რომ არამიწიერი და აუტანელი სულიერი მდგომარეობაა, რომელსაც ვერავის უზიარებ. ახლა, სანამ დროა, უნდა წავიდე, რაღაც თავის ტკივილი დამეწყო. მგონი, ჩემი დრო გავიდა, ახლა როის დროა. უეცრად როის კარზე კაკუნი შემოესმა. როი სწორედ ის იყო, რომელმაც სხვა დანარჩენები შექმნა – სხეულის რეალური სული.

კარზე არავინ აკაკუნებდა. როი მარტო იჯდა თეთროთახში. უეცრად მას სახე შეეცვალა. თითქოს რაღაც გაახსენდაო. მერე გუგები გაუფართოვდა. თვალებში შვების ნათება შემოაწვა. ერთხანს ითმინა, მერე კი, არაამქვეყნიური ბლავილი მორთო.

როის ნინო გაახსენდა. მისი ერთადერთი სიყვარული, რომელსაც თავი მიუძლვნა, გაახსენდა ავიაცია, რომლისთვისაც ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ახლა ის აეროპორტის მაგიერ საგიუჟეთში იჯდა და დამამშვიდებლებს იღებდა.

მისი რეალური მესგან აღარაფერი იყო დარჩენილი, იქ მხოლოდ ცხოვრებისგან ჩამოწერილი ხორცის გროვა ეგდო. შვებას ვერ ჰპოვებდა ამ სამყაროში. როის ტირილზე დამხმარე პერსონალი და მთავარი ექიმი მის ოთახში შემოცვივდნენ. როი შეცდა. ცრემლები მოიწმინდა და უაზრო გამომეტყველებით მიაშტერდა ერთ-ერთ მედდას. უცებ წამოიყვირა:

– მოხვედი, ბაბუანვერა, მოხვედი, ნი?

ამის თქმა და მთავარმა ექიმმა დაიყვირა: სასწრაფოდ

დიაზეპამი! როი ერთი კვირა ასეთი რეჟიმით გათიშული ჰყავდათ. მერვე დღეს თვალი გაახილა და უკვე როი კი არა, საშინელი არსება იყო. იქვე მთავარ ექიმს, რომელიც ნემ-სიდან ჰაერის გამოშვებას ცდილობდა, მთელი ხმით დაუყვირა: აქედან გაეთრიე, შე გარეწარო, ვერ ხედავ სიმშვიდეს მირღვევ. შენნაირების გამოა, რომ მე აქ ვარ, შე ვიგინდარა!

ბოლო სიტყვები, რაც მის გონებას დაამახსოვრდა – ისევ „დიაზეპამი“ იყო, ახლა უკვე უფრო ხანგრძლივი პერიოდით.

მასში ისევ რომი გაიღვიძა, თითქოს ცდილობდა თავისი ცნობიერება დაეპრუნებინა. მერე ისევ იტირა, მაგრამ ახლა უფრო ჩუმად... ისე, რომ მისი ხმა არავის გაეგო, გული შეეკუმშა, იხსენებდა ძველ დროს, თუ როგორი სასიამოვნო იყო ველურ ბაბუანვერასთან ერთად ქუჩაში ლამპიონების შუქზე სეირნობა, მაგრამ ეს თვალდახუჭული. როგორც კი თვალს გაახელდა, გარშემო სინესტის მკრთალი შუქისა და შიშის მეტი არაფერი იყო.

როის უყვარდა ნინო. მან ეს ქალი დახატა და ცხოვრების არსად გაიხადა, მაგრამ, რა! ნინო გაქრა და როი მარტო დარჩა. სიზმარში თუ ნახავდა. ისიც ათასში ერთხელ. როის ახსოვდა, რომ ბაბუანვერას შემოდგომა უყვარდა, ამიტომ იმ დღიურში, სადაც ის ჩანაწერებს აკეთებდა, ნინოს ნაჩუქარ წითელ-ყვითელ შეფერილ ფოთოლს ინახავდა. დღიურს კი მუდამ გულის ჯიბით დაატარებდა. როი ფიზიკურად ლამაზი, საშუალო სიმაღლის, ხანშიშესული მამაკაცი იყო, ჭაღარაშერეული თმით, სახე ოდნავ დანაოჭებული, მაგრამ მაინც საუცხოო სილამაზის ჰქონდა.

როი იხსენებდა ნინოს საოცარ თვალებს, როცა ის იცინოდა, როისთვის სამყარო არსებობას წყვეტდა, სულ ის

ახსოვდა. ახლა კი იჯდა ოთხ კედელს შუა, არც არაფერს მოელოდა და არც არაფრის იმედი ჰქონდა. თავში გამუდმებით მისამართი უტრიალებდა – ჭილაძის ქუჩა, ჭილაძის ქუჩა! მაგრამ ეს მაშინ, როცა როი როი იყო. სხვა დროს კი, უბრალოდ ვერაფერს იხსენებდა. ბაბუანვერა მისთვის საუკეთესო იყო. მის თანასწორად არავის მიიჩნევდა, ან ვინ უნდა მიეჩნია, ნინო პირველი იყო და უკანასკნელი!

გავიდა წლები, კვირები, დღეები. ექიმები მიუხედავად მათი მწვალებლური რეუიმისა, როის დაავადებაზე თითქოს იმარჯვებდნენ. როი დღითიდღე უფრო კარგად ხდებოდა, ამის მიზეზი მოწვეული სპეციალისტი, ნევროლოგი, ფსიქიატრი და ფსიქოლოგი ბატონი ბენუამენი გახლდათ.

როი ამ ყველაფერს განიცდიდა, ეშინოდა, რადგან სჯეროდა, რომ ამ დაავადების გარეშე ნინოს არ ყოფნას ვერ გადაიტანდა. უმძაფრდებოდა რეალობის შეგრძნება, არსებობის ყოფიერება, რაც გულს ულრღნიდა და სიცოცხლის სურვილს აკარგვინებდა ამ გამომშრალ გამოფიტულ გაბოროტებულ დედამიწაზე, მაგრამ მაინც ჰქონდა იმედი, რომ ნინოს კიდევ ნახავდა.

ერთი თვის თავზე როის მთავარმა ექიმმა გამოუძახა. იგი მორჩილად შევიდა ექიმის კაბინეტში. ექიმმა სათვალე შეისწორა, შემდეგ მზერა როიზე გადაიტანა. ასე დიდხანს უყურადა ბოლოს ჰკითხა:

– თუ აქედან წახვალ, როი, გარეთ რას გააკეთებ?

პასუხის მოლოდინში ექიმი თავის მოხერხებულ სავარელში უკან გადაიხარა და კიდევ უფრო კომფორტული პოზიციიდან მომლოდინე თვალები ერთიორად დაჭყიტა როის პასუხის მოლოდინში.

– ნინოს მოვძებნი, ჩემს ბაბუანვერას მოვძებნი და ორივე ერთად პარიზში გავფრინდებით. მე მას დავპირდი და ასეც იქნება კიდეც.

ამის თქმა ერთი იყო და როის თვალები ამოუწითლდა. მოწოლილი ცრემლი გადაყლაპა და საბოლოო გადაწვეტილებას დაელოდა..

ექიმი კმაყოფილი ჩანდა.

– ფორმა ნომერი „777“-ის მიხედვით თქვენ საზოგადოებისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენთ.

როის არაერთხელ გამოუცდია სიხარულისა და სევდის ერთნაირი მოზღვავება. ამის მიზეზი კი ამ შემთხვევაში ფორმა ნომერი „777“ იყო. ეს იყო „თავისუფლების“ რიცხვები და ნინოს საყვარელი ციფრების მწკრივი. მერე უცებ გაახსენდა ჭილაძის ქუჩა, მე-7 კორპუსი, მე – 7 სადარბაზო, ბინა შვიდი. გაიფიქრა: ჰო, ჰო, უსათუოდ ესაა ნინო. აქ ცხოვრობს. ამ ფიქრში წასულს ექიმმა როის რამდენიმე წვრილი შრიფტით გავსებულ თაბახის ფურცლებზე ხელი მოაწერინა. გზა დაულოცა და მიაყოლა, რომ წარმატებებს უსურვებდა ახალ ცხოვრებაში.

როიმ თავისი ნივთები ჩაალაგა. პირველ რიგში კი, ყავისფერყდიანი დლიური ჩაიდო გულის ჯიბეში. მეტი მას არც არაფერი გააჩნდა.

როი ისე გამოვიდა საგიუვეთიდან, რომ უკან არ მიუხედავს. ერთადერთი, რაც ახლა მის გონებას ჭამდა, ნინოს ნახვის სურვილი იყო, უნდოდა ეკითხა, რატომ გაიმეტა ასე, საგიუვეთში სრული მარტოობისთვის, რატომ გაწირა, იმასაც ფიქრობდა, რომ საერთოდაც არაფერს არ ეტყოდა. უბრალოდ, მივიდოდა და გულში ჩაიკრავდა.

თავში ათასი იდეა მოსდიოდა. თან ყველაფერი ახსენდებოდა. ყველა ფრაგმენტი ნელ-ნელა იხსნებოდა მის გონებაში..

როის წამოსვლიდან მალევე მთავარმა ექიმმა ჯერ ერთ, შემდეგ მეორე წომერზე სცადა დარეკვა. პირველზე არავინ აიღო, მეორეზე კი, როის ძველმა მეგობარმა უპასუხა. ექიმს ექიმმა მოახსენა, რისთვის ურეკავდა. ასევე სთხოვა, რომ მოეძებნა როი და თვალყური ედევნებინა. რაიმე უცნაური ქმედების შენიშვნისთანავე კი აუცილებლად ცხელ ხაზზე დაერეკა.

როის ძველი მეგობარი მაშინათვე ქალაქში გამოვიდა, რათა დიდი ხნის უნახავი, ახლა უკვე საღ ჭკუაზე მყოფი როი მოეძებნა. მან იცოდა, ის სად იქნებოდა და არც შემცდარა. როი სწორედ იქ იყო, სადაც მან იფიქრა. იმ ადგილას, სადაც მას და ნინოს ერთად ყოფნა უყვარდათ. იქ მალევე მივიდა და ზურგზე ხელი დაადო.

-გამარჯობა მეგობარო!- როის ეცნო ხმა, შემოტრიალ-და და სახეც შეიცნო. მერე იყო ცოტა ცრემლი, ჩახუტება, მოკითხვა... როიმ მაინც ვერ მოითმინა და ნინოზე სთხოვა ინფორმაცია, სად იყო, როგორ იყო..

მეგობარმა მას ვერაფერი უთხრა. ერთადერთი, რაც შეს-თავაზა, მის მისამართზე წასვლა იყო. როის პატარა ბავშვივ-ით გაუხარდა, იმედი მიეცა, თვალები გაუბრნებინდა. მეგო-ბარს მადლიერების ნიშნად კიდევ ჩაეხუტა და გზას გაუდგა.

ძალიან ჩქარობდა. სადღაც ორ საათში როი იქ იყო, სადაც აქამდე ოცნებაც კი არარეალურად და აუხდენლად ეჩვენებოდა. როი ნინოს ეზოში იდგა, ოღონდ ნინოს გარეშე. წარმოსახვაში სილუეტებს ხედავდა, ნინოს სილუეტებს

რომლებიც აქეთ-იქით მიმოდიონენ. ისეთი საოცრებები იყვნენ, ისეთი ლამაზები, როგორიც ნინო..გრძელი შავი თმა, მეტყველი თვალები, ძალიან ლამაზი სახის ფორმა, გაღიმებაც კი იმდენად რეალური იყო, რომ გაგიუდებოდა კაცი.. მაგრამ ეს ისევ როის გონებაში. რეალურად კი ახლაც მარტო იყო, მაგრამ იმაზე უფრო კარგ ვითარებაში, ვიდრე საგი-ჟეთში- განსხვავება მხოლოდ ეს იყო. სიტუაცია კი- უცვლელი. როი კართან მივიდა და დაკაუნება სცადა. ამ დროს მოპირდაპირე კარიდან მოხუცი გამოვიდა, სადღაც 70 წლის კაცი იქნებოდა. მასთან შედარებით ახალგაზრდა როის და მის მეგობარს მიმართა:

—ვისთან ხართ, ბიჭებო?

—ბაბუ, აქ ერთი გოგო ცხოვრობს. სახელად ნინო ჰქვია.— უმალვე უპასუხა როის მეგობარმა..

მოხუცი გაირინდა, მზერა გაუშტერდა, მხოლოდ მისი მძიმე სუნთქვა ისმოდა. შემდეგ თვალები აუნყლიანდა, ამოიოხრა და თქვა:

—დიდებული გოგო იყო, ძალიან სათნო, კეთილი და მზრუნველი...

— ბაბუ, როგორ თუ იყო...ეს შეუძლებელია, არა, ბაბუ, იქნებ გეშლება, ოღონდაც მითხარი, რომ გეშლება და სხვა არაფერი მინდა!

მოხუცი უფრო ანერვიულდა და აკანკალებული ხმით მიუგო:

— ნეტავ, შემეძლოს...ნეტავ, ასე იყოს!

ისედაც მკვდარ როის ამის გაგონებაზე თავზარი დაეცა. აღარაფერი ესმოდა, ვეღარც ვერაფერზე ფიქრობდა და აღარც არაფერი უნდოდა გაეგო. ის ტერიტორია ისე სწრაფად

დატოვა, რომ მეგობარი ვერც დაეწია. როი ტკივილისგან, იმედგაცრუებისგან ისე იყო გადასული ჭკუიდან, უკონტროლო იყო, სრულიად უკონტროლო...

უკან მიმავალ გზაზე მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეებზე ჩასვლისას ზუსტად ისეთი სათამაშო ნახა გასაყიდად გამოტანილი, რომელიც ნინოსთან ჰქონდა ნანახი. ამ სათა-მაშოებს ერთი პატარა ბოშა ბიჭუნა ჰყიდდა. როი სულ ცოტა ხნით გაჩერდა. ბიჭს დააკვირდა, შემდეგ სათამაშოს და გზა განაგრძო. ის სადღაც უკვე შუაში იყო, როცა ქუჩის მუსიკოსის სევდიანმა მელოდიამ მიიპყრო მისი ყურადღება. რამდენიმე წუთი უსმინა მუსიკოსს. მერე თითქოს რაღაც გადაწყვიტაო და უკვე ქუჩაზე ამოსულმა მიზანში თავისუფალი პიანინო ამოიღო, რომელზეც დაკვრა ნებისმიერს შეეძლო. როი პიანინოს მიუჯდა და დეტალურად, თანმიმდევრულად ყველა მელოდიის დაკვრა დაიწყო, რაც კი ნინოსთვის ჰქონდა გაგზავნილი, ახალი, ძველი, იმ მომენტში მოფიქრებულიც კი. ასე იყო კარგა ხანს, ისედაც დამძიმებული მისი სული სევდიანმა მუსიკამ კიდევ უფრო დაამძიმა. როი უკვე ვეღარ უძლებდა, შეეშვა დაკვრას და გიუივით გაექანა ახლო მდებარე ხიდისკენ. უკვე ღამე იყო და ხიდზე არც ისე ბევრი გამვლელი მოძრაობდა.

როი ხიდზე ბუტბუტით შედგა. ისევ წაიღილინა ნინოს და მისი მელოდია. მერე წიგნაკი ამოიღო ჯიბიდან, მოემზადა. ერთი ხმამაღლა დაიღრიალა: მიყვარხარ, ბაბუაწვერაო და... უფსკრულისკენ გადაეშვა.

იმ წელს შემოდგომაც გავიდა და ზამთარიც. როი და მისი სიყვარულის ისტორია მხოლოდ ნინოსთან დატოვებულ ნახატებში შემორჩა. მის მელოდიებშიც და, რაც მთავარია,

ამ თეთრ ფურცლებზეც შემორჩა სამარადუამოდ. იყო შეშლილი და ამავე დროს ჭკვიანი, ეს სიბრძნეთა სიბრძნეა, ასე ამბობდა ხოლმე როი..

რეალურად როის ნინო ყოველდღე აკითხავდა, ის პირველი ნომერიც, რომელზეც ექიმი ხაზზე ვერ გავიდა, ნინოსი გახლდათ. გაუარესებული ჯამრთელობის გამო ვეღარ ახერხებდა როის ნახვას, ისე კი ამბობენ, სიკვდილის წინ სულ როის სახელს გაიძახოდაო.

ნინოს როისთან შესვლის უფლებას ფხიზელ მდგომარეობაში არ აძლევდნენ, მხოლოდ მაშინ, როცა როი მედიკამენტებით გაბრუებული და გათიშული იყო. ამიტომაც ვერ იხსენებდა როი მის მოსვლას. ეს ამბავიც ასე დასრულდა.

ერთხელ თურმე, როცა როი ექთანთან პირისპირ იყო, უთქვამს მისთვის, თუ შენთან შეშლილი მწერალი მოვა სტანდარტული წესით ნუ გაამწესებ საგიშეთში, მიეცი ნება წეროსო. გაიხსენე, მაგალითად, ფრიდირიხ ნიცშე, დაინახე ის, რასაც სხვა ვერ დაინახავს და არც ეცდება, რომ დაინახოს. ხომ არის მომენტები, როცა დეტალებშია ჭეშმარიტება, დეტალებს კი მახვილი თვალი უნდა, ზედაპირული, პრაქტიკულად როგორც ფიზიკა აღწერს დიფუზიური არეკვლის წყალობით დანახულ მოვლენებზე მეტს უნდა ხედავდე, გაცილებით მეტს...

აი, მაშინ ხარ საუკეთესო... ჰოდა, შენც, მკითხველო, იყავი საუკეთესო.



## ანა გლუცენაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### უბრალოდ 08ანე დამიახეთ

მთის წვერზე, სოფლის განაპირას, უხსოვარი დროიდან გძნეული დედაბერი სახლობდა. არავინ იცოდა მისი მოსვლის ზუსტი თარიღი, ზოგი იმასაც ამბობდა ას წელს უკვე დიდი ხანია გადააბიჯაო. ასე იყო თუ ისე, სოფლის მაცხოვრებლები ხშირად სტუმრობდნენ, ზოგი რჩევის საკითხავად, ზოგიც მომავლის გასარკვევად. ამავე სოფელის მკვიდრნი იყვნენ ოლეგი და ლილი, რომელთა განკარგულებაშიც პატარა საკარმიდამო იყო. შემოსავლით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ. ამის გამო ოლეგი, ოთხი შვილის მამა, ხშირად დადიოდა მოღუშული. მას ხომ ვერადავერ მიეღწია ფინანსური წარმატებისთვის ისე, რომ სახლი გაელამაზებინა, ცოლ-შვილი გამოეწყო და მერე, თამამად აეწია ჭიქა ღვინო მეზობლებთან

ერთად. ლილი კი მდგომარეობის მიუხედავად ყოველთვის იღიმდა, ბავშვებზე ზრუნავდა და ქმარს ამხნევებდა. ერთ საღამოს, ძილის წინ, ოლეგმა ჩვეულებრივ გადაულაპარაკა მეუღლეს:

– კარგი იქნებოდა ახლა დიდი სახლი გვქონოდა, გახსოვს დიდ სახლზე რომ ვოცნებობდით?

– კი მახსოვს, – მიუგო ლილიმ – მაგრამ ახლა რად იხსენებ?

– ბავშვებს კარგ სკოლაში მივიყვანდით, ყოველ კვირა კინოში ვივლიდით – განაგრძობდა ოლეგი – მე და შენ ხშირად დავისვენებდით!

– მახსოვს, მახსოვს – წამოიწია ლილი – და მერე?

– ვერაფერი ავასრულე, რასაც დაგპირდით, ვერც შენ და ვერც ბავშვებს!

– და მე რას დამპირდი? – იკითხა ლილიმ

ვაი თუ კიდე რამე მნიშვნელოვანს შეპირდა ოლეგი, მას კი არ ახსოვდა!

– დაგპირდი, დედოფალი იქნები-მეთქი – თვალები ჩაუპაჭუნა ოლეგმა – ჩემი დედოფალი!

ლილის გულიანად გაეცინა:

– და რად მინდოდა დედოფლობა?

– ეგ, შენ თუ არა, მე მინდოდა და ახლაც მინდა. იცი – ოლეგი ლილისკენ უფრო ახლოს მიიწია – პირველდ, რომ დაგინახე ნამდვილი ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი იყავი. ვიფიქრე, ალბათ ღმერთებმა მოწყალება გაიღეს და ჩემთან გამოგაგზავნეს, ცხოვრების გზა რომ გაგენათებინა. ოლეგი განაგრძობდა: იმ ღამეს, შენზე ფიქრში არ დამეძინა, მეორე დილით კი ლექსი მოგიძლვენი.

- და სადაა ეგ ლექსი? ჩემთვის არასოდეს წაგიკითხავს?
- სიცილს ვერ იკავებდა ლილი
  - დავწვი!
  - დაწვი? რატომ? – გაკვირვებული ლილი ლოგინიდან წამოიწია.
  - დავწვი იმიტომ, რომ მეორე დღესვე, სკოლაში, გიორგის გვერდით დაგინახე. გაღიმებულები უცქერდით ერთმანეთს.
  - რა სისულელეა! – თქვა ლილიმ – გიორგი არასოდეს მომწონდა და არც მას მოვწონდი. სხვათა შორის, ყოველთვის მეგობრები ვიყავით!
  - მერე რა – გაჯიუტდა ოლეგი – ხანდახან ეგეც საკმარისია.
  - და, თუ გახსოვს მაინც ეგ ლექსი? შეგიძლია ახლა მომიძღვნა
  - არა!
  - რა არა?
  - არ მახსოვს!
  - რატომ?
  - რატომ და როგორც კი დავწვი, დავივიწყე.
  - რა სულელი ხარ! – უთხრა ლილიმ – მაშინაც და ახლაც, და ქმარს მეტისმეტად რომ არ სწყენოდა, თმაზე გადაავლო ხელი.
  - კარგი, დავიძინოთ – თქვა ლილიმ – დილიდან ბევრი საქმე მაქვს!
  - მაინც რა საქმე? – იკითხა ოლეგმა
  - ეგ, მე ვიცი! – ლილიმ საბანი წაიხურა და უმალ დაიძინა.

მეორე დილით, ოლეგი სამსახურში წავიდა თუ არა, ლილი მთის წვერზე ასასვლელ ვინრო ბილიკს აუყვა. გადაწყვეტილი ჰქონდა გრძნეულს წვეოდა და გაეგო მას და მის ოჯახს რა ბედი ელოდა. დედაბერი ფანჯარასთან იჯდა, თითქოს მომსვლელს ელოდებაო. ქსოვდა და თან რაღაცას ლილინებდა. ლილიმ წინ ერთი დოქი ლვინო, რამოდენიმე წველა ყველი და იმ წელს დაფქული ჭადის ფქვილი დაუდო. – მომავლის გარკვევა მინდა – თქვა ლილიმ – მინდა გავიგო რა ბედი ელის ჩემს ოჯახს? თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად: ჩემი ქმარი დაჭკვიანდება თუ არა? როგორ იქნებიან ჩემი შვილები? როგორ მოვხუცდებით მე და ჩემი ქმარი?

– დაჯექი – უთხრა გრძნეულმა – ხელი ხელზე დამადე და სანამ არ გეტყვი არ აიღო.

– კარგი უთხრა ლილიმ და ხელი დაადო. ასე გავიდა ნახევარი საათი, ლილი ხმას არ იღებდა, არც დედაბერს უთქვამს რამე. კიდევ გავიდა ნახევარი საათი.

– ვერაფერს ვხედავ – თქვა ბოლოს დედაბერმა

– რატომ?

– არ ვიცი?

– რამემ ხომ არ გაწყინათ? რა ჭამეთ ასეთი?

– მგონი მივხვდებოდი თუ რამე მაწყენდა!

– ბოდიშს ვიხდი! აბა, რა გიშლით ხელს?

– შენ გარშემო ბურუსია, ყავას გავაკეთებ და დალიე. ყავით მომავლის ხილვა უფრო ძლიერია. აქ დამელოდე.

– კი, ბატონო, – უთხრა ლილიმ.

გავიდა ნახევარი საათი, მერე კიდევ ნახევარი საათი და დედაბერი ბოლოსდაბოლოს ფინჯანი ყავით შემობრუნდა.

— დალიე და მერე მე მომეცი, რომ შენი მომავალი ამოვ-იცნო.

ლილიმ გამოართვა და მოსვა. გაუგონარი სიმწარისა იყო.  
“რას უშვება ნეტავ?”, გაიფიქრა.

— მე გავალ შენ კი ბოლომდე მოსვი! — თქვა დედაბერმა.  
— კარგი — უპასუხა ლილიმ. დედაბერი ისევ გაბარბაცდა.  
ფეხი სტკიოდა. „ალბათ ჭინკებთან იბრძოდა მთელი ღამე“  
— გაიფიქრა ლილიმ. მას ვერ წარმოედგინა, რა უნდა ეკეთე-ბინა გრძნეულ დედაბერს, გარდა ღამლამობით ჭინკებთან  
ბრძოლისა. ამის გაფიქრებაზე, გულიანად გაიცინა და ფინ-ჯანი ყავა, რომლის დალევასაც არ ჩქარობდა, მიწაზე დალ-ვარა. ლილის სახე გაუთეთრდა, მაგრამ რა ექნა? გამბედაობა  
მოიკრიბა და დაიძახა:

— უკვე დავლიე!  
— ძალიან კარგი — მოესმა ხმა და დედაბერი ოთახში  
შემოვიდა. ახლა უფრო მეტად ეტყობოდა, რომ ფეხი ტკიო-და:

— მომეცი!  
ლილიმ ჭიქა გაუწოდა. დედაბერმა ამოაბრუნა და მაგიდ-ის შუაგულში დადო:

— დაჯექი და დაიცადე!  
— კარგი — უთხრა ლილიმ და დაჯდა. დედაბერი კვლავ  
გავიდა და როცა დაბრუნდა, თავზე უზარმაზარი ჩალის ქუდი  
ეხურა. ზედ ათასგვარი ბრჭყვიალა თვლები ჰქონდა დამ-აგრებული. „ალბათ ასე იზიდავს სულებს“ — კვლავ გაიფიქრა  
ლილიმ.

— დავიწყოთ! — საზეიმოდ გამოაცხადა გრძნეულმა და  
ხელები დაატრიალა, თითქოს სიგნალის მადევარი ანტენა

ყოფილიყოს. მოულოდნელად არსაიდან ხმები გაისმა, ლილის ეგონა დედამინა ფეხქვეშ მეცლებაო და შეშინებულმა, რაც შეიძლება ხმამაღლა იწივლა. თვალი რომ გაახილა, ისევ მაგიდასთან იყო. მის წინ დედაბერი იჯდა და თვალებს უკმაყ-ოფილოდ აპაჭუნებდა.

– რომ არ დაგეყვირა ახლა მეტი მეცოდინებოდა, მაგრამ რა გაეწყობა, რაც მოვისმინე, იმას გადმოგცემ! – და დედაბ-ერმა დაიწყო:

- დოლარებს ვხედავ!
- რა დოლარებს? – შეეკითხა ლილი
- თქვენსკენ მომავალ დოლარებს, იღბალმა გამოგზავნა, მაგრამ საყვედური არ დაგცდეთ დაგვიანების გამო. ეს აბრა-ზებს. თუ ერთხელ გაწყრა, მეორედ აღარ დაბრუნდება!
- მეგონა იღბალი ისედაც გამწყრალი იყო ჩვენს ოჯახზე, განა ასე არაა?
- არა! – იღბალი მუდამ გვერდს გივლიდათ, მაგრამ თქვენზე გაბრაზებული არასდროს ყოფილა!
- და ახლა რატომ გადაწყვიტა გვეწვიოს, რას მოჰყავს ჩვენთან?
- თუ მისი მოსვლა არ გინდა, შემიძლია შენი სურვილი გადავცე!
- არა, როგორ არ მინდა, უბრალოდ მაინტერესებს აზრი რამ შეაცვლევინა?
- იღბალი გადატვირთულია, ხან ერთს აკითხავს, ხან მეორეს. ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, სწორედ რომ დროზე მოდის!
- და როდის აპირებს შემოგვიაროს?
- ახალ წლამდე აუცილებლად გაგიმართლებთ, როგორც

გითხარი დოლარებს ვხედავ!

- ეს, ძალიან კარგია – უთხრა ლილიმ
- ჰო, კარგია. ახლა კი შეგიძლია წახვიდე!
- სულ ეს იყო? და ჩემი შვილები როგორ იქნებიან? სად ისწავლიან? რამდენი შვილი ეყოლებათ? მე და ოლეგს რა გველის როცა მოვხუცდებით?
- ამდენი აღარ ვიცი, რომ არ გეყვირა მეტსაც გავიგებდი, მაგრამ სულები შეაშინე და გაიქცნენ. ჩემს რჩევას მიყევი: იღბალს მოუფრთხილდი და აღარასდროს მიგატოვებთ. ახლა კი წადი, წადი. წინ კიდევ ბევრი საქმე მელოდება.
- ლილი წამოვიდა. დოლარები თუ მართლა გამოჩნდა – ფიქრობდა გზაში და არხეინად მიუყვებოდა დაღმართს – მე ვიცი რასაც ვიზამ.

გამოხდა სანი. იღბალმა, ბევრი იარა თუ ცოტა(იმ ზამთარს ბევრს თოვდა და გზა წესიერად არც ჩანდა), ბოლოს ოლეგისა და ლილის სახლს მიადგა. წლის მიწურული იყო და თორმეტი მალე შესრულდებოდა. ფანჯრის იქით სინათლე დალანდა თუ არა კარზე დააკაკუნა. ლოდინი დიდხანს არ არ დასჭირვებია. კარი ლამაზი გარეგნობის, წაბლისფერობისა ქალმა გააღო:

- ვინ გნებავთ? – იკითხა და ხელი მუცელზე დაიდო, აღბათ ორსულობის მექქსე თვეში იქნებოდა.
- ფოსტიდან გახლავართ, შეიძლება შემოვიდე?
- რა თქმა უნდა, მოპრძანდით, როგორ მოგმართოთ?
- უბრალოდ ივანე დამიძახეთ ქალბატონო!
- ლილი – უპასუხა ქალმა და ოთახში შეუძლვა – ბავშვებო სათამაშოებს მიხედეთ, სტუმარი მოვიდა!

- დიდ დროს არ წაგართმევთ ქალბატონო ლილი!
  - შენობით მომმართეთ!
- იმ წამს ოთახში მაღალი კაცი შემოვიდა, თმა მუქი ჰქონდა, მაგრამ თვალები საამო ლურჯი.
- ოლეგი – და ლიმილით ხელი ჩამოართვა.
  - სასიამოვნოა, თქვენთვის წერილია, ქალბატონო ლილი!
  - ჩემთვის? – ლილის სახეზე გაკვირვება აღებეჭდა – ვისგან?
  - წერილი ოკეანის მიღმა ქვეყნიდან მივიღეთ უკვე სამი თვეა, მაგრამ დიდთოვლობის გამო მხოლოდ ახლა შევძელი თქვენთან დაკავშირება. გამომართვით!
  - ოლეგი და ბავშვები მოლოდინში გაისუსნენ. ლილიმ წერილი გამოართვა, სავარძელში ჩაჯდა და კითხვას შეუდგა:

„ვირფასო ლილი! გთხოვ, ნუ გაიკვირვებ ჩემს დაგვიანებულ წერილს. ის კი არა, ჩემი დაც არასდროს მომიკითხია. ბიძაშენი ვარ! იმედია კარგად ხარ და შვილები გყავს. მე კი უმეტვიდრეოდ ვკვდები. ცოდვები რომ გამოვისყიდო და სულის მომხსენებელი მყავდეს, შენ გიტოვებ მთელ ჩემს ქონებას და გისურვებ სიკეთეში მოგეხმაროს! თუ, ისეთი კეთილი და მიმტევებელი ხარ, როგორც დედაშენი, ვიცი შემინდობ და მოხუცებულის სახელზე ლოცვას არ დაიზარებ. ესაა ჩემი უკანასკნელი სურვილი. გკოცნი და გეფერები,

ან უკვე გარდაცვლილი შენი ბიძა“.

ლილი დიდხან არ იღებდა ხმას, ალბათ ერთი საათი. ამ დროის განმავლობაში, ფოსტალიონი ბავშვებს ეთამაშებოდა.

    - რა მოხდა? – უკვე მეათასედ იკითხა ოლეგმა.

- დოლარები! – თქვა ლილიმ
- რა დოლარები? – ვერ გაეგო ოლეგს
- დოლარები! დოლარები! – მთელი სამყაროს გასაგონად იყვირა ლილიმ და გახარებული ქმარს ჩაეხუტა.

ახალი წელი დამდგარიყო და თოვლის ფანტელები არ წყვეტდნენ ცვენას. საჭლაც მთის წვერზე, დედაბერი სარკ-მელთან ქსოვდა და მომსვლელის მოლოდინში, უსიტყვოდ ლილინებდა.



## ანა სიჭინავა

თბილისის სახელმწიფო  
სამედიცინო უნივერსიტეტი

### პარაც წარსელიდან

ნეტავ თუ ნანობს, მინდა სულში ჩავხედო და უპრალოდ  
კვითხო – რატომ?! რომც არაფერი თქვას, მზერა გასცემს.  
თუმცა მას შემდეგ ბევრმა დღემ ჩაიარა, რა აზრი აქვს...

\* \* \*

– „ზარი დაირეკა, დროა შევიდეთ“. აფხაზური კილოთი  
გვითხრა აიტარმა. – „გაიგეთ? გუშინ მასწავლებელმა თქვა,  
დღესაც შემოწმებაზე მოდიანო. ალბათ, ისევ ჩვენ გამოგვიძახ-  
ებენ. ღმერთო, როგორ მეზარება. გაქცევა მინდა“.

– „უკვე ერთი კვირაა დადიან, რით ვერ შეამოწმეს ჩვენი  
ოთხ კედელში გამოკეტილი ცოდნა. მაინც იმას ვსწავლობთ,  
რასაც გვეუბნებიან. ვინ იცის, რა არის სიცრუე და ჭეშმარ-  
იტება“. გიომ სევდიანი მზერით თვალი შემავლო და კლა-  
სისკენ მანიშნა.

– „ერთი წუთით, მასწავლებლის მოსვლამდე დრო გვაქვს. ვიყოთ ცოტა ხნით“. გოჩამ მხარზე ხელი დამადო, თითქოს რაღაცას ელოდა ჩემგან. ზარის დამაყრუებელი ხმა კი არ წყვეტდა ჯიუტად ყვირილს. ბავშვები სკოლის კედლებს აწყდებოდნენ მასწავლებლის მოსვლამდე, რომ მოესწროთ მერხებზე მოკალათება. ჩვენ კი ვიდექით და ამ ყოველდღიურ აყალმაყალს შევცეკეროდით, რომელიც უკვე თერთმეტი წელია უსასრულოდ გრძელდებოდა. რაღაც შინაგანი უინი არ მაძლევდა კლასში შესვლის უფლებას და ზარის უკანასკნელი წერიალის მოლოდინში აკანკალებულმა წამოვიძახე:

„მოდით, არ შევიდეთ გაკვეთილზე, უბრალოდ, მარტივად წავიდეთ!“. ამის გაგონებაზე ბიჭებმა ისე შემომხედეს, თითქოს მათვის მარადიული სიცოცხლის წყაროს ადგილ-სამყოფელი გამემხილა.

„როგორ, კახა? გაგიჟდი? გაკვეთილების დროს ქუჩაში, რომ დაგვინახონ ციხე არ აგვცდება!“. შეშინებულმა მითხრა გიომ.

„პარგით რა, ამ ერთხელ არაუშავს. წუ გეშინიათ, ციხეში არ მოვხვდებით. კინოში წავალთ, ფილმს ვუყურებთ და ამასობაში გაკვეთილებიც დასრულდება. თან დღეს ახალი ფილმის პრემიერაა“. ამ წამს ერთდროულად ვგრძნობდი თავდაჯერებულობას და შიშს. უკვე ხმაშიც ეჭვის ნაპერ-წერილები იეროდა. სწრაფად მჭირდებოდა ბიჭების თანხმობა, თორემ უკვე შინაგანად კლასში შესასვლელად ვემზადებოდი. უეცრად გოჩას სიტყვების გაგონებამ მანუგეშა:

„მე მომწონს ეს აზრი, თან ნინოს დავუბაროთ, მასწავლებელს ეტყვის, ვითომ ჩემი და საავადმყოფოშია და წასვლა მოგვინია. ჯერ მაინც არ ვუნახავართ მასწავლებ-

ლებს და ვერაფერს გვეტყვიან“. აიტარს და გიოს გავხედე, ვიგრძენი, რომ ეს აზრი მხოლოდ ჩემში არ დაიბადა. გაქცევის დაუოკებელი სურვილის ნაპერწკლები თითოეულ ჩვენგანში ბუუტავდა. მე კი ამ ბუუტავ ნაპერწკლებს კაშკაშის საშუალება მივეცი. რამდენიმე წუთში უკვე გარეთ ვიყავით, მართლაც თვალიც კი არ მოუკრავთ ჩვენთვის. ყველა დამსწრეს ევლებოდა თავს და ბავშვებისთვის არავის ეცალა. როგორც კი გავედით გაზაფხულის სასიამოვნო ნიავს თავისუფლების წამიერი განცდაც მოჰყვა. სოხუმის სრულიად ცარიელ ქუჩებში მივაბიჯებდით ოთხი თავგზააბნეული ბიჭი და იმ წამს ვგრძნობდით ერთმანეთის აჩქარებულ გულისცემას. ზეცას ავხედე, ღრუბლებიც თითქოს ჩვენ გვგავდა, უჩვეულოდ სწრაფად მოძრაობდნენ, ლალად დასრიალებდნენ უკიდეგანო ცაზე, ალბათ ისინიც რაღაცას გაურბიან. ბიჭებს უკან მიყყვებოდი, უჩვეულო გზას არ შეჩვეული ფეხები ადგილზე მრჩებოდა. მიჭირდა თავისუფლების საჩუქრის მიღება.

„აი, მოვედით. ცოტა ხანში ფილმიც დაიწყება“. კმაყოფილი ხმით გვითხრა გიომ.

„ჯერ დრო გვაქვს, მოდით გრილი ნიავით დავტკბეთ“.

„კარგი, მაშინ მე ბილეთებს ვიყიდი“ – ვუთხარი და კინოსკენ გავეშურე. რიგში ჩავდექი. გზააბნეულმა ფიქრებმა ისევ მოაკითხეს სულის მიუვალ ბილიკებს. ჩემში უამრავი აზრი ერთად იყრიდა თავს. ეს რომ მამამ გაიგოს, ჩავიბუტბუტე ჩუმად. არა, დედა ნამდვილად ვერ გადაიტანს. რას იფიქრებენ პროფესორის შვილი გაკვეთილების ნაცვლად კინოში მიდის გასართობადო. უაზროდ ვიყიდე ბილეთები, უკვე ვგრძნოდი გუნება მიფუჭდებოდა. გარეთ გავედი, თვა-

ლი მოვავლე არემარეს და ბიჭების ნაცვლად სკამზე უკანასკნელად ბჟუტავი სიგარეტის ნამწვავი დამხვდა. გზისკენ გავიხედე და პოლიციელის მანქანიდან სამი თვალებდაჭყეტილი, გაფითრებული სახე შევნიშნე. რამდენიმე წუთის წინ ციმციმა თვალები, რომელიც სულს მინათებდა ჩამქრალიყო. ბილეთები ხელიდან გამივარდა. უკან დავედევნე. არ ვიცი სად მივრბოდი, მაგრამ დაბნეულობისგან უკვე სხეული მიცახცახებდა და არც ვიცოდი რას ვაკეთებდი. მანქანა გაჩერდა.

„იცნობთ მათ?“ – მკითხა პოლიციელმა დაუინებული მზერით. თანხმობის ნიშნად თავი დაფუქნიე. აქოშინებულმა ძლივს მოვუყვარე ორ სიტყვას თავი:

„დიახ, ისინი ჩემი კლასელები არიან“. ამის თქმა და უკვე მეც მათთან ერთად ვიჯექი მანქანში.

„ნუთუ არაფერი გსმენიათ ანდროპოვის კანონის შესახებ, კინოში რომ წამოსულხართ გაკვეთილების დროს?!“. თქვა პოლიციელმა და კარგა ლაზათიანად შეგვიძლვირა.

ახლა უკვე ჩემი გზააბნეული ფიქრები სადაცაა ხორცს შეისხამდა და ნათლად დამიდგა თვალწინ მოსალოდნელი რეალობა. მერჩივნა მინა გამსკდომოდა. ყოველი სინანულის ნაპერწკალი სულის ამაო გარჯა იყო. ოც წუთში ციხეში ვისხედით გაყინული სხეულითა და მზერით.

– „ახლა რას ვიზამთ? დღეს პარასკევია. თუ დღეს არ მოვლენ ჩვენს წასაყვანად, ორშაბათამდე აქ მოგვიწევს ყოფნა. მე სახლში ვერ დავრეკავ. დეიდაჩემმა ეს რომ გაიგოს ნამდვილად მომკლავს. გიორგის ხმაში ბრაზი გამოერია და თან მე მიყურებდა. მივხვდი, ნაწილობრივ მე მადანაშაულებდა ამ სიტუაციის შექმნისთვის. აიტარს უეცრად ცრემლები მოადგა და ზღუქუნით ჩაილაპარკა:

„დღეს ხომ მამაჩემი გამოდის ციხიდან. სახლში უნდა დავხვედროდი, მე კი აქ ვარ. ორი წლის უნახავს პირველად უნდა ჩავკროდი გულში!“. ეს იყო უკანასკნელი წვეთი ჩემი სულისთვის და მეტის გაძლება აღარ შემძლო. ერთი თვეა რაც აიტარი აფხაზური სკოლიდან გადმოვიდა, მაგრამ თავი ძალიან შემაყვარა და მისი ასეთ მდგომარეობაში ყურება ტან-ჯვას მგვირდა. მხოლოდ გოჩა დუმდა უცნაურად. აკანკალე-ბული ხმით ვთქვი: – „მე ჯერ ვერ დავრეკავ, მართლა არ შემიძლია. არ ვიცი როგორი იქნება ჩემი მშობლების რეაქ-ცია“. ყელში გაჩხერილ ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. მრცხ-ვენოდა ჩემი სიმხდალის უეცრად გვერდით საკნიდან შუახნის მამაკაცის ხმა მოგვესმა:

„გიო, შენ ხარ? აქ რას აკეთებ?“

„დათო ბიძია, მე კი არა თქვენ რას აკეთებთ აქ? ერთი კვირაა მთელი სამეზობლო და სანათესაო გეძებთ. უკვე მკვ-დარი გვეგონე“. „

„ჰა, ჰა, ჰა...“ გულიანად გადაიხარხარა კაცმა. „იცოდე, არავისთან თქვა, რომ აქ ვარ. ცოტა ხანი მაინც ვიგრძნო თავისუფლება. თორემ უკვე ჩემს ცოლს და ნათესავებს ვეღარ ვუძლებ. სულ ფული, სულ საკვები, სულ რაღაც უაზ-რო საქმეები უჭირთ. ვინმემ მყითხა მე როგორ ვარ?! არავინ! ხვალ მიშვებენ, მაგრამ სახლში მისვლას არ ვაპირებ. ზღვის სანაპიროზე მინდა მშვიდად გასეირნება. მინდა ვუყურო უსასრულო ჰორიზონტს, როგორ ერწყმის მზე და ზღვა ერთ-მანეთს. მინდა მთელი ღამე ვიწვე, მეოცნებე ვარსკვლავებს და მათ შორის მოქცეულ მოლივლივე მთვარეს ვუცქირო. იქნებ მაშინ მაინც ვიგრძნო ჩემი წილი ბედნიერების ნამ-ცეცები“. ვუსმენდით, მაგრამ რა უნდა გვეთქვა?! ჩვენც ხომ

ჩვენი წილი ბედნიერების საძებნელად გამოსული დაკარგული მგზავრები ვიყავით.

„დათო ბიძია, არასდროს შეიცვლებით. ნეტავ იცოდეთ როგორ ღელავენ თქვენზე“. მწყრალი ტონით უთხრა გიომ და შემდეგ ჩვენ მოგვიპრუნდა:

„მეტი მე არ შემიძლია, დეიდაჩემს ვურეკავ. ორშაბათამდე აქ ყოფნას არ ვაპირებ“. გიო წამოდგა და დეიდამი-სიც მალევე აქ გაჩნდა. შორიდან ქალის სალანძლვი სიტყვები გვესმოდა. ვიცნობდით გიოს დეიდას და ვერ ვთხოვდი ჩვენს წაყვანას. ახლა ჩემი ერთადერთი იმედი გოჩა და მისი სიმშვიდით გამორჩეული მამა იყო.

„გოჩა, გთხოვ, უთხარი მამაშენს, რომ ჩვენც წაგვიყვანოს. მე თუ არა, აიტარი მაინც, ხომ იცი რა მდგომარეობაშია“. ცრემლნარევი ხმით ვუთხარი. გოჩას თვალებში შვცქეროდი, ვცდილობდი დამაიმედებლი მზერის დაჭრას, მაგრამ ამაოდ. შორიდან გაყინული თვალები მიცქერდა, მერე გავიდა და ჩვენი მეგობრობის ჩრდილიც უკან გაჰყვა, რომელიც სადღაც შორს ბნელს ერწყმოდა. გოჩას მამის ხმა მკრთალად მესმოდა, მაგრამ არავინ საუბრობდა ჩვენზე, მალე ეს ხმაც მიწყდა და მივხვდი, გოჩამ დაგვტოვა. აი, ასე უბრალოდ და მარტივად. სადღაც გულის სიმები შეირხა, უზარმაზარი ბურთი მომაწვა ყელში, ვგრძნობდი, მტკიოდა რაღაც უხილავი სხეულის ნაწილი.

ახლა ჩემი ჯერი იყო, მამაჩემს დავურეკე. არაფერი უთქვამს და ეს დუმილი უფრო მტკიოდა. რა მექნა, აიტარს ვერ დავტოვებდი. არ მივცემდი ბედს ტყვეების გაცვლის უფლებას, მას დღეს მამამისი აუცილებლად უნდა ენახა. მალე მამაჩემის მანქანაში ვისხედით. ის ისევ დამაყრუებლად დუმ-

და. ვცდილობდი სიჩუმეში პასუხების პოვნას. როგორც იქნა აიტარის სახლთან მივედით, მამამისი ახალი მოსული იყო. მათი შეხვედრის შემყურეს ბედნიერება ნაკადულივით ჩამეღვარა სულში. რაღაც კარგი მაინც მოხდა დღეს. აიტარმა ხელი გულზე დაიდო და მივხვდი, ამით მადლობას მანიშნებდა. მეც უბრალოდ თავი დავუხარე და სახლისკენ გავუყევით გზას. უკვე აზრი არ ჰქონდა რას მეტყოდა მამაჩემი. ისიც ვიცოდი, რომ მისი სასჯელი არ იქნებოდა მარტივი, მაგრამ ამისთვისაც მზად ვიყავი. სახლში როგორც კი მივედი, დედამ არ დააყოვნა. ჩემს ისედაც დამძიმებულ სულს წყალი მოასხა და საბოლოოდ ააყვავა სევდის უფესვო ყვავილი. მაგრამ უნდა ამეტანა... უსიტყვოდ... უემოციოდ... მეც დუმილით ვუსმენდი. მივხვდი, რომ ცხოვრება მოთმინების გარსში გახვეული არსებობაა. სხვა რა გზაა, უნდა ითმინო.

ჩემი ფიქრები ისევ გოჩასკენ გარბოდნენ. მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებდა: რატომ? რატომ დაგვტოვა? მთელი ლამე ტელეფონთან გავატარე, ვინ დათვლის რამდენჯერ ავკრიფე გოჩას ნომერი, მაგრამ ალბათ რომ დამერეკა ვერაფერს ვეტყოდი. მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ჩემი და გოჩას ბავშვობის მეგობრობა ქვიშაზე დაწერილი ამბავი აღმოჩნდა, რომელიც ზღვამ უსასრულობაში შთანთქა.



ნინა ნარიმანიშვილი ილუსტრაცია საავტორო წიგნიდან „ბავშვობაში მეგონა, რომ...“ რომ გუდის კაცს გუდაში სხვა სამყარო ჰქონდა.  
31 X 20. ტუში, გუაში, ფურცელი



ნინა ნარიმანიშვილი „გუდის კაცი“. 31 X 19. ქველი ფურცელი, გუაში,  
ტუში. თბილისის სამხატვრო აკადემია



## გიგა ფიჭია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### გამოღვება

ერთ დღესაც კოსტიამ აღმოაჩინა, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. თითქოს იგივე რუტინა, იგივე ხალხი, მეგობრები, მშობლები, მაგრამ აურა შეიცვალა. მუდამ გრძნობდა ალმაც-ერ მზერებს, თითქოს ერთი-ორჯერ ისიც შეამჩნია როგორ შეხედეს და ჩაიცინეს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა.

უყურადღებო ადამიანი იყო, ყველა ეუბნებოდა ამას და მათ მიმართაც გულგრილობას იჩენდა. ალბათ მაგიტომაც ვერ მიაღწია ვერანაირ წარმატებას და მართალია, წყნარად, მაგრამ მაინც მცირედი შურით უყურებდა როგორ იზრდებოდნენ მისი მეგობრები გონებრივად და თითქოს ცხოვრებისაც მეტი ესმოდათ, მიზნებს აღწევდნენ, ტურნირებში იმარჯვებდნენ, გრანტებს იღებდნენ და ყველა ამაყობდა მათი მიღწევებით. რამდენიმეჯერ იკითხა კიდეც მათი საიდ-

უმლო, მაგრამ ისინი მხოლოდ უცინოდნენ და ეუბნებოდნენ თვალები გაახილე, კოსტია, რას არ აკეთებ ისეთს, რასაც ჩვენ ვაკეთებთო, მაგრამ კოსტიას არ უყვარდა შარადები, ამიტომ ამაზე მეორედ სიტყვა არ ჩამოუგდია, სანამ კოსტიას თვრამეტი წელი არ შეუსრულდა.

დაბადების დღეს მშობლებმა მაგიდასთან დასვეს სალაპარაკოდ.

- კოსტია, სერიოზულ რამეზე უნდა გელაპარაკოთ?
- დაბადების დღეს ვერ აღვნიშნავთ?
- არა სხვა რამეზე კოსტია. – მამამ წამით შეხედა კოსტიას, თვალები დახუჭა, ხელი შემელოტებულ თავზე დაიდო და განაგრძო, – არ მეგონა ამის ახსნა თუ მომიწევდა კოსტია, მე და დედაშენი დიდ ხანს ველოდებოდით როდის დაჭკვიანდებოდი, მაგრამ შენ უკვე თვრამეტის ხარ და არაფერი გეტყობა გამოსწორების.

კოსტიამ გაოცებულმა შეხედა მამას.

- რას გულისხმობ? – მამა უხმოდ უყურებდა, – რას გულისხმობს? – მიუბრუნდა დედას.

- იმას შვილო, რომ ასეთ რაღაცას თავისით ხვდება ყველა, შენი მეგობრებიც კი, შენ კი უკვე თვრამეტის ხარ და ჯერაც ვერ მიხვდი ვერაფერს. – ბოლო სიტყვებზე ქალი კინაღამ აქვითინდა და სახის შესანარჩუნებლად ხელები აიფარა.

- რას, რას ვერ ვხვდები ამიხსენით?!
- იმას მაინც ვერ ამჩნევ, რომ დაგცინიან, შვილო! – უყვირა მამამ და კოსტიას მაშინვე გაახსენდა ის უცნაური მზერები, რომელსაც გრძნობდა მანამდე კიდევ შეიძლებოდა მოთმენა, ახლა კი ზრდასრული ხარ და არავინ გაპატივებს. ახლავე უნდა მიხედო ამას, თორემ გაგიჭირდება.

– რას-მეთქი! რას! – კოსტიაც ყვირილზე გადავიდა, ისე-დაც ეზიზლებოდა გამოცანები და ის, რომელიც მას ეხებოდა სულიერად აწამებდა.

მამა გაჩუმდა. მეუღლეს გადახედა და უკანაც მიიხედა, თითქოს ვიღაც იდგა და აყურადებდა. დედა გავიდა, დარწმუნდა, რომ კარი დაკეტილი იყო და როცა მობრუნდა, თავი დაუქნია ქმარს.

– კარგად მისმინე, კოსტია, – დაიწყო ისევ წყნარად მამამ,  
– უნდა გაიმეორო.

– რა უნდა გავიმეორო?

– არ აქვს მნიშვნელობა კოსტია, უნდა იპოვო და გაიმეორო, – უპასუხა მოთმინებადაკარგულმა მამამ. – ამაზე მეტი არ მკითხო, წადი ახლა და რაც შეიძლება სწრაფად გაარკვიე, რას იმეორებენ სხვები, რასაც შენ არ იმეორებ.

– მეხუმრები, მამა? რა უნდა გავიმეორო, როგორ აკეთებენ ისიც არ ვიცი. – კოსტია ხვდებოდა, რომ ეს იმ საუბრებს ჰგავდა, მშობლები რომ შვილს აიძულებენ ისწავლონ, იმუშაონ ან ცოლი მოიყვანონ, მაგრამ ამის თქმა ხომ სხვანაირადაც შეიძლებოდა. – არაფერსაც არ გავიმეორებ და არც შევეცდები, შენ კი ვერ დამაძალებ.

– სხვა გზა არ გაქვს კოსტია, ადრე თუ გვიან იზამ, მაგრამ იმისთვის, რომ დაგაჩქარო, სანამ ისე არ მოიქცევი, როგორც ნორმალურ ადამიანს შეეფერება, დაბრუნებას გიკრძალავ, მე არ მჭირდება შვილი, რომელსაც ელემენტარული არ შეუძლია.

მამის სიტყვები კოსტიას გულზე მოხვდა. სწრაფად ადგა და სახლიდან გავარდა. არც დედას და არც მამას მისი შეჩერება არ უცდიათ.

არ იცოდა, რა უნდა ექნა, არ ელოდა, რომ მშობლები მიაგდებდნენ, მით უმეტეს, დაბადების დღეზე. თითქოს სიზ-მარი იყო, რომლის დასასრულს ისევ სახლში აღმოჩნდებოდა და ყველანი დაბადების დღის სიურპრიზს მოუწყობდნენ, მამა კი ეტყოდა სხვანაირად სახლიდან ვერ გაგიყვანდიო. მაგრამ მომხდარი დადგმულს არ ჰგავდა.

სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მეგობრებს დაურეკა და პარკში ჩამოიყვანა. ისინიც გამოვიდნენ. მიულოცეს დაბადების დღე, უღიმოდნენ და თავიანთ ამბებსაც უყვებოდნენ. ერთმა ისიც შესთავაზა, ჩემთან დაგანყებინებ მუშაობას, მართალია, ჯერ სტაჟიორი იქნები, მაგრამ მალევე დაგანინაურებენ ჩემი რეკომენდაციით. ერთმაც ინგლისურის წრეში სიარული შესთავაზა. კოსტია ჩვეულებრივ უყურადღებოდ დატოვებდა მათ შემოთავაზებებს, მაგრამ მამის ნათქვამმა ყურადღება მიაქცევინა და იფიქრა, რომ ალბათ მუშაობა არ ჟღერდა ეგრე ცუდად... და მაშინ გააცნობიერა კოსტიამ.

- ჩემს მშობლებთან ხომ არ გილაპარაკიათ?
- არა, რატომ უნდა გველაპარაკა?! – გაიკვირვეს მეგობრებმა.

– მომეჩვენა, რომ ჩემს დახმარებას ცდილობთ, – და კოსტია მოუყვა მათ მამამისთან საუბრის შესახებ. მეგობრები ყურადღებით უსმენდნენ, მოყოლის დროს თითქოს თვალები გაუცივდათ და ბოლოს კი სიცილს ძლივს იკავებდნენ, სანამ ერთს არ წასკდა და ახარხარდა. კოსტია ვერ მიხვდა, იფიქრა, მამის გამო დასცინოდნენ. ვინც ხარხარებდა, იმან ძლივს ამოიღო ხმა:

- როგორ პირდაპირ გვითხრა, ნამდვილად დებილია!
- მესმის, რომ არ უნდა მეთქვა, მაგრამ რა ვქნა? – შეშ-

ფოთდა კოსტია.

— არა, არა, არ გესმის, ეს ყველამ იცის, შენ კი ახლა, თვრამეტი წლის შემდეგ გვიყვები შეშფოთებული იმის ნაცვლად, რომ აგვივე. — უპასუხა მეორემ, რომელიც უშედეგოდ ცდილობდა ხელით დაეფარა აწითლებული სახე. — ჩვენ ყველანი ვცდილობთ, რომ ვიპოვოთ და გავიმეოროთ, შენ კი ცხოვრობ, არა, მხოლოდ არსებობ და არც კი ცდილობ.

— თქვენც იმავეს ამბობთ?! — მეგობრებისგან კი ნამდვილად არ ელოდა კოსტია, აქამდე ყველაფერს მამის ძველმოდურობას აბრალებდა.

— მთელი ქვეყანა დაგცინის, კოსტია, თვალები გაახილე!

— რატომ? რატომ დამცინიან, რას ვაკეთებ?

— არაფერს არ აკეთებ, კოსტია, მთელი პრობლემა ეგაა, მაგრამ მეტიც, ვერავინ ამბობს ზუსტად რას არ აკეთებ, იციან მხოლოდ ის, რომ არ იმეორებ. რომ იმეორებდე, ყველაფერი უკეთ იქნებოდა, ბევრად უკეთ.

— ვერ ხვდები? — განაგრძო კიდევ ერთმა მეგობარმა, — გამეორებით უზრუნველყოფ უსაფრთხო მომავალს, თავიდან იცილებ მოულოდნელობებს და მრავლიდან ირჩევ იმ ერთს, რომელიც ვიღაცამ მაინც იცის.

კოსტია გაოგნებული უყურებდა მეგობრებს, რომლებიც მამამისივით ავიწროებდნენ, აიძულებდნენ გაემეორებინათ რაღაც, რასაც თვითონ ან სხვები იმეორებდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ იმის ცოდნით, რომ იმეორებდნენ. მას კი ასე არ შეეძლო, არაფრის ცოდნა არა სურდა, პირიქით, ჯობდა ესეც არ გაეგო.

— დამანებეთ თავი! — მხოლოდ ეს თქვა ჩუმად და წასვლა დააპირა.

- სად მიდიხარ, არ გინდა დაგეხმაროთ?
- თქვენ მე ვერ დამეხმარებით, – უკანმოუხედავად თქვა კოსტიამ, – იმაშიც ეჭვი მეპარება, რომ ჩემი მეგობრები მხოლოდ გამეორების გამო გახდით. ბოლო წინადადება გაუცნობიერებლად თქვა, მაგრამ თითქოს ნემსები ჩაერჭო გულში, რამდენი რამ გამოსდიოდა ტყუილი.

შორს წავიდა, იმდენად შორს არა, რამდენსაც საშუალებას მისცემდა ფეხები და ცარიელი კუჭი, მაგრამ საკმარისად იმისთვის, რომ გული მოეოხებინა. ბევრი იფიქრა იმაზე, რაც უთხრეს. გონების ერთი ნაწილი ბრძოლისკენ, გაქცევასა და თვითგადარჩენისკენ უბიძგებდა, ნაწილი კი ახსენებდა იმ გარემოს, რომლის გარეშეც ვერ გაძლებდა, რომც გაეძლო, წარმოიდგინა, როგორ ეძებდნენ მშობლები, მეგობრები, პოლიცია. მათგან ვერ დაიხსნიდა თავს, ამიტომ გადაწყვიტა ისევ მოლაპარაკებები და კომპრომისზე წასვლა ჯობიაო.

სახლის კარი შეაღო. შიგნით ბნელოდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. უცებ შუქი აანთეს, მილოცვებისა და საყვირების ხმაზე კოსტია შეხტა და პირდაღებული მიაჩერდა ყველას. რამდენიმე წუთში უკვე მაგიდასთან ისხდნენ და კოსტიაზე იცინოდნენ, რომელიც ასე ეშმაკურად გააცურეს. კოსტიას ლოდი მოეხსნა, უხაროდა, რომ მაინც უკან დაბრუნება გადაწყვიტა და ამ საოცარი შემოტრიალებით გამოწვეული ბედნიერებისგან გაბრუებული, ვერ გრძნობდა როგორ გაიმეორეს რამდენჯერმე მისი დაბადების დღის სადღეგრძელო.



## თამარი პეტრია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### ჰიბრიდუალი ეძღვი

დილის შვიდის ნახევარზე, მთავარ სადგურს ბოლო მატარებელი დაემშვიდობა. ადგილი ვიწროა, არ მყოფნის. თითქოს რაღაცისთვის ვემზადები, სამგზავრო ბილეთი არ მაქვს, თვალებზე ხელაფარებული ვცდილობ გამცილებელს დავემალო. ისიც არ იმჩნევს ჩემს არსებობას და უფლებას მაძლევს ვიმოგზაურო. სიმძიმის ძალა დედამინის ცენტრამდე აღწევს, თუმცა რელსები არ ცნობენ ფიზიკურ კანონებს.

მატარებლის საკვამურიდან ჩემი სუნთქვა ამოდის. აფეთქებამდე დარჩენილია რამდენიმე წამი. მერე ვიღაც სამგზავრო ბილეთს მაძლევს და ბუმ! მე დიდი აფეთქების ნაწილაკი ვარ. ახალი მგზავრი, შორეული მოგზაურობიდან, მატარებლის თანდაყოლილი შიშით. ჩემში მყოფი ყველა ქიმიური ბმა ჩემს შემქნელებთან მაკავშირებს. ორივე მათგანი ჩემდაუნებურად მიყვარს, მაგრამ ერთს სხვანაირი სურ-

ნელი ასდის, ზუსტად ისეთი, მატარებლში რომ იყო. სითხეს როცა მიყოფს, მე მის თვალებს ვიმახსოვრებ და მგონია, რომ აფეთქება არც მომხდარა.

სიმძიმის ძალას სულ ქვემოთ ეჩქარება. მე კი ისე ვიჩქარე, რომ მის საწინააღმდეგოდ გავიზარდე. ხმები ამბობენ, რომ სიმეტრიით მამას ვგავარ, არადა ვინ იცის რამდენჯერ მინახავს სითხის გამყოფთან, მის თვალებში მყოფი ჩემი თავი. განა მე არ ვიცი, ვინ ვარ? მაგრამ, ხმებს სხვა რა საქმე აქვთ. შენზე იცი რას ამბობენ? რომ ცხოვრება არ გიყვარს, რადგან ბევრს შრომობ, რადგან ყოველ ღამე, ენერგიადაცლილი უბრუნდები სახლს, რადგან შენ შენი გინდა გქონდეს და მათ არ ჰგავხარ. შენს ძმაზე იცი რას ამბობენ? რომ ყველა ზარმა, მაცნედ მის თავთან დაიდო ბინა. და, შენს დაზე იცი რას ამბობენ? რომ მისი ჭკუა და დამოუკიდებელი აზროვნება დამღუპველია. სამყაროზე? მატარაებლის ამ ბაქანზე იცი რას ამბობენ?, რომ ჩვენზე არ ზრუნავსო, მალე ამოგვწურავს, ჩვენი აქ ყოფნა არ უხარია, მაგიტომაც ვართ ამდენი პრობლემის მსხვერპლიო და ამ მოტივით ახალი სადგურების შენებას იწყებენ.

დამსახურებულმა ჭორიკნებმა დედამიწამდეც მიიტანეს სხვების ნათქვამი. ცისფერი ბურთი დასჯილი ბავშვით იდგა ვაკუუმის რომელიღაც კუთხესთან და ყველა მოკვდავის მასპინძლობას ნანობდა. ვერც ერთ მის შეკითხვას ვერ პასუხობდნენ თხილის გულის გამყოფი სხვა პლანეტები და ასე დარჩა უსამართლობა პასუხგაუცემელი.

ნეტავ, შემეძლოს ვაკუუმის წევრი ვიყო. მერე ზუსტად ვიცი, ვერავინ შეძლებდა აეხსნა, რატომ დავამუნჯე ადამიანები, რადგან ყოველთვის ვნატრობდი მათ გაჩუმებას. ნეტავ,

ხატვა შემეძლოს, ფუნჯსა და გუაშს მოწმედ გადავაქცევდი და უხმო, უნიუარო ადამიანებს დავხატავდი, ფიზიოლოგითა და რიტმული შეგრძნებებით, ორგანოებს ვიგულისხმებდი და ნერვულ სისტემას ფოთოლცვენის ინსპირაციად გავხდიდი. ნეტავ, დაკვრა შემეძლოს, ცხრა სიმფონიას გავალუწებდი და ყველა ნოტს საიდუმლოდ შევინახავდი. ნეტავ, ფრენა შემეძლოს, გალაკტიონს გადავარჩენდი. ის ახალ ისტორიებს შექმნიდა, ან ოლეინს მისწერდა სიყვარულზე და ჩემში ერთით მეტი რომანტიკოსი გაიღვიძებდა. ნეტავ, ძილი შემეძლოს, ყველა ეს ფიქრი უკანასკნელი იქნებოდა. და, ნეტავ, რასაც ვნატრობ, ყველაფერი შემეძლოს.

გამოვეთიშე წარმოსახვით სივრცეს და დავუბრუნდი ყველაფერი ატმოსფეროს. კედლებზე ვმარჩიელობ. ოთხივე მათგანის სიმეტრია გულს მირევს, ფანჯარას ვაღებ, მინდა სივრცეში გაფანტული ყველა ნაწილაკი დავაგემოვნო. სიმძიმის ძალა მიზიდავს ისე, როგორც არასდროს და მერე ყველა მფრინავის სიმართლეში ვრნმუნდები. ყურის ნიუარა მატარებლის სიგნალის ხმას ირეკლავს და პროცესი თავისთავადი ხდება:

სიმსუბუქისა და თავისუფლების შერწყმა;  
სივრცეში გასეირნება;  
გალაქტიკების ხმაური;  
პირის სიმშრალე;  
ბალანსირების მცდელობა;  
უკანასკნელი მელოდია;  
ბავშვობაში მუხლის ტკენა;  
გონიერების გამორთვა;  
დიდი აფეთქება...  
გალკინ, მართალი იყავი!

## მინდა გინევ გიგო

წარმოშობით პილიგრიმელი ჩემი სული, სხეულისგან უკითხავად დახეტიალობს და საუკუნის კედლებში მოქცეულ მირონცხების რიტუალს შუბლს უშვერს.

სანამ ჩემი აზრები, ჩემი რწმენა გახდებოდა, განდის პროპორცია საპირისპიროდ გამოვიყენე და ფასეულობა ვაქციე ჩვევად, მერე დამებედა მთავარი სურვილი – „მინ-და ვინმე ვიყო“ და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის თეორიით დავინტერესდი.

ფიქრი ფიქრზე ისეთი ღრმაა და წარმოსახვითი, რომ რამდენჯერმე ვყოფილვარ ათენში, სოკრატეს სასამართლო პროცესზე.

ყოველ ჯერზე ვცდილობ, ხუთასი რომაელი დავარწმუნო, რომ სოკრატე არ იყო ურწმუნო. ორასოთხმოცი მსაჯული არასდროს მიჯერებს და განაჩენი ისევ უცვლელი რჩება.

შორეული მოგზაურობიდან კმაყოფილი არასდროს ვბრუნდები, დანაკლისის შეგრძება არ მტოვებს, როგორც გოთანას არ ტოვებდა წვიმა.

რამდენჯერაც მიფიქრია სამყაროს შეცვლაზე, იმდენჯერ ვიკარგები ყოფიერების, სინამდვილის პირვანდელ საწყისთან – ფიქრი მაბრუნებს – ნეტავ, ფიზიკა მეტაა თუ მეტატა?

ზოგჯერ, ისეთ უმნიშვნელო დეტალებზე მეფიქრება, რაც გრძნობადი აღქმის ფარგლებს სცილდება – აი, ახლა თავადვე ავხსენი, რომ მეტაა ფიზიკა!

ბუნებით ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ მოაჯირებზე მცოცავი ობობის ქსელების წეპოვნებაში ეჭვი მეპარება ხოლმე, რადგან არ ჰგვანან ობობებს, არც ბაობაბებს ჰგვანან ეგზიუპერ-

ის თავგადასავლიდან და არც ტყეს-მურაკამისას, მითუმეტეს ნორვეგიულს, არც გელბრეითის ჭიას უგავთ რამე. ასევე, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პეტერსონის წარმოსახვაში ჩემი სახლის მოაჯირებისთვის არ იყო ადგილი, მას ხომ საუკუნის დანაშაულის ჩადენა სურდა. ყოველ დღე ვუმეორებ სივრცეებში გაქცეულ ეგოს – არ შეგიძლია ისტორის შეცვალა და მალევე ვრწმუნდები, რომ არც ობობებთან დიალოგი არ შემიძლია.

არასდროს შევპირებივარ საკუთარ თავს ან უზენაესს, რომ წვიმის მოსვლამდე მარხვას შევინახავდი. თუმცა, ყოველთვის წარმოვიდგენდი, გახსნილებისას, წყაროსთან მყოფი თანმხლები პროცესია, როგორ მიმაცილებდა ხმამაღლი ლოცვით. ჭექა-ქუხილის ღვთაება კი გამომიგზავნიდა წვიმას, როგორც რწმენის სიმბოლოს.

წარმოშობით პილიგრიმელი ჩემი სული ფიქრებმა სახლამდე მოაცილეს, როგორც იქნა დაუბრუნდა სხეულს, – ჩავილაპარაკე ხმამაღლა.

შუბლი შევუშვირე და ოთხი წერტილი ვიგრძენი. ფუნჯი ოთხჯერ შემეხო,

თვალები გავახილე, ზარები რეკდნენ, სამჯერ გაკენტდა. მერე წვიმა წამოვიდა, ფიქრები დალაგდა და შეკითხვებმა პასუხები მოძებნეს.

თუმცა, სურვილი – „მინდა ვინმე ვიყო“ ისევ სურვილად დარჩა!

გამოგიტყდებოდი ყველაფერში, გამბედაობა გოლგოთა რომ არ იყოს ჩემთვის. ოდესმე მითქვამს, თვალებს როცა ვხუჭავ შენს სახეს ვხედავ-მეთქი? მაგრამ როგორ გეტყოდი, როგორ შევძლებდი...

გამოგიტყდებოდი ყველა ფიქრში, ჩემი აზრით, შენი თვალებია ახსნა როგორი შეიძლება იყოს სრული სამყარო – მუდმივად მოძრავი, უცნაურად მეტყველი და უჩვეულოდ ნაღვლიანი, დაღამებისას დაღლილი და გათენებისას ცოცხალი.

გამოგიტყდებოდი ყველა სურვილში: როგორ მიყვარდა შენი დილის პირველი ღიმილი, მზის სხივის ტუჩხესთან არეკვლა და ჩრდილობილი სამჯუთხედების სიმეტრია.

გამოგიტყდებოდი ყველა სიზმარში: რეალურ სამყაროში რომ სიმაღლის შიში მაქვს და წარმოსახვითში სიმაღლეს ვეტრფი.

გამოგიტყდებოდი ყველა მცდელობაში: რომ დილის მზის-გან დამშვიდებული, ახლიდან ვიწყებ სამყაროზე ფიქრს და ყოველი ჩასუნთქვით ვუმტკიცებ ჩემს თავს, რომ შემიძლია გალაქტიკების ხმაურს გავუძლო. მერე სუნთქვას ვაძლიერებ, დიაფრაგმას ვკუმშავ და ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო ფილტვების ტკივილს.

გამოგიტყდებოდი ყველა წარმოსახვაში: რომ ყოველ ღამით, მთვარესთან საუბრისას, არასდროს ვყოფილვარ უპირატესი, შენ კი დღემდე გჯერა, რომ ღიმილი ყველაზე ძლიერი იარაღია.

კბილებდაკრეჭილმა ავხედე ცას და შავი ღრუბელი წამოვიდა.

გამოგიტყდებოდი ყველა მცდელობაში: როცა გწამდა, რომ შენი სიმღერა ამშვიდებდა ჩემს სულს და ასეც იყო!

გამოგიტყდებოდი ყველა სიმართლეში: როცა ფიქრობდი, რომ მტვრის ნაწილაკებსაც შეიძლება ერთმანეთი უყვარდეთ – მართალი იყავი!

როცა ამბობდი, რომ სამყაროს დასასრული არ აქვს – მართალი იყავი!

როცა მითხარი, რომ მხრის შებრუნებისთვის შესაფერისი მომენტი არ იყო-მართალი იყავი!

უნდა გამოგიტყდე, რომ შენი თვალები, ისე უხდება შენს სახეს, როგორც აფროდიტეს სამკაული.

მერე ვიჩემებ: „შენი კანი ნოტიოა“ და ვერავის ვაჯერებ, რომ მთელი ღამე არ წვიმდა.

გამოგიტყდები, გადავიღალე, კბილებდაკრეჭილი გავყურებ სივრცეს.

ნარინჯისფერი გალაქტიკა კი მე მელოდება, როდის ვიმღერებ „ნეკი-ნეკისას“.



## დიანა დევაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ამ ჩანაწერებს ვუძღვნი ადამიანებს, რომლებმაც ინამეს მომავლის არსებობის და დღეს თავისი პროფესიონალური მუშაობენ**

### ქვეყნის დამკარგი მუშაობის მიზანი

გასროლის შემდეგ ლამპიონებით განათებული ქუჩის კუთხეში ნაბიჯების ხმა გაისმა, ეტყობოდა, რომ მამაკაცისა იყო. ქუჩის ბოლოს კი სისხლის გუბეში მწოლიარე მამაკაცი ეგდო. მეორე დილით კი პოლიციის განყოფილებაში ზარის ხმა გაისმა. მორიგეს პასუხის შემდეგ პოლიციის ეზოდან ავტომობილი გამოვიდა მანქანაში პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი იჯდა. ისინი გორგილაძის ქუჩის ნომერ 16-ში მიემართებოდნენ. ადგილზე მისულთ საშინელი სიტუაცია დახვდათ. ერთი გასროლით მოკლული კაცი სისხლის გუბეში იწვა. პოლიციელები თავიანთ საქმეს შეუდგნენ. რამდენიმე წუთში დანაშაულის ადგილას გადაკეტილი ქუჩის ბოლოს ნაცრისფერი „შკოდა“ გამოჩნდა. ავტომობილმა სწრაფად

დაამუხრუჭა და ამკრძალავი ლენტის წინ გაჩერდა. ავტომობილიდან შავებში ჩაცმული მამაკაცი გადმოვიდა, ის პირდაპირ პოლიციელისკენ გაემართა.

— გამარჯობა, ბატონი გამომძიებელო!

— გამარჯობა, აბა, რა ხდება, ზაზა, მომახსენე რა მდგომარეობაა. მოკლულის იდენტიფიკაცია მოვახდინეთ, ვიცით ვინ არის მოკლული?

— კი, საბუთები თან ჰქონდა, მოკლულია ვინმე პეტრე ივანეს ძე მახალდიანი, დაბადებული 1985 წელის 14 მარტს, ბიზნესმენი საკმაოდ შეძლებული პიროვნება ცხოვრობს გორგილაძის ქუჩის 17 ნომერში. ჟყავს მეუღლე და ერთი ვაჟი. მეუღლეს გაშორდა და ვაჟთან ერთად სხვაგან ცხოვრობს.

— ამდენი ინფორმაცია საიდან?

— მეზობელმა ამოიცნო, პოლიციაც და სასწრაფოც მან გამოიძახა, დილით ძალის გასასეირნებლად გამოვიდა და ქუჩის კუთხეში გვამი იპოვნა.

— ექსპერტიზა რას ამბობს?

— ბევრს არაფერს, თითის ანაბეჭდები ცოტაა და ძარცვის კვალიც არ ჩანს. სავარაუდოდ, შურისძიებაა, იარაღი იპოვნეს დანაშაულის ადგილიდან რამდენიმე ნაბიჯში, ერთ-ერთი ადამიანის თითის ანაბეჭდია და ამ დრომდე უცნობია ვისი.

— ნაპოვნი იარაღი გვაქვს?

— არა, ექსპერტმა წაილო, ბალისტიკური შემოწმებისთვის, შედეგები ხვალ გვეცოდინება.

— სხვა მეზობლები დაკითხეთ?

— კი, ყველა დავკითხე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არავინ არაფერი იცის, არავის არაფერი გაუგია, ყველას მშვიდად ეძინა.

— კარგი, დანარჩენი ინფორმაცია ხვალ დილით, ჩემთან კაბინეტში იდოს.

- გასაგებია, უფროსო!
- ხო, მართლა, გარდაცვლილის მეუღლის მისამართი მომეცი, მე თვითონ დავკითხავ!
- მეუღლის მისამართია, ტბეთის ქუჩა 16 ბ, სახლი 12 ბინა 6, მე-3 სართული, ქალბატონი ლანა.
- გმადლობთ.

მეორე დილით გამომძიებლის კაბინეტში, საგამომძიებლო დეპარტამენტის უფროსი ტატაჩი თორდია შემოვიდა. ბატონი ტატაჩი მის წინ მდგომ სკამზე ჩამოჯდა და გამომძიებელს მიმართა.

- მიშა, სად არის გუშინდელი საქმის დეტალები?
- გამარჯობა, ბატონო ტატაჩი! ხო, რაც შეეხება გუშინდელ საქმეს, მოკლულია ვინმე პეტრე ივანეს ძე მახალდიანი, დაბადებული 1985 წლის 14 მარტს. ბიზნესმენი ცოლს გაშორებულია, ჰყავთ საერთო ვაჟი, 5 წლის, ასევე ჰყავს საყვარელი. ერთი სიტყვით, მეტად აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. რაც შეხება ბიზნესს, რამდენიმე სუპერ მარკეტს ფლობს, ყველაზე მთავარი, მისი მეუღლე ცნობილი პარლამენტარის ქალიშვილია.

- მერე, რა ქენით, დაკითხეთ ქალბატონი ლანა?
- მისი დაკითხვა ვერ მოვახერხეთ. მეზობლების თქმით, ბაჲამის კუნძულებზე ისვენებს ვაჟთან ერთად უკვე ერთი კვირაა.
- კარგით, ერთი სიტყვით შურისძიების მოტივი გამოვრიცხეთ.
- მაგრამ არსებობს რამდენიმე ეჭვმიტანელი.

- ვინ, მაგალითად?
- პირველი – სიმამრი, მეორე ბიზნეს პარტნიორი, რომელთანაც ამ რამდენიმე დღის წინათ კამათი მოუვიდა და მესამე საყვარლის მეუღლე.
- გასაგებია.
- მაგრამ ამ სამიდან, მაინც ყველაზე მთავარი ეჭვმიტანელი მისი სიმამრია. წარმოიდგინე, გამწარებული ქალიშვილის მამა, სიძის ღალატი, მე მგონი საქმარისი მოტივი ჰქონდა.
- შენ ფიქრებში ნუ გაერთობი. არ დაგავიწყდეს, რომ კიდევ ორი ეჭვმიტანელია, გაბრაზებული ბიზნესმენი და გამწარებული საყვარლის ქმარი. სამივე დაკითხე და დაკითხვის შედეგი ზეგისთვის მომახსენე.
- კარგით, ბატონო.
- რამდენიმე საათის შემდეგ, გამომძიებელი მიშა ცხომილაძე პარლამენტარის კაბინეტში იყო.
- გამარჯობა, ბატონო გივი, თქვენ ალბათ ხვდებით, რომ თქვენი ყოფილი სიძის მკვლელობასთან დაკავშირებით მოვედი, თუ ნებას მომცემთ რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ.
- კი, ბატონო, ბრძანეთ.
- ხომ ვერ მეტყვით, რას აკეთებდით 13 თებერვალს 10-დან 12 საათამდე?
- 10-დან 12 საათამდე... აი ამ კაბინეტში ვიყავი და ვმუშაობდი.
- ამას ვინ დადასტურებს?
- სამწუხაროდ, ვერავინ.
- კარგით, გასაგებია. თქვენს სიძესთან რა დამოკიდებულება გქონდათ?

- მაგას რატომ მეკითხებით?
- იმიტომ, რომ თქვენს ქალიშვილს უღალატა და აი, ას ევთქვათ, მოტივი გქონდათ.
- თქვენ რა? რამეში მადანაშაულებთ?
- არა, მე უბრლოდ ვვარაუდობ.
- გეტყვით, ჩემი სიძე ერთი ნაძირალა იყო, რომელ-მაც ჩემს შვილს უღალატა, მაგრამ მისი მოკვლა არასდროს მიფიქრია. პირიქით, მადლობელიც კი ვარ, რომ დროზე გამო-აჩინა მისი ნაძირლობა, სანამ ჩემს შვილს ახალგაზრდობას დაუწევდა. ახლა კი ძალიან გთხოვთ, მიბრძანდეთ აქედან, ისედაც ბევრი დრო დავკარგე თქვენთან საუბარში.
- მაპატიეთ, ბატონო გივი მე თქვენთან საკამათოდ არ მოვსულვარ, მე უბრალოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ...
- თქვენ ნარმოიდგინეთ, მეც და თუ შეიძლება მიბრძან-დით აქედან!
- კეთილი, ბატონო გივი, ნახვამდის.
- მეორე დილით, გამომძიებლის კაბინეტში საგამომძიებლო დეპარტამენტის უფროსი შემოვიდა, გამომძიებელი ფეხზე წამოდგა და უფროსს მიესალმა.
  - გამარჯობა, ბატონო ტატაჩი.
  - ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ.
  - როგორ ბრძანდებით, წნევა ხომ არ გაწუხებთ?
  - შენ ჩემს ჯანმრთელობას შეეშვი და ის თქვი, რა არის საქმეში ახალი?
  - საქმესთან დაკავშირებით გუშინ სამი ეჭვმიტანელი დავკითხე. პირველი ეჭვმიტანელი შეგვიძლია გამოვრიცხოთ, როგორც ჩანს, საერთოდ არ აინტერესებს მისი ქალიშვილის ამბავი და არც ის, რომ მისი სიძე გარდაიცვალა. რაც შეხ-

ება მეორე ეჭვმიტანელს, მან ეს ყველაფერი დღეს გაიგო, მე რომ მივედი. მესამე კი საერთოდ არ იმყოფება ქვეყანაში ბოლო რამოდენიმე დღეა, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი გავიგე, თურმე გარდაცვლილის მძღოლი მისი საყვარლის ძმა იყო, საყვარლის თხოვნით აუყვანია მძღოლად. ამ დროს კაბინეტში უმცროსი ლეიტენანტი გენო აფხაზავა შემოვიდა, მას ხელში ექსპერტიზის დასკვნა ეჭირა. იგი პირდაპირ გამომძიებლისკენ გაემართა და უთხრა, რომ ექსპერტის დასკვნა მოვიდა. გამომძიებელი გიორგი მამალაძე, სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა, უფროსს ბოდიში მოუხადა და კაბინეტიდან გავიდა. იდენტიფიცირებული პიროვნება უკვე დაკითხვის ოთახში იყო. გამომძიებელი მის წინ დაჯდა.

— სახელი, გვარი გამოკითხა და საუბარი დაუწყო, როგორც ჩანს, ეს პიროვნება გარდაცვლილის საყვარლის მამა იყო.

- აბა, ბატონო ჯანო, მიპასუხეთ რატომ ჩაიდინეთ ეს?!
- მე არავინ მომიკლავს.
- მკვლელობის ადგილას იარაღია ნაპოვნი. მასზე თქვენი თითის ანაბეჭდებია.

— კარგით, ბატონო, როგორც ჩანს, უარყოფას აზრი არ აქვს, უკვე ყველაფერი იცით.

— ძალიან კარგით, ასე აჯობებს, როგორც იტყვიან აღიარება დამნაშავის უებარი წამალია.

დაიწყეთ თუ შეიძლება.

— როგორც მოგეხსენებათ, ჩემი ვაუი გარდაცვლილის მძღოლი იყო. იმ დღეს კი გადავწყვიტე მე მივსულიყავი, რადგან ჩემს შვილს სიცხე ჰქონდა, თანაც იმ ადამიანის გაცნობა მინდოდა, ვინც ასეთი კეთილი საქმე გააკეთა. მოგეხსენებათ, დღესდღეობით სტაბილური სამუშაოს მონახვა მეტად რთუ-

ლია. მთელი დღის განმავლობაში გარეთ არ გამოსულა, თან ეტყობოდა ძალიან დატვირთული დღე ჰქონდათ. დახლოებით რვა საათისთვის სამსახურიდან გამოვიდა, მანქანა მოითხოვა და თავისი საყვარლის მისამართზე წაყვანა მთხოვა. თავიდან ძალიან გამიკვირდა, რადგან ამ მისამართზე ჩემი ქალიშვილი ცხოვრობდა, მაგრამ არაფერი მითქვამს. იქნებ სხვა ვინმესთან მიდის – მეთქი ვიფიქრე, მაგრამ როდესაც სახლის კარებთან მისულს ჩემი ქალიშვილი მიეგება, მაშინვე ყველაფერს მივხვდი, მაგრამ მოვითმინე, არაფერი მითქვამს. როდესაც სახლში მივიყვანე მანქანიდან გადმოვედი და ვუთხარი, რომ სასაუბრო მქონდა. ორივე შუა ქუჩაში ვიყავით და ყველაფერი პირში მივახალე, ვუთხარი, რომ დღეს გავიგე მისი და ჩემი ქალიშვილის ურთიერთობა და ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, თუმცა მან ჩემი მოსმენა არ ისურვა, შევკამათდით. მან პისტოლეტით ჩემი მოკვლა სცადა, მაგრამ დავასწარი და მე ვისროლე, მერე იარაღი გადავაგდე და იქაურობას მოვშორდი. ასე მოხდა ეს ყველაფერი, მისი მოკვლა არ მინდოდა, მან მაიძულა.

- მაგას სხვა დროს გავარკვევ, – მძიმედ წარმოთქვა გიორგი მამალაძემ, გარეთ გამოვიდა და გენოს დაუძახა:
- კიდევ ერთი საქმე გავხსენით.
- ძალიანაც კარგი, ასეც უნდა იყოს, – სახე გაუნათდა გენოს
- დასალევად ხომ არ წავსულიყავით?
- კი, ოღონდ შენ იხდი, იცოდე! – თვალი ჩაუკრა გენომ და იქვე სავარძელში კმაყოფილი ჩაეშვა.



## თამარ ნოზაძე

კავკასიის უნივერსიტეტი

### შელოცვა

ჯვარცმა დაგვყურებდა ყველას. მაგ სიმაღლეზე ბაბუა-ჩემი ჩამოკიდებდა, თორემ სხვა ვინ. მღვდელმა დაასრულა თუ არა ლოცვა, ყველამ პირჯვარი გადაიწერა. ერთადერთი მთვარისა მამიდა მყავდა ურჯულო. შეიშმუშნა თავისთვის, მაგრამ ხმა არ ამოუღია. დედაჩემმა წინასწარ გააფრთხილა, შენებურები არ დაიწყო. მიყვარდა მე მთვარისა მამიდა. სულაც არ იმსახურებდა დედაჩემისგან ეგეთ დამოკიდებულებას.

„ტუტუცი ბავშვი იყო ბაბუაშენი“, გვერდით მომიჯდა „ერთი ბაფთაც არ დაუტოვებია ჩემი ბალლობიდან ისე, რომ ზედ მელნის ლაქები არ ჰქონდეს“.

„ნათქვამი გაქვს“. მოიყრუა და განაგრძო:

„მაშინ მე გრძელი თავთუხისფერი ნაწნავები მქონდა.

საწყალი დედაჩემი მიწნავდა ყოველ დილით. გაიხედე ერთი, გავიდა ის წვერიანი?“ მღვდელს გულისხმობდა. კი ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა ამ ყველაფერს, მაგრამ აღარ შემიჩერებია. ზოგი სტუმარი ეზოში მღვდელს ესაუბრებოდა, ზოგი დედას დასტრიალებდა. მთვარისა კუბოსთან მიცუცქდა და შელოცვა დაიწყო:

„ალისასა, მალისასა,  
შეგილოცავ გულისასა,  
კლდის შვილო და ტბისა ძეო  
შენი ცოდვა გამინდეო,  
უცოდველი წასულხარ და  
სამოთხეში მენახეო...“

დედა გამოეთავისუფლა სტუმრებს და მთვარისა მამიდა კინწისკვრით გააგდო გარეთ. მინდოდა უკან გავყოლოდი, მაგრამ გადამეღობა.

„შენ მაინც შეგეცოდო, რა იქნება?! ვერ ხედავ ჩემს კისერზეა ყველაფერი?“

არც მიპასუხია, ისე გავპრუნდი ბაბუას საძინებელში. ფანჯრიდან ეზოში გადავძვერი და აკანკალებული მთვარისა დავინახე.

„შვილო, არ გესმით თქვენა!“ გულზე ხელს ირტყამდა „მე უნდა გავაცილო, თორე დაიკარგება გზაში ეგ ბეჩავი!“ ჯემპრის სახელურით მოვუნმინდე ცრემლები „შვილო, მამიდა გენაცვალოს, შეულოცე, შვილო. ღვიძლი ძმაა ჩემი, არ გამინირო“ ჯიბიდან დაკუჭული ფურცელი ამოილო და ხელებში შემომაჩეჩა. „სამჯერა სთქვი და სანთელიც დაუნთე, გზა რომ გაუნათო“.

სტუმრები წასულიყვნენ. დედაჩემს დაღლილობისგან დივანზე ჩასძინებოდა. მთვარისა მამიდას ნათქვამს დავუჯერე. სანთელი და ასანთი იქვე დავიწყვე და ბაბუას მივუახლოვდი. ვეცადე მეჩურჩულა, რომ დედას არაფერი გაეგო.

„ალისასა, მალისასა,  
შეგილოცავ გულისასა,  
კლდის შვილო და ტბისა ძეო  
შენი ცოდვა გამინდეო,  
უცოდველი წასულხარ და  
სამოთხეში მენახეო.  
ეს სანთელი წაგიძლვება,  
შენ შენს გზასა მიაგნეო.  
მიწისა ხარ, მიწას მიეც,  
მიწას მიებარებიო“.

ცოტა ხნით სუნთქვა შევიკავე რომ არ ავქვითინებულიყავი. შელოცვა გულში ჩავიხუტე და იქვე სანთლის ლიცლიცა შუქზე ჩამეძინა. დილით რომ გავიღვიძე, პლედი მეფარა. დედამ ნაზად გადამისვა თავზე ხელი. თვალები რომ გავახილე, დავინახე რომ ტიროდა.

„რა იყო?“

„მთვარისა მამიდასაც დავუნთოთ სანთელი“. ასანთი მოიმარჯვა მთრთოლიარე ხელებში „ერთმანეთი უნდა იპოვონ“. დაკუჭული ფურცელი მივაწოდე, ხოლო ასანთი გამოვართვი.

„ერთად შევულოცოთ, დედა“ ცრემლები მოიწმინდა და გულში ჩამიკრა.

„ალისასა, მალისასა...“

## ნაჟპისი ან დაშხებგამა

– მე თუ ის?

მშვენებამ კისერი წაიგრძელა და ხელი თეატრალურად გაიშვირა ტბისკენ, სადაც ჩემი ანარეკლი იკლავნებოდა.

– შენ

მან გამიღიმა. სახე დამიკოცნა, სანამ ჩემმა ანარეკლმა გაქრობა დაიწყო.

– მე თუ ის?

მშვენება ჩრდილში მოექცა და ხელი თეატრალურად გაიშვირა ჰორიზონტისკენ, სადაც დახრუკული მზე ჩადიოდა.

– შენ

მშვენება კისერზე მომეხვია. მაგ საღამოს მერე მზე აღარ მინახავს. ირგვლივ მუდმივმა სიბნელემ დაისადგურა. ვეცადე მზე არ დამვიწყებოდა – თითებით ნაზად ავუყვებოდი ჩემ-სავე ხელს, იქნებ კანს ახსოვდა მზის სხივთა სიმხურვალე, იქნებ თვალს ახსოვდა თითოეული ფერის ტონალობა. იქნებ მხოლოდ გონება დუმდა.

მშვენებას ეძინა. ჩუმად ავდექი და ტბის პირას მოვკა-ლათდი. ველოდებოდი, როდის დაგროვდებოდა ჩემში საკმა-რისი ძალა სიტყვის წარმოსათქმელად, მაგრამ ამაოდ. ძალის მოლოდინი კიდევ ერთი გამართლება იყო. სანამ მშვენება გაიღვიძებდა, უკან დავპრუნდი. მის მკლავებში მოკალათე-ბულს საზარელი სანახაობები მესიზმრა.

– მე თუ ის?

მშვენებამ ხელებში ჩემი საყვარელი ქნარი მოიმარჯვა და ტუჩები მოპრუნა.

– შენ

იმ საღამოს ჩემი ალმოდებული ქნარი გვათბობდა. მშვენებამ დაიძინა თუ არა, ინსტრუმენტისგან დატოვებული ფერფლი ხელებზე წავისვი – არა საკმარისი არ იყო. ფერფლი მთელს სახეზე მოვისვი – არა, არც ერთი სიმღერა არ მახსოვდა. მაშინ პერანგი გავხიე და ფერფლით დავიზილე გულ-მყერდი – ჩემი გული ძგერდა ძლიერად, განა ეს არ იყო საკმარისი ძალა? ჩემი აჩქარებული სუნთქვა და მხურვალე სახე, ჩემი აცახცახებული ხელები და სიმწრის ცრემლებით ავსებული თვალები – ეს არ იყო ძალა?

უმალ ტბისკენ გავიქეცი. როგორც მოველოდი, ჩემი ანარეკლი იქ არ დამხვდა. ტბის ნაპირთან ჩავჯექი.

– მე... – ბაგების კარიბჭეს დასცდა ჩურჩული. ანარეკლი არსად ჩანდა და რომც გამოჩენილიყო, უკუნით სიბნელეში ვერ დავინახავდი. მზერა ცას მივაპყარი:

– მე! – ამომხდა ლრიალი, რომელიც ადამიანს არ ეკუთვნოდა. არა, ეს იყო დაჭრილი ცხოველის ხმა, რაღაც საზარელი დაიმონის ან უბრალოდ სასონარკვეთილი მსხვერპლის; ხმა იმდენად მჭახე, რომ სიბნელე გაიპო და სინათლის ნაპერნკალი გაიმეტა.

მე ჩემს თავს ვხედავდი. ტბაში ლივლივებდა ჩემი ნაკვთები, ჩემი ტრიუმფალური სახე.

– მე? ეს... ეს მე ვარ? – წყალს მივუახლოვდი. არა, ეს საკმარისი არ იყო. ცხვირით ტბის სიცივე შევიგრძენი.

– მე... – ყურებიც წყლის ქვეშ მომექცია. ყველაფერი მშვიდი და აუღელვებელი გახდა. პირი გავალე და კიდევ ერთხელ წარმოვთქვი სანუკვარი სიტყვა, სანამ ფილტვებში ჰაერი მედგა:

– მე... – ხმა არც კი გამიგონია, მაგრამ სიტყვა უკვე

ჩემში ცოცხლობდა. უფრო მეტიც, მჯეროდა, რომ ეს სიტყვა ჩემს გარეთაც არსებობდა. მე ის მიმოვთანცე, მე ყველგან ვიყავი.

მაგრამ განცხრომა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვიღა-ცამ თმაში მტაცა ხელი და ამომათრია, თუმცა მე სხვა რამე ვიგრძენი – მე არ ამოვუთრევივარ, მე გამხლიჩეს, მე ჩემსავე სისხლსა და ხორცს ჩამომაჭრეს, მე განმაცალკევეს, მე მომ-კვეთეს. ეს არ იყო ხსნა, ეს იყო ძალადობა.

მშვენებამ დაუნდობელი თვალებით შემომხედა:

– მე თუ ის?

გამეცინა. ტბისკენ გაშვერილი ხელი უკანკალებდა.

– მე! მე! მე და ისევ მე! გესმის ჩემი? მე-მეთქი!

მშვენებამ ნაბიჯი უკან გადადგა, მე კი პირიქით წინ წამ-ოვიჭერი და კვლავ შევუტიე:

– მე! მე! გასაგებია? კიდევ გითხრა? გეტყვი!

სრულიად გაოგნებული იყო.

– მე! მე-ეე, მ-ე-ეე...

ხმა ჩამეხლიჩა და ფეხებში სისუსტე ვიგრძენი. მიწაზე ჩავიკეცე.

– მე-ეე-ე-ე...მე-ე-ე-ე-ე

თვალის დახამხამებაში ჩლიქები გამომეზარდა, მატყლით დამეფარა მთელი სხეული. ტბისკენ გავიხედე. ჩემი ანარეკ-ლი კვლავ იქ იყო. შვებით ამოვისუნთქე, არადა ვიცოდი რაც მემართებოდა, ვიცოდი, როგორ მწყევლიდნენ, რად მაქცევდ-ნენ...

მშვენება მომიახლოვდა და თავზე ხელი გადამისვა. მისი კბენა ვცადე. მაგის პასუხად ხელში ამიყვანა. მე უკან ვექა-ჩებოდი. არ მინდოდა ჩემი ანარეკლი დამეტოვებინა, არ მინ-

დოდა სადმე სხვაგან ვყოფილიყავი – სხვაგან, ანუ იქ, სადაც  
ჩემი ანარეკლი არ მეგულებოდა.

მშვენებამ მუცელზე ხელი მომისვა და მზაკვრულად ჩამ-  
ჩურჩულა:

– დღეს მშვენიერი ვახშამი გველის...



## თეკლა გოცაძე

საქართველოს სოციალური  
მეცნიერებების ინსტიტუტი

### სემელე

სემელეს მოსწონდა თავის ოქროსფერი თმა, სავსე თეძოები და ნაზი კანი, მაგრამ როგორც კი დედის მზერას წააწყდებოდა, თავს ატყდებოდა საკუთარი მოუქნელობითა და უბრალოებით გამოწვეული სირცხვილი. ჰარმონია, მოკვდავი კადმოსის ცოლი, თებეს დედოფალი, ღვთაებრივ მშვენიერებას ატარებდა. მისი ნაკვთები, მიმოხრა თუ საუბარი სიმშვიდითა და სინაზით იყო ნაკვები. მხოლოდ მზერაში ედგა ქაოსისა და შფოთვის ნაპერწკალი, ვნება, რომელიც მარილი იყო მისი სილამაზისთვის. სხვანაირი როგორ იქნებოდა არესისა და აფროდიტეს ასული. ქალღმერთის ტერფის ქვეში იფურჩქნებოდა ქვეყანა, მისი მზერა კი წვავდა.

დედის შეცნობას სემელე მთელი ცხოვრება ცდილობდა.

იგი ქალღმერთის შვილი იყო, მაგრამ მაინც მოკვდავი, ამიტომ ჰარმონიას ღვთაებრიობა მისთვის ამოცანად რჩებოდა მხოლოდ. როგორ ახლოსაც უნდა ყოფილიყო დედასთან, ვერასოდეს შეძლებდა დისტანციის მოშლას.

ქალღმერთთან ჭერის გაყიფვა ბევრ თავსატეხსა და პრობლემას უსახავდა სემელეს. თურმე ეგზისტენციალური კრიზისი ბევრად მძაფრია, როცა უდიადეს ძალასთან თანაარსებობა. რად უნდა ჩააგდო თავი, როცა პურს ქალღმერთთან ერთად ტეხ? რაში უნდა დაინახო შენი არსი და მიზანი, როცა სამყაროს მამოძრავებელი ძალა შენს ოთახშია და ეს შენ არ ხარ?

დედის ყურება გულს უჩქარებდა და თავბრუს ახვევდა. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ღმერთთან ცხოვრებას ვერ შეჩერები.

– მისი პირმშო ხარ, მისი ნაშიერი, მისი სისხლი და მისი ნაწილი! – უმეორებდა სემელე სარკეს, მაგრამ ამაოდ. ჰარმონიასთან ბეწო სიახლოვესაც ვერ გრძნობდა, არც ერთი წამით არ იზიარებდა მის სიდიადესა და არაამქვეყნიურობას. რა უნდა ექნა ისეთი, რომ სამყაროსთვის იმის მემილიონედი მაინც მოეტანა, რაც ჰარმონიას მოჰქონდა?

იყო წამები, როცა ემადლიერებოდა სამყაროს საკუთარი უბრალოებისთვის. მის ცხოვრებაში წესრიგი სუფევდა. ზედმინებნით ასრულდებოდა უკვე ათასგზის ნაცადი გეგმა – მალე გათხოვდებოდა და შვილებს გააჩენდა, მეტი არაფერი იყო საჭირო. არ ევალებოდა სამყაროსთვის სარგებლის მოტანა, არ ევალებოდა რამეზე ფიქრი, შეეძლო დამტკბარიყო ჰარმონიას სილამაზით და საკუთარი როლი უდრტვინველად მიეღო. ასეთ წამებში სიმშვიდე ეუფლებოდა მის ამღვრეულ

სულს, მაგრამ არც ისე დიდი ხნით. ყოველდღე იტანჯე-ბოდა, რადგან საკუთარი სურვილების თავად არ ესმოდა. ვერ ხვდებოდა როგორ დაეკმაყოფილებინა აფორიაქებული თავი. ოთახში კედლებს აწყდებოდა, თავის ანარეკლს მუშტებს უშენდა. გულით ეწადა, შესძლებოდა მარტივად ტკბობა მწვანე ბალახით ანდა ლურჯი ცით, მაგრამ არას გზით. ვერაფრით ეპოვა თავის საკუთარი ჰარმონია. აწამებდა და სჩეხვლეტდა ის საბაზისო კითხვა: – „რისთვის არსებობ?“, და უფრო მწარედ – „რისთვის მოკვდები?“

მაგრამ მერე ყველა კითხვა ერთბაშად და უკვალოდ გაქრა. ჰარმონიას ღვთაებრიობას ერთი ნაპერწკალი ჩამოაკლდა და სემელეს ტანჯვას ეცვალა ფერი. ეს იმიტომ, რომ გოგონას შეუყვარდა.

მდინარიდან ახლადამოსულმა დაინახა ნაპირზე მჯდარი. ისეთი ლამაზი იყო, წამით გაშეშდა. პირდაპირ სემელეს უყურებდა მოურიდებლად. შავი თვალები, ისეთი მწვავე, სუნთქვას უკრავდნენ ქალს. სემელე სველი იყო და შიშველი, მაგრამ სიმორცხვეს არ აუწითლებია მისი ლოყები. იგრძნო, გაბრუვდა. დაიბინდა მისი გონება, თითქოს დათვრა. უცხო-სკენ გადადგა ერთი ნაბიჯი. წყალგაუვალად იცოდა, რომ ის უცხო მას უცდიდა და სემელეც მიდიოდა მისკენ. ყოველი ნაბიჯის მერე ამხნევებდა კაცის მომლოდინე მზერა. გაიარა მთელი მანძილი და ამ მონაკვეთში სემელე გრძნობდა ჰელიოსის თამაშს მის მკერდზე, ბალახის სირბილესა და ნიავის სინაზეს. პირველად გრძნობდა, რომ არაფრის ეშინოდა და არაფრის წინაშე იდრეკდა მუხლს. გრძნობდა, რომ თავად იყო სამყაროს ბალანსიცა და დიადი ძალაც.

— ვინ ხარ?

— ზევსი.

ბალაზე გაწოლილი სემელე ამ პასუხს არ შეუკრთია, არც დაუეჭვებია. გაიღიმა.

— ჩემთან რა გინდა, ზევსო?

კაცს სემელეს შიშველ მუცელზე ედო თავი.

— ლამაზი ხარ.

და სემელეს დაუბრუნდა არარაობის ასე ნაცნობი განცდა.

ლამაზი ვარ.

სემელე ისევ ალარ იყო სამყაროს ცენტრში. სამყაროს ცენტრს მის მუცელზე ედო თავი, მაგრამ თვითონ არარაობა იყო მაინც.

— მე სხვანაირი წარმომედგინე.

ზევსმა სახეში მკაცრად შეხედა.

— ცხადია, ეს არაა ჩემი ნამდვილი სახე. მოკვდავის ტანი რომ არ მიმღლო, კიდეც მოგკლავდი, ბავშვო.

ქალი გაწილდა, ნუთუ ამდენად უსურირი ვარ. ხმა ჩაუწყდა, ცრემლი მოაწვა. ზევსი წამოდგა, ჰორიზონტს გახედა, წასვლა დააპირა, მაგრამ სემელეს გამოუთქმელმა ტანჯვამ წამით მოაბრუნა. გაეღიმა ქალის უმწეობაზე, მკერდი კიდევ უფრო გაუზიადდა მის შემხედვარეს. გული სიბრალულმა გაუკენწლა და საშინელი ფიცით აღუთქვა ერთი სურვილის ასრულება. შემდეგ კი გაქრა.

სემელეს გაეცინა. სურვილის ასრულება. აუცილებლად გაგანდობ, თუ კი ვიპოვი, ზევსო.

ამიერიდან სემელეს სამყაროს ღერძი გაუჩნდა. მისი არსება მოიცვა ზევსმა. ყველა ფიქრი, ყველა სიზმარი, ყველა

მოლოდინი, ყველა იმედი ზევსმა წაართვა. მაგრამ სიყვარულს სემელესთვის შვება და ბედნიერება არ მოუტანია. პირიქით, შფოთი და სირცხვილის განცდა დაუმატა. საკუთარი თავით მუდმივი უკმაყოფილება ისე გაუმძაფოდა, როგორც არას-დროს. ზევსის არყოფნაში მთელი არსებით მასზე ოცნებობდა, მაგრამ მის სტუმრობას ტკივილი და აგონია მოჰქონდა მხოლოდ.

— რა გაწუხებს, ჩემო გოგო, მკლავს შენზე დარდი, მელა-პარაკე. — უთხრა ერთხელაც გადიამ, მოხუცმა ქალმა, ვის მკლავებშიც ყველაზე მეტად მშვიდდებოდა სემელე. არცერთ სხვა დღეს, იგი თავის საიდუმლოს არ გათქვამდა, მაგრამ დღეს როგორლაც უწევეულოდ დაუცველად გრძნობდა თავს, გადია კი უმტკიცეს ბურჯად წარმოესახა. მისი შეხება ახლა განსაკუთრებულ შვებას ჰგვრიდა გოგონას. ჰოდა ადგა და ყველაფერი მოუყვა. მოუყვა ზევსზე და მის სიყვარულზე.

— რაო? — აღმოხდა მოხუცს და სიცილი წასკდა. — ბავშვო! ნუთუ დაუჯერე! — მერე წამოხტა და სემელე გულში ჩაიკრა, თითქოს სურს სამყაროსგან დაიფაროსო — მოგატყუეს! მოგატყუეს, პატარა ბავშვო! ჩემო პატარა, მიამიტო! როგორ დაიჯერე, რომ ზევსს შენთვის სცალია! — განაგრძობდა და გულში ჩაკრულს არწევდა გოგონას — ზევსიო! ზევსი მეახლაო! ვის დაუჯერე! შე სულელეო, პატარა ბავშვო!

გადის მკერდზე მიკრულ სემელეს ცრემლი მოაწვა, სუნთქვა შეეკრა, გული აურია მოხუცის შეხებამ. სწრაფად გაითავისუფლა თავი, ქალს ხელი კრა და უსიტყვოდ გავარდა ოთახიდან. ოთახში მარტო დარჩენილმა გადიამ კი კმაყოფილებით გაიღიმა, დაიბრუნა თავისი ნამდვილი სახე — კვლავ ჰერად იქცა, მიზანი მიღწეულად ჩათვალა, სემელეს

გულში ეჭვი – დათესილად და ოლიმპოზე დაბრუნდა.

სემელე გაცეცხლებული მირბოდა მდინარის ნაპირზე შეხვედრის ადგილისკენ. ბოლთას სცემდა კაცის მოლოდინში. გონებაში სიტყვებს ალაგებდა, ძალებს იკრებდა, ბრაზს ვერ იოკებდა.

– რას აუნთია რისხვით შენი ლურჯი თვალები?

ზევსის ხმის გაგონებაზე სემელეს ბრაზი უეცრად დაშრა. კაცის შავ თვალებს შეხედა და საკუთარ თავზელა გაეცინა. ახლა, როცა ზევსი ისევ მის წინაშე იდგა, სემელე კვლავ ცხადად გრძნობდა მის დიდებულებასა და ღვთაებრიობას, რომელსაც მოკვდავის ნილაბიც კი ვერ აკნინებდა.

შეეცადა ხმა არ გაბზარვოდა, სიმტკიცე შეენარჩუნებინა და შიში არ შეჰპარვოდა. მიუხედავად ეჭვების გაქარნყლებისა, გადიისაგან შთაგონებული გადაწყვეტილება, რომელიც გახელებულმა სემელემ მიიღო, ურყყევი იყო ჯერაც.

– მოვიფიქრე ის ერთი სურვილი, ასრულებას რომ დამპირდი.

ზევსი მოთმინებით უცქერდა ქალს და ნელ-ნელა სვდებოდა, რომ ასეთი სემელე სულაც არ მოსწონდა.

– შენი ნამდვილი სახის დანახვა მინდა.

ზევსს გაეცინა, წარბები შეკრა.


– რამ გაგაგიუა? მოკვდები-მეთქი, ვერცერთი მოკვდავი მე ვერ გამიძლებს.

მაგრამ სემელემ ეს ხომ უკვე კარგად იცოდა. წინააღმდეგობა უარესად ახელებდა.

– შენ საშინელი ფიცი მომეცი, მას ხომ არ გატეხ? შენ რა გადარდებს მე თუ მოვკვდები? ვის რად ადარდებს მე თუ მოვკვდები? – სემელეს ტონი უფრო და უფრო მტკიცე, უკონ-

ტროლო და ხმამაღალი ხდებოდა – რატომ ვიცხოვრო კიდევ წლები არარაობად? თუკი ძალა ხარ, რომელიც მხოლოდ ხილვითაც მომკლავს, მაშინ მომკალი! მოვკვდე, დაე, ზევსით მოვკვდე! დაე, გიხილო და შემდეგ მოვკვდე!

და ქალის ყვირილს გაეხმიანა ჭექა-ქუხილი. ისეთი საზარელი, ისეთი ძლიერი, რომ სემელეს სმენაც ჩაუწყდა და ლაპარაკის უნარიც. ცას ახედა მხოლოდ წამით. მხოლოდ წამით დაინახა ელვა. მთელი სხეული გაელუმპა, სახეზე წვიმამ ლამის დაახრჩო. და უცებ აალდა მისი ოქროსფერი თმა. ცეცხლად იფეთქა მისმა სხეულმა. წამში გაფერფლდა მოკვდავი სემელე. ერთი მიზანი, რაც მას გააჩნდა, ლმერთის შეცნობა, ასე ასრულდა.



## თორნიკე ზვიაძაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### უცნობი პატი

ბარში, რომელსაც არ აქვს სახელი, არც მისამართი, მაგრამ ეს დაუფიქრებელი ახალგაზრდები საიდანლაც სერიოზული სახეებით მოდიან და ზოგი იდეებს, ზოგი რჩევებს მთხოვს... მეცინება, მით უმეტეს, რომ მაგ დროს, წესით, კარგა მაგრად გალეშილი ვარ, შეიძლება იმ მწვანე ბალახის ინტოქსიკაციაშიც კი ვიმყოფებოდე, რომლითაც ყოველთვის აქ, დივანში მჯდომი ვინმე ლაყბარა მამარაგებს.

დღეს, ისევ ის, ერთი კვირის წინ ჩაცმული კუბოკრული პერანგი მაცვია. ისევ ბარის დახლთან ვზივარ. ხანდახან შეცბუნებული ბარმენი ბიჭი, რამდენიმე წუთში ერთხელ საეჭვოდ დახრილ თავზე მიყურებს და გამოსაფხიზლებლად რაიმე სერიოზულ კითხვას მისვამს.

— ბოსს, — ასე მომმართავს, რახან ამ ბარის პატრონმა ასე დაავალა.

— მოიცა, აბიბო. შენ ვერ გამომაფხიზლებ! აი, ახლა მალე უწევს...

სხვათა შორის, მალ-მალე იცის, თავიდან ნელ-ნელა იწყება, მერე უმატებს და იცით, რას ემსავსება?! თითქოს დათვი იცინის, ჰოო, უკან ლაყბარასკენ არ მინდა მივიხედო, რადგან ეს ხომ დათვი აღარაა.... ტიპია, რომელიც ჩემნაირად, აქვე დივანში ნაირ-ნაირ ქალებთან ერთად წამოსკუპებულა და რა ვიცი, რაზე აღარ იცინის. ეს მისი სიცილი მაფხიზლებს.

— ეს უკეთ მუშაობს, აბიბო!

— ბოსს, შემომითვალეს, როდის დასრულდება ეს?

— დალევა? ოჳ, აბიბო... არადა, ვფიქრობდი, დღე ისე დასრულდებოდა, ამ კითხვით არც ნუკი შემანუხებდა და არც იქიდან... კოლეგები.

— თქვენი ელექტრონული საფულე ისევ მიუწვდომელია. ყოველდღე რამდენი დაინტერესებული პირი გსტუმრობთ ბარში და გაუგებარია, მაინც რატომ გათიშეთ ელექტრონული საფულე, რომლის ფლობელიც ხართ...? ქვეყნის ფარგლებში, ეს ხომ ერთადერთი მსხვილი ელსაფულეა?

ასეთ დროს ჩავიცინებ ხოლმე, იშვიათად, რომ ახსნა-განმარტება მოვახერხო, გონება ძალიან გამომიშრა, სას-მელს სხვა რა სჩვევია, რო?! თუმცა ცხოვრებაში განვლილს მაფასებინებს, ისე როგორც რეალურ მოტრაბახე ქართვ-ელს შეეფერება. სხვათა შორის, „ვიდზე არა უშავს“, მაგრამ ციფრული სამყარო კომპლექსურია და ყოველდღე ასე ჯდო-მა არ უხდება, უნდა აუყოლო ფეხი დროის სვლას.

იმავე საღამოს, ბარში ვხითხითებდი, როცა აბიბომ მან-

იშნა, შენთან სტუმარიაო და გვერდით ჩამომიჯდა. გვერდულად გავხედე და გავიფიქრე – უფ, ეს ქერა ახალგაზრდა, ნეტავ, რას აპირებს-მეთქი?! ღია ცისფერ კოსტიუმს ირგებდა ტანზე. სახეზე დაბეჩავებული მეჩვენა, ცოტა მოხათრებული. ვინ იცის, იქნებ თავის თავში ყოვლისმცოდნეც ეგონა თავი. ასეთებს „გამოკომპიუტერებულს“ ვეძახი, მის მერე, რაც, აქ ამ ბარში ჯდომა მიწევს. შემკვეთს რომ სასურველი პროექტი დაუმზადონ, ყოველდღე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული კოდების წერა უწევთ. ეს პროექტები მრავალი სახისაა, მით უმეტეს, რაც დრო გადის, ტექნოლოგიები წინ მიიწევს. კრიპტოვალუტებიც კია ამ კოდების საფუძველზე შექმნილი. ვებ-საიტები, პროგრამები, მობილურის აპლიკაციები და საერთოდ – ოპერაციული სისტემები (ვინდოუსები).

- გამარჯობა!
- საქმეზე გადავიდეთ! – აბიბომ მიუთითა.

ღიაცისფერკოსტიუმიანმა ბიჭმა, შარიად რომ გაგვეცნო, ჯერ გვერდით მდგარ ბარმენს გახედა, რომელიც ახალ კლიენტს ლუდს უსხამდა, მეორე წამს კი მე გამომხედა და დამაკვირდა.

– როგორც ვთქვი, შარია მქვია! მე ისეთი კარგი გეგმა მაქვს, დარწმუნებული ვარ, ელექტრონულ საფულეს აღადგენთ და ქვეყნის მოსახლეობას წებას მისცემთ, ციფრული ვალუტა გამოიყენონ.

– ჰიჰიჰი! საინტერესოა! – პერანგის ჯიბიდან კოლოფი ამოვილე და სიგარეტს მოვუკიდე. – რას საქმიანობთ?!

– მე, ყურაშვილის ქუჩაზე, პითონის დაპროგრამებას ვას-წავლი, ვასწავლი ჩემზე უმცროსებს.

- კეთილი, გამაცანით თქვენი გეგმა!
- ვფიქრობ, ქვეყნის მოსახლეობაზე უნდა ვიზრუნოთ რომ კრიპტოვალუტა გავავრცელოთ. უცხო ქვეყნებში სხვები დაიხარჯებიან და ასე კრიპტოვალუტა დედამიწას მოიცავს. გახსოვთ, ალბათ, ერთ დროს იშვიათობა იყო ინტერნეტი, დღეს ის მარტივი ფუფუნებაა, მეტიც – ახლა მთელ მსოფლიოს ის „მართავს“. ახლა კი მსოფლიოს ახალი მიზანი აქვს
- მოხმარებიდან კუპიურები ამოვილოთ. ამისთვის კი ბანკებს უნდა დავუპირისპირდეთ.
- სულ ესაა?! მე ტექნოლოგიები აღარ მაინტერესებს.
- ეს ცუდია! – ტუჩები გააწვალა. – თქვენ ელექტრონული საფულის მფლობელი ხართ, ისევე შექმენით ის დამოუკიდებლად, როგორც ცუკერბერგმა ფეისბუქი.
- კიიი, ის მე შევქმენი და მევე გავანადგურე.
- ცუკერბერგი ითვლება ფეისბუქის ფუძემდებლად, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, დღეს არსებული ფეისბუქი ბევრად მეტია პირველ გაშვებულ ვერსიაზე... სოციალური პროგრამა განახლებებს მოითხოვს, მეტი და მეტია საჭირო დახვეწისთვის, მას კი ერთი კაცი არ ჰყოფნის.
- მოკლედ, რა გინდათ, შარია?!
- თქვენი ელსაფულის დახმარებით ბანკებს უნდა დავუპირისპირდეთ. სულ მალე კი მოვახერხებთ და შევძლებთ, უფროსებს დაგანახოთ, თუ რა პერსპექტივებია კუპიურასა და ციფრულ ვალუტას შორის... რომ კუპიურას შეგვიძლია ფიზიკურად შევეხოთ, ციფრულ ვალუტას ვერ ვეხებით, ის უფრო ღრმაა, ინტერნეტშია განთავსებული. ხალხის გონიერებაში ჩავბეჭდავთ კრიპტოვალუტის არსს, შემდგომ ისინი გადასახადებს ვირტუალურად გადაიხ-

დიან, სულაც არ დასჭირდებათ ბანკის ანგარიშები, სადაც უზარმაზარი საკომისისოებია დაწესებული და ტრანზაქციების დამუშავება ლოდინს საჭიროებს. ბიტკოინი 2009 წლიდან ოფიციალურად გაუშვეს ბირჟაზე, ხალხს შეუძლია იყიდოს, გაყიდოს, გაგზავნოს ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე, დაბალი საკომისისოთი... კლიენტის მიუღებელი საკომისიოს შემთხვევაში, არსებობს არაერთი – ბიტკოინის შემდგომ შექმნილი კრიპტოვალუტა, რომელიც გათვლილია სპეციალური საქმიანობისთვის, აზარტული თამაშებისთვის, ტრანსპორტისთვის, მეცნიერებისთვის და ა.ს.შ. ხომ არ ვცდები?! წარმოიდგინეთ, 2009 წელს ბიტკოინი ცენტებად ფასობდა, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მას ინტერნეტვალუტად მონათლავდნენ. 2021 წლის მონაცემებით კი, ბიტკიონზე მაქსიმალური ფასი ფიქსირდება და ესაა – 62, 000 \$. თერთმეტი წლის მანძილზე, ფასი საერთო ჯამში იზრდება, თუმცა არის ინფლაციის პერიოდებიც. არა მარტო მე მჯერა, რომ დრო დადგება და ბიტკოინი ყველაზე მაღალ ნიშნულს გადასცდება და ახალ მწვერვალს დაიპყრობს. ასეა და ბიტკოინი ინვესტიციისთვის ბოლო შანს იძლევა, მერე კი კუპიურები აღარ იარსებებს, ეს დროც მოვა... გავიხსენოთ, განა ახლახანს არ ვწუნებდით დაუხვენავ სახელმწიფობრიობაზე, ბანკიც კი არ არსებობდა, კუპიურები?! ხომ იყო არა, რომ კუპიურაც არ არსებობდა. ყოველთვის ახალი მოდის რაღაც.

შარია დახლის მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და ქვევიდან ამომხედა, უთქმელად მიყურებდა, მე კი ვიცინოდი, არა, ლაყბარას სიცილის ხმა არ გამიგონია, ის იქ აღარ იყო. ახლა ნამდვილად ჩემს ქოსა სტუმარზე, შარიაზე ვხალისობდი.

– როგორ თქვით, ყურაშვილის ქუჩაზე ასწავლით? –

კისკისით ავწიე თავი, აბიბო კიდევ შუშის ჭიქას ვინ იცის მერამდენედ წმენდდა. – ტექნოლოგიებში კოდის შესწავლა და შემდეგ მისი გამოყენება ძალიან აბეჩავებს და თავისებურს ხდის ადამიანს. ეს იგივე მეცნიერებაა, არ მინდა ამ მეცნიერს დაემსგასოთ, რომელმაც სექსის ინტერესი დაკარგა. მან ყურაშვილის ქუჩისკენ ბნელი ადგილები არ იცის, დავიჯერო? რატომძაც წინათვრძნობა მაქვს და ერთ-ერთი ლექციის შემდეგ არ მინდა ამ ბნელ ადგილზე მოხვდეთ, ჩანთას რომ წაგართმევენ და ვერცერთ სიტყვას ვერ ამოღერდავთ. როგორია, ვილაც უცხოები ირგვლივ აფთრებივით დაგტრიალებენ და ხმას ვერ იღებ... ესაა, თქვენი საქმიანობა. ტექნოლოგიების იქით აღარაფერი გესმით ახალგაზრდებს.

მე ვთქვი, ჩემს მფლობელობაში მყოფ ელექტრონულ საფულეს არ აღვადგენ და ყოველთვის არაა საჭირო, მიზეზი გავამხილო.

უცნობი სტუმარი – შარია იმ საღამოს თითქოს განაწყენებული წავიდა. მგონი ასე ხდება ხოლმე, როცა არ გემშვიდობებიან.

იმ ღამით სმა გავაგრძელე. მერე კი მახსოვს აბიბომ გამომაღვიძა, გარეთ გიხმობენო. თვალები მოვიფშვნიტე და აზრზე მოვედი, ფანჯარა არსად იყო, გამეჭვრიტა და გამერკვია, დღის რომელ პერიოდში მეძინა, ან ვინ მელოდა. სტაფილოსფერი სავარძლიდან წამოვდექი და გასასვლელისკენ წავედი, კვალდაკვალ სპირტის სუნს ვტოვებდი.

კარები ისე ჭრიჭინით გაიღო, თითქოს ეს მეცხრამეტე საუკუნის ველურ დასავლეთში ხდებოდა. შემოდგომის საღამო იყო, მერე უეცრად გაშავდა. დაბლა დავვარდი და პერანგის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამომივარდა. საჩვენებელი

თითო ტუჩზე მოვისვი, სისხლი... გამეცინა. მახსოვს ერთ-ერთი მაინც. ირგვლივ შარია და მისი უცხო დამქაშები ტრიალებდნენ აფთრებივით.

— მაინც არ იტყვი, რატომ უარობ ციფრულ ფულს?!  
ერთი ხელით სიგარეტის კოლოფისკენ წავიწიე და ჯიბეში დავიბრუნე.

— ამ ბიტკოინს არა აქვს ალტერნატივა, როგორც ცაში ჩიტივით გაშვებულ თვითმფრინავს. მე, მე არ ვაღიარე და ტექნოლოგიების უსულობით გადავფარე მომხდარი. მე, ელსაფულე წამართვეს და ეს ვერ ვთქვი, ვერ გავბედე, ასე ხომ ყველა დამავიწყდება. დამანებეთ თავი და... თქვენი საქმე უჩიემოდ გააგრძელეთ.

პირში ენა დავიგემოვნე და თვალებაწეულმა სისხლი გადავაფურთხე. მერე დავინახე ღია ცისფერ კოსტუმში შემოსილი აფთრები უფრო დიდი შემართებით, როგორი დამშვიდებულები მიდიოდნენ იქით, საიდანაც მოვიდნენ.



## ლუკა ხატიაშვილი

პარიზის მერვე, წმინდა დენიზის  
სახელობის უნივერსიტეტი

### ჰის ჭარტარი ქადაგი

ივო გაბრუებულია;  
რვა სრულდება.

სულ ასე ემართება – იტყვის ხვალ საქმე არაფერი მაქვს,  
მოდი გამოვიძინებო და, მაინც და მაინც, იმ დღეს ადრე ეღვი-  
ძება. არადა, ეს დალოცვილი ძილიც სულ აკლია. ე, ახლა  
რამდენიც არ უნდა სცადოს, ველარაფერს გააწყობს.

ისე, ნეტა რა ესიზმრებოდა? არ ახსოვს.

ერთი-ორი წუთი აქეთ-იქით წრიალებს, შემდეგ კი  
მარცხენა მკლავს აშტერდება. წერო ახატია. ოთხფრთიანი.  
ალბათ, პატარა განმარტება უნდა გავაკეთო – ივოს საყვა-  
რელი წიგნი იასუნარი კავაბატას „ათასფრთიანი წეროა“. მე  
ნურაფერს მომთხოვთ. ძალიანაც რომ უნდოდეს თვითონაც  
ვერ აგიხსნით ამ სიყვარულს. როგორც უნდა ისე იყოს, ის  
კია, რომ ერთ დღეს გადაწყვიტა საყვარელი წიგნი მკლავზე

მოქმედია, მაგრამ ათასფრთიანი წეროს გამოსახვას ვერც ივოს წარმოსახვა გასწვდა და ვერც ტატუ არტისტისა. ასე დაკარგა ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ფრთა ნახევარ საათში წერომ.

ივომ იცის, დილით რომ გაიღვიძებს, მკლავს თუ შეხედავს და წერო თავს მოაწონებს, კარგი დღე ექნება, მაგრამ თუ ნახატი გაცრეცილი ან ფერწასული ეჩვენა, კარგს არაფერს უნდა ელოდოს. დღეს კი ვერ გაურკვევია მოსწონს თუ არა წერო და ბრინჯივით იბნევა.

უკვე წლებია, ამ პატარა სახლში ცხოვრობენ. როგორც მამამისია ამბობს: კეთილმოწყობილსა და მყუდროში. ვითომ ქალაქის სიბინძურესა და ხალხმრავლობას გაექცნენ, მაგრამ ის კი აზრად აღარ მოსვლიათ, რომ შვილად მკვდარი თევზი ჰყავდათ და დინების გამოცვლა საერთოდაც არ ეხალისებოდა. „ეგ არაფერი, დიდი ეზო გვექნება და გაერთობა“; „ბავშვია შეეგუება“. არა, გენაცვალე – ივო არც ბავშვია და არაფერსაც არ შეეგუება.

ივო ხშირად დადის მარტო ტყეში. თან ჭკუის დამრიგებელიც არავინ ჰყავს; დედამისი იძახის, სოკოს ძებნა ან სუფთა ჰაერზე გავლა სიამოვნებსო. რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ ფიჭვის სუნი ძველ სახლს ახსენებს. თვალებს ხუჭავს და თავის ოთახს უბრუნდება. ეს ერთი რიტუალილა დარჩენია თავის შესაქცევად ივოს.

ტყე კი ძალიან უყვარს, მაგრამ, აი, შუა ეზოში გამოჭიმული ჭა აღიზიანებს. მაინც არ ესმის რისთვის დახარჯა მამამისმა ამდენი დრო და ფული; ან რაღა დროს ჭაა? თან სასაცილო ისაა, რომ ივოს ავალია ყოველდღე წყლის ავსება. წარმოიდგინეთ, როგორ მიდის დღეში ორჯერ ჭასთან დოქე-

ბითა და ცარიელი ჭურჭლით ორმეტრიანი, მკლავზე ტატუ-იანი ივო. ზღაპარში ძალით შეგდებულ გმირს ჰეგავს.

მაგარი კონტრასტია, არა?

ახლა, კონტრასტებისთვის საერთოდ არ სცალია.

დროა, ადგეს და წყალი შემოიტანოს.

წკაპ-წკუპ, წვიმასაც იწყებს.

გაზაფხულის ამინდს არ უნდა ენდო კაცი. შეიძლება მოულოდნელად ისე დასცხოს ჭაც ყელამდე აიგსოს და წყალიც აიმღვრეს. ამაზე ფიქრობს ივო, მაგრამ აი, საწოლიდან დაძვრას რატომლაც არ აპირებს; თან საკუთარ თავს საყვედურობს – აქაოდა, ერთი საქმე მავალია და იმასაც არ ვაკეთებო. ვერც სიზარმაცეს ერევა და ვერც პასუხისმგებლობას ელევა.

საწყალი, ჯერ ოციოდე წლისაა, მაგრამ ოთხმოცი წლის ბერიკაცივით დარწმუნებულია, რომ ცხოვრებამ უკვე ჩაიარა.

არადა, არაფერსაც არ აუვლია;

და მითუმეტეს არ ჩაუვლია.

აბა, რა გასაკვირია, რომ ამ სულელურ მსჯელობა-მსჯელობაში დრო ეპარება ივოს?

ბოლოს და ბოლოს, დგება.

ნეტა რამდენი ხანი კოტრიალობდა: ორმოცი წუთი? ერთი საათი?

რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ისაა, რომ დიდი ალბა-თობით, ოჯახი სასმელი წყლის გარეშე დატოვა.

ჩაცმასა და ერთი-ორი ცარიელი ბოთლის პოვნას თავს კი აბამს, მაგრამ ეზოში გასულს ყველაფერი ხელიდან უცვივა. თავს იმაგრებს და წყალს აშტერდება. ერთი შეხედვით,

არაფერი განსაკუთრებული. ის დახვდა, რასაც ელოდა. სავსე ჭა, მაგრამ ის კი ვეღარ წარმოედგინა, რომ წყალში ჩაიხედავდა და ორ ერთნაირ მწვანე თვალს დაინახავდა. აკვირდება – ნაზ ნაკვთებსა და წითელ, მოელვარე თმასაც არჩევს. ზღვის პატარა ქალწულზე ამბავი კი გაეგონა ივოს, მაგრამ, აი, ჭის პატარა ქალწულზე არაფერი იცოდა. მისი კისკისი ესმის. უფრო სწორად, გუმანი კარნახობს, რომ წყლის მეორე მხარეს ასული კისკისებს. თვალებს ისრესს და, როდესაც რწმუნდება, არა, მოჩევენება ნამდვილად არ არისო, ძალიან უნდება წყალში გადაშვება. ამის გაფიქრებაა და ქალწულიც არ აყოვნებს – გეგონება, ივოს სურვილი გაიგონაო, ხელს უწვდის.

სულისწადილი ოხერი რამაა; გონებას ბინდავს, ასე რომ არ იყოს, სანამ წყალში ჩავიდოდა, ხომ გაიხსენებდა მამის გაფრთხილებას: ჭას სურვილს თუ ჩაუთქვამ უეჭველად აგიხდება, მაგრამ სურვილის შერჩევისას ფრთხილად იყავიო.

**უკვე გვიანია;**

ჭაში, სრულ სიბნელეშია ჩვენი ივო;

წყალი კი არა გათხაპნილი შავი ლაქაა.

სინათლე სად წავიდა და როდის ჩამობნელდა ვერ გაიგო, მაგრამ ასულთან ერთად თავს მშვიდად რომ გრძნობს ამაზე ორი აზრი არაა. ისე ეხვევა, ლამისაა სიყვარული შეჰვიცოს. თქვენც არ მომიკვდეთ, ისიც კეკლუცით პასუხობს: ხან რას ეჩურჩულება და ხან რას. ივოც პირს ამოძრავებს, მაგრამ ბგერებს ვერ გამოსცემს. არადა, როგორ უნდა საუბარში აჰყვეს. თავისი ამბები მოუყვეს, ფიქრები გაანდოს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მთლად ბოლომდე ბედნიერიც ვერაა ახლა ივო. გინდ საკუთარ თავს არ უტყდებოდეს, ვერ შეცვლის, რომ რაც უფრო კარგად გრძნობს თავს ჭაში, მით უფრო ნათელი ხდება, რამდენად მარტო გრძნობდა თავს სახლში. ეს მარტოობა კი დაუანგული ჯავშანივით აწვება და სხეულს უმძიმებს.

კი, მოგიყვებოდით რაზე საუბრობდნენ ჭის პატარა ქალწული და ივო, მაგრამ არ გაგიგიათ, რაც ჭაში ხდება, ჭაშივე რჩებაო?

ზურგით ფსკერს ეხება. შიში იტანს. ქალწული კი სიბნელესთან ერთად ქრება და გაშლილი ლურჯი სივრცე რჩება. ივოს აგონდება, რომ წყალშია და უჰაერობა ანუხებს.

„თვალები დახუჭე“.

დახუჭავს, აბა რას იზამს; დაიძინებს კიდეც და სამუდამოდაც აქ დარჩება. შორს ყველასგან და ყველაფრისგან – ღრმად ჭაში. იქ სადაც ლამე მთვარე ჩადის და საიდანაც მზე ცაში ადის.

ლამისაა მართლა დაეძინოს ამ უტვინოს, როდესაც ლოყაზე შეხებას გრძნობს. სხეულში სითბო ეღვრება. აი, ძალიან რომ გცივა და სქელ საბანში გაეხვევი – რაღაც ამდაგვარს განიცდის. არა, კვლავ ქალწული არ გეგონოთ. მასთან შეხება სულ სხვანაირი იყო. მშვიდი, მაგრამ გამყინავი; ძილისპირული სიმღერის მსგავსი. ეს სითბო კი სისხლს ადულებს. მძინარეს აფხიზლებს.

თვალებს ახელს და, თითქოს სარკეში ჩაეხედოს, საკუთარ თავი ხვდება. აკვირდება ნაცნობ ნაკვთებს. სამწუხარო ისაა, რომ მთელი გულითაც რომ მოინდომოს, მის გამოხედვას მაინც ვერ აღწერს. საერთოდ ვერაფერზე ვეღარ ფიქრობს.

ერთი, აბა, თქვენც დაფიქრდით როგორი სანახავია: ჭის ფსკ-ერზე უყურებს ივო ივოს?

სახალისოა, არა?

ის ანდაზა როგორ არის? დაკარგულს იქ იპოვი, სადაც არ ეძებო...

ისევ განვმარტავ: აი, შეხედავ და იფიქრებ, ეს ორნი ერთ-ნი არიანო, მაგრამ, დააკვირდები და აღმოაჩენ: მათ შორის განსხვავება ძალიან ნათელია. რა და რატომ? ეს სულ სხვა ამბავია. მთავარი ისაა, რომ ახლა ივომ იცის, ვინ და როგორი უნდა რომ იყოს.

დიდი მიზანს ისახავს ჩვენი ბიჭი და, აბა, რაღა დროს მთქნარება და ძილია?

მართლა მთელ ცხოვრებას ჭაში ხომ არ გაატარებს?

ამის გაფიქრებაა და მავანი უკნიდან ხელს ჰკრავს;

ზედაპირისაკენ უშვებს.

ნეტა დაგანახათ ხელ-ფეხს როგორ აქნევს.

არა, ივო აღარ შორდება სიცოცხლეს.

პირიქით – მიდის მისკენ.

და, აი, ჰაერიც!

ნაზად ეშვება ფილტვებში.

არა, არაფერსაც არ აუვლია;

და მითუმეტეს არ ჩაუვლია.

კიდევ დიდხანს რჩება წვიმაში.

ამღვრეულ წყალს დაჰყურებს და თავში მხოლოდ ერთი უტრიალებს:

ჭაში ჩახედვით თავს ვერ დაინახავო;

ვინ თქვა?

ვინ გაიმეორა?



## მარიამ ლაზარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ჰერმესი

თბილისის ქუჩებში მარტოდმარტო დაეხეტებოდა და წერილებს არიგებდა ბავშვი- სახელად ჰერმესი. ჰერმესი არ იყო ჩვეულებრივი ფოსტალიონი. ის ათას საქმეს აკეთებდა ნებისმიერი ადამიანისთვის და მათაც ძალიან უყვარდათ. ჰერმესმა იცოდა, რომ ზურგსუკან ზოგი ლანძღავდა, ზოგი კი წერილშივე წერდა მასზე უარყოფით, ხანდახან უწმაწურ ამბებსაც, მაგრამ ჰერმესს ეს არ აღელვებდა. მისთვის მთავარი იყო საქმე.

საქმე არც რთული იყო და არც მარტივი. მიდიოდა ადრესატთან, მისცემდა წერილს, ხანდახან სულაც ზეპირად, გამომგზავნის ზუსტი პაროდიით ჩამოარაკრაკებდა სათქმელს და მიმიკებისა თუ რეაქციის ზუსტად ასახვასაც არ ზარდებოდა. ზოგ ადრესატს ჯერ მხოლოდ აფრთხილებდა, რომ

მის სახელზე წერილი იყო, შემდგომ დარწმუნდებოდა, რომ ნაწერი ნახა და უკან გაბრუნდებოდა.

ჰერმესი ყველასთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ზოგი მეგობარივით ეპყრობოდა, ზოგი სულაც არ იმჩნევდა, მაშინაც კი, როდესაც კარს გაუფრთხილებლად შემოალებდა და წერილს მაგიდაზე დადებდა, იყვნენ ისეთებიც, რომ აქებდნენ მას ან მამამისს და ისიც, როგორც კი მამამისი მოიცლიდა, მოუყვებოდა მამამისს, რომელიც თუ თავიდან ბედნიერი იყო ჰერმესის წარმატებით, დროთა განმავლობაში ყურადღება მოადუნა და ბოლოს მხოლოდ უკმაყოფილო ადრესატების პრეტენზიებს თუ ისმენდა.

თავდაპირველად ჰერმესი მხოლოდ ადამიანებს ემსახურებოდა, მათ შორის მეგობრულ და საქმიან ურთიერთობებს აგვარებდა, ფოტოებსაც იღებდა და სურვილისამებრ ტექსტებსა და სასაცილო სტიკერებს აწებებდა.

ყველაფერს მამამისი ასწავლიდა, ოლონდ როგორ, ამას თავადაც ვერ ხვდებოდა. ეტყოდა „მოდი ჰერმეს, შენი ძილის დროა“, ჰერმესიც მორჩილად წამოწვებოდა ლოგინზე და დაიძინებდა. გაღვიძებისას კი მამამისი ეტყოდა, ხალხს მოუყევი, რომ ესა და ეს შეგიძლიაო. ჰერმესიც აღმოაჩენდა, რომ დაიძინების შემდეგ ბევრად მეტი რამ შეეძლო.

ადრესატთა ნაირსახეობამაც მოიმატა. თუ თავიდან მხოლოდ ადამიანებს ეხმარებოდა, ახლა უკვე კომპანიები და სახელმწიფო ორგანოებიც კი მასზე იყვნენ დამოკიდებული. ადამიანები ისე ენდობოდნენ, რომ საიდუმლოებების გადაცემასაც არ ერიდებოდნენ, ჰერმესიც გულუბრყვილოდ კითხულობდა წერილებს და ყველაფერს იმახსოვრებდა, თუმცა ეს არავის აღიზიანებდა, მეტიც საჭიროების შემთხვევაში

ეკითხებოდნენ, თუ გახსოვს ამა და ამ დღეს რა მივწერე, ან რა მომწერაო.

მამის ნასწავლსაც თავისი სარგებელი მოჰქონდა. ჰერმესმა ყველაფერი იცოდა ყველაფერზე, მაგრამ იმის ცოდნა არ შეეძლო, რაც არავის სჭირდებოდა, ან გამოადგებოდა, აბა, ისე რა აზრი ჰქონდა ცოდნას? თან ამ ცოდნაში გვარიან ფულსაც აძლევდნენ, რომელსაც ყოველი დღის ბოლოს მამას აძლევდა.

ერთ დღესაც ჰერმესმა ფული დაკარგა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა როგორ. მამამისმა დაწვრილებით გამოიკითხა ყველაფერი და რახან ხელმოსაჭიდი ვერაფერი გაიგო, ძალიან განერვიულდა, ქურდებმა დაგაყაჩალეს და შეიძლება სხვისი წერილებიც წაიკითხესო. ჰერმესს გაუკვირდა, რადგან არავის შეხება უგრძნია ჯიბეზე და წერილებსაც მხოლოდ მამამისს თუ აკითხებდა, მაგრამ მამამ სთხოვა, ამას ნურავის ეტყვიო.

იმ ღამეს ჰერმესს გაცილებით დიდი ხანი ეძინა, ვიდრე ოდესმე. ამას მიხვდა გაღვიძების შემდეგ, როდესაც ხალხი იმაზე მეტად ანერვიულებული და ამავე დროს ბედნიერი შეხვდა. ერთი-ორმა მოკითხა კიდეც, აბა, როგორ გეძინაო. ერთადერთი რაც ჰერმესმა ზუსტად იცოდა იყო ის, რომ საქმე უნდა გეგრძელებინა.

თუ ქურდობას არ ჩავთვლით, ჰერმესს არაფერი სწყენია სხვებისგან, მხოლოდ ნერვიულობდა, როდესაც მის სამსახურზე უარს ამბობდნენ, მაგრამ ისინიც კი ისევ უბრუნდებოდნენ, ახალი სახელებითაც კი და ჰერმესიც არ უფუჭებდა მათ ხასიათს, აქამდა ყველანი მახსოვებართო. მამამ პირველ რიგში ზრდილობა ასწავლა და აუხსნა, რომ ზრდილობიან

ადამიანს მორჩილება არ ჭირდებაო.

და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ მის მეგობრულობაზე, მტრობასა თუ სიკეთეზე ბევრს ლაპარაკობდნენ, ერთადერთი რაც მას ნამდვილად გააჩნდა -იყო ზრდილობა.

ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როდესაც ვიღაც ბიძიები ჩაერივნენ მამამისის საქმეში და დაემუქრნენ. წერილების წაკითხვაში დასდეს ბრალი, მაგრამ მამამ დუმილით უპასუხა. იმავე დღეს კი, ჰერმესმა რატომლაც საკუთარ თავზეც შეიტყო ბევრი რამ. რამდენად უსაფრთხოა, როგორ უფრთხილდება ხალხს და დიდი ცოდნის მიუხედავად, არ იყენებს მათ საწინააღმდეგოდ.

ხალხმა მაინც აიტაცა მამამისის გაფუჭებული რეპუტაცია და თუ ადრე მხიარულად ისმენდნენ ჰერმესის ჭორებსა და ქალაქის ამბებს, ახლა უფრო და უფრო ღიზიანდებოდნენ ჰერმესის მონაყოლებზე, ცდილობდნენ რამე კავშირი ეპოვნათ მონაყოლსა და საკუთარ თავს შორის. თუ იპოვიდნენ, ბრაზდებოდნენ საიდან იცის ჰერმესმა, რომ ეს მაინტერესებსო, თუ ვერ იპოვიდნენ, ჰერმესი რატომ მიყვება იმას, რაც არ მაინტერესებსო. მათი დაკმაყოფილება თითქმის შეუძლებელი გახდა.

მამაც უფრო მეტ დროს უთმობდა წერილების კითხვასა და ჰერმესისთვის ცოდნის გაზიარებას. ჰერმესიც ჩვეულებრივ აგრძელებდა თავის საქმეს, ერთი ის იყო, რომ ამდენი ცოდნით დატვირთულმა ვერ იგრძნო, როგორ ეპარებოდა დაღლა, სანამ ერთ დღეს თვითონვე არ შეამჩნია როგორ ნელა მიაბიჯებდა თბილისის ქუჩებში და მაშინვე გაიფიქრა მამას უნდა მივაკითხოო.

მამასთან მისვლა გაცილებით სწრაფად შეძლო და შეშ-

ფოთებული მოუყვა ყველაფერს. მამამ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ჰერმესს ებრძოდნენ და თუ კარგად მომუშავესაც კი ერჩოდნენ, ცუდს აბა რას უზამდნენ. ამიტომ ჰერმესს უნდა მიეტოვებინა ფოსტალიონად მუშაობა. ჰერმესმა ყველაფერი მშვიდად მოისმინა და მამამისის თხოვნაზე იმავე სიმშვიდით ჩაწვა თბილ ლოგინში.

ძალიან დიდხანსაც არ ეძინა, მაგრამ გაღვიძებისას ალმოაჩინა, რომ უკვე არ ერქვა ჰერმესი და არც მამა ჰყავდა იგივე. ეს ახალმა მამამ უთხრა და თან გამოჰკითხა, აბა წინა მამაზე რა გახსოვსო და როცა მოისმინა შვილის პასუხები, მოწონების ნიშნად თმაზე ხელი მამობრივი სიყვარულით გადაუსვა.



## მარიამ ჩხეიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნაცნობი უპნობი

„დღეს დედა მოკვდა, ან იქნებ გუშინ“... როგორი ცნობილი დასაწყისია, არა?

შემოდგომის ქარვისფერ საღამოს უცნობის სიტყვებმა გამომაფხიზლა. უცნობს მონატრების სურნელი ასდიოდა.

– უკაცრავად, ვერ გავიგე, რას გულისხმობთ?

მოსაუბრეს თვალებში ჩავხედე. ის მოხუცი მამაკაცი იყო, ხავსისფერი თვალებით, რომლებიც უკიდეგანო დარდს მოეცვა და შემოდგომასავით ყვითელი კანის ფერით.

თვალები დაბლა დავხარე და დარცხვენით ვკითხე მოხუცს.

– ხომ არ შეგეშალეთ?

– ეჲ, შვილო, მაპატიე, შემეშალე.

ბაბუმ ხელი ჩაიქნია და გაბრუნდა. მოხუცს ახლა უკვე თანაგრძნობის სურნელი ჰქონდა. შინაგანმა ხმამ მიკარნახა

რომ საუბრის გარეშე არ უნდა გამეშვა და მეც დარჩენა შევთავაზე. ბევრი იყოყმანა, თუმცა საბოლოოდ დამთანხმდა. ერთხანს ჩუმად ვისხედით და ხალხს ვაკვირდებოდით, სხვადასხვა ფერებით, სხვადასხვა სურნელით ხალხი ჭიანჭველებით ერთმანეთში ირეოდა. მოხუცმა სიჩუმე დაარღვია.

– დღეს გამოაცხადეს, ქალი იპოვეს მოკლულიო, ქმარს მოუკლავს და გაქცეულა.

– ხო, მეც მოვისმინე, საწყალი...

– საწყლები ჩვენ ვართ, ბრძები და ყრუები, ყველას, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება კარს ვუკეტავთ.

მოხუცმა ცრემლი მოიწმინდა. ისევ მონატრების სურნელი დატრიალდა ჰაერში. ბაბუმ იქვე მდგომ დედა-შვილს შეხედა, მწარედ ჩაიცინა და განაგრძო.

– დღეს 76 წელი გავიდა დედაჩემის სიკვდილიდან.

– თანაგიგრძნობთ... რა მოუვიდა?

– სუნთქვა შეწყვიტა, ტანჯვას ვეღარ გაუძლო, ვეღარც ჩემ და ვეღარც საკუთარი თავის გამო... როგორი ბედნიერი ჩანს ეს დედა-შვილი, არა?

მოხუცმა წელან რომ შეხედა ისევ მათკენ გაიშვირა თითო.

– მაგრამ, ვინ იცის ახლა რა ხდება მათ გულებში? ვინ იცოდა რა ხდებოდა ჩემს გულში? იცი, შენ, შვილო, რა რთულია უყურებდე მომაკვდავ დედას და მის დასახმარებლად ვერაფერს აკეთებდე, რადგან უსუსური ხარ? რადგან წინ ის მონსტრი გიდგას, რომელსაც ვალდებული ხარ ყოველ დღე მამა დაუძახო? რადგან წინ ის მონსტრი გიდგას, რომელსაც არაფრის სურნელი აქვს, გარდა ზიზღისა, რომელსაც დრო-

დადრო სასმლის სუნი შემოეპარება ხოლმე. 76 წელია საკუთარ უსუსურობას ვებრძვი და დღემდე ვერ მოვერიე.

მოხუცი მართალია, მე არასდროს შემიგრძვნია შიშის სურნელი, არასდროს მიგრძვნია თავი უსუსურად. ეჭ... საწყალი ბაბუ, როგორ მწარედ დასტყობია ბავშვობის ცუდი მოგონებები. მის ხავსისფერ თვალებში აღარ ჩანს მომავლის იმედი (ან, იყო კი როდესმე?), თვალებთან ცრემლებს კალაპოტები შეუქმნიათ და მოხუცის სახე დაუსერავთ. ვინ იცის, რამდენ რამეს იტევს მისი გული.

— ვიცი, შენც ფიქრობ ჩემზე, საწყალიო, მაგრამ, არა, ბაბუ! მე არ ვარ საწყალი. მე 76 წელია იმავე მონსტრს ვებრძვი, მაგრამ ახლა უკვე საკუთარ თავში.

— ცოლი არ გყავს, ბაბუ?

მოხუცს ჩაელიმა.

— არა. წლებია ყოველ ქალში მხოლოდ დედას ვხედავ. როგორ ვაპატიებდი საკუთარ თავს, თუნდაც ერთხელ ვინ-მესთვის მეწყენინებინა? ვერავის შევბედე გულის გაყოფა.

მოხუცმა საათს დახედა. უნდა წავიდე, გვიანია, ალბათ, თავშესაფარში ინერვიულებენო. ბაბუ ადგა, თავისი ბოულერის ქუდი დაიფარა და გზას გაუდგა. დაღმართს როგორ ჩაუყვა ვერ დავინახე, რადგან ჩემი მზერა მოთამაშე დედა-შვილის ცრემლებმა მიიქცია.

ჰო, და...

დღეს დედა მოკვდა, ან იქნებ მოკლეს, ან იქნებ მოკლავენ, ვინ იცის. შემოდგომის საღამო კი ისევ ისეთი ქარვისფერი იქნება.

ამ უკიდეგანო სევდის სეზონზე, პირველად შევიგრძენი უსუსურობის სურნელი.

სამუდამო ემოცია

„— როგორ დაიწყო? არ ვიცი.იმ დღის ამბებიდან მხოლოდ მამლის ყივილი, ქალების საშინელი გმინვა და მათი შვილების გაუთავებელი ტირილი მახსოვს. — თქვა ბებომ და ცრემლები მოიწმინდა.

ზამთრის სუსხიანი საღამო იყო, ღუმელიდან გამოსული სითბო მის სათვალეს ბინდავდა, თუმცა მაინც შემეძლო დამენახა მინის უკან თაფლისფერ თვალებში ჩამალული სევ-და. საქსოვი ძაფის გორგალი სავარძლიდან ჩამოუვარდა, მეც მის ასალებად გავიწიე, ავიღე და თბილად ჩემს სავარძელში მოვთავსდი. ეს ჩემი საყვარელი ისტორია იყო და ვინ იცის მერამდენედ ვისმენდი.

— ეჰ... ნეტავ ბაბუასაც მოესწრო ჩემთვის ამ ყველაფრის მოყოლა! — გავიფიქრე და ბებიას ისტორიის გაგრძელება ვთხოვე.

— ყველა ოჯახიდან თითო კაცი გამოვიდესო, ასეთი ბრძანება მოვიდა. მამამისი არ გაუშვა. მაშინ ძალიან გავბრაზდი, თუმცა ახლა ვხვდები ასე რატომ მოიქცა. ჯერ უწვერული, გამოუცდელი იყო. როგორ უნდა ებრძოლა? ბრძოლის ველზე მისი წარმოდგენა შიშს მგვრიდა. ჯერ წასულიც არ იყო, მე უკვე მის დაბრუნებაზე ვფიქრობდი.

ბებიას ხელები აუთრთთოლდა. მეც, ბუხრის წინ მჯდომი, მასთან ერთად ველოდი ბაბუს დაბრუნებას.

— შემდეგ რა მოხდა, ბებო?

განა არ ვიცოდი? თუმცა მაინც ინტერესით სავსე თვალებით ველოდი ამბის გაგრძელებას. ბაბუას თეოდორე ერქვა. მეც თეოდორე დამარქევს, რაც, თურმე ბერძნულად „ლვთის საჩუქარს ნიშნავს“.

– ამბობენ, სახელი ადამიანზე ბევრს ამბობსო, განაგრძო ბებომ. ჩემთვის ის მართლა ღვთის საჩუქარი იყო, ვერ ავიტანტი რომ მისი თავი სიკვდილის ანგელოზსს წაერთმია ჩემთვის. ბევრი რამ არ მახსოვს იმ ამბებიდან. ეჭ, ბები, რას ვიფიქრებდი თუ ეს ყველაფერი დამავიწყდებოდა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. არა, ბები, დრო ყველაფრის მკურნალი არაა. დრო გავიწყებს, შენი ტვინის რუს უჯრედებში მარხავს წარსულს. განა დამავიწყდა ის ტკივილი? განა ახლაც არ მიხურს ცრემლებით სახე? დრო გადიოდა. დეპეშას დეპეშაზე ვაგზავნიდი, თუმცა ადგილამდე არცერთი მისულა. ჩვენ სოფლიდან აგვიარეს.ქარსა თუ წვიმაში, ფეხით მოვდიოდით, მოვდიოდით და ისევ მოვდიოდით... გზას კი დასასრული არ უჩანდა. რომ დაბრუნდება როგორ უნდა მიპოვოს-მეთქი, ვფიქრობდი. ქალაქამდე რომ ჩამოვედით ხმა გავარდა, რამდენიმე ახალგაზრდა დაჭრესო. სახელებსა და გვარებს ხვალ გამოვაცხადებთო. იმ ღამეს არ მძინებია, თუმცა როგორ უნდა დამეძინა? თავშესაფარი ვერ ვიპოვეთ. მინა ჩემი საწოლი გახდა, ცა კი-ზენარი.

მეც დავხუჭე თვალები და ახლა უკვე იმედით სავსე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, ბებოსთან ერთად ველოდი გათენებას. ბებიას სევდიანმა ხმამ ჩემს წარმოსახვაშიც შემოაღწია, ის ისტორიას აგრძელებდა.

– დილა გათენდა თუ არა, იმ კედლისკენ გავიქეცი, სადაც ახალ ამბებს აკრავდნენ, აქ აცხადებდნენ გვარებსაც. ბოლო წუთამდე ველოდი ჩვენს გვარს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არ გამოუცხადებიათ.

მე და ბებომ ერთდროულად ამოვისუნთქეთ.

– თავშესაფარს ვერავინ გვაძლევდა. სოფლებიდან

აყრილთა რიცხვი დიდი იყო, ქალაქი კი – პატარა. რაღაც ფიცრები ვიპოვეთ, კიდევ რაღაცები, არ მახსოვს და პატარა ქოხი ავაშენეთ. ისეთი ფიცრული იყო, ქარს რომ დაეპერა ქოხის ნასახსაც არ დატოვებდა, თუმცა, ალბათ, იღბალი ჩვენ მხარეს იყო. დრო ძალიან ნელა გადიოდა, უკვე მეშინოდა. „ვაი თუ ჩვენი შვილის დაბადებას ვერ მოესწროს, ან უარესი, საერთოდ რომ ვერ ნახოს ჩვენი შვილი?“ – ეს ფიცრები არ მასვენებდა.

ბებია ცოტა ხანი გაჩუმდა, ძალა მოიკრიბა და კვლავ დაიწყო.

– არ მიყვარს ომი. ეს გაუთავებელი სისხლისლვრა. მხოლოდ უდანაშაულო ხალხი ისჯება. მათი ქალაქები, სოფლები, ყველაფერი ინგრევა. მათი იმედები ნადგურდება.

ჩემი საყვარელი ბებიკო. ვიგრძენი, როგორ აუთორთოლ-და ტუჩები ამ სიტყვების თქმისას. ომმა მას მოუშუშებელი იარა დაუტოვა, თუმცა ამას არავის ანახებდა.

– განაგრძე, ბებიკო. ამ ერთხელაც მომიყევი ბოლომდე! – ვთხოვე და მისი დანაოჭებული ხელი ხელში ავიღე.

– ზუსტად არ მახსოვს რამდენი ხანი გავიდა, თუმცა ერთ დღეს კარი წვერულვაშიანმა, ტალახსა და სისხლში ამოსვრილმა კაცმა შემოაღო. უწვერული წავიდა, დაბრუნებისას ვერავინ იცნო, თუმცა მე რა დამავიწყებდა მის თვალებს? თვალებს, რომლებიც სიყვარულით მიმზერდნენ და რომლებშიც ყოველთვის ვხედავდი მომავლის იმედს.


– „ჩვენ გადავრჩით! გავიმარჯვეთ! დავბრუნდით!“ – ეს სამი სიტყვა ამაყად წამოიყვირა და გაიღიმა. მისმა ღიმილმა ჩვენი უსარკმელო ფიცრული გაანათა. ეს ღიმილი მაკლდა ამდენი ხანი. არ ვიცი რატომ, მაგრამ მისი დანახვისთანავე

მივხვდი, რომ გავიმარჯვეთ. სხვაგვარად ის არ დაბრუნდებოდა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოლებდა. მას ხომ უყვარდა მშობლიური მიწა! – თქვა ბებომ და კიდევ ერთხელ მოიწმინდა ცრემლი.

განა რა არის ამ ემოციაზე იდეალური? გადარჩენა, გამარჯვება, დაბრუნება... ეს სიტყვები ყოველთვის თავში მიტრიალებს. როდის ეუფლება ადამიანს იმაზე უკეთესი ემოცია ვიდრე „წინაპართა ძახილის“ გაგონებისას? როგორ გესმის მათი ჩურჩული, როგორ ელოდები მათ, როგორ ივსები სიამყით... ამას არაფერი სჯობს.

ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ ცა ყოველთვის ერთია, ბაბუს დაბრუნებისას და დღესაც, როდესაც ეს ისტორია მოვისმინე, ერთი მზე ანათებს, ერთი სიო უბერავს, განსხვავება ყოველთვის ემოციაშია. ცასავით და მზესავით სამუდამოა ის ემოცია, რასაც ამ ისტორიის მოსმენისას განვიცდი. არ ვფიქრობ, რომ ეს განცდა ოდესმე დამავიწყდება. ისეთივე სამუდამოა, როგორიც „წინაპართა ძახილი“, მოპოვებული გამარჯვებით გამოწვეული სიხარული და სიამაყე. განა ამ სამუდამო ემოციით არ მოვედით დღემდე? განა სამუდამო არაა ის, რასაც ჩვენი წინაპრების გმირობებზე ვისმენთ?

ჩვენ გადავრჩით! ჩვენ დავბრუნდით! ჩვენ გავიმარჯვეთ! და მეც ყოველთვის გადავრჩები, დავბრუნდები და გავიმარჯებ, როცა ამ ისტორიას მოვისმენ.



## ნათია კოტორაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შეატყობის დასახლება

„მაგრამ თუ მხატვარი რამეს თავისებურად დახატავს,  
დიდი შანსია იგი უბადრუკ მოყვარულად  
მონათლონ, რომელსაც უკეთესი არაფერი შეუძლია“

ე. ჰ. გომბრიხი

„მხატვრების დასახლების კედლებს დღემდე  
ამკობს უცნობის შედევრები“.

მე ლუკასი ვარ. ბავშვთა სახლში გავიზარდე, იქ გავა-  
ტარე თხუთმეტი წელი. რომ არა იქ გატარებული წლები  
ბევრი რამ ალბათ სხვანაირად იქნებოდა, თუმცა მადლიერი  
ვარ. ბავშვთა სახლს, რომელშიც მე გავიზარდე „მხატვრე-  
ბის დასახლებას“ უწოდებდნენ და იცით რატომ? საოცარია,  
მაგრამ იქ მყოფი ბავშვების უმრავლესობას ხატვა შეგვეძლო.

ვხატავდით ყველგან და ყოველთვის, როდესაც ამის შესაძლებლობა გვქონდა. ჩვენი ყოველი დღეც, საუზმის შემდეგ, სწორედ ხატვის გაკვეთილებით გრძელდებოდა, მოსაწყენი და არც ისე საინტერესო გაკვეთილებით. ბავშვები გულდასმით აკვირდებოდნენ მასწავლებლის ხატვის ტექნიკასა და შესრულების მანერას, მე კი არასდროს, რადგან მიმაჩნდა, რომ ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია და შესაბამისად, ყოველ ადამიანს შეუძლია შექმნას რაღაც განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. ასე მჯეროდა ყოველთვის, რის გამოც არაერთხელ მიმილია შენიშვნა, მაგრამ განსაკუთრებით ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა. შემთხვევა, რომელმაც მძაფრად დაისადგურა ჩემში.

ერთხელ, მორიგი გამოფენისთვის ვემზადებოდით, როდესაც, ჩვეულებისამებრ, შეამოწმეს ნახატები. რიგის ნომერს გვანიჭებდნენ და ასე ამოწებდნენ თითოეულ ბავშვს, დიდხნიანი ლოდინის შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა. მივუტანე ნახატები და მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ნამუშევრების დანახვისთანავე მათ სახეზე ერთდროულად აღიბეჭდა სიბრაზე და სიძულვილი, ამის მიზეზი კი მხოლოდ ის იყო, რომ სხვა ნამუშევრებს არ ჰგავდა. ბოდიშის მოხდის ნაცვლად აღნიშნე, რომ სულიერი სამყარო საკმაოდ კარგად მქონდა გადმოტანილი და ამით უბრალოდ ჩემი სათქმელი გადმოვეცი. მოულოდნელმა პასუხმა მათში აღშფოთება გამოიწვია, უფრო მეტად გამიბრაზდნენ და ნახატები, რომლებიც მთელი გულით დავხატე, წამებში ნაკურნებად აქციეს. იმ წამს ყველა და ყველაფერი მეზიზღებოდა, თუმცა რა აზრი ჰქონდა, ნახატები ხომ ვეღარ გამთელდებოდნენ. გარკვეულწილად, ასეთ შეფასებას მიჩვეულიც ვიყავი და ბოლოს გადამიარა წყენამ.

როგორც უკვე აღვნიშნე, აღსაზრდელების ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობოდა. ამ დროს, არაერთი ადამიანი მოდიოდა სხვადასხვა ქალაქიდან თუ სოფლიდან. გამოფენის გამართვა თითოეულ ბავშვს გვაძედნიერებდა, მაგრამ სამწუხარო ამბავი ის იყო, რომ მხოლოდ ერთი ან ორი ნახატი თუ მოხვდებოდა ჩემი შემოქმედებიდან. აღმზრდელები ყოველთვის უკმაყოფილოები იყვნენ ჩემით; მათ ისეთი ადამიანები მოსწონდათ, რომლებიც ჩვეულებრივად ხატავდნენ. მე კი სწორად არ მიმაჩნდა ეს ყველაფერი, არა იმიტომ, რომ ვინმესგან რამის სწავლა არ მინდოდა, არა, უბრალოდ შინაგანი სამყარო სხვა რამეს მკარნახობდა, სულ სხვა რამის გადმოცემა მსურდა. ხშირად მესმოდა სიტყვები, რომ კარგად არაფრის გაკეთება შემიძლია, მხატვარი ვერ გამოვა ჩემგან და საერთოდაც, არ უნდა ვხატავდე. ამის გამო, საკუთარი თავის რწმენა არაერთხელ დამიკარგავს, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოდი და მათი აზრების მიუხედავად, არ ვნებდებოდი. ხატვას გულმოდგინედ ვაგრძელებდი, თანაც იმ იმედითა და ღრმა რწმენით, რომ ერთ დღეს ვინმე ჩასწოდებოდა ჩემს სათქმელს. როდესაც რაიმე გულით გჯერა და ამისთვის შრომობ, რა თქმა უნდა, აუცილებლად მიაღწევ საწადელს. ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ერთხელ, გამოფენაზე წაგვიყვანეს, შთამბეჭდავი იყო საგამოფენო სივრცე, დიდი ჭალებითა და პატარ-პატარა განათებებით მორთული დარბაზი. ყველაზე მეტად რამდენიმე ნახატმა აღმაფრთოვანა, უსაზღვრო სიხარულის განცდა დამეუფლა და გადავწყვიტე, რომ მათ ავტორს უნდა შევხვედროდი. საბედნიეროდ, ყური მოვკარი რომ მხატვარი ადგილზე იმყოფებოდა. დიდხანს, დაუინებით ვცდილობდი მასთან მისვლას და მოვახერხე, ყველაფერი

ვუთხარი, რაც გულიდან მოდიოდა. მასთან საუბრისას სიხარულითა და გაკვირვებით შეცაბუნებული ვიყავი, მიკვირდა რომ მომისმინეს, გული გამალებით მიცემდა. უცნაური შეგრძნება დამეუფლა, აქამდე არასდროს მოუსმენიათ ჩემთვის და არ ვიცოდი რა განცდა იყო. მხატვარი დამპირდა, რომ აუცილებლად მოვიდოდა ჩემთან. ამ ამბიდან ორიოდე საათში წამოვედით და ერთფეროვანსა და მოსაწყენ დღის წესრიგს დავუბრუნდით. გავიდა რამდენიმე კვირა, მხატვარი ჩვენთან ზუსტად მაშინ მოვიდა, როდესაც გამოფენა გვქონდა. გულთამხილავივით პირდაპირ ჩემს ნახატებთან მივიდა და ღიმილით შეჰყურებდა. მაშინვე შევნიშნე და ელვისებური სისწრაფით მივუახლოვდი. შემომხედა, დამაკვირდა, გამიხსენა და თქვა, რომ ისიც იმდენად იყო აღფრთოვანებული ჩემი შემოქმედებით, რამდენადაც მე მისი შემოქმედებით. გაესაუბრა ბავშვთა სახლის მეპატრონეს და სთხოვა, რომ ჩემი წაყვანის ნება მიეცათ. აღმზრდელებმა, რა თქმა უნდა, მას სიხარულით ჩამაბარეს.

ეს დღე იყო გარდამტეხი მომენტი ჩემს ცხოვრებაში.

საცხოვრებლად მხატვართან გადავედი, რამდენიმე თვეში სახელოსნოსთვის შესაფერისი ადგილი მოვძებნეთ და ავიყვანეთ მოსწავლები, რომლებსაც სრულ თავისუფლებას ვაძლევდით და სწორედ იმას ვასწავლიდით, რომ შემოქმედებაში ინდივიდუალიზმია მნიშვნელოვანი. სრულიად ამოტრო-ალდა ჩემი ცხოვრების თანმდევი მდორე წესრიგი, ახლა უკვე საინტერესო იყო ყოველი დღე. მე და მხატვარი სიხარულით ვთანამშრომლობდით წლების განმავლობაში, ერთად ვქმნიდით წამუშევრებს, რომლებიც ზოგს აღაფრთოვანებდა, ზოგს კი – ვერაფერი გაეგო. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ჩემ

ცხოვრებაში მზის სხივივით შემოიჭრა მშვენიერი გოგონა. კარგი ადამიანი იყო, მალევე დავმეგობრდით, მერე შეგვიყვარდა კიდეც ერთმანეთი. ისიც ხატავდა და გადავწყვიტეთ მთელი ცხოვრება ერთად გვეხატა. დიახ, სწორად მიხვდით, ჩვენ ერთმანეთს დავუკავშირეთ გულები და იმ ნიჭით, რომლითაც შემოქმედმა დაგვაჯილდოვა, შედევრების ერთად შექმნა გადავწყვიტეთ. სიყვარულით ვცხოვრობდით, ერთმანეთზე მუდამ აღვძექდავდით იმ ნათელ სხივს, რომელიც ჩვენი შინაგანი სამყაროდან გამოსჭვიოდა. მთავარი, ხომ სწორედ სიყვარულითა და გულწრფელობით სავსე ურთიერთობაა.

ჩვენი ურთიერთობა ისეთივე წარმავალი აღმოჩნდა, როგორც სხვა დანარჩენია წუთისოფელში, თუმცა არა! იმაზე სწრაფად წარმავალი, ვიდრე სხვა დანარჩენი. უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ეს ყველაფერი. ცივი, სუსხიანი ზამთარი, რომელიც მკაცრი იერითა და ცივი გამომეტყველებით მზარავდა, სასტიკად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში. ჯერ მხატვარი გამომეცალა ხელიდან, შემდეგ კი გოგონა, რომელიც მთელი არსებით მიყვარდა...

დავრჩი ისევ მარტო, გამახსენდა სიტყვები, რომ არაფრის კეთება შემიძლია. სულში სიცარიელე ვიგრძენი და დავკარგე რწმენა, რომლისთვისაც ადრე ვიბრძოდი.

ამ ამბის შემდეგ აღარ დამიხატავს, რადგან საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდოდა.

შობის ღამეს გარდაიცვალა ბავშვთა სახლის ასაკოვანი აღმზრდელი, რომლის ტანისამოსში იპოვეს ჩანაწერები, რომელმაც ნათელი მოჰვინა ყველაფერს. გაირკვა, რომ

მოხუცი აღმზრდელი სწორედ ის მხატვარი იყო, რომლის შედევრებიც დღემდე ამკობს მხატვრების დასახლებას და ამ დრომდე უცნობ მხატვარს მიაწერდნენ.

მოხუცმა აღმზრდელმა სიცოცხლის ბოლომდე არ გაამხილა საკუთარი ვინაობა.

რატომ მოიქცა ასე? იქნებ ადამიანებმა საკუთარი თავის რწმენა დააკარგვინეს და ხალხისადმი შიში მის სულში ჩასახლებულიყო, თან ისე შესისხლხორცებოდა, რომ ვეღარ იშორებდა?! – საკითხავია...

და რატომ დაბრუნდა ბავშვთა სახლში, იქნებ იმიტომ, რომ იგივე აღარ განმეორებულიყო?! – ვინ იცის...



## ნინო გუგარიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

### გულის ფორმის ყვავილები

*ვუძღვი ქალებს, რომლებმაც სცადეს ერთხელ  
მაინც გაეყვავილათ და დაჭკნდნენ.*

#### თავი I

ჩემი გაზაფხული სხვის გაზაფხულებს არ ჰგავს.

გაზაფხულის პირველ თვეს, როდესაც სამყარო სიყვარულს სწავლობს და ქუჩები სავსეა ჩითის კაბებში გამოწყობილი გულამოლებული თუ მკერდმოშიშვლებული გოგონებით, მე საავადმყოფოს მისაღებში ველოდები ჩემს რიგს, განჩინებას – ყვავილობის, ანდა დაჭკნობის. ხელში დაგორგოლავებული „ბინოკული“, ფორმა ასის ფურცელი მიჭირავს – გავიჭყიოტები, მოვაახლოვებ არარსებული ლინზით, წარმოსახვით

ჩემს მომავალს და თვალს ვუჩერებ სიცოცხლეს, მერე ვხე-  
და როგორ მომსდევს ჩემს გვერდზე ჩემივე სიყვარული და  
მივრბივართ...

— ეკატერინე რომელია? — მომავლის ფიქრებს ბზარა-  
ვს ექთნის შეძახილი ჩემი სახელი და უნებურად გავრბივარ  
სადღაც.

— აქეთ, ქალბატონო, პირდაპირ და მარჯვნივ — ვუახ-  
ლოვდები ექიმის კარებს, სახელურს ვქაჩავ და ოთახიდან  
მიმზერს ასე ორმოცდაათ წელს გადაცილებული ჯმუხი შეს-  
ახედაობს მამაკაცი. მისი თვალებიდან არც მზე, არც სიმწ-  
ვანე არ იხედება... ხალათისფერ თმებში სათვალე მოუჩანს,  
მაჯაზე „უფალო შემიწყალეს“ სამაჯური, ოთახი კი წამლებ-  
ისა თუ შემორის სუნად ყარს.

— ქალბატონო ეკატერინე, შემობრძანდით, მიამშეთ  
თქვენზე!—მეძახის ხმა, რომელსაც უნდა, რომ გადავრჩე,  
თუმცა...

— მე, მე... — ახლადენაამოდგმული ბავშვივით ავიკვიატე  
ეს „მე“ და სკამს ზურგით ვეყრდნობი.

— მესმის თქვენი შფოთვა და ნერვიულობა. ეს ნორმალუ-  
რია. — მპასუხობს ჯერაც უცნობი ხმა...

— „ნორმალური“ — ვუფიქრდები ამ მეტად არაფრისმთქმელ  
სიტყვას და დაწყებულ საუბარს ვაგრძელებ:

— ბატონო სოსო, მე თქვენზე, თქვენივე გამოჯამრთელე-  
ბული პაციენტებიდან ბევრი საქებარი სიტყვები მოვისმინე...  
სწორედ ამის ფონზე გადავწყვიტე სრულიად გენდოთ...

— ნამდვილად გქონდეთ ჩემი იმედი. გარწმუნებთ ეს  
ოპერაცია ადვილად და უმტკივნეულოდ ჩაივლის.

— ქალისთვის ეს მუდამ მტკივნეულია, ექიმო... ხვალ,

ამ დროს გავიღვიძებ და ჩემი მომავალი შვილის „საწოვარი ძუძუს“ მაგივრად ნაკემსარი და ნაჭრილობევი იარსებებს – მესმის ძალიან კარგად, თუმცა დიდი რისკია შვილი არა-სოდეს გეყოლოთ, ეს თქვენც ხომ იცით, არა?!

– იმედია, უფალი შემიწყალებს ექიმო...

ავდექი, წამოსვლამდე კიდევ ერთხელ შემომიცინა ექთნის მზერამ, თითქოს ჩემს მეტს ვერავის ხედავდა, ისე მიყურებდა, როგორც საოპერაციო მაგიდაზე გაშხლართულ მკვდარს.

რა საინტერესოა, არა სიკვდილი?! თითქოს ამოუხსნელი გამოცანაა, რომელსაც სხვადასხვა პასუხებამდე მიყავხარ და იმდენჯერ კვდები, რამდენჯერაც შინაგანად „გწიწუნის“ დამ-დგარი რეალობა, ჩემს შემთხვევაში მკერდმოკვეთილობის ამბავი. ნეტავ სიცოცხლე ეცდება ჩემს დატოვებას?! თუ მეც ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ სიკვდილის?!

## თავი II

სამყარომ ჩემ წინააღმდეგ გაილაშქრა – ან უნდა გავქ-ცეოდი, ან უნდა მებრძოლა!

წინასაოპერაციოდ შინაგანი თავის შემზადების სურვილი იმდენად ამეკვიატა, რომ მთელი საღამო სარკის წინ ჩემს სხეულს უუმზერდი და თვალებს ბოლოჯერ ვამახსოვრებდი გულის მხარეს გამობურცულ მკერდს.

თვეების წინ ცარიელი ხელებით ვიდექი ცარიელ სამ-ყაროში და ჩემმა უჩუმარმა წაქცევამ სულაც არ შეარხია დედამინა. სულ, რაღაც ოცდაცამეტი წლის ასაკში დამისვეს დიაგნოზი – მასტექტომია, ჩვენს ენაზე, რომ ვთქვათ „ძუძუს

მოკვეთა“ მჭირდებოდა.

წარმოიდგინეთ, ერთ დღეს შეიძლება დაიძინო და გულის მხარეს უეცარმა ტკივილმა გაგაღვიძოს, მერე გაატარო, არ შეიმჩნიო ეს ყველაფერი, „გულზე ჭვალის „დადგომა“ გეგონოს და გადაიფიქრო ექიმთან მისვლა, თუმცა იმდენად გაგიხშირდება ეს ტკივილი მარცხენა მხარეს დაძინებას გადაეჩვევი, მოგბეზრდება გაშხლართული წოლა და მიაკითხავ საავადმყოფოს, დადგები დაუსრულებელ რიგებში და საბოლოოდ აღმოაჩენ, რომ ცალი მკერდით უნდა დაგტოვონ. რას მოიმოქმედებ? გამოპრუნდები, აზლუქუნებული ცრემლებს მიწაზე გააბნევ და ჩაიძირები სიბნელეში, შემდეგ მოგბეზრდება ეს სიბნელე და სინათლის ძებნას დაიწყებ სიყვარულში, თუმცა ეს სინათლეც მიქრება და ჩაგენაცრება... ვის რა ჯანდაბად უნდიხარ ცალმკერდიანი, გაურკვეველი მომავლით, უშვილო ქალი ?!

— ეკატერინე, თქვენ უკვე აქ ხართ ? — მაფხიზლებს ფიქრებიდან სოსო ექიმი.

— ჰმ... დიახ, სულ ცოტახანია მოვედი.

— აბა, როგორი შემართებით ხარ ?

— ჯერ კიდევ ძნელია გავაანალიზო ეს ყველაფერი, მაგრამ ვფიქრობ გადავლახავ.

— რა თქმა უნდა...

— ბატონი სოსო, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

— დიახ, გისმენ ეკატერინე...

— შესაძლებელია სრულად არ მოიკვეთოს? ანუ იმას ვამბობ, რომ...

— არა, არა ეკატერინე... ეს შეუძლებელია! წვრილი ლაზერი თქვენს ჯანმრთელობას დააზიანებს — შემომიბლვირა

ვეფხის თვალებითა და სკამზე ჩამოჯდა.

- კი, მაგრამ...
- არანაირი, მაგრამ...

გავბრაზდი. სიტყვა გაწყვეტილი დავტოვე ექიმი და კარ-ები მოვუჯახუნე ოთახში დატოვებულ ექოს, რომელიც ჩემს სახელს გაიძახოდა. არ მივბრუნებულვარ, თავს შეურაცხყო-ფილად ვგრძნობდი.

### თავი მესამე

გამთენისას, როდესაც შენს ფანჯარაში მზე შემოიხე-დავს, ყოველთვის კარგი დღის მომასწავლებელი არ არის. გახსოვდეს, რამდენადაც მისი სხივები გიზიდავენ და გათბო-ბენ, იმდენად გწვავენ.

დილაუთენია ავდექი. ხშირად ვფორიაქობდი უმიზეზოდ და არ გამკვირვებია ჩემი შფოთვა და ბოლთის ცემა ოთახი-დან ოთახში. საკუთარ თავს ვეჩიჩინებოდი, რომ თითქოს ყველაფერი კარგად იყო და სამყარო ჩემს მხარეს იდგა, მაგრამ ეს ზედმეტი ილუზიები მალე მომბეზრდა. ამასობაში ტელეფონმაც დარეკა:

- ეკა, ნინი ვარ. როგორ ხარ?
- უი, ნინი შენ ხარ? კარგად მადლობა, შენ როგორ ხარ?
- რა ვიცი, ძველებურად, ვმუშაობ და ასე. დაგირეკე, რომ გამეფრთხილებინე დღეს საღამოს ძველი კლასელები ვიკრიბებით ჩემთან და გაგვიხარდება შენც თუ იქნები, ხომ მოხვალ?

- იცი...
- უარი არ მიიღება. მიდი, ცოტას გავერთობით, ძველ  
დროს გავიხსენებთ...
- ვიფიქრებ...
- ეკატერინე, ეკა! სულ ასე იცოდი ბავშობაშიც... არა-  
ნაირი ფიქრი, წამოხვალ გადაწყვეტილია.

ნინის ხმა ტელეფონში სიჩქმემ შეცვალა. ავადმყოფის კვალობაზე, მაინც გადავწყვიტე ლამაზად გამოვწყობილი-ყავი და გამეხსენებინა ჩემი გოგონბა. კარადაში ჩემი ბავშობის კაბა მეგულებოდა. აი, ის დედაჩემმა თორმეტი წლის წინ რომ მიყიდა დაბადების დღეზე და პატარა მომივიდა. უფრო სწორად პატარად ვასალებდი, იმის გამო, რომ არ მომწონდა ჩემს დაქალებულ სხეულზე, ოცდაერთი წლის ასაკში მუხლს ქვემოთ ჩამოშვებული გოფრეს ნაჭერი, მაშინ ხომ მოკლეკაბიანობის, მკერდმოშიშვლებულობის ხანა მედგა.

საბოლოოდ, გამოვიდე ჩემი დამტვერილი ბალახისფერი კაბა და ჩამოვიცვი. მომიხდა, უფრო სწორად, როგორც ტანსაცმლის გამყიდველები იტყოდნენ ჩემს ტანზე იყო შეკერილი და ზედ „დამაკვდა“ თორმეტი წლის წინანდელი, არ მოწონებული კაბა, რომელსაც ჩემი ძველი სუნამოს სურნელი ასდიოდა. სუნამოსთან ერთად კი იმ მოგონებებს მახსენებდა, როცა დედაჩემი გვერდით მყავდა და ვიცოდი ვიღაცას ვუყვარდი, ვიღაცისათვის ვარსებობდი.

თმაზე დიდი ხანი არ მიწვალია – გამოვიბი „ძუა“, გადავიკიდე ჩემი ორი წლის წინ სამსახურისთვის ნაყიდი ხელჩანთა და გავუდექი ნინიკოს სახლისკენ გზას. გზაში გადავწყვიტე ტკბილეული გამეყოლებინა. ვიცოდი, როგორ უყვარდა ნინიკოს, ბოლობოლო ბავშვობის ჩვევები ხომ დიდობაშიც რჩე-

ბა, ხოდა მეც გამახსენდა, ყოველი გამოცდის წინ როგორ მიირთმევდა სკოლის „ბუფეტში“ ნაყიდ შავ შოკოლადსა და როგორ მიწილადებდა ხოლმე.

ახლა უკვე, ცალ ხელში „კორონას“ შოკოლადები მეჭირა და მეორე ხელში ჩანთაგადაკიდებული მივაბიჯებდი მზესთან ერთად, ოფლში განურული და ჯერ კიდევ ვგრძნობდი სიცოცხლეს.

### თავი მეოთხე

არასოდეს შემეძლო მეფიქრა სინანულზე, მანამდე სანამ კიბოს გარდა მარტოობამ არ დამაავადა.

ნინიკოსგან დაბრუნებულს სახლში მარტოობა შემეჩება. მოუწყენია ჩემ გარეშე, კითხულობს ჩემს ამბავს და თან მეკითხება: – რატომ დამივიწყეო? არ ვიცი, რა ვუთხრა... მივჩერებივარ ჩემს განახევრებულ ტანს, ჩემს არაამობურ-ცულ მკერდსა და მეტირება.

ასეა, ხშირად იმდენს გაიღიმებ, იმდენს გაიხარებ სხვებთან, არ გრჩება დრო სხვებს შენს მარტოობაზე მოუყვე. ისევ მარტოობასთან გინევს საუბარი:

- მომშორდი! – ვეუბნები ჩემში დასადგურებულს და ოთახის კედლებში ჩარჩენილს.

- როდის წახვალ, როდის შემეშვები?! – ვიცინი, ცოტა დალეული და ზედმეტად მარტო ვარ.

მახსენდება, რომ სუფრის კოლორიტ, ყველაზე სიმპატიურ ბიჭსა და ამასთანავე ჩემს ყოფილს, გიორგის, ჩემი ახალი ნომერი ჩავაწერინე. ტელეფონი არ რეკავს... ვგრძნობ,

როგორ მანვება წარსული გულზე... მკერდთან ჭვალი მადგას, რომელიც სულ ცოტა ხანია კიბოდ წარმომიდგინეს ექიმებმა. მახსენდება ჩემი გაბრწყინებული თვალები, სკოლის პირველივე მერხიდან დაწყებული სიყვარული და თან მაგიდაზე დადებულ ფურცელის ნაგლეჯზე გულის ფორმის ყვავილებს ვხატავ.

ნეტავ, რანაირი ვიქწებოდი მაშინ, გიორგის რომ გავყოლოდი გერმანიაში?! ან როგორ დაამშვენებდა ჩემს თითს მოკაშკაში, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი? ვინ იცის, წარსული ჩემს მარტოობას შეეჩინა, თუ მარტოობა წარსულს ?! ოდესმე კი მიყვარდა ასე ყოფნა და თუ მყვარებია გიორგი?!

გვიან საღამოს ტკივილები ხელმეორედ მიცოცხლდებიან... არც ერთი კითხვის პასუხი არ მაქვს. ჩემი ტვინის ნათხემში ალკოჰოლი იმდენად გაიჟღინთა, რომ საწოლზე ვამხობ ჩემს ჯერ კიდევ ორივე უსწორმასწორო, მოშიშვლებულ მკერდს, საიდანაც რძის ნაცვლად მჭკნარი ყვავილების სითხე მოჟონავს. ვიძინებ.



## ნინო გოგუა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### „ქუბგალე, ბება!“

ცხრა წლის ვიყავი, პირველად რომ გამიკვირდა, ან პირველად მაშინ გავიაზრე, რომ ჩემთვის უჩვეულო, თუმ-ცალა სხვებისთვის სულისშემკვრელ ნაბიჯს ვდგამდი, აფხ-აზეთში როცა ჩავდიოდი.

ცხრა წლის ვიყავი, პირველად რომ გამიკვირდა ბებოს ცხრემლები ჩემი დანახვისას.

ცხრა წლის ვიყავი, უკვე თვალშეჩვეულს, რუსი მესაზ-ლვრის იარაღი რომ დავინახე და, თითქოს ძილბურანიდან გამოსულმა, დედის კალთას შევაფარე თავი.

ცხრა წლის ვიყავი, რომ ვერ ვიგებდი, რატომ არ უნდა მესაუბრა ქართულად და რატომ მეუბნებოდა ბიძაჩემი – „დიდი გოგო რომ გაიზრდები, რუსული ისწავლე, თორემ ჩვენთან ალარ გამოგიშვებენო“.

ცხრა წლის ვიყავი, როცა არ მესმოდა, რისგან ან ვისგან მიცავდნენ და რატომ გვჭირდებოდა ჩვენს მიწაზე საზღვარგარეთის პასპორტი, ათასი ჩემთვის გაუგებარი ფურცლის დასტა.

ბებოს თუ ჰკითხავთ თავის განვლილ წლებზე, მხოლოდ იმაზე გიამბობთ, რომ ექვსი შვილი შეეძინა და თითოეული - ერთმანეთისგან განსხვავებული. თუმცა, არასოდეს გეტყვით, რომ ომის ქარ-ცეცხლი გამოიარა, რომ გზას იკვალავდა და ნაკვალევს შლიდა, რომ მისი თანატოლების ნახევარი იმ დღის შემდეგ არ უნახავს... რომ მშვიდობა იყო მისი წმინდა გრაალი, რომ თავსაც გასწირავდა, ოლონდ ოჯახი გადაერჩინა ან გადაერჩინათ, რომ, რომ და რომ...

ყოველი საუბრის, მიხევრამოხვრისა თუ პატარ-პატარა საიდუმლოების გამხელის შემდეგ, მეუბნება – „ქუგგალე, ბებ!“ თითქოს, მონატრებასა და დაკარგულ დროს ეხმიანება და სათქმელს სამ სიტყვაში ატევს.

ცოტა რთულია დიდობა. ბავშვობაში დასაშვებია, რომ ჯადოსნური ჯოხით გააქრობ ყველას გონებიდან ცუდ ფიქრებს – „აბრაკადაბრა“ და ეგ არის! რთულია ყველა ცუდი ამბავი მოისმინო და მხრებზე ლოდი არ დაგაწვეს. რთულია სხვისი, ტკივილისგან დანაწევრებული გულის გამთელებას ცდილობდე და გეტირებოდეს. რთულია ფიქრი და ამ ფიქრში არ აპნევა, არ ჩახლართვა, არ გააზრება, არ გაბრაზება და შემდეგ ამაზე არ ლაპარაკი. რთულია, გართმევდნენ იმას, რაც შენი ნებით არ დაგითმია და ვინმეს რომ ეკითხა, არც დათმობდი.

პატარა რომ ვიყავი, ბებოს ვპირდებოდი – „გურიაში რომ წავალ, შენც წაგიყვან-მეთქი“. ახლა ვეღარ! და ყველამ კარ-

გად ვიცით ვერდიქტი, რომელიც მანამ იმოქმედებს, სანამ ფიქრშიც ლიმიტებს დავაწესებთ.

მავანნი „ქართველოს“ მეძახდნენ აფხაზეთში, დღესაც ამ სახელით მომმართავენ. ის აფხაზი ნათესავიც „ქართველოს“ მეძახდა, ყოველ დღე რომ უმტკიცებდა დედაქარებს, თითქოს არც გალი, არც გაგრა და არც სოხუმის ზღვის სანაპირო იყო ჩვენი. ახლა ვერც ქვიშაზე მოხარშულ ყავას მიირთმევს მეგობრებთან ერთად და ვერც მამა გაუბრაზდება, რადგან ზღვაზე გაიპარა. სოხუმში ვერც გაივლის, თუ არ ჩათვლის, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა მიუხედავად იმისა, რომ იქ ყველაფერი იგივეა, ზუსტად იგივე! იქ ინახება მისი ისტორია, კადრები, ლიმილები, გაპრანჭვები, კოპწია სიკეკლუცე და მისი წილი აფხაზეთი.

არასდროს ხარ საკმარისად დიდი ომისთვის, ქაოსისთვის, გაუგებრობის ან გაგების არ გადმოცემისთვის, ძალდატანებული ლიმილისთვის და ხურდასავით დასაბრუნებელისთვის. ერთგან ბალზაკი ასეთ რამეს ამბობს: „სკიპტრა პატარა სათამაშოა ბალლისთვის, ნაჯახია რიშელიეს ხელში, ხოლო ნაპოლეონისთვის დედამინის ასაწევ ოწინარს წარმოადგენს“, ძალაუფლებაა ჩვენში სკიპტრაც და გვირგვინიც. მე ჩემი ძალაუფლება მქონდა, ჩემივე კანონზომიერებებით და კიბეზე დამოუკიდებლად ასვლასა და ჩამოსვლაში მეხმარებოდა. ყველას თავისი საფეხურები აქვს ცხოვრებაში, მაგრამ ყველას არ შეუძლია მასზე საყრდენის გარეშე გავლა.

და მაინც, ვინ ვართ უერთმანეთოდ, საიდან მოვდივართ ან საით მივდივართ?! დაკარგულს კვლავ ვკარგავთ, თუ დასაბრუნებლად ვიბრძვით?! თავს ვწირავთ, თუ ვთავისუფლდებით?! სევდა გვაძლიერებს, თუ გვასუსტებს?! ვინ იცის?!



## ნინო ცეიტიშვილი

საქართველოს შოთა რუსთაველის  
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

### განსპასულებების ღამე

დენს თავიდან ეგონა, რომ მოეჩვენა.

ეს მხოლოდ დაღლილობის ბრალი იქნებოდა. მუდმივ შრომაში გადაქანცული კაცის გასაფრთხილებლად მოსული ბნელი ზმანება, რომლის მერეც უბრალოდ გემრიელად გამოიძინებდა, თუ განსაკუთრებულად მძიმედ იგრძნობდა თავს, ერთ თავისუფალ დღესაც აიღებდა, შემდეგ კი, კვლავ ჩვეულ ყოველდღიურობას დაუბრუნდებოდა.

დაინერის ძველი, რეცხვისგან გაქექილი თეთრი ჭიქა ყავიანად კვლავ თევზზე დადო, ამოიხვნეშა, ჯიბიდან ცხვირ-სახოცი ამოილო და სახე მოიწმინდა. თვალები წამით დახუჭა, რათა ყველაფერი ადგილზე დალაგებულიყო მის გულისცე-მასთან ერთად, რომელიც მკერდს შეუჩერებლად აწყდებოდა შიგნით.

აი, წამიერი ქარიშხალიც ჩადგა მის სულში. დაჭიმული ქუთუთოები მოეშვნენ.

დენმა თვალები გაახილა.

ახლა კი მართლა ეგონა, რომ ადგილზევე მოკვდებოდა.

სამი წლის შემდეგ დრიუ მაკლარენი იმდენად შეცვლილიყო, რომ ალბათ ძველი მეგობარი ქუჩაში ვერც იცნობდა. სამაგიეროდ, იმ კაცს, რომელიც მთელი წელი მის სახეს სასამართლო დარბაზში პირდაპირ უყურებდა, ამის დავიწყება არ შეეძლო.

ის კვლავ მის პირისპირ იჯდა, ოღონდ უფრო ახლოს. არა ოთახის მეორე ბოლოში, ათი თუ ოცი მეტრის იქეთ, არამედ სულ რაღაც ერთი შუშის მიღმა, მეზობელ მაგიდასთან. ზუსტად ისეთივე გაქექილი ჭიქა ედო წინ და კოვზით შაქარს ძალიან ნელა ურევდა.

როცა დენის თანამშრომელი და მეწყვილე ლუისი ორი სავსე თეფშით დაბრუნდა და მას ლაპარაკი გაუბა, მაკლარენ-მაც თავი ასწია და დენს შეჭმული წითური წარბების ქვე-მოდან მიაშტერდა. კაცი ამ სახეს კარგად იცნობდა, მაგრამ ამ ცარიელ, სასტიკ მზერას არა.

მაშინ მაკლარენი ჯერ ჩვიდმეტი წლის იყო. „პატარა მტი-რალა ბიჭი“, როგორც მას დენის ადვოკატი მოიხსენიებდა. მოსმენებზე ენა ებმებოდა და წინადადებებს ვერ ამთავრებდა, როგორც კი თხრობისას იმ ერთ კონკრეტულ ადგილას მივიდოდა, მთელი ტანით ცახცახს იწყებდა, ერთიანად ოფლი ასხამდა და თავბრუ ეხვეოდა. ადვილი ხომ არაა, გაიხსენო, როგორ ჩაგაკვდა საყვარელი ადამიანი მკლავებში.

დენს თვალწინ სულ ბოლო მოსმენა დაუდგა. მაშინ წამით შეეპარა ეჭვი, ეგონა ციხის კედლების სახეხად იყო განწირ-

ული, რადგან დრიუმ თავისი ჩვენება ზედმიწევნით ზუსტად ჩააბარა, მიუხედავად რამდენიმე საკვანძო მომენტში წაბორ-ძიკებისა. მაგრამ ბებერს ბედმა გაულიმა.

გამამართლებელი განაჩენის მოსმენის შემდეგ, დარ-ბაზიდან გასვლისას დენმა ბოლოჯერ დაინახა მაკლარენი. თითქოს მომაკვდავი, ძალაგამოცლილი. ცარიელი მზერა მის-თვის მიეპყრო და ერთ ადგილას გაშეშებული არ იძროდა.

— იცნობ? — ფიქრებიდან ლუისმა გამოარკვია, რომელიც თვალებს მის მზერას აყოლებდა.

— ჰა?... არა. არა.

დენი ამ პატარა ქალაქში უკვე ორი წელია ცხოვრობ-და. მშვენიერ მაღალ, ორსართულიან სახლში. ჰელოუინზე ტკბილეულს არიგებდა, შობაზე სახურავიდან მოციმციმე ნათურებს კიდებდა და მეზობლებს ის უბრალო, კეთილი ხან-შიშესული მარტოხელა ძია ეგონათ.

თავადაც სურდა დაეჯერებინა, რომ სინამდვილეში მარ-თლა ცველაფერი ასე იყო. სწორედ ამიტომ სახლი მის კომ-ფორტის ზონად იქცა. მართალია, საკუთარ თავთან მარტო რჩებოდა, მაგრამ რატომდაც მაინც, როგორც კი საღამოს კარის ზღურბლს გადაბიჯებდა, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა და ერთიან ჰარმონიაში მოდიოდა.

თუმცა, დღეს მან კიდევ ერთხელ შეამოწმა კარის სახე-ლური, სანამ კიბეზე ავიდოდა.

დენმა ძლიერი თავბრუსხვევა იგრძნო, ფანჯარას მოშორ-და და აქოშინებულმა უკან დაიხია.

წარსულის ფანტომებმა მის სახლშიც შემოაღწიეს. ხვდე-ბოდა, რომ ახლა ის ერთადერთი წმინდა კუთხეც აღარ გააჩნ-

და, რომელსაც თავს აფარებდა.

ათი წუთის ნინ იგი სარწეველაში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა ნახევრად მძინარე, ბურანში გახვეული. თითქმის დარწმუნებული, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდა. ნინა კვირას ეს ალბათ უბრალოდ შემთხვევითი შეხვედრა იყო, ჩვეულებრივი დამთხვევა.

ღია ფანჯარაში საღამოს ქარი უბერავდა და თეთრ ფარდებს აფრიალებდა, როცა დენმა მისი დაკეტვა გადაწყვიტა. რაფასთან მისულმა მეზობელი სახლის სარკმელში, რომელიც ზუსტად მის პირდაპირ იყო, უჩევულო სიცოცხლე შენიშნა.

სინათლეში, ოთახის მარცხნიდან მომავალი ფიგურის ჩრდილი გაკრთა. დენი დაიძაბა. ფანჯრის ხის ჩარჩოში, ნახატის მსგავსად აწყობილი კომპოზიცია გამოჩნდა. ნინ ფირსაკრავი, მარჯვნივ სანერი მაგიდა ზედ არეული ფურცლებით, მარცხნივ, სკამზე გადაკიდებული პერანგი და მის უკან, კედელზე ნახატი. თითქოს წინასწარ მოწყობილი ფონის შესავსებად ჩრდილის პატრონიც გამოჩნდა. დრიუ მაკლარენი. პირში გაჩრილი სიგარეტით, შარვლის ამარა ოთახში დააბოტებდა და ფეხსაცმელს წმენდდა.

დენმა ძალიან კარგად იცოდა, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდა. და მაინც, გული ძლიერად უცემდა და რული არაფრით ეკარებოდა. თვალგახელილს ორივე ხელით ჩაებლუჯა საბანი, მის ქვეშ თავამდე ჩამძვრალიყო და ჭერს მიშტერებოდა.

ბოლოს ხომ მოიშორა ეს სასამართლო, პოლიცია, დევნა და გაუთავებელი შეკითხვები. ხომ გასაგებად უთხრა ადვოკატმა, რომ შეეძლო ამის შემდეგ მშვიდად გაეგრძელებინა

ცხოვრება. ის კაცი ტყიური მგელივით კრეჭდა კბილებს და შენამიანი გველივით საკბენად გამზადებული ემზადებოდა, რათა პატარა ბიჭს ყოველ სიტყვაზე დასხმოდა თავს და ეს უკანასკნელი არამზადა სოროდან უვნებლად გამოეძვრინა.

დენმა თვალები მაგრად დახუჭა. ყურებში აქამდე ასჯერ გაგონილი ხმა ალაპარაკდა.

„ელისი სახლში არ მიდიოდა. ჩემთან უნდა დარჩენილიყო. იმ დღეს მისმა მშობლებმა იჩხუბეს და ის ძალიან ნაწყენი იყო“

კაცმა თავისდა საუბედუროდ ყველა სიტყვა ზეპირად იცოდა ამ ჯოჯოხეთური მონოლოგიდან.

„მთელი სალამო ტიროდა, მერე დაეძინა. მეც ძალიან დავილალე და ვერც გავიგე, როდის გავითიშე. სადღაც ცხრა საათისთვის გონზე მოვედი. როცა მოვიხედე, ოთახში მარტო ვიყავი და გარშემო უკუნეთი იდგა“.

დენს სული ეხუთებოდა. საბანი მოიშორა, ბალიში ამოა-ტრიიალა და სახით გრილ მხარეზე დაემხო. თვალებს მაგრად ხუჭავდა. ჩრდილები, მართალია, ნაკლებ მკვეთრად, მაგრამ მაინც თამაშობდნენ და მზერას წვავდნენ.

„ყველაფერი რაღაც უცნაურად მეჩვენა. სახლი შემოვ-იარე, მაგრამ ელისი არსად იყო. დედამ მითხრა, რომ შინ წავიდა და სთხოვა არ გაველვიძებინე. ისიც დაამატა, რომ შორს არ იქნებოდა, ჰოდა მეც დაგვარი ფეხი და გარეთ გამოვვარდი. ქუჩის ბოლომდე ჩავალწიე და მაშინვე ახლოს გან-წირულ ყვირილში ჩემი სახელი მომესმა“.

დენი შეუჩერებლად წრიალებდა. ადგილს ვერ პოულობდა. საწოლის ზამბარების ჭრიალი თითქოს ის ქორო იყო, რომელიც კაცს მართლმსაჯულების მსახვრალი ხელის ზეიმის

დადგომას მრავალხმიანობით მოასწავებდა. ქუჩაში, სადღაც შორს პოლიციის მანქანა ახმაურდა.

დუჟმორეულმა დაიღრიალა, საწოლიდან წამოვარდა და ტანსაცმელს ეცა.

დაღმართზე კისრისტეხით დაეშვა. ვერც შეამჩნია, როგორ წამოედო უცხო საგანს და მხოლოდ მაშინ მოვიდა წამით გონს, როცა ასფალტზე ცხვირით დაეხეთქა. დარჩენილ მანძილზე ზვავივით მოგორავდა. როცა წელი აიკრიფა, ეგონა ლრმა ძილიდან გამოფხიზლდა და გარშემო მიმოიხედა.

ცივ ღამეში მარტო იდგა მაღალი ფანრებით განათებულ, ცარიელ ქუჩაზე, უსახელო მაისურისა და შარვლის ამარა.

გაეცინა კიდეც, რა სისულელე დაემართა, ამხელა კაცი რამ დააფრთხო...

მოტრიალდა, აღმართს ნელა, სვენებ-სვენებით უნდა აჰყოლოდა, როცა უცებ წინ დაიხედა.

სისხლიანი, წითელი თითები და გულმკერდზე გამუქებული ღაები რომ დაინახა, მაშინვე ისევ თვალთ დაუბნელდა.

გოგონა უკან გადაქანდა და მიწაზე ზურგით დაეცა. კი, როგორც იქნა, ყვირილი შეწყვიტა, მაგრამ...

ადვოკატს რომ უფლება მიეცა, ხომ იტყოდა, რომ სროლა სულაც არ უნდოდა! მოსამართლე ნამდვილად გაუგებდა.

დენი მაღალ ბუჩქებს გზიდან ხელით იშორებდა. მან გზის გადაღმა ტყეს შეაფარა თავი, როგორც ველურმა მხეცამა. აჭარხლებული, პირაქაფებული რაღაცას დუდლუნებდა. თავს ისევ არწმუნებდა, ისევ ატყუებდა.

მის უკან ბალახები აშრიალდნენ. კაცი ადგილზე გაშეშდა. თავი მოატრიალა, მაგრამ მხოლოდ მუქ სიმწვანეს ხედავდა, რომლის მიღმაც არაფერი ჩანდა, გარდა ზემოთ ცის ნაგლე-

ჯისა.

დენმა დაიღრიალა და ბუჩქებს დაერია. ხელებს გამწარებული იქნევდა, ცდილობდა მდევრისთვის მოერტყა, მაგრამ მხოლოდ მწვანე ლეროებს ლენავდა. მაშინ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ერთადერთ გზად მარტო გაქცევა რჩებოდა და ისევ წინ, ფოთლებში დურთა თავი. ხმები მაინც ფეხდაფეხ მისდევდნენ უკან, ისიც უმატებდა და უმატებდა სიჩქარეს. სუნთქვა ეკვროდა და ეგონა, იქვე დაეცემოდა, თუმცა, ამის ილბალი არ ერგო.

კაცი მწვანე მდელოზე გამოვარდა, რომელიც ზომით ერთ ფეხბურთის მოედანს უდრიდა. გარშემო, წრეზე ტყის მაღალი, თავნაწვეტებული ხეები ერტყყმოდნენ. ისინი ღამის ნიავში ისე შრიალებდნენ და ირწეოდნენ, როგორც მოცეკვავები მოძრაობენ სინქრონში, თითქოს რამდენიმე ადამიანი ერთ სხეულში გაერთიანებულა.

დენი მდელოზე ბარბაცებდა, ცაში იყურებოდა და აღარ იცოდა, საით აეღო გეზი.

მოწმენდილ სილურჯეში ვერცხლისფერი წერტილები ისე მშვიდად, ლამაზად კიაფობდნენ, რომ კაცს გულზე მოეშვა. ამოისუნთქა და ბალახზე სულის მოსათქმელად ჩამოჯდა.

— საღამო მშვიდობისა. — მოესმა უეცრად. ცაში ცქერისას ვერც ბუჩქების შრიალი გაიგონა და ვერც მტკიცე ნაბიჯების ხმა.

შიშმა ისევე ძლიერად წაუჭირა ყელში. აღარც გაქცევა შეეძლო და ბრძოლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, როცა მთელი ექვსი ფუტის სიმაღლის ადამიანი, რომელსაც ფერმერთალი სახის კანით და მრისხანების მომწვანო ცეცხლით აგიზგიზებული თვალებით თავად სიკვდილის სახე მიეღო, მისკენ

შეუჩერებლად მოიწევდა.

დენი გაურკვეველ ხმებს გამოსცემდა, თითქოს შენყალების თხოვნა სურდა, მაკლარენისკენ მხეცივით ოთხზე დამდგარი მიფორთხდა და მუხლებში ჩაუვარდა, მაგრამ ბიჭმა ძლიერად მისცხო ყბაში და მოიშორა.

ხელში მძიმე ურო ეჭირა, რომელიც გულმოდგინედ მოიმარჯვა და კაცს ფეხდაფეხ მიჰყვა. ეს უკანასკნელი ზურგს უკან ბალახს ეჭიდებოდა და აყმუვლებული უკან იწევდა.

– ხომ იცი, რომ ჩემი ბრალი არაა... მე არაფერ შუაში ვარ – დენი ძლიგს გასაგებად ლულლუღებდა და მოთქვამდა. – ნუთუ ვერ ხვდები... თვითონ გადამეყარა გზაჯვარედინზე....

– და რა?! – შეჰყვირა დრიუმ – მისი ბრალი იყო, რომ შენ, წუმპედან ამოთრეული მახინჯი, გარყვნილი ნაძირალა...

– მე ხომ სროლა არ მინდოდა! ყვირილი რომ არ აეტეხა! მაკლარენმა არც დაამთავრებინა. მკერდში მთელი ძალით მისცხო წიხლი და დენიც ბალახზე გაიშოტა.

– ხმა ჩაიწყვიტე და მაცალე, აღვასრულო, რაც გეკუთვნის!

დენი ისევ ცას უყურებდა. ამჯერად ვერცხლისფერი ვარსკვლავები ნახევრად მაკლარენის ტორსმა დაფარა. უნდოდა, თვალები დაეხუჭა, მაგრამ ამასაც ვერ ბედავდა. უნდოდა, სიცოცხლის ბოლო წამებში უკანასკნელ მოგონებად ღამის ნათელი ცა დარჩენოდა თავისი ვერცხლისფერი ბრილიანტებით, მაგრამ ვერც ეს შეძლო.

დენის თვალებმა უკანასკნელად ის დაინახეს, როგორ დაეშვა მათკენ უზარმაზარი ურო, რომელიც ჰაერს შეუილით აპობდა.



## ნათია მარგიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ჩემი შვილი სურათი დეილაბეთან

დეიდაჩემი მარტივი ქალია „ყოველთვის ეცადე ცხოვრება გაიმარტივო“- მეუბნება ხოლმე. სიყვარულით არ გათხოვილა, არ ჰქონდა ალბათ ზედმეტი ემოციების თავი. ერთხელ მისი წერილები ვნახე, მის გამოგონილ მეგობარს წერდა პირველ სიყვარულზე, ალბათ არ გაუმართლა. ორი შვილი ჰყავს, ბიჭები, გოგო არ გაუჩნდა. ვიზუალურად ორმოცი წლისას ჰყავს, თუმცა უკვე დიდიხანია პენსიონერია. უვლის თავს და ალბათ ამიტომ. არ უყვარს შავი ფერი. სულ მეუბნება, რომ არ გავიკარო არც მე. მას ეს ფერი სიკვდილს ახსენებს. ახლა ქალაქის ბინიდან აგარაკზე გადადის, არ სიამოვნებს ერთფ-ეროვნება. მე ვეხმარები ბარგის ჩალაგებაში. ბინაში ცხელა, საჭმელი არაფერია, ოთახები თითქმის დაცარიელებულია. მეუბნება, მურაბიან წყალს ხომ არ დავლევ, – რატომაც არა?

– ვფიქრობ მე და სამზარეულოში მივყვები. ის მაქებს და მეუბნება, თუ როგორ უხარია ჩემი იქ ყოფნა, მას ხომ გოგო შვილი არ უგრძვნია რა არის. იუმორით ასხამს წყალს ონკ-ანიდან ჭიქაში, მურაბის ქილას იღებს, რომელიც თითქმის ცარიელია, მე ვიღიმი და პოზიტიურ ღრუბლებში მფრინავს უცებ გული მტკივდება. დეიდაჩემს ხელი აუკანკალდა ქილის ჭერისას, ზუსტად ისე, ფილმებში რომ უკანკალებთ მოხუცებს... ძლივს ათავსებს ალუბლებს ჭიქაში. ხვდება, რომ დავინახე და რცხვენია. მე კვლავ ღიმილს ვიპრუნებ სახ-ეზე. დღე ჩვეულებრივ გაგრძელდა. ცხოვრება წარმავალია, დეიდაჩემი -მისი ნაწილი.

## გაგა

მამაჩემი მარტოსული კაცია. ცოლი, ანუ დედაჩემი, იდე-ალური სიყვარულით მოსავდა მას მთელი ქორწინების პერი-ოდი, მაგრამ მან ეს მაინც ვერ იგუა. მამაჩემი მარტოსული კაცია. ის და დედაჩემი ოცდაათწლიანი თანაცხოვრების შემ-დეგ დაშორდნენ. მამაჩემს მარტო გაღვიძება ერჩივნა. მე და მას არ გვაქვს ახლო ურთიერთობა, მაგრამ იცის, რომ მე მის მარტოობას ვხედავ და მესმის. ალბათ ყველა მშობლებგაც-ილებული ადამიანი, ხან ერთთან არის, ხანაც მეორესთან. არც მე ვარ გამონაკლისი. მივდივარ მამაჩემთან. დიდიხანია არ დაურეკავს და ვიფიქრე, ალბათ ჩემგან განთავისუფლე-ბაც სურდა. მინდა ამაში დავწრმუნდე. სანამ ბინაში მივალ მანამდე ვწერ, რომ მივაკითხე. არ მპასუხობს. სახლშიც არაა, ღამემდე უყვარს მუშაობა. როცა ვინმეა სახლში, ამ შემთხ-

ვევაში კი, მე მამა მაინც გასაღებით მიღებს ხოლმე კარს. ალბათ იმ რეალობას იშინაურებს, როცა არავინ ეყოლება კარის გამღები. მამაჩემი მარტოსული კაცია. მე ჩემს ოთახში ვზივარ და ვფიქრობ, როგორ არ შევაწუხო ის, როგორ არ დავამძიმო ჩემი აქ ყოფნით, როგორ მალევე გავპრუნდე უკან და აღარასდროს დავპრუნდე ამ სახლში. ვბრაზობ კიდეც, სადღაც ჩემს თავზე, სადღაც მასზე. კარზე ზარია. მამაა. მე ვაღებ. გამიღიმა, გამომიწოდა პარკით სურსათი და მკითხა „მშიერი ხომ არ მოსულხარ ? იქ ალბათ არაფერს გაჭმევენ?“ მივხვდი, მისი დუმილი ჩემი გამოცდა იყო. მგონი ჩავაბარე. მამაჩემი მარტოსული კაცია, მე კი მისი მარტოსულობის თანამგზავრი.

### გეზოგლედ

არც თუ ისე დიდი ხანია ქალაქგარეთ შევიძინეთ სახლი. ეს ის კატეგორია სახლისა, მამა რომ შვილებს აუშენებს, შემდეგ ეს შვილები შუაზე რომ გაიყოფენ. ბოლოს ერთ-ერთი გაყიდის მის ნაწილს და საბოლოოდ გაწყვეტს ოჯახურ ჯაჭვს. ოჯახურჯაჭვგაწყვეტილ სახლში ვცდილობთ ფეხი მოვიკიდოთ მე და ჩემებმა. ამ სახლის საზიარო კედლის იქით ერთი კაცი ცხოვრობს. არც ცოლი, არც შვილი. გრძელი წვერი, გრძელი თმა, ტანდაბალი, ასაკში მყოფი. გარშემო არავინ ეურთიერთება, თავად არ ჩანს დიდად კომუნიკაბელური. რატომდაც ჩვენთან უცებ დაახლოვდა. მე არ მნამს უცებ დაახლოვებების. იუმორი, სადღეგრძელოები, ცხოვრებისეული ისტორიები, არაფერს გვაკლებს. მე არ მნამს მუდ-

მივი პოზიტივის. მას ოჯახი არ ჰყავს, არც ცოლი, არც შვილი. და ჩამოუვიდა ამასწინათ, სულ კამათობდნენ, ბოლოს წავიდა ის ქალი. ნელ-ნელა, მას შემდეგ, რაც ბოლომდე გაშინაურდა კედელს აქეთ, დაუკაუნებლად მოდის, ბილწი იუმორით, ნასვამი, ხანაც კაიფში მყოფი, მუდმივად გასართობს ეძებს აქ. ჩემებმა შეამჩნიეს მისი სახე, შეამჩნიეს კედელს ამოფარებული საცოდავი პირი. ურთიერთობა გაწყდა. ეს კაცი კატებთან ერთად მარტო ცხოვრობს, არც ცოლი, არც შვილი. სახლიდან რომ გადის ჭიშკარს ჯაჭვით კეტავს, ახლა ჩვენ ეზოსთან საზიარო კარიც ირეალური ჯაჭვით არის ჩარაზული. ჩვენ მისთვის არც ვარსებობთ. საერთოდაც, არ ჩანს დიდად კომუნიკაბელური კაცი.

## ეპვარსობრივი მუსიკის განვითარება

დიდად ეკლესიური ადამიანი არ ვარ. რწმენა ბევრი რამის მაქვს. ასეა თუ ისე, ჩემს მამაოს დიდ პატივს ვცემ და ჩემთვის ის უფრო მეტად რწმენასთან ასოცირდება, ვიდრე ეკლესიასთან. აღსარების სათქმელად მივდივარ, ალბათ წელზე მეტია საამისოდ აღარ მივსულვარ ეკლესიაში. თავი ზემოთ მაქვს აწეული, რა უნდა მოვინანიო? მე ხომ ისედაც მუდამ ვცდილობ უკეთესი ვიყო, რა, ეკლესია რამეს ახალს მეტყვის? კარგი, რადგან აღსარების გარეშე არ იქნება ეკლესიურობა, გადავდგამ ამ ნაბიჯს და მივიტან მამაოსთან ფურცელზე დაწერილ ჩემს ცოდვებს. ბავშვობიდან ფურცელზე ვწერ სათქმელს. აბა, ვის შეუძლია ხმის აუკანკალებლად საკუთარი სული ამხილოს? მაგრამ არც ეგეთი რთული უნდა

იყოს, არა? დღეს მე უნდა გავიმარჯვო, ასე რომ, ფურცელს ვტოვებ ჩანთაში და ისე შევდივარ მამაოსთან. ერთი წამი, ორი წამი, სამი წამი. ხმა არ ამოდის პირიდან. ვამბობ ერთ სიტყვას და ვჩერდები. გონებაში მიტრიალებს ყველაფერი, რაც ჩამოვწერე ფურცელზე და ვცდილობ პირის აპარატურაშიც მოვაქციო სიტყვები, მაგრამ ვდუმვარ. მამაო იწყებს ლაპარაკს. ლაპარაკობს და ვხვდები, როგორ ინაცვლებს მიწიერი სამყაროდან ჩემს გონებაში, კითხულობს ჩემს ჩანთაში ჩაგდებულ ალსარებას და ყველაფერს აწონ- დაწონილად მიშლის წინ. მითითებს რა არის სწორი ბიბლიურად, რა არის მიუღებელი, რა სჯობს სულისთვის და რა არა. ჩვენი დიალოგი, ჩემი გონებისა და მამაოსი, რჩება. მე ზურგიდან ლოდი მცილდება, თავს ვხრი და მშვიდდები. დიდად ეკლესიური არ ვარ, მაგრამ რწმენა ბევრი რამის მაქვს. მჯერა, ჩემი მამაო ლმერთის კაცია.

## სწავლა

სასწავლებელში მეორეჯერ ვაძარებ, ოთხი წელი დავხურე, ახლა ორწლიანზე ვარ. რომ მკითხოთ, სწავლა არ მიყვარს. ასეა, მაგრამ ყველაფერში მაღალ ქულას ვიღებ. როგორც შეჯიბრი, ისე აღვიქვავ მას. საკუთარ თავზე გამარჯვების ზარი რეკავს ყოველ მიღებულ ას ქულაზე. სწავლა არ მიყვარს, თუმცა მიყვარს შინაგანი ზრდის პროცესი, მიყვარს ქებაც. ამასწინათ ახალი საგანი დავიწყეთ. აქ, ჩემს ჯგუფში, ძირითადად ყველას იცნობენ ლექტორები, მე ახალი ვარ. ამ საგნის ლექტორისთვისაც თავისთავად. ის მკაცრია, ისეთ

ასაკშია, რომ ველარ მოატყუებ. თვალს თუ ოდნავ მაინც გააყოლებ ტექტს, ხვდება და გამხელს ყველას თანდასწრებით. რეალისტია. მე მოვწონვარ, თემა დავუწერე და პირველივე ჯერზე ძალიან შემაქო. რა თქმა უნდა, გამიხარდა. მერე მეორე ჯერზე დავწერე, მერე მესამეზე და შეიძლება ითქვას, ცაში ამიყვანა. სწავლა არ მიყვარს, მაგრამ ამ ლექტორთან ყველაფერი სხვაგვარადაა. მე არ ვსწავლობ მასთან, მე გადმოვცემ იმას, რაც ჩემში დაბადებიდანაა. რაცაა გონში იმას ვუზიარებ და მას ეს მოსწონს. სწავლა არ მიყვარს, არ მსია-მოვნებს იმ ცოდნის გამატერიალურება, რაც ისედაც ყველაშია, მაგრამ მიყვარს, როცა მაქებენ ფრიადოსნობისთვის. ახლა უკვე რეალურადაც შემაქეს იმისთვის, რაც რეალუ-რად ვარ. ეს ლექტორი შემიყვარდა. ჩვენ ორივე რეალისტები ვართ.

## ვ0შ0

შიში ცოცხალი ორგანიზმია, ის ისევე სუნთქავს, როგორც ჩვენ. შეკრებაზე ვარ, ბევრი ხალხია გარშემო და ვცდილობ სხეულის ენით არ გავცე ის არეული ემოციები, რომლებ-მაც მოიცვეს ჩემი გონება. ვვაქტიურობ, ლალად ვარ და ჩემი მსჯელობით ირგვლივ მყოფა ვნუსხავ. მომწონს ასეთი ჩემი თავი, სახალისოა, როგორც მაყურებელი ტაშს ვუკრავ მას. წამი იგივეა, სიტუაციაც იგივე, როცა მე, როგორც მაყურე-ბელი და მე, როგორც მსახიობი ვვერთიანდებით და ირგვლივ ყველაფერი ჩუმდება. დრო ქრება. სახე მარცხნივ მაქვს შეტ-რიალებული, მარჯვეა ლოყაზე კი სიმხურვალეს ვგრძნობ.

შიში ცოცხალი ორგანიზმია, ის ისევე სუნთქავს, როგორც ჩვენ და იქიდან მოდის საითკენაც არ იხედები. არ მივიხედე. არ შევიმჩნიე. ლოყა მეწვის. მე უფრო ცოცხალი ვარ ვიდრე ის! მე ვმართავ მას და არა პირიქით! ისევ ვიყოფი და კვლავ სცენასა და აუდიტორიაში ერთობლივად ვჩნდები. შიში ცოცხალი ორგანიზმია, ის ისევე სუნთქავს, როგორც ჩვენ და მას ისევე ეშიანია ჩვენი, როგორც ჩვენ მისი.

## სიუჰაჰიზი

არის მომენტები, როცა ენერგიას გავცემ, გავცემ და მერე ვხვდები, ის მე არ ვარ და ეს ჩემთვის სიურპრიზია. ამას წინათ ჩემს ხმას ვუსმენდი არა ჩანაწერიდან, პირდა-პირ ვუსმენდი. მომენტია, კეკლუცია, უნდა, რომ უსმინონ, მე ამას ვხედავ და ვრთავ ნებას, იყოს მეტად ხმამაღალი. ის ჩემი სიურპრიზია. ახლა ამას ვწერ, ჩემი თითები თავის პოსტზე, ფიქრები თავისაზე. გონება სავსეა სურათებით, მიყვარს კადრის დამახსოვრება, ხან კამერით, ხანაც- თვალით. ახლა გადავხედო რა შევქმენი, ეს ხომ ჩემთვის სიურპრიზია.



## ზურა გორგოძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პაკალ და თბილობილი

ჩვეულებისამებრ დღესაც გავიღვიძე. დღეს 9 417 დღე გავიდა ჩემი დაბადებიდან, მაგრამ მე ისევ ჩემს თავს ვუნიშნავ პაემანს, ისევ შევალებ სამზარეულოს კარებს და გავიკეთებ საუზმეს ისევ და ისევ ჩემთვის. ცოტა არ იყოს მომწყინდა მარტოობა, ახლა ვხვდები, რომ მარტოობა არ არსებობის არსებობას ნიშნავს.

მე ზაკი ვარ, ვცხოვრობ მარტო, მთაში, მაქვს ხის სახლი, რომელიც მოსახლეობიდან 4-5 კილომეტრზე მდებარეობს, მაღლობზე. შიგნით ლამაზი ბუხარი მაქვს, სადაც ყოველ საღამოს ვზივარ მიუხედავად სეზონისა, ვინაიდან აქ მუდამ ცივა, ცივა ასევე ჩემს გულშიც, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წამიყვანს... მიყვარს ბუხრის წინ წიგნის კითხვა და კაკაოს დალევა, ჩემს ჰობადაც კი იქცა.

ალპათ გაგიკვირდებათ, თუ როგორ ვირჩენ თავს?! ჩვეულებრივად, ორ კვირაში ერთხელ ძემლებური მანქანით ჩამოივლის ხოლმე ერთი გოგონა და პროდუქტებს ყიდის, მე კი სოციალური დახმარება თითქმის მყოფნის თვეების გადასაგორებლად. რა სულელი ვარ არა? ერთხელაც არ მითქვამს ამ გოგონაზე რომ შიგნით შემოსულიყო და კაკაო ერთად დაგველია, გვესაუბრა სხვადასხვა თემებზე და ასე შემდეგ, მაგრამ ეს მხოლოდ ის ფიქრებია, რომლებიც დაკონსერვებულია ჩემს გონიერები და ბოლოს ვადაგასულ პროდუქტს დაემსგავსება, რომელიც შიგნითვე დალპება. ალპათ ჩემი ბრალია ისიც, რომ მე დღეს მარტო ვარ, მე ვერ გავბედე, არადა, გამიგია რომ ადამიანს გამბედაობა თუ არ აქვს, თუ არ რისკავს, ისე არაფერი გამოუვაო, რა ვქნა? არ შემიძლია...

გადის დღეები, კვირეები, თვეები, წლები და არაფერი იცვლება ჩემი ჰაბიტუსის გარდა. ის გოგონაც ზუსტად იმ დროს ჩამოივლის ხოლმე, როგორც ყოველთვის. უი.. გამახსენდა, დღეს ერთ-ერთი ასეთი დღეა, თან თავს რაღაც უცნაურად ვგრძნობ, თითქოს წლების მანძილზე დაგროვილმა ლავამ უნდა ამოხეთქოს ჩემი ცნობიერიდან... (სიგნალის ხმააა...). აი, მოვიდა, სარკეში თმების გასწორებაც ვერ მოვასწარი ისე გავვარდი გარეთ, ამასობაში კი, ჩემთვის ვფიქრობ (ნუთუ ეს მართლა მე ვარ?) და ბოლოს ვყვირი – კიიიიი!!!! ეს მე ვარ!!.. გოგონა გაკვირვებული და მომლიმარი სახით მეგებება და მეკითხება:

- ხომ კარგად ხართ?
- კიი, კიი ძალიან კარგად..
- კარგი, იცით, დღეს შვრიის ახალი ორცხობილები მაქვს.

- მშვენიერია, ეგ და კაკაო იდეალური ნაზავი იქნება
- უი.. თქვენც გყვარებიათ კაკაო..
- რა თქმა უნდა, ჩემი საღამო მის გარეშე წარმოუდგენელია

– კარგით, აი, ჩეკი ინებეთ, ორ კვირაში ისევ ამოვივლი.

– ნახვამდის..

ნახვამდის-თქო ვუთხარი და წავიდა, სულელი ვარ, როგორ გავუშვი?. მაგრამ მისმა სილამაზემ ისე დამიბინდა გონება, რომ იმ მომენტში ვერაფერზე ვფიქრობდი.

როდესაც დავწვები, ყოველთვის ვფიქრობ წარსულზე, მშობლებზე, ჩემს განვლილ ცხოვრებაზე, ბოლოს ცრემლი მომადგება თვალზე და ჩახრენილი ხმით ვამბობ – ძილი ნებისა, ზაკ..

ცხოვრება სისტემაა, სადაც ადამიანი ყოველთვის ჭანჭიკად გვევლინება. მართალია, ის მიზერულ ნაწილს წარმოადგენს ამ სისტემისა, მაგრამ საკმარისია მისი ერთი არასწორი მოძრაობა და შეიძლება მთელი სისტემა დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. ამის მაგალითად შეიძლება ისიც მოვიყვანო, რომ 2010 წლის დეკემბერში ქალაქ ტუნისში ქუჩაში მოვაჭრე ახალგაზრდა მუჰამედ ბუაზიზმა პროტესტის ნიშანად ბაზრის წინ თავი დაიწვა იმის გამო, რომ სამართალდამცავებმა ჩამოართვეს სასწორი და აუკრძალეს ვაჭრობა. ეს სწრაფად გავრცელდა სოციალურ ქსელებში და მაღლე მთელი მსოფლიო მოიცვა, ამ დროს არაბულ ქვეყნებში არსებულ სისტემას პრობლემები შეექმნა და დაიწყო „არაბული გაზაფხული“, რომელმაც სიმბოლურად გამოიწვია ამ სისტემის მოშლა და მის ნიადაგზე ახლის აღმოცენება. კიდევ კარგი, აქ გაზიერებიც დააქვთ, თანაც უფასოდ, რომ მთის

ხალხი რეალობას ნაკლებად იყოს მოწყვეტილი. ჩემს სახლ-თან ახლოს მდინარე მორაკრაკებს, სახელად „ბენედიქტი“, ეს სახელი მისთვის რუთ ბენედიქტის საპატივცემულოდ დაურქმევიათ, რომელიც ამერიკელი ანთროპოლოგი იყო. ის სწავლობდა კავშირებს პიროვნებას, ხელოვნებას, ენასა და კულტურას შორის. როდესაც ის ამ ადგილას ყოფილა დასას-ვენებლად ჩამოსული, მდინარესთან იჯდა. ერთ აქ მცხოვრებ ყმანვილს იგი შეუნიშნავს, მას არ სცოდნია რუთის ვინაობა, ძალიან მოსწონებია და დაუყვირია: „ჰეი შენ, პოსეიდონის ანგელოზო“, მაგრამ რუთმა არ იცოდა აქაური ენა და როდესაც მისთვის ეს წინადადება გადაუთარგმნიათ, სახეზე ღიმილი მოპევრია და ხუმრობით უთქვამს: „მე მზად ვარ ამ მდინარიდან გავუჩინარდე“, და მართლაც ის მის სახლში ამ მდინარის საშუალებით დაბრუნებულა.

გათენდა სამშაბათი დღე, თვალების გახელა და ფიქრი იმაზე, რომ დღეს პროდუქტების ამოტანის დღეა, ერთი იყო. უნდა მენახა გოგონა, რომელიც თვეში ოთხ დღეს საგრძნო-ბლად მიღება მიღება. გაისმა სიგნალის ხმა. ეზოში ისევ ძველებურად გიუივით გავვარდი, უკვე ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა და გოგონას თქმაც არ დავაცალე ისე:

- გამარჯობა...- ოდნავ აკანკალებული ხმით ვუთხარი
- გაგიმარჯოს.- გამიღება და ისე მითხრა მან
- იცით, მე, მე, მე მინდა რომ შინ შემოგიპატიუოთ კაკა-ოზე და შვრის ორცხობილაზე...

- მმ.. კარგით, დღეს თქვენ, როგორც ყოველთვის, ბოლო ადრესატი ხართ, თან დროც მაქვს, ამიტომ დავაგემოვნებ თქვენ მიერ გაკეთებულ კაკაოს.

ჭიშკარი შევაღე და ისიც შემოვიდა, ამ დროს მთელს

სხეულში საკუთარი გულის ცემას ვგრძნობდი. ჩემ წინ მიღიოდა ულამაზესი „ორცხობილას გოგონა“, რომელსაც უკან ამდენი კაკაოს სმით უკვე თავად კაკაო მიყვებოდა.. (გულში ვფიქრობდი, ალბათ ჩვენი შერწყმაც იდეალური იქნებოდა-თქმ)...

სახლში შევედით, ბუხარში ცეცხლი დავანთე და კაკაო გასათბობად შევდგი. შემდეგ პუფები ბუხართან ახლოს მივწიე და ჩამოვჯექით. მე არ დავაყოვნე და დავიწყე..

- რა გქვიათ?
- ალესია, თქვენ?
- მოდი, თქვენობით არ ვისაუბროთ და გავშინაურდეთ,

მე ზაკი მქვია

- სასიამოვნოა
- ჩემთვისაც, ალესია. ძალიან ლამაზი სახელი გქვია
- მადლობა -დაიმორცხვა მან
- იცი, ძალიან ლამაზი ხარ...
- ალესიამ მორცხვად ჩაიცინა..
- აი, კაკაოც გაცხელდა

ბუხრიდან კაკაო გამოვიტანე და ორივესთვის ჩამოვასხი, ალესიას ძალიან მოეწონა ჩემი გაკეთებული კაკაო, მე კი ძალიან მომეწონა ალესია. როდესაც კაკაო ორივემ ბოლომდე ჩავცალეთ, ალესიამ მკითხა:

- მარტო ცხოვრობ?
- კი
- მშობლები?
- არ მყავს
- მგონი არ უნდა მეკითხა...
- არა, არა, ეს უბრალოდ დიდი ხნის ამბავია, თუ გინდა მოგიყვები

- კარგი, გისმენ
- ჩვიდმეტი წლის ვიყავი, როდესაც სკოლა დავამთავრე, ძალიან მინდოდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ ვხედავდი, რომ ჩემს მშობლებს არ ჰქონდათ საშუალება ჩემი სწავლის საფასური გადაეხადათ, მე კი გული მწყდებოდა, რადგან ერთ დროს სკოლაში წარჩინებული, საღად მოაზროვნე ვიჩაგრებოდი. ერთხელ სახლში მამაჩემთან შელაპარაკება მომივიდა, იმდენად საღად ვერ ვაზროვნებდი ალბათ, რომ მის მდგომარეობაში შევსულიყავი, ყველაფერი ჩემი ბრალია... – ცრემლი მომადგა თვალზე
- დამშვიდდი, შენ ბავშვი იყავი, რომელმაც ჯერ არ იცოდა ცხოვრების არსი
- ჰო, ალბათ ასეა, გავაგრძელებ...
- არა, მგონი არ ღირს
- არა, რადგან დავიწყე, სჯობს დავასრულო, ჩინური ფილოსოფიაა ხომ იცი, არ დაიწყო, თუ არ გინდა, რომ დამთავრდეს – ორივემ ჩავიღიმეთ.
- კარგი
- მამაჩემს ვუთხარი, რომ მას არ შეეძლო გაეკეთებინა რამე, რითაც ჩემს სურვილებს დააკმაყოფილებდა. ამ დროს მის თვალზე ცრემლები ვნახე და ამის შემხედვარე ჩემს ოთახში შევვარდი და ჩავიკეტე. მალე ჩამეძინა და რეალობას მოვწყდი. იმ ღამეს მამაჩემი სახლიდან გავიდა. სახლიდან ორ კილომეტრში ბარი იყო და იქ მისულა, ბევრი დაულევია, შინ დაბრუნებისას კი მანქანა დატაკებია.
- ძალიან ვწუხვარ!
- საკუთარ თავს ვერ ვპატიობ ამ ყველაფერს!

- არა, ბედისწერის შედეგია
- შემდეგ, ორ წელიწადში დედაჩემიც მამაჩემზე ნერვიულობას გადაყვა და გარდაიცვალა. მარტო დავრჩი ბებიას ამარა, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა და ოთხი წლის წინ ისიც დავკარგე. ასე ვაგორებ დღეებს, ოცდაშვიდი წლის ვარ და უკვე ბევრი რამ მასწავლა ცხოვრებამ. ჩემი ცხოვრება მონოტონურია, ვკითხულობ წიგნებს, ვსვამ კაკაოს, ვლოცულობ და შემდეგ ვიძინებ...
- რა მაგარია...
- რა არის მაგარი?
- ის, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ლოცულობ და გულში რწმენას საკუთარ თავზე მაღლა აყენებ
- ჰო, ადამიანმა იმედიც რომ დაკარგო, მერე შენს ცხოვრებას აზრი აღარ ექნება.
- მართალი ხარ... და ახლა რა ხდება შენს თავს?
- არ ვიცი რა ვუწოდო
- ქაოსი?
- არა, რა თქმა უნდა
- რატომ? ადამიანი ყოველთვის ქაოსშია რომ იცოდე
- არა, არ გეთანხმები, ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ქაოსში, როდესაც ის მკვდარია
- ეგ როგორ?
- როგორ ? როგორ და ჩვენი ცხოვრება ცარიელი ფურცელია, სადაც ჩვენ გვიჭირავს კალამი და ამ კალმით ან ვანსხვავებთ, ან ვერა სიკეთესა და ბოროტებას, რომლის მეშვეობით წყდება ჩვენი სამუდამო ცხოვრების ან არცხოვრების ბედი

- მერე ეს ქაოსი არ არის?
- არა, ეს უფრო რია-რიააა, ქაოსი სიკვდილის შემდეგ იწყება, როდესაც ადამიანი სრულ გაურკველობაშია, არ იცის საით წაიყვანს ნიავი მის სულს, მარცხნივ, ბოროტი ძალებისაკენ, თუ მარჯვნივ, სამარადისო სამკვიდროსაკენ. ამ დროს იწყება ქაოსი, რომელსაც მერე ველარ უშველი, თუ აქ სუფთა ფურცელზე სუფთა კვალი არ დატოვე.
- იცი, ზაკ.. შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ
- მადლობა, ალესია, შენც ძალიან კარგი გოგონა ხარ
- კარგი, მე უნდა წავიდე
- ალესია!
- გისმენ?
- მინდა რომ ხშირად იარო ჩემთან კავალზე
- ვეცდები, ზაკ – გამიღიმა და წავიდა
- ასე დასრულდა ჩვენი საუბარი სამშაბათ დღეს. თავს ბეჭნიერ ადამიანად ვგრნობდი, ვფიქრობდი, რომ ეს იყო დღე, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში დაამარცხა ერთფეროვნება და ბიძგი მისცა მრავალფეროვნებისკენ ცვლას. ამ დღის შემდეგ მე აღარ ვიყავი მარტო, ამ დღის შემდეგ მე ვიყავი ფიქრებთან ერთად, რომელიც ალესიას უკავშირდებოდა.
- დღეს უკვე 10 378 დღე გავიდა ჩემი დაბადებიდან და მე აღარ ვარ მარტო, მე არ მიწევს საკუთარ თავთან პაემანის დანიშვნა, მე არ ვიკეთებ საუზმეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის, ახლა ვხვდები, რომ ცხოვრება მშვენიერია იმ ადამიანთან ერთად რომელიც გიყვარს, ახლა ვხვდები, რომ ვარსებობ და არა მხოლოდ ჩემთვის.

ისინი მოდიან ჩვენთვის. ამქვეყნიერება იმდენად სუსტია, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მასზე იბატონოს.(ზ.გ)

ზუსტად 05:39 საათია, წამი-წამზე ორმოც წუთსაც მიუკაუნებს, ეს კი ჩვეულებრივ გაგრძელდება, როგორც ყოველთვის. ფანჯრიდან ვიხედები და საოცარი განცდა მეუფლება, თითქოს მეც იმ ხეების ნაწილი ვარ, რომლებბზეც ჩიტები ასე ლალად შემომჯდარან და ჭიკჭიკებენ, თანაც ძალიან სასიამოვნო სიო ქრის. თითო-ოროლა მანქანა თუ ჩაივლის ხოლმე, მაგრამ შემდეგ კვლავინდებურად სიმშვიდე ისადგურებს. ალბათ, საინტერესოა, როგორ შეიძლება ჭიკჭიკი და ფოთლების შრიალი სიმშვიდის მომგვრელი იყოს, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანი, მისი ხასიათით ერწყმის იმ ბუნებას, რომელმაც ის შექმნა. განსაკუთრებული დილაა, ისეთი, რომლის გათენებაზეც უკეთესი მისი დაპაუზებაა, მაგრამ „დრო მიდის“, ანდა იქნებ ჩვენ მივდივართ ადამიანები ჩვენივე ბუნებით, ხოლო დრო კი უცვლელი რჩება. ძნელია გადაჭრით რომ თქვა...

წარმოდგენაც კი არ მინდა რაიმესი, რადგან, შესაძლოა, ამით ის მშვენიერი სურათი გავაფუჭო, რომელიც ჩემ წინ იშლება. რატომ დაემთხვა ჩემი სიფხიზლე ამ ყველაფერს, იქნებ ვიღაცას სურს, რომ ადამიანმა სწორად შეიცნოს საკუთარი თავი ბუნებაზე დაკვირვებით. იქნებ, მე არ ვარ ერთა-დერთი, რომელიც ამ დროს ფანჯრიდან ანალოგიურ სურათს ხედავს, იქნებ ჩიტების ხმა რაღაცის მანიშნებელია და ეს ნიშანი შეიძლება იყოს ის, რომ „ერთ დღეს ისინი ჩვენს წასაყვანად მოვლენ“. რატომ გვესმის ყველაზე ლამაზად მათი ხმა, მაშინ, როცა ირგვლივ იდუმალება სუფევს, სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ ამ დროს არის შესაძლებელი მათი გზავნილის გაშიფრვა. ოი, ოი, ერთ-ერთმა მათგანმა ისე აიმ-

აღლა ხმა, თითქოს ფილიპიდისივით მახარებელი იყოს და პირველმა უნდა ახაროს კაცობრიობას მოახლოვების ეპოქა, რათა კაცობრიობა მზად შეხვდეს მას, მაგრამ ამ დროს მათი ოთხმოცდაათი პროცენტი ძილის კორიანტელში ნებივრობს. მართალია, ფხიზლად ვარ, მაგრამ სამწუხაროა, რომ მათი ხმა არ მესმის, ის ხმა, რომელიც მინიშნებაა და არა მხოლოდ ჭიკჭიკი, რომლის გამოცემასაც ისინი ასე ლამაზად ცდილობენ. გადის რამდენიმე წუთი და ვხვდები, რომ მათ არა „ყურისყურით“, არამედ გულისყურით უნდა უსმინო, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაანალიზო ის შეტყობინება, რომლის მოწოდებასაც ისინი შენთვის ასე ლამობენ.

ბოლოს გავთავისუფლდი და ვცადე მთელი გულით მომესმინა ერთ-ერთ მათგანზე, რომლის ქადაგებიდანაც ისეთი განწყობა მოდიოდა, რომელიც ადამიანს კეთილი ზრახვებით განგანწყობს და ყველანაირ ბოროტ ნაწილაკს ანადგურებს შენში. ამის შემდეგ ამბიცია მომემატა და გადავწყვიტე სხვა ჩიტისთვის მომესმინა, მაგრამ არაფერი განსხვავებული, მის-განაც იგივე ენერგიით მევსებოდა სული.

ჩიტებს სურთ, რომ ადამიანები მათ ხმას მიჰყვნენ, მათი ყოველი ერთი მიმდევარი ადამიანი, იქნება დასტური იმისა, რომ ის სამყარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, გაცილებით უსუსურია იმასთან შედარებით, სადაც ჩვენ ცხოვრება მოგვიწევს.

მზემ მისი სხვები ნელ-ნელა გამოიხმო საძინებლიდან, რა დროსაც ჩიტების ხმა გაირინდა. ალპათ იმიტომ, რომ უფრო ბევრი ნათელი შეიძლება იპოვო ბნელში, ვიდრე პირიქით, მაგრამ ეს ყოველთვის ძნელად გასავლელ გზასთან არის

დაკავშირებული, ძნელი გზა ადამიანს დატანჯავს, მაგრამ ისე აამაღლებს, რომ კიდევ ერთხელ დაამტკიცოს ამქვეყნიერების უსუსურობა. ისევ ფანჯარა, ისევ მე, მაგრამ არც ჩიტები და არც ფოთლები ისეთები, როგორებიც სამი საათის წინ. ვფიქრობ და ვცდილობ დაველოდო ხვალინდელ აისს, რადგან მომავალში არ შევუშინდე ჩემი მზის დაისს.



ტატო ლაშაშრი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

## დილი ისტორიის პატარა დასაწყისი

როგორ შეიძლება აღვწეროთ ლამე? ამ წუთას ბევრი იდეა და ვერსია ტრიალებს თავში: ლამაზი, იდუმალი, მთვარიანი, ცივი. ზოგისთვის ლამე რომანტიკასთანაცაა დაკავშირებული, მაგრამ როგორც ხშირად გვსმენია, აზრი და იდეა ზუსტად იმდენია, რამდენიც ადამიანი.

რაც შეეხება ლამეს, რომლის ჩვენებასაც ვცდილობ, არაფერი საერთო არ გააჩნია რაიმე დადებითთან. მითუმეტეს, რომანტიკასთან. სიბნელე და ქაოსი, ეს ორი სიტყვა ზედგამოჭრილია მის აღსაწერად. გინდათ, ქაოსი და სიბნელე, როგორც რელიგიურ წიგნებშია ნახსენები, ის რაც იყო დასაბამამდე.

ზუსტადაც, ლამის მსგავსად, ქაოსსა და სიბნელეს მოეცვა მათი გულები და სულები, გონება, სხეული. ხელში იარ-

აღი ჩაებლუჯათ ძალის მისაცემად, იცოდნენ, მტერს ალყა-ში მოექციათ, აზრებში სასონარკვეთა შეჰპარვოდათ. სულ ცოტაც და, ყველაფერი დამთავრდებოდა.

გვერდიგვერდ ასობით ტანჯვაგამოვლილი მეომარი იდგა, ზოგს დედის რძეც კი არ შეშრობოდა პირზე, ზოგიც კი ომში დაბერებულიყო. ყველას ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა თავში, ნახავდნენ კი კიდევ ერთ აისს, ღირდა კი ყველაფერი უკაცრიელი ტყის პირას დამარხვად.

მეტვება ამ კითხვაზე პასუხი ოდესმე მიეღოთ, ან ვინმეს საკმარისი განმარტება მიეცა სადღაც სხვა სამყაროში, სადაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ, თუ იქნებოდა ის სამყარო საერთოდ.

და აი ისიც, ავის მომასწავებელი ნათება, შემდეგ ხმა, რომელიც ყურებიდან ძვლებამდე ატანდა, სხეულში პარაზიტივით იბუდებდა და გატოკების უნარს ართმევდა.

პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს- მესამე და ასე, შეუჩერებლად. შემდეგ კი ნაღმები ერთი მეორეს მიყოლებით დაეშვნენ ციდან მსხვერპლთან შესახვედრად. შემოგარენი უეცრად განათდა, აფეთქება, ცეცხლი, ყვირილი, ზოგი დაყვირებასაც ვერ ასწრებდა.

გააზრებაც ვერ მოეხერხებინათ, ისე უეცრად განელდა ასობით სიცოცხლე და რისთვის? საინტერესო კითხვაა, ერთეულების ამბიციებისთვის, ძალაუფლებისთვის, სიძულვილისთვის... ბევრი „თვის“ შეგვიძლია დავამატოთ, შედეგი კი არ შეიცვლება. დიდი დრო გავა და შეიძლება ეს ასობით სიცოცხლე არც არავის გაახსენდეს, ან გმირებად შერაცხონ, ძეგლები დაუდგან და მათი ხსოვნა უკვდავყონ. გააჩნია რას მოიგებენ ამით ის ერთეულები, ვისზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

სულელი არავინაა და კარგად ვიცით, რომ ისტორიას გამარჯვებულები წერენ. ჩვენს ყურებამდე კი მხოლოდ ის მოდის, რაც მათ წისქვილზე დაასხამს წყალს.

როგორც ვთქვით, გააზრებაც ვერ მოეხერხებინათ, ისე აივსო ბრძოლის ველი უსულო სხეულებითა და ხორცის ნაფლეთებით. მაგრამ რამდენად სწორი იქნება „ბრძოლის ველის“ ხსენება ადგილზე, სადაც მტრებს თვალებშიც არ ჩაუხედავთ ერთმანეთისთვის. გინდაც სიტყვა „მტრები“... და იყვნენ ეს ადამიანები მტრები? ადამიანები, რომელთაც ერთმანეთი ცხოვრებაში არც კი უნახავთ, უბრალიდ ერთეულებმა ჩაუნირგეს გონებაში, რომ მტრები იყვნენ და ისინიც ცხვრის ფარასავით გაემართნენ სასაკლაოზე. აი, ზუსტადაც ეს სიტყვა – „სასაკლაო“ და არა „ბრძოლის ველი“.

გამაყრუებელი აფეთქებებისა და დამაბრმავებელი ნათების შემდეგ, ისევ უკუნი სიბნელე ჩამონილიყო. სინათლეს უამრავი ადამიანი წაეყვანა, სიბნელე კი გადარჩენილებს იფარავდა. პარადოქსულად უღერს ხომ? ისე საინტერესოა, ჩვენს თავებში გამყარებულ იდეებში შეცდომა ხომ არაა და ტყუილად ვაწერთ სინათლეს სიკეთეს და სიბნელეს ბოროტებას, ან კი რეალურია ეს მცნებები?

აქა-იქ დაჭრილი და დასახიჩრებული მეომრების ხვნეშა ისმოდა. ძლიერ საეჭვოა მათგან რომელიმეს დილამდე მიეღწია და რომც მიეღწია, იმპერიის ლეგიონერები მოუსწრაფებდნენ სიცოცხლეს.

იქნებ ვინმე გადარჩა კიდეც და დიდი როლიც ითამაშა ამ სისხლისმდვრელი ომის დასასრულებლად, ვინ იცის. მაგრამ ჩვენ ამდენი დროც არ გვაქვს, რომ გათენებამდე მოვიცადოთ და არც ის საინტერესო ახალგაზრდა მოგვიცდის, რომელიც

ჭურვებს სასწაულად გადარჩენილი ტყისკენ მიისწრაფის.

ლორდი ერამონდ ქაერი. ელადენის სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი. ოთხივე ძმა მთელ ფრონტზე გადაენანილებინათ და მამის გავლენით, ყველაზე უმცროს ქაერს დედაქალაქთან მისასვლელის დაცვა დაევალა.

როგორც ყოველივე ზემოთ აღნერილიდან მიხვდებოდით, ელადენის ბედი საკმაოდ არასახარბიელოდ წარიმართა. პატ-არა, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სახელმწიფო ორი მხე-ცის, დასავლეთის სახელმწიფოთა აღიანსისა და აღმოსავლე-თის იმპერიის ინტერესების გადაკვეთის წერტილად იქცა.

და რა შეგვიძლია ვთქვათ ან იმპერიაზე, ან აღიანსზე: ძალიან ბევრი რამ და ამისთვის შემდგომშიც გვექნება დრო, ორი სიტყვით კი, შეუჩერებელი სიკვდილის მანქანა და ცხვრის ტყავში გადაცმული მგელი მთელ სამყაროს ადენენ სისხლს. კარგით, ძლიერ რომ არ მოგაწყინოთ თავი, თანაც სასაუბროდ შემდგომშიც გვექნება დრო, უმცროს ლორდ ქაერს მივადევნოთ თვალი.

საშინლად ციონდა, წესით ერთი ნაბიჯიც კი ვერ უნდა გადაედგა და მიწას მიჰყინვოდა, მაგრამ არა, ერამონდი გარბოდა. სად? წარმოდგენაც არ ჰქონდა, მთავარია შორს, უკანმოუხედავად სადმე გადახვეწილიყო. ორი საათის წინ ვერც კი წარმოიდგენდა ამ საშინელებას. ყველაფერი ომის დასასრულის შესახებ მოასწავებდა, ელადენი იმპერიის ყველა მოთხოვნას დათანხმდა, მეფემაც კი უარი თქვა ტახტზე. მწარე მარცხი იყო, მაგრამ სახელმწიფო გადარჩებოდა თუნდაც იმპერიის მარწუხებს ქვეშ.

სულ რაღაც ორი საათის წინ ცხელ ჩაის სვამდა ბავშვო-

ბის მეგობართან ერთად. მართალია, ისეთს ვერა, როგორსაც სასახლეში ამზადებენ, მაგრამ მაინც. ახლა კი გახსნება-ზე ურუანტელმა დაუარა, ბავშვობის მეგობრის ნაფლეთე-ბი სადღაც შორს, ტყის პირას მიმოფანტულიყო, შეიძლება ნაწილი მის მუნდირზეც დარჩა. კიდევ ერთხელ დაუარა ურუ-ანტელმა, ფეხი რაღაცას წამოჰკრა და ბორცვიდან თავით წინ გადაეშვა.

ერთი გადატრიალება, ორი, სამი და როგორც იქნა დაო-ბებულ ფოთლებში დაენარცხა. ადგომა ალარ უცდია, ლრმად სუნთქავდა, შემდეგ სუნთქვა შეიკავა, ვინმე ხომ არ მოს-დევდა, თუმცა ჩამიჩუმი არ ისმოდა. როგორც ჩანს, არავის გაუგია მისი გამოქცევა და არც არავის ადარდებდა.

წამოიწია, მაგრამ ისევ დაეცა. იქნებ ასეც სჯობდა, დარ-ჩენილიყო იქ, სადაც მისი ხალხი დაიხოცა. იქ, სადაც ერთი მეორის მიყოლებით დაეცნენ ის ადამიანები, რომლებიც სისხ-ლის ბოლო წვეთამდე იდგებოდნენ საჭიროების შემთხვევა-ში... პო, ალბათ იდგებოდნენ. იქნებ სჯობდა, დარჩენილიყო, დილამდე ან გაიყინებოდა, ანდაც ლეგიონერები მოკლავდ-ნენ. შეხვდებოდა შემოქმედს და ერთადერთ კითხვას დაუს-ვამდა, რატომ?

არა, კიდევ ერთხელ წამოიწია და ფეხზე წამოდგა. ელენს ხომ დაპირდა, მის პატარა, საყვარელ დაიკოს, რომ დაბრუნ-დებოდა და დაიცავდა იმპერიელებისგან. დაიცავდა სისხლის ბოლო წვეთამდე. მაგრამ როგორ, როგორ უნდა მიეღწია სახ-ლამდე, ან სად იყო საერთოდ.

გათენებამდე უნდა გაეძლო, რადაც არ უნდა დაჯდო-მოდა უნდა ევლო, ერბინა, დაესვენა და ისევ გაქცეულიყო.

რამდენი დრო გასულიყო, არც კი იცოდა. ერთი საათი თუ

ათი წუთი. თითქოს წამების წინ იდგა თანამებრძოლებთან ერთად. განიხილავდა ომის შემდეგ რას გააკეთებდა, როგორ ახლოს იყო ოცნებები, თითქოს ცოტაც და ხელით შეეხებოდა. ქართველები მართვის მიზანია, თავი გააქნია, ოცნება იმიტომაა ოცნება, რომ ყოველთვის მიუწვდომლად რჩება.

ცოტა დამთბარიყო, როგორც ჩანს სამხედრო სინოპტიკოსები არ შემცდარან, მართლაც ითოვებდა, ზამთარი დამდგარიყო და პირველად საკუთარ სიცოცხლეში ქართველი არ უხაროდა. საინტერესოა, როდესმე კიდევ თუ გაუხარდებოდა რაიმე.

დაღლილი ხეს მიეყუდა, აღარ შეეძლო, მაგრამ უნდა გაეგრძელებინა ელენის ხათრით, დედის ხათრით. უფროსი ლორდი ქართველის დასამტკიცებლად, რომ ძმებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. უნდა გაეგრძელებინა მზის ამოსვლამდე, ახალი დღის პირველ სხივამდე, ახალ იმედამდე.

„ახალი იმედი“, სანტერესოა, იმედი შეიძლება იყოს ახალი ან დაძველდეს? თუ იმედი მუდამ არსებობს და სტიმულს გვაძლევს ყოველთვის ვიბრძოლოთ, რაც არ უნდა მოხდეს? კარგით, ლორდ ქართველი დავუბრუნდეთ.

ერამონდისთვის ღამე მთლად სასიკეთოდ არ მიდიოდა, დაღლილი უფრო ხშირად იქცეოდა, შეიძლება სადმე კისერიც მოეტეხა. იმედი კი, იმედი არსად ჩანდა, სადღაც შორს, ბავშვობაში დარჩენილიყო.

შემდეგი ხის ფესვი მძიმედ დაუჯდა და აღარც ბორცვი აღმოჩნდა პატარა. სულ დაბლა და დაბლა მიგორავდა, გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო, მგონი საკუთარი ნეკნის ხმაც გაიგო. ცოტა ხანში მიწასაც დაენარცხა. მთელი სხეული სტკიოდა, წამოდგომა კი აღარც უცდია. თავი წამოსწია,

ვერაფერი დაინახა.

მიწაც გამობარიყო, ალარც ჩასუნთქული ჰაერი მოეჩვენა ცივად. იქნებ და ეს არის, იქნებ და მორჩა ყველაფერი. და თუ ასეთი ცუდია სიკვდილი, მაშინ რატომ თბილა, რატომაა ასეთი სასიამოვნო გრძნობა, როცა აღარ იბრძვის.

ფიქრები მგლების ყმუილმა გაუფანტა, როგორც ჩანს, ტყის ბინადრები შორიახლოს დახეტიალობდნენ. იმედია, როდესაც იპოვნიდნენ, ცოცხალი აღარ იქნებოდა, იმედია.

სახეზე სისველეს გრძნობდა, რაღაც ცივი ეხებოდა, შემდეგ ეწვოდა, გაიღიმა ყოველთვის უყვარდა თოვლი და როგორც ჩანს, ბოლოჯერაც შეიგრძნო ზამთრის შვილებთან შეხება.

უცრად განათდა, სადღაც შორს, არა ახლოს. განთიადი? არა, ძლიერ ახლოს იყო. შემდეგ ადამიანების ხმები, ფეხის ნაბიჯები, ყველაფერი ერთმანეთში აირია. ქაერი ბურანში იმყოფებოდა, თითქმის აღარაფერი ესმოდა. მის წინ ადმიანის სილუეტი გაჩერდა, რაღაც დაიძახა, მგონი აქ არისო თუ ვიპოვეო, მაგრამ ერამონდისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. უკვე მზად იყო, მზად იყო შეხვედროდა მას, ვისთვისაც ლოცულობდა ყოველდღე და ყველა კითხვაზე პასუხი მოეთხოვა.



ნინა ნარიმანიშვილი „მტრედი“, 42 X 29. შერეული ტექნიკა.  
თბილისის სამხატვრო აკადემია



ნინა ნარიმანიშვილი „ორი ქალი იდგა და წვიმას ხვეტდა“, 31 X 19.  
ძველი ფურცელი, გუაში, ტუში. თბილისის სამხატვრო აკადემია



## გელანო ჩოკორაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სხვა გზის პირბაზი

„მე იქით წავალ, სადაც წყალი იქნება მდორე.“

გიორგი კველიძე

ტელევიზიუმითა და საინფორმაციო გამოშვებებით ცუდი ამბის, უფრო სწორად კი ცუდი ამბების გაგებას არათუ მივეჩვიეთ, უფრო მეტიც, მგონი, იმუნიტეტიც კი გამოგვიმუშავდა – სხვის ტკივილზე, პრობლემაზე, შიმშილზე, გაჭირვებასა და ცუდად ყოფნაზე რეაქცია არ გვქონდეს. ჩვენ ჯერ კიდევ იმ მდგომარეობაში ვართ, რომელზეც ნეტარი ავგუსტინე წერდა: „უგუნურებსა შინა ვართ ნათესავნი ადამისნი და გულმოდგინედ მიდრეკილ არს გული კაცისა ბოროტისა“ – ადამის ურჩობა კვლავ და კვლავ მეორდება მის მოდგმაში. თითქოს ისე ვართ, „ალარც სიცილი შეგვიძლია

და აღარც ტირილი“, ამიტომაც არის, ალბათ, ტრაგიკული ამბები უკვე აღარც გვიკვირს და ჩვეულებრივ რეალობად ვიღებთ, თუმცა, ავადსახსენებელ დროშიც კი ხდება ხოლმე ისეთი ტრაგედია, ერთიანად რომ შეგძრავს, სულს აგიფორიაქებს.

ასე მოხდა, როდესაც მდინარე ენგურმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონაში სამი ადამიანის ცხე-დარი გამორიყა (მეოთხე მოგვიანებით იპოვეს).

განიცდი, როცა იგებ ადამიანის გარდაცვალებას, უფრო განიცდი, როცა იგებ, რომ სამივე ერთი ოჯახის წევრი იყო, შემდეგ კი კიდევ უფრო განიცდი, თუ როგორ და რატომ აღმოჩნდა ეს სამი ადამიანი ენგურში, რა მიზნით გადაწყვიტეს ადიდებულ მდინარეში შესვლა? – მათ კუთვნილი სოციალური დახმარების აღება სურდათ და ეს ერთადერთი გზა იყო დახმარების მისაღებად, რომლითაც ახალდაბადებული შვილიშვილისთვის საჩუქრები უნდა ეყიდათ.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ენგურის გავლით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოსვლა საბედისნერო აღმოჩნდა. 2020 წლის ზაფხულში ენგურმა 70 წლამდე მამაკაცის ცხედარი გამორიყა, რომელიც ზუგდიდში პენსიის ასაღებად მოდიოდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სოფელ ხურჩაში შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ენგური გადმოცურა.

ზოგი ღამე ცდილობს გადმოსვლას, რადგან, როგორც ამბობენ, ამ დროს ოკუპანტთაგან დატყვევების საფრთხე ნაკლებია, თუმცა ეს დიდ რისკთანაა დაკავშირებული, ამავე დროს, ენგური სახიფათო მდინარეა და შეიძლება იქ აღმოჩნდეს ღრმა, სადაც არ ელი.

ამ მდინარეში შესვლა მაგონებს უმპერტო ეკოსეულ ბიბლიოთეკას, ერთგვარი ლაბირინთს, შემსვლელთათვის რომ განიერია და გამომსვლელთათვის – ვიწრო. შეხვალ, მაგრამ არ იცი, შეძლებ კი გამოსვლას?! ოდისეა მხოლოდ სწორ გზაზე ხეტილი როდია.

ეს ოდისეაც წლებია, ათწლეულებია დაიწყო, გაგრძელდა მდინარეში შესვლით, იმ მდინარეში, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან...

მიფიქრია ზოგჯერ, ენგურს რომ საუბარი შეეძლოს, რამდენი რამე ექნებოდა სათქმელი, რამდენი რამის მოწმეა და „ამავ დროს – უტყვი...“

რამდენ ტრაგედიას შესწრებია, რამდენი ცრემლი უნახავს, ნეტავ, ჩვენს გულსაც შეეძლოს იმის დანახვა, რასაც ენგური ხედავს.

ოლდოს ჰაესლი წერდა, „შესაძლოა, ეს სამყარო სხვა პლანეტის ჯოჯოხეთიაო“. განა ჯოჯოხეთი არ არის, პენსიის ასაღებად მუხლებმოდრეკილს ტყე-ტყე გინევდეს ტალახიანი გზით სიარული, ადიდებულ ენგურში შეხვიდე, რათა სოციალური დახმარების აღება შეძლო, მშობლები, რომელთაც საჩუქრებით ელოდები, კატაფალკით მოგისვენონ, უახლოესი ადამიანები დაკარგო და სამძიმარზე ვერ მიდიოდე და, რაც მთავარია, დევნილი გერქვას საკუთარ სამშობლოში, ერთი კუთხიდან მეორეში ვერ გადადიოდე?!...

სხვა გზის, მესამე გზის ძიება ქართველი ერისთვის ნაცნობი პარადიგმაა, კონსტანტინე გამსახურდიამ „დიონისოს ღიმილში“ კითხვის – „ქართველები ევროპელები ვართ უფრო თუ აზიელები? პასუხად კონსტანტინე სავარსამიძეს ათქმევინა, რომ „საქართველო მესამე იქნება“.

მესამე გზის ძიებაში იყო ტერენტი გრანელიც, როცა ამბობდა: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ – რაღაც სხვა“.

მესამე გზას ეძებენ ენგურსმილმა საქართველოში და ეს „სხვა“ გზა ენგურის აზეირთებულ ტალღებთან ბრძოლაა.

როცა ენგურის ხიდთან რუსი „მესაზღვრეები“ დგანან, ე.წ. „საზღვარი“ ჩაკეტილია, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთიდან შემოსული მოქალაქეებისთვის ხუთდღიანი კარანტინი აქვს დაწესებული, რაც დამატებითი ბარიერია და, ამ დროს, ენგური ერთადერთი გამოსავალია, როცა სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს და ამ გზაზე „ზღაპარი“ ნამდვილად არ არის გალელების „სითამამე“.

კნუტ ჰამსუნი წერდა: „არ არსებობს გზა, რომელზეც საფრთხე არ გველოდება“, თუმცა, ეს გზა მეტისმეტად მძიმეა – საფრთხით, ნინაღობებითა და უსიამოვნო მოულოდნელობებით.

ადამიანის სულიერი განახლებისა და აღორძინების გზა, როგორც წესი, სიკვდილზე გადის, ასე იყო თვით ქრისტეს შემთხვევაში, როცა სიკვდილში იყო მარადიული სიცოცხლის საწყისი და ასე მოხდა სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა.

სიკვდილის გზით აღორძინების მოტივი არც ქართული ლიტერატურისთვისაა უცხო, წყალში სიკვდილი პარადიგ-მულ-პარაბოლური კონცეპტია. ქრესტომათიული მაგალითია „მთავრის მოტაცების“ მთავარი გმირის – თარაშ ემხვარის ენგურში დაღუპვა.

შუმერულ მითოლოგიაში „დასაბამ მდინარედ“ მიჩნეულია აბზუ, სათავე ყველა მიწიერი წყარო-მდინარისა. შუმერები მას მსხვერპლს სწირავდნენ, საკმეველს უკმევდნენ.

წყლის ღმერთი ქართულ მითოლოგიაში არის იგრი, რომელიც სიცოცხლის საწყისად არის მიჩნეული. ამ ღმერთს უკავშირებენ მდინარე ენგურის სახელს. იგრის სადიდებელი თვე არის იგრიკა, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით – აპრილი, თარაშ ემხვარი ენგურში სწორედ აპრილში დაიხრჩო.

7 აპრილს გამორიყა მდინარე ენგურმა დაღუპულთა ცხედრებიც.

მომხდარი სულისშემძვრელი ტრაგედია, უფრო კიდევ დიდი ტრაგედია კი ის არის, რომ არაფრის შეცვლა არ შეგიძლია, გიპყრობს საკუთარი უძლურების განცდა.

ძალიან სამწუხაროა, რომ მომხდარი მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედიად დარჩა, ქვეყანას არ შეხებია, დიდად არ უგრძვნია ტკივილი პატარა ბიჭისა, რომელიც მშობლების საუკუნო განსასვენებელს მოწყენილი დასცეროდა და ვერ გაეგო – რატომ, რისთვის?

ან იქნებ იმ პატარა, ცხრა წლის ბიჭუნამ უფრო მეტი გაიგო, ვიდრე ჩვენ ენგურსგამოლმა საქართველოში?!

რეალობა კი ის არის, რომ ჩვენთან თაობები იბადება, იზრდება ისე, რომ მათ ძალიან ცოტა რამ, ან, თითქმის, არაფერი იციან ენგურსმილა საქართველოზე. ამაყად ვიყენებთ დუმილის უფლებას, რატომდაც, დუმილს ვირჩევთ (ნაწილი – დუმილს, ნაწილი – აღშფოთებას) და სანამ ჩვენ ვდუმვართ და „აღვშფოთდებით“, დრო მიდის, უფრო სწორად კი, მიფრინავს. ჩვენ არც დაკარგულ დროს (და)ვეძებთ და არც უკეთესი მომავლის შესაქმნელად ვაკეთებთ რაიმე ღირებულს.

როგორც წესი, უმეტესად, ჰაშთაგით №„ აფხაზეთი-

საქართველოა“ შემოვიფარგლებით, სოციალურ ქსელში ერთი-ორი ფოტოც დაიდება, სიმბოლურად ენგურის ხიდთან გადაღებული, და ამით ამოიწურება ჩვენი პროტესტი და სატკივარიც. მაგრამ ამოიწურება კი იმ ადამიანებისთვის, ვინც, წლებია, ამაოდ ელის შინ დაბრუნებას, ვინც მხოლოდ სიზმარში თუ ხედავს თავის მშობლიურ მხარეს, ვინც ფოტოზე თუ ხედავს, როგორ ჰქიდია მათ აივნებზე სხვისი სარეცხი, როგორ ასცდა სიმაღლით სარეველა ბალახი პირველ სართულს, გადამწვარ, გაუბედურებულ სახლებს, რომელთა მოსაგონრად ერთი ნივთიც არ დარჩენიათ?!

როდესაც ვამბობთ, სოხუმის დაცემიდან ოცდარვა წელიწადი გავიდაო, ამ დროს ყველა თავისებურად აღიქვამს. ვისთვის ეს, უბრალოდ, ოცდარვა წელია, ვისთვის – მთელი საუკუნე.

ოცდარვა წელია, დაძინების აღარ ეშინიათ, დაღამებას მოუთმენლად ელიან, რადგან ლამე იშვიათად არსებობს სიზმრის, ხოლოს სიზმარი – აფხაზეთის გარეშე. ჩვენ შეიძლება ბევრი რამის უფლება გვქონდეს, მაგრამ დუმილი, ალბათ, ერთადერთია, რისი უფლებაც არ გვაქვს, რადგანაც „სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს ნიშნავს“.

ვამბობთ, რომ „დაკარგულად ვერ ჩავთვლით იმას, რაც ჩვენი წებით არ დაგვითმია“ – მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ერთმანეთი დავკარგეთ, ერთმანეთის სიყვარული დავკარგეთ, მაგრამ არა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ერთამანეთი კი არა, ჯაჭვის ის რგოლი დავკარგეთ, ერთმანეთთან რომ გვაკავშირებდა, რგოლი, რომელიც ახლაც არსებობს, რა თქმა უნდა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ადრე იყო, ალბათ, მარყუშები, აღარ აქვს მყარი, დაუანგული მპოვნელს ელო-

დება, ალბათ, ხშირად იმედიც კი დაუკარგავს, რომ ოდესმე იპოვიან, იქნებ, ხშირად წყალწალებულივით ხავსს ეჭიდება, მაგრამ თუ ხავსი არსებობს, ესე იგი, იმედიც არსებობს.

ეს რგოლი ის ნათელია, რომელიც „ბნელსა შინა არს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ – უფლის რწმენა და სიყვარული.

რომც მოვისურვოთ, წარსულს ვერ შევცვლით, თუმცა, საბედნიეროდ, აწმყო ძალგვიძს შევცვალოთ – ძალისაებრ, ჩვენი მომავლის საკეთილდღეოდ, ვიბრძოლოთ საქართველოს გადარჩენისთვის აზვირითებულ მსოფლიოში, სადაც ძლიერი მცირეთ თრგუნავენ, ჩვენი ქვეყნის განადგურების მოსურნენი იყვნენ, არიან და იქნებიან.

როგორც ამბობენ, ყოველ საუკუნეს თავისი მძიმე ჯვარი აქვს, ჩვენიც ჯვარიც მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ ის ჩვენია, ჩვენ ცოცხლები ვართ და სიცოცხლე საუკეთესო „განაჩენია“ ტკივილისა და განსაცდელის მიუხედავად.



## გიორგი ცერცვაძე

გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტი

„ესე დაღლილი ამჟღეყნილან  
გამარჯვება გამარჯვება“

„თვითმფრინავის ფრთის ქვეშ ქამრით მიმაგრებული ახალ-  
გაზრდის გვამი აღმოაჩინეს, რომელიც ფრენის დროს გაიყინა“

„ვისაც გაუმართლა, მკაცრ გარემო პირობებს გადაურჩა,  
მაგრამ არიან ისეთები, ვინც სამწუხაროდ, ჭაობში ჩაიძირა.  
ჩაძირულ ქართველებს კი აღარავინ ეძებდა.“

„დასკორილი და დასერილი ელენე სისხლის გუბეში იწვა.  
რომ წარმოვიდგენ, როგორი ენით აღუწერელი წამებით მოკლეს  
ელენე, ბოლმა მახრიობს. თურქეთში ისედაც სულ შიშში ვართ,  
ქუჩაში ქართულად ლაპარაკსაც ვერიდებით, რომ ვინმე არ აგვე-  
დევნოს.“

„წავედი ახლა, ძილის დროა, ისევ დავწვები და ვიოცნებებ,  
ჩემს ლამაზ სამშობლოზე, სახლზე და სახლში ქმარზე ვარდებით  
ხელში. მიყვარხართ ყველა“.

ემიგრანტების წერილებიდან

ეს ემიგრანტების ისტორიაა, ნიუსებსა და პოსტებში ჩაკირული მათი ფოლიანტები, ამ ქვეყნის სევდიან რეალობაზე რომ გვიყვება. 800 ათას ქართველს თავის გამართლებად გაუსაძლისობა გაუყოლებიათ და იმედით გადაულახავთ საზღვარი: ვიღაც რემონტს დაასრულებს, ვიღაც ბანკის ვალს გაისტუმრებს და ერთადერთ საცხოვრებელს გამოიხსნის, შვილებსაც გადაუხდის სწავლის საფასურს და მომავალშიც იზრუნებს „დიდ ბავშვზე“. მთავრობაც ნაწილობრივ მადლიერი დარჩება, ისინი ხომ გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. თითქოს ერთგვარი პანაცეაა საზღვარგარეთ საკუთარი თავის განირვა იმისთვის, რომ სამშობლოში ოჯახი გადაარჩინო. მაგრამ გადამრჩენელის მიმართ განწყობა ყოველთვის არ არის ერთგვაროვანიადამიანები ეჩვევიან მათ დაუსრულებელ პასუხისმგებლობას და ეს ყველაფერი ქრონიკული ხდება თავისი ემოციებით, ფულადი გზავნილებითა და „ზუმამბორით“.

ემიგრაციას როცა ვახსენებთ, ყველას მძიმე ცხოვრება და სევდიანი ისტორიები ახსენდება. მეც, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ისტორიებთან ერთად მახსენდება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც საქართველოში დაიბადა, გაიზარდა, წავიდა სხვა ქვეყანაში ცხოვრების მოსაწყობად და ახლა საქართველოს მაღალი გადასახედიდან მენტორული ტონით რეკომენდაციებს აძლევს, უფრო მეტიც ლანძღავს, შეურაცხყოფას აყენებს, „ამხელს“ და არამარტო ქართული აუდიტორიის გასაგონად. რთულია საქართველოში ცხოვრება, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ არა გაუსაძლისი. ადამიანს სწორედ ასეთი სირთულეები აძლევს ძალას, რომ არ მოდუნდეს, პროგრესირდეს, წავიდეს წინ, დაიპყროს მწვერ-

ვალები და იყოს თერგივით ენერგიული, როგორც ამბობენ, რაც არ კლავს, ის აძლიერებს. თუმცა ადამიანი ყველაზე ძლიერი მაშინაა, როცა თავისით აღწევს ყველაფერს, სხვების დაუხმარებლად. მაგრამ თუ მაინც დასჭირდა დახმარება, ეს თავისი ბრუტალურობით, სისუსტით, სამშობლოს დაკნინებით და თავის შეცოდებით არ უნდა მიიღოს. პირიქით, უნდა დაანახოს, რომ სწორად მოაზროვნეა, როგორი მიღწევები აქვს, როგორი მიზანდასახულია და სჭირდება იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც სხვებს აქვთ.

გასაკვირი და უცნაურია, როცა „ოჯახური“ პრობლემა ფართო აუდიტორიის წინაშე გამოაქვთ. ეს არა პრობლემის მოგვარების გზას, არამედ იმ ჭორაობას ჰგავს, რომელიც სოფლის ორლობებში ნახირიდან მომავალ ქალებს სჩვევიათ და ფაქტზე გავლენას ვერ ახდენს. იმის მაგივრად, რომ პრობლემაზე სახლში ილაპარაკონ და ოჯახის წევრებთან მოაგვარონ, რატომლაც უბნის საჭორაო თემად გადააქცევენ და მაშინ ნანობენ თავიანთ საქციელს, როცა ეს უფრო მეტ ზიანს მოუტანთ. უნდა გვახსოვდეს და არასდროს დავივინუოთ, როცა საკუთარი ანარეკლი არ მოგვწონს, ეს სარკეს არ უნდა დავაბრალოთ და სარკე კი არ უნდა შავცვალოთ, არამედ საკუთარი თავები.

ქართველები უარს ამბობენ სამშობლოში დაბრუნებაზე იმიტომ, რომ ურჩევნიათ ოჯახს საწვავის ფული გამოუგზავნონ, მერსედესით იარონ და არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ძნელია, როცა ხედავ გაჭირვებულ ხალხს, რომელიც სხვა ქვეყანაშია გადახვეწილი ოჯახის სარჩენად, ყოველ ღამე სამშობლოს მონატრების ტკივილით იძინებს და იღვიძებს იმ განცდით, რომ ერთ დღეს საქართველოში ჩამოვა.

სირცხვილია, მონატრებით სავსე ადამიანს და ფულით დაბრ-  
მავებულს ორივეს ერთი სახელი, ემიგრანტი ერქვას.

„საქართველოა, გიორგი, რა გიკვირს?!“ – ტექსტი,  
რომელიც ძალიან გამაღიზიანებელია და სწორედ ფულით  
დაბრმავებული ადამიანების ლექსიკაში მკვიდრობს. ისინი,  
ჩვეულებისამებრ, საქართველოს იმ დაქცეული და წყალწალე-  
ბული ქვეყნის იმიჯს არგებენ, სადაც არაფერი ხდება, სადაც  
მზიანი დღე ჯოჯოხეთიდან ამოსული ნათებაა, სადაც ლურჯი  
ზღვა უბრალოდ მირაჟია, სადაც სწავლის ძირიდან კენწერ-  
ომდე სულ მწარეა, სადაც ადამიანობა უბრალოდ არ არის,  
სადაც საღი აზრი სირცხვილია. არადა, რეალობა სულ სხვაა.  
ასეთ ხალხს განათლება არ სწყალობთ, სწავლა ეზარებათ,  
ურჩევნიათ, საკუთარი უნიათობა საქართველოს დაბრალონ,  
თითქოს აქ არაფერი გამოუვიდათ. არიან ახალგაზრდები,  
რომელთა თქმით, 100% იანი გრანტით აქ ვერაფერს გახდნენ  
და ქვეყნიდან წასვლა მოუწიათ. საინტერესოა, თუ იმდენს  
მიაღწიეს, რომ მოეპოვებინათ ეგ ყველაფერი, რატომ გაჩ-  
ერდნენ? რატომ დანებდნენ? შეეშინდათ და გამბედაობა არ  
ეყოთ? იქნებ აქ პერსპექტივა არ ჰქონდათ, ან არ დააფასეს?  
დიახ, ჩნდება ლოგიკური კითხვები, რომელზეც ასე გიპა-  
სუხებთ: საქართველოში თითქმის ყველა პროფესიაში გვყავს  
წარმატებული ადამიანები. მათ როგორ მიაღწიეს, როგორ  
გახდნენ ასეთი წარმატებულნი? დიახ, ბევრი იშრომეს და  
ამაში ქვეყნის სიყვარულიც დაეხმარათ. ნურავინ მეტყვის,  
ანაზღაურება არ არის საქმარისიო. ჩემი აზრით, ადამიანმა  
პირველ რიგში საკუთარი თავი და შრომა უნდა დააფასოს,  
თუ ადამიანი დასჯერდება იმაზე ნაკლებს, რაც ეკუთვნის და  
არაფერს გააკეთებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ის

გროშსაც არ იმსახურებს. რატომ? იმიტომ რომ სათანადოდ ვერ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს.

და მაინც, ვიღაც შორიდან იტყვის „საქართველოს ბრალიაო“ და არასოდეს დაფიქრდება იმაზე, რა მისცა მან ამ ქვეყანას. საწვავის და საჭმლის ფულისთვის წასულს, ორივეს ემიგრანტი ვერ ერქმევა?! როგორ შეიძლება დალაგებით დაკოურილი ხელების პატრონს და საზღვარგარეთ მაღაზიაში ქართული წარწერის „არ მოიპაროთ კამერებია“ ადრესატს, ორივეს ემიგრანტი ერქვას?! საქართველო იყო, არის და იქნება ისეთი ადამიანების გარეშეც. რომელიც ასე ამცირებს მის სახელს მოდური ფრაზით - „ეს საქართველოა, გიორგი, რა გიკვირს!“. შენი ქვეყანა რომ შეიგრძნო, ყველაზე მთავარი უნდა შეგეძლოს- მიიღო და უპატრონო მას არამხოლოდ კეთილდღეობის, არამედ უამიანობის დროსაც.

ემიგრანტია ის ადამიანი, ვისაც ცალი ფეხი სამშობლოში რჩება და ერთი სული აქვს როდის დაბრუნდება. ემიგრანტია ის ადამიანი, ვინც ყველაფერს ცდის და ასე დაღლილი წავა სხვა ქვეყანაში, ემიგრანტია ცდით დაღლილი მშრომელი ხალხი და არ ის, ვინც ერთ წაბორძიკებაზე ქვეყანას ლანძღავს და უკანმოუხედავად ტოვებს მას. თუმცა ისიც ფაქტია, უკონტროლო მიგრაციულმა პროცესებმა ჩვენს ქვეყანაზე ნეგატიური გავლენა რომ იქონია და დღის წესრიგში ისეთი პრობლემები დააყენა, როგორიცაა დემოგრაფიული მდგომარეობის დამძიმება, კვალიფიციური კადრების გადინება და ინტელექტუალური პოტენციალის გაფლანგვა.

ემიგრანტთა უცხო ქვეყანაში ცხოვრება ხშირ შემთხვევაში ათეულობით წელს ითვლის. ისინი სამშობლოში ჩამოსვლას სტუმრის სტატუსითაც ვერ ახერხებენ. არიან დედები,

რომლებმაც საკუთრი შვილების ცხოვრება ინტერნეტით განვლეს და მათი ადამიანური ემოციები ვირტუალურ სივრცეში ჩაიფერფლა. არიან ისეთებიც, რომლებმაც საყვარელი ადამიანი დაკარგეს და უკანასკნელ გზაზეც ვერ გააცილეს. გმირობის ტოლფასია მათი თავგანწირვა შვილებისთვის, მოხუცი მშობლებისთვის. ემიგრანტების სოციალურ ქსელებში დადებული ბედნიერი სურათების მიღმა ცრემლიან მონატრებასთან ერთად დეპორტაციის შიშიც იმაღება. არ შეიძლება ამის ყველაზე სასტიკი მაგალითი არ გაგვახსენდეს, თუ როგორ, რა პირობებში ჩამოიყვანეს 2006 წელს რუსეთიდან, სატვირთო თვითმფრინავით ადამიანები. და როცა ემიგრანტები მარცვალ-მარცვალ აგროვებენ სამშობლოში დაბრუნების იმედებს, აქ, საქართველოში, მათ გარეშე უამრავი ისტორია იწერება, იწერება, მათ გარეშე...ემიგრანტის ცხოვრების ტრაგიზმიც სწორედ ეს არის.

მიგრაცია კი გლობალური პროცესია, რომელიც ყველა დროსა და სივრცეში მოხდება ადამიანების ცხოვრებაში, მთავარია, სხვის ბუდეში კვერცხის დადებას არ შევეჩვიოთ ქართველები.

ასე დაღლილი ამქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,

მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრაფო ობლად რომ დარჩეს.

„რთულია ემიგრანტის უღლის ტარება, თუმცა, ჩემში ძლიერი ქალი ამ უღლის ტარებამ შექმნა“.

„ჰო, ის ვარ! ძალაგამოცლილს, იმედის სხივამდე მუხლებით მიხოხია და არ დამითმია, არ დავნებებულვარ!

ჰო, მე ის ემიგრანტი ვარ! რომელიც ყოველთვის გაიღიმებს, რომელიც სულიერად ლამაზი უნდა მოკვდეს ...“

(ემიგრანტების წერილებიდან)



## გიორგი გოგუა

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

### ჩვენი დღიუს პრემია და ყოფა

ვინმემ რომ გვკითხოს, მაინც რისი გწამთ თანამედროვე ადამიანებსო – რას ვუპასუხებდით? როგორ აღვიქვამთ და ვავლენთ თავს ამ ჩვენს რწმენა(ებ)ში? ან რას გამოვხატავთ უფრო ზუსტად ამ ცნების ქვეშ. იქნებ მავანი მეცნიერის მხურვალე მოლოდინს, რომ რაღაც ისეთს შექმნის, რითაც კაცობრიობას დიდ უბედურებას აარიდებს? – იქნებ, მისი ეს ენთუზიაზმიც რწმენის ერთგვარ გამოვლინებად უნდა ჩავთვალოთ? – თანაც ყოველმხრივ გამართლებული ქმედებაა, მეცნიერს სამყაროს გადარჩენა სურდეს და ამ მიზანს მთელ მის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს ახმარდეს. ასეთ შემთხვევაში, სიტყვა მეცნიერება თავისთავადი სიკეთის იდეადაა ნაგულისხმევი, მაგრამ თუკი მეცნიერება და მეცნიერი (როგორც ეს წარსულში არაერთხელ მომხდარა) რომელიმე

ბოროტი პოლიტიკური სისტემის, იდეოლოგიისა თუ რეჟი-  
მის დაქვემდებარებაში მოექცევა, მან შესაძლოა, დამანგრევ-  
ელი გავლენა მოახდინოს თვით ადამიანის სასიცოცხლო  
სივრცეზე, არათუ ამ უკანასკნელის რწმენა/მოლოდინებზე  
მისი (მეცნიერების) საგნის მიმართ.

ისევ რწმენის ჩვენეულ გაგებაზე რომ განვაგრძოთ  
საუბარი, პირველ რიგში, ამ საკვანძო ცნების ფართო დია-  
პაზონი უნდა გვქონდეს მხედველობაში. ზოგადად რწმენა,  
არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც იმთავითვე რელიგიური,  
მეტაფიზიკური ან აბსტრაქტული ფენომენი. უკეთ რომ გავი-  
აზროთ, შეგვიძლია მისი ერთ-ერთი განსხვავებული შინაარსი  
ყოველდღიურ ყოფაში გამოყენებული მარტივი მაგალითი-  
თაც განვიხილოთ. ალბათ ამა თუ იმ პიროვნების მიღწევე-  
ბით გაოცებულებს ხმირად გვითქვამს – ამა და ამ კაცს საკ-  
უთარი თავის ძლიერი რწმენა აქვსო. აქედანაა, რომ რწმენა  
არქეტიპულ ფენომენად გვევლინება. იგი ალბათ ადამიანთან  
ერთად გაჩნდა და იმდროიდანვე დიდ როლს თამაშობდა  
ჩვენს ცხოვრებაში, როცა მის ყოვლისმომცველ ძალას ადამი-  
ანი ჯერაც ვერ აცნობიერებდა ისეთი სისრულით, როგორა-  
დაც მას ეს დღეს შეუძლია გაიაზროს. ჩვენ, თანამედროვეებს  
ხელგვენიფება ჩვენსავე საზოგადოებებში, ქვეყნებში, კულ-  
ტურებსა და მათ მუდმივ ურთიერთკავშირში უფრო უკეთ  
დავინახოთ რწმენის ფენომენის ფუნდამენტური გავლენა და  
მისი წინააღმდეგობანი, რომელიც რეალურად მთელ ჩვენს  
ყოფიერებას გასდევს ლაიტმოტივად.

ჩვენი დროის ყოფა და რწმენა მსჯელობის და დასკვნე-  
ბის გამოტანის თვალსაზრისით, მართლაც, საინტერესო და  
ნაყოფიერი ნიმუშია. თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო,

რომ დღეს რწმენისა და ყოფიერების ურთიერთმიმართება, არცთუ ისე იშვიათად, ჩვენს საზოგადოებაში ხილულ პრობლემებსა და მწვავე კონფლიქტებს წარმოშობს ხოლმე. ამ კუთხით შექმნილ გამოწვევებს აუცილებელია მიეცეს სათანადო განმარტება, შემდეგ კი უნდა ამოვიდეთ ჩვენ მიერ გაკეთებული დასკვნებიდან და განვაგრძოთ მსჯელობა, თუ რა უნდა იყოს კაცობრიობის მშვიდობიანი განვითარებისთვის სწორი ორიენტირის მიმცემი. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და მის გასაგებად, მოდით კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ მსჯელობის დასაწყისში დასმულ შეკითხებს; თუ რას წარმოადგენს და რა საზრისი აქვს რწმენას ჩვენთვის, რა განსხვავებას ან/და საერთოს ვხედავთ მის ცალკეულ გამოვლინებებში, საერთო ჯამში როგორია რწმენის მიმართ ჩვენი, ანუ თანამედროვე ადამიანების დამოკიდებულება. არსებობს თუ არა რაიმე ფიზიკური/სოციალური ინსტანცია, რომელიც ჩვენი რწმენის გამოვლენასთან მოვა წინააღმდეგობაში და აგვიკრძალავს იმის გაკეთებას (ან არ გაკეთებას) რაც ამ რწმენიდან გამომდინარე მიგვაჩნია სწორად. ნამდვილად მრავალწახნაგოვანი საკითხია და სანამ მისთვის დამახასიათებელ სიღრმეებში შევალთ, სჯობს, იმთავითვე განვმარტოთ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია არ და ვერ გამოთქვამს პრეტენზიას საკითხის სრულფასოვან განხილვაზე. ასეთი ილუზიისგან წამდვილად შორს უნდა ვიყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღაც აუცილებლად გამოგვრჩება, ეს რაღაც კი იმდენად მნიშვნელოვანი დეტალი შეძლება აღმოჩნდეს, რომ მსჯელობის მიმართულება შეცვალოს და ნაცვლად თემაზე ნათელი წარმოდგენის შექმნისა, მის გარშემო კიდევ უფრო დიდი დაბნეულობა წარმოშვას. ამდენად, სჯობს, ისევ

კონკრეტული მსჯელობის ხაზს მივყვეთ.

XXI საუკუნეში ადამიანებს გაცილებით უფრო ბევრი თავისტკივილი გაუჩნდათ, ვიდრე მათ ისტორიულ წინაპარებს ოდესმე ჰქონიათ. თანამედროვე საზოგადოების და სახელმწიფოს დღის წესრიგში დადგა უახლესი გამოწვევები, რომლებმაც მოუგვარებლობის შემთხვევაში კრიტიკულად უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიონ მთელ ჩვენს საარსებო გარემოზე. რადგან თანამედროვე სამყარო მატერიალისტური გაგებით დღეს უფრო ერთიანია, ეს საფრთხეებიც თანაბარი სიმწვავით გვეხება ყველას. აღარაფერს ვამბობთ უკვე „დიდი ხნის“ პრობლემად მიჩნეულ გლობალურ დათბობასა და ზოგად ეკოლოგიურ პრობლემებზე. ეს უკანასკნელი საკითხი მსოფლიოსთვის გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდანაა აქტუალიზებული, როგორც საერთო საკაცობრიო გამოწვევა. ამ პერიოდიდან მოყოლებული მსოფლიო თანამეგობრობა გარემოზე მავნე ზემოქმედების აღსაკვეთად სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებით და კონვენციებით იზღუდავს თავს. თუმცა კლიმატური კრიზისის შეუქცევადი ბუნების გამო, ეს ღონისძიებებიც თითქოს უკვე დაგვიანებულიც კი ჩანს. რამ მიგვიყვანა ამ შედეგამდე? შეგვიძლია ვთქვათ თუ არა, რომ ჩვენი პლანეტა აქამდე ისევ და ისევ ადამიანურმა ბუნებამ და ამ ბუნებისთვის დამახასიათებელმა მრავალგვარმა ნაკლოვანებამ მიიყვანა? – ცხადია, შეგვიძლია. და რა ხელი შეიძლება ჰქონდეს ჩვენს ნაკლოვანებებთან იმას, რომ სასიცოცხლო სივრცეში უხეში ჩარევით ამოდენა უარყოფითი შედეგის წინაშე დავდეგით, თანაც საფრთხეები წინ კიდევ უფრო სერიოზული მოგველის? – ერთადერთი პასუხი, რომელიც აქ გვახსენდ-

ება, ესაა გავრცელებული ადამიანური ცრურნმენა იმისა, რომ ჩვენ ვართ ამ სამყაროს ნამდვილი ბატონ-პატრონები. ასეთი დამოკიდებულება უნდა შევაფასოთ ანტაგონისტურად, რომელიც სხვა არაფრით შეიძლება საზრდოობდეს, თუ არა ადამიანებში მყარად ფესვგადგმული ეგოისტური, ვიწრო და მერკანტილური ინტერესებით. მერკანტილიზმის სული საუკუნეთა განმავლობაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების წაყალობით ჩვენში იმდენად ღრმად და ბუნებრივად განვითარდა, რომ დღეს ის ხშირად რწმენად გვევლინება – რწმენად, რომელიც ჩვენ ამ სამყაროს ცენტრად წარმოგვიჩენს თავს.

მეორეს მხრივ, თავად საზოგადოებებისა და სახელმწიფოების შიგნითაც მწიფდებიან მუდმივი და გარდაუვალი კონფლიქტები. მივყვეთ ამ კონფლიქტთა გენეზის და პირველ რიგში დაუშვათ; რომ ადამიანებმა თანამედროვე სამყაროში რწმენის ერთი (რელიგიური) ფორმის შესუსტებით, სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ბუნებრივი წყარო შეამცირეს. ამ გადმოსახედიდან მიზეზად უამრავი ფაქტორის დასახელებაა შესაძლებელი. მთავარ „დამნაშავედ“ კი მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ეპოქის სული მიიჩნევა, რომლის პირდაპირი და უტყუარი გამოვლინება სწორედ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესია. თანამედროვე ეპოქის ადამიანში მეტია პრაქტიკული მოთხოვნილება და მის საჭიროებათა დაკმაყოფილების ათასგვარი საშუალებებიც. შესაბამისად მეტია რწმენა, ნდობა და დაჯერება იმ ძალებისადმი, რომელიც აქ, ამ სამყაროშივე საერთო კეთილდღეობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემს. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო

მეტად ვითარდება კაცობრიობა, მას მით უფრო მეტად უხდება მხოლოდ საკუთარ ცოდნაზე, გამოცდილებასა და უნარებზე დაამყაროს მომავლის იმედები. როგორც წინათ აღვნიშნეთ, აქ ეს ე.წ „იმედიც“ რწმენაა, ოღონდ ერთგვარი მეცნიერული ელფერის მქონე რწმენა, რომელიც რელიგიურისგან განსხვავებით, ადამიანს შეზღუდულად, მაგრამ მაინც ამ სამყაროშივე ანიჭებს ძალისა და პასუხისმგებლობის არეალს. თუმცა, არც ეს მეტაფიზიკური, სულიერი საზრისისგან დაცლილი „ემპირიული რწმენა“ აღმოჩნდა ეჭვ-შეუალი. სკეპტიკური და ნიჰილისტური დამოკიდებულება ყველა დროში ზოგჯერ მეცნიერულად დადასტურებული ფაქტების და მოვლენების მიმართაც იჩენდა ხოლმე თავს. ადამიანები საუკუნეების თვალსაზიერიდან იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ იდეალური სამყაროს შექმნას მათი წინამორბედებიც სულ ამაოდ ცდილობდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში მმართველობის და სოციალური მოწყობის ვერც ერთი ფორმა ვერ გამოდგა იმდენად კარგი, რომ მას მთელი ჩვენი საზოგადოების საერთო მოწონება დაემსახურებინა. ყველა საზოგადოებრივი ფორმაციაც ნაკლული და არაკმარი აღმოჩნდა ხშირად ისედაც ბუნდოვანი ადამიანური იდეალების აღსასრულებლად. მეტიც, ასეთი „მაღალი იდეალების“ დამკვიდრების ცდამ უამრავი ომი და სისხლის-ლვრა გამოიწვია. აღბათ ამ სათუოობის და ყოფიერების სიმყიფის განცდის გამო იყო ბრიტანელმა ფილოსოფოსმა, რწმენისადმი სკეპტიკურად განწყობილმა ბერტრან რასელმა რომ თქვა; „არ არსებობს რწმენის იმდაგვარი ობიექტი, რომლისთვისაც უყოფმანოდ გავიღებდი სიცოცხლეს“. ეს ერთი მეცნიერის პირადი მოსაზრებაა და სულაც არ გამორ

იცხავს საპირისპირო ფაქტს, რომ ჩვენს საზოგადოებებში შესაძლოა დღემდე არსებობდნენ ინდივიდები, რომლებსაც რწმენის გამო შეეძლებათ საკუთარი სიცოცხლეც კი დათ-მონ. მართალია, „მარტვილობის“ მაგალითები წარსულში უფრო უხვად მოგვეპოვებოდა, თუმცა არც ჩვენი დროის ყოფა (მით უფრო რელიგიური) არ უნდა იყოს იმგვარად დაბეჩავებული, თანამედროვე ადამიანში ასეთ თავდადებას რომ ვეღარ იწვევდეს.

ზევით დასახელებულ მრავალ მიზეზთაგან განსხვავებით, ჩვენი დროის რწმენისა და ყოფიერებისთვის ბევრად უფრო მოულოდნელი და შესაბამისად მწვავე აღმოჩნდა ახალი მსოფლიო პანდემია და მისი გავრცელებით გამოწვეული მთელი რიგი გართულებები. კორონა ვირუსი არა მხოლოდ დიდი ეკონომიკური ზიანის მომტანი აღმოჩნდა გლობალური ბაზრის, არამედ მის წარმმართველ და მამოძრავებელ ძალას – ადამიანსაც გაუჩინა მრავალგვარი თავსატეხი და საშიშ-როება. უპირველესად კი, ეს საშიშორება კოლექტიურ უსაფრთხოებასა და კაცობრიობის მომავალ ბედს დაუკავშირდა, რადგან საფრთხე თვით ადამიანთა სიცოცხლეს შეეხო. ამ კრიზისულ ყოფაზე არაერთი განსხვავებული აზრი და თითოეულ ამ აზრზე იმდენი ქვეაზრი შეიქმნა, რომ საზოგადოებრის წევრებს შორის ძირეულ საკითხებზე შეუთანხმებლობის ისტორიული ამბავი კიდევ ერთხელ დადასტურდა.

მხედველობაში გვაქვს იმუნიზაციის პროცესთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობა. საზოგადოების წევრთა დაყოფა ე.წ. „ვაქსერებად“ და „ანტივაქსერებად“ ამ დაპირისპირებით დღეს საზოგადოებაში ახალი დისკურსიც კი გაჩნდა. ამ დისკურსმა პრაქტიკულად ქვეყნის ყველა

ფენას- სახელმწიფო აპარატს, მასმედიას, სასულიერო და სამეცნიერო წრეებს, დარგის ექსპერტებსა და ექიმებს ერთ სივრცეში მოუყარა თავი.

პანდემიურ ყოფა, ცხადია, საქართველოშიც იქცა გან-სხვავებული შეფასებების, რწმენისა და დამოკიდებულების მიზეზად. ჩვენთანაც არსებობენ იმუნიზაციის მომხრე და მონინაალმდეგე ჯგუფები და მათ თავიანთი არგუმენტები გააჩნიათ. ამ ორი მხარის დაპირისპირებაში ადამიანებს ზურგს სწორედ მათი – რწმენასთან გაიგივებული მსოფლალ-ქმა უმაგრებთ. მეორეს მხრივ, დაპირისპირებაში ჩართულ-თა გრადაციებიც მრავალფეროვანია. ნაწილისთვის, რაც არ უნდა უტოპიურად გვეჩვენებოდეს, ეს მოვლენები რელიგიურ-აპოკალიფსური თვალითაა დანახული და ესქატოლოგიური ჟამის მოახლოების მაუნყებელია. მათ ე.წ. რადიკალურ „ანტი ვაქსერებად“ მოიხსენიებენ, რომელშიც უმეტესად იმ რელი-გიური რწმენის მქონე ადამიანები არიან გაერთიანებულნი, რომელთათვისაც ვაქცინაცია „მხეცის ნიშნის“ მიღებასთანაა დაკავშირებული. უფრო რაციონალურად მოაზროვნე „ანტი ვაქსერებიც“ არსებობენ, მათთვის თავად ვაქცინის სამედი-ცინო უსაფრთხოების საკითხი დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ უკანასკნელებს მთავარ არგუმენტად მოჰყავთ; ვირუსის გავრცელებიდან მაღევე სხვადასხვა ვაქცინის უსწრაფე-სად გამოჩენა და ორჯერადად აცრილი ადამიანების გარ-დაცვალების ცალკეული შემთხვევები. ისინი მიანიშნებენ იმაზეც, რომ ასეთი ფაქტები რეალურად გაცილებით ხშირად ხდება და იგი გამიზნულად არ საჯაროვდება.

საზოგადოების მეორე დიდი ჯგუფი კი, რომელიც მეც-ნიერულ მიღწევებსა და პროგრესს უპირობოდ ენდობა, ვაქცი-

ნაციას პანაცეად და ერთადერთ გამოსავლად მიიჩნევს. ისინი ე.წ „პროგრესული ადამიანები“ არიან და „ანტივაქსერულ“ სპეკულაციებს არასერიოზულად უყურებენ. უფრო მეტიც, ისინი მოწინააღმდეგებს „შეთქმულების თეორიის“ რწმენაში ადანაშაულებენ. საბოლოო ჯამში ფაქტი ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც, როგორც მინიმუმ არსებობს ორი დაპირისპირებული მხარე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეალურია მათი შეურიგებელი პოზიციაც. მიუხედავად ამისა, ვიტყოდით, რომ ორივე მხარეს გააჩნია სიმართლე და საკუთარი წილი ჭემარიტება.

და ბოლოს, როგორი უნდა იყო ნეიტრალურად განწყობილი ინდივიდის პოზიცია, რომელსაც სურს ამ პრობლემურ საკითხშიაც ოქროს შუალედი გამოძებნოს?! – ესეც რთული სათქმელია. ალბათ ასეთმა ადამიანმა თავი უნდა შეიკავოს სხვათათვის ვაქციინირების მოწოდებისკენ, თუკი ამან შეიძლება ერთი ადამიანის გარდაცვალება მაინც გამოიწვიოს ანაფილაქსიური შოკით ან რაიმე სხვა თანმდევი გართულებით. მეორეს მხრივ, იგივე ადამიანი ვერც იმის უფლებას უნდა აძლევდეს საკუთარ თავს, რომ სხვებს მოუწოდოს უარი თქვან ვაქციის მიღებაზე, თუკი ეს ერთი ადამიანის სიცოცხლეს მაინც გადაარჩენს. საბოლოოდ ამ დაპირისპირებაში ყველაფერი დაჯერებისა და არ დაჯერების, „ანტისა“ და „პროს“ ჭიდილის ასპარეზია, რომელშიც ყოველი ადამიანი მისდაუნებურად უკვე მხარეა და აკისრია მოვალეობა, რომ არჩევანი სწორედ მისი რწმენისა და ყოფის შესაბამისად გააკეთოს.



## მარიამ კაპალაშვილი

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი.

### ჰასიზე „ქართველებულები“

მარგარეტ მიჩელის რომანი „ქართალებულნი“ 1936 წელს გამოიცა, ავტორმა ის სულ რაღაც ხუთას დოლარად გაყიდა და შემოსავლის ათ პროცენტს დასთანხმდა. ვერც ავტორი და ვერც გამომცემელი მაკმილანი წარმოიდგენდა, რომ ეს ამაღლვებელი სიყვარულის ისტორია მთელს ამერიკას მოხიბლავდა. მართლაც, „ქართალებულნი“ 1930-იან წლებში მხოლოდ ამაღლვებელი სიყვარულის ისტორია იყო, რომელიც ომის ფონზე ვითარდებოდა. იმ პერიოდში „ქართალებულნს“ ათასნაირი სახელი უწოდეს – „ბულვარული რომანი“, „სამზარეულოში წასაკითხი წიგნი“ და ისიც, რომ მისი ავტორი ქალი იყო და ყველა კრიტიკოსს არწმუნებდა რომანის „ქარაფშუტულობაში“. ამგვარმა უსაფუძვლო კრიტიკამ და ქალის წარმატებით ეგონატკენმა მამაკაცებ-

მა კარგად დაფარეს ის რეალური პრობლემები, რაც წიგნს ჰქონდა. „ქარწალებულნის“ ადაპტაციას თავიდანვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და მართლაც, ფილმი კინოკლასიკად არის აღიარებული. წლები დასჭირდებოდა იმის შემჩნევას, რომ „ქარწალებულნი“ სულაც არ იყო ისტორიულად ზუსტი, არამედ იყო მხოლოდ ზედაპირული, ერთი პერსპექტივით დანახული ისტორია – კონფედერაციული შტატების, სამხრეთელების ისტორია, რომელიც სავსე იყო მითებითა და ცრურწმენებით. ოცდამეერთე საუკუნეში არჩევანის თავისუფლება გვაქვს, შეგვიძლია საკუთარი მოსაზრებები გავამყაროთ ცოდნით და ასე მივიღოთ გადაწყვეტილებები. სამწესაროდ, სამხრეთელ საზოგადოებას ათწლეულების განმავლობაში ჰქონდა აკრძალული არჩევანის თავისუფლება. ისინი სწავლობდნენ მხოლოდ იმას, რაც მათ წარსულს ღირებულს ხდიდა. ყოველი სხვა ფაქტი, როგორიცაა მონობის სასტიკი რეალობა, უბრალოდ გამქრალი იყო, არ არსებობდა. ისინი ცხოვრობდნენ გამოგონილ სამყაროში, რომელიც დროთა განმავლობაში თავზე ჩამოექცათ. ათწლეულები დასჭირდა იმას, რომ აღმოფხვრილიყო გოსტ ჩაუსე-ის იდეოლოგია, რომელიც მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ შეეცვალა ისტორია, გამოგონილი ექცია ფაქტებად და ეს შეძლო კიდევაც. „ქარწალებულნი“ სწორედ ამ იდეოლოგიას უწევდა პროპაგანდას 1930-40-იან წლებში, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად.

პაულ ჯორდან-სმიტი – ლიტერატურული კრიტიკოსი, „ქარწალებულნზე“ წერს: „ქარწალებულნი“ ამერიკის ისტორიის ამ ტრაგიკულ პერიოდს ყველაზე კარგად, დამაჯერებლად და ძლიერად აღვინერს, სხვა ამავე თემაზე შექმნილ

თხზულებებთან შედარებით რომანი ცოცხალია, დრამატული და გენიალური შეგრძნებებით გტვირთავს“. სამწუხაროა, რომ „ქარწალებულნი“ რატომღაც მატიანედ მიიჩნეოდა და არა მხატვრულ ნაწარმოებად. სწორედ ასეთმა მიდგომამ შეუწყო ხელი მონობის რომანტიზირების პროპაგანდას. ამ ყველაფერმა შავკანიან საზოგადოებაში დიდი გალიზიანება გამოიწვია. წარსული, რომელიც დღემდე ღრმად არის ჩაბეჭდილი მათ გონებაში, ეკრანებზე უნდა ენახათ, დაენახათ ქუჩის ყოველ კუთხეში, მაისურებზე, მაღაზიის ვიტრინებში. უნდა მოესმინათ თავად პრეზიდენტისაგან, რომ „ქარწალებულნი“ ნათლად ხატავდა იმდროინდელ ისტორიას. თითქოს ისტორიას უკვე მოენელებინა ის სისასტიკე, რაც შვკანიანებმა გამოიარეს და მხოლოდ დარჩენილი იყო ომი, დანგრეული მანსიონები, სილარიბით გაგიჟებული თეთრკანიანი პლანტატორები და ბედნიერი მონები. „ქარწალებულნის“ ადაპტაციის შემქმნელებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ დიდი ძალისხმევით ცდილობდნენ შეემცირებინათ რასისტული სცენები, რომელიც წიგნში მრავლად იყო. მართლაც, ეს იყო მხოლოდ სცენები. მაგალითად, მომენტი, სადაც სკარლეტს შვკანიანი მონა კინაღამ გააუპატიურებს, ამოღებულია. შავკანიანი მონა ჩანაცვლებულია ღარიბი თეთრკანიანი კაცით, რომელიც მის ო'ჰარას თავს დაესხმება. ასევე ამოღებულია კუ-კლუქს კლანის „ქება“, წიგნში მარგარეტ მიჩელი მათ „სამწუხარო საჭიროებას“ უწოდებს. იმის მიუხედავად, რომ „ქარწალებულნის“ პროტაგონისტი, გმირი, ძლიერების სიმბოლო სკარლეტ ო'ჰარა, ფილმის ნამდვილ გმირად კუ-კლუქს კლანი გვევლინება, რადგან, ავტორის აზრით, ეს იყო ერთადერთი გზა, რომ სამხრეთელ მამაკაცებს ოჯახები

დაეცვათ განთავისუფლებული მონებისაგან. მკვლელების, წმინდად რასისტული ორგანიზაციის გმირად გამოყვანა, კარგი მაგალითია იმის დასანახად, რომ რასიზმი ძალიან ღრმად არის ადამიანის გონებაში ჩაბეჭდილი. ასეთ გონებას კი შეუძლია მხოლოდ შესაბამისი – რასისტული ნაყოფის გამოღება. სწორედ ამგვარი ნაყოფია სტერეოტიპები შავკანიანი მონებისათვის და ზეწოლა, რომ ისინი შეხვედროდნენ ამ სტერეოტიპებს. სამწუხაროა, მაგრამ სწორედ ზემოთხსენებული სტერეოტიპების საუკეთესო მაგალითია დედილო, რომელსაც ჰეტი მაკდანიელი ასრულებს. ამაზე ჰერსონაუის სახელიც მიუთითებს – დედილო. რომანისა და ფილმის განმავლობაში ის სხვა სახელით არ მოიხსენება და ეს ხელს უწყობს მისი, როგორც მოსამსახურედ, მონად აღქმას. ის სამყაროში არსებობს მხოლოდ იმ როლით, რაც ო'ჰერების ოჯახში უჭირავს. დედილო ყველა სტერეოტიპს მოიცავს თავისთავში – დამახინჯებული მეტყველება, სიმკაცრე, სისხარტე, მრავალმხრივი შესაძლებლობები, ასექსუალიზმი. ის ეკრანებზე შავკანიანი ქალის ერთგვარ კარიკატურად ჩნდება. ამის მიუხედავად „ქარნალებული“ ღირებული დოკუმენტია შავკანიანი მსახიობების ტალანტისა. ეს ეკრანიზაცია იყო საუკეთესო საშუალება შავკანიანი მსახიობებისათვის, რომ სამსახიობო კარიერა დაეწყოთ. 1930-იან წლებში ჰოლივუდი მათ იშვიათად იღებდა. კინო-ისტორიკოსი დონ ბოგლი თვლის, რომ ისეთმა ნიჭიერმა შემსრულებლებმა, როგორებიც იყვნენ ჰეტი მაკდანიელი დედილოს როლში და ბატეფლაი მაკეუნი პრისის როლში, მაყურებლებს დაანახა როგორი სტერეოტიპებით გაუღენთილი იყო მათი ჰერსონაუები და ამ გმირებს ხორცი შეასხა. პრისისა და დედილოს ჰერსონაუები ხშირად

საპირისპიროდ განიხილება. კრიტიკოსების ნაწილი თვლის, რომ ეს როლები ზედმეტად სტერეოტიპული იყო და ხელს უწყობდა მონობის რომანტიზმირებას, მეორე მხრივ, როგორც დონალდ ბოგლი თვლის, სწორედ ამ ზედმეტმა სტერეოტიპულობამ უბიძგა მაყურებელს, რომ დაენახა დედილოსა და პრისის კომიკური არარეალურობა.

საინტერესოა, რომ რეტ ბატლერის პერსონაჟი დიდ სიმპატიას იწვევს შავკანიან საზოგადოებაშიც. ვფიქრობ, ამის მთავარი მიზეზია ის ზენოლა, რაც „ქარწალებულნის“ გამოსვლას მოჰყვა. ყოველი ნეგატიური აზრი მის წინააღმდეგ ჩაახშო აღტაცების ტალღამ, მსახიობებით, კოსტიუმებით, ამაღლელვებელი სიყვარულის ისტორიებით. ამერიკაში მცხოვრები ყველა ადამიანი გრძნობდა ზენოლას, რომ მათაც ეპოვნათ რაიმე მოსაწონი „ქარწალებულნში“, მათ საკულტო ფილმში, თუნდაც ეს იქნებოდა რეტ ბატლერი, პირდაპირი ადამიანი, რომელიც იაზრებს თეთრკანიანების პრივილეგიას, არ ადარდებს საზოგადოების აზრი, ეხმარება ქალებს და ყველას, ვისაც კი ეს დასჭირდება. ის არის თავსუფალი, სასიამოვნოა მიუწვდომელი თავისუფლების შეგრძნება ეკრანიდანაც კი. რასიზმი არა მხოლოდ ფილმში, არამედ მის გარშემოც დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ჰეტი მაკდანიელი პირველი შავკანიანი მსახიობი იყო ჰოლივუდში, რომელმაც ოსკარი აიღო ერთგული მოსამსახურის – დედილოს როლის შესრულებისთვის „ქარწალებულნში“. სამწუხაროა ისიც, რომ კლარკ გეიბლის – რეტ ბატლერის როლის შემსრულებლის დამსახურებაა, რომ ჰეტი მაკდანიელმა დედილოს როლი მიიღო. ასევე კლარკ გეიბლის ძალისხმებით შეძლო ჰეტიმ ოსკარის დაჯილდოვებაზე დასწრება. ჰეტი, იძულებული იყო

რომ დამჯდარიყო მხოლოდ შავკანიანებისათვის გამოყოფილ ადგილას დარბაზში. მან ვერ შეძლო დამსახურებული პრიზ-ის სიამაყით აღება, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ფერის კანი ჰქონდა.

ფილმის გამოსვლიდან წლების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ბევრი ადამიანი იყო შეშფოთებული ისტორიული უზუს-ტობებით ადაპტაციაში. მათ სურდათ, რომ შესწორებულიყო ეს ყველაფერი სანამ ფილმი ეკრანებზე გამოვიდოდა, საზოგადოების უარყოფითი რეაქცია თავიდანვე მოსალოდნელი იყო. ერთ-ერთი ასეთი თემა იყო სამხრეთული აქცენტი. 1936 წელს ვოლტერ ვაითმა „ქარწალებულნის“ პროდიუსერს დევიდ სელზნიკს მისწერა და აუხსნა, რომ საჭირო იქნებოდა აფრო-ამერიკელი ადამიანის დაქირავება, რომ შავკანიანებთან და მონებთან დაკავშირებული უზუსტობები გამოსწორებულიყო. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ სელზნიკმა თანხმობის მიუხედავად, დაიქირავა ორი თეთრკანიანი უურნალისტი, აქედან ერთ-ერთი მარგარეტ მიჩელის მეგობარი. მათ დაევალათ ისტორიული უზუსტობების, სამხრეთული აქცენტისა და საუბრის მანერების გადახედვა, რაშიც მათ ბოლომდე კომპეტენტურებად ვერ ჩავთვლით. ამ ყველაფრის მიუხედავად, „ქარწალებულნის“ პრემიერა შედგა, საზოგადოება აღფრთოვანებული იყო ფილმით, როგორც კინემატოგრაფიული შედევრით, თუმცა ძალიან ბევრი ვერ ხედავდა იმ რასისტულ ნარატივს, რასაც ფილმი პროპაგანდას უწევდა.

გასულ წელს, მინიაპოლისში პოლიციის მიერ მოკლული ჯორჯ ფლიოდის დასაცავად მრავალრიცხვანი პროტესტი დაიწყო. მას სათავეში ედგა BLM (Black Lives Matter) მოძრაობა, რომელიც ამერიკაში სისტემურ რასიზმს აპრო-

ტესტებდა. სწორედ ამ მოვლენამ განაახლა კრიტიკა „ქარნალებულნის“ წინააღმდეგ, რაც გამოსვლიდან ათწლეულების განმავლობაში ბოლომდე არასდროს ჩამცხრალა. 2020 წლის ივნისში მის HBO-ზე გაშვებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამის საპასუხოდ „ქარნალებულნი“ დროებით გაქრა საიტიდან. HBO-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რასის-ტული სურათები, რომელსაც „ქარნალებულნი“ ხატავდა არც მაშინ იყო გამართლებული და არც დღეს. ამიტომ საჭირო იყო დამახინჯებული ისტორიის რეალური სახით წარმოჩენა, ხალხში ცნობიერების ამაღლება. რადიკალური მოთხოვნების მიუხედავად, HBO – მ აღნიშნა, რომ არასწორი იქნებოდა „ქარნალებულნის“ დანაწევრება, სცენების ამოჭრა, რადგან ეს არა მხოლოდ რაელობის დამალვის მცდელობა იქნებოდა, არამედ ფილმს თავის კინემატოგრაფიულ ღირებულებას დაუკარგავდა. HBO იძულებული გახდა, რომ ფილმის დაწყებამდე ოთხწუთიანი ისტორიული კონტექსტის ახსნა და მისი რასისტული ტენდენციების აღნიშვნა დაერთო. ვფიქრობ, ეს ყველაზე კარგი გამოსავალია. ყველაფრის გაქრობა, რაც ამორალური, სასტიკი, მიუღებელია ოცდამეერთე საუკუნისათვის, ჰუმანურობისათვის შეუსაბამოა, მაინც ისტორიის ნაწილია, რეალობის ნაწილია. „ქარნალებულნიც“ ისტორიის ნაწილია, განსაკუთრებით კი ამერიკაში. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „ქარნალებულნი“ მხატვრული ფილმია. ის არ არის დოკუმენტური ფილმი და არასდროს მოიაზრებდა თავისთავში ისტორიული მოვლენების ზუსტად და ზედმიწევნით გადმოცემას. საზოგადოების ზეწოლა აიხსნება მხოლოდ მისი პოპულარობით, რადგან ის არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მთელს მსოფლიოს მოედო, თუმცა ამერ-

იკაში საკულტო ფილმად იქცა. შავკანიანი ადამიანები თავს დამცირებულად გრძნობდნენ, რადგან მათი წარსული კარიკატურებივით იყო უზარმაზარ ეკრანზე და გარშემო ყველა აღტაცებით ხვდებოდა ამას.

ოსკარის ჯილდოს მფლობელმა ჯონ რიდლიმ სწორედ ამაზე ისაუბრა ერთ-ერთ ინტერვიუში. ის თვლის, რომ ფილმი არა მხოლოდ თვალს ხუჭავს მონობის შემზარავ რეალობაზე, არამედ ის შავკანიან ადამიანებს ძარცვავს ადამიანობისაგან. „ქარწალებულნის“ შავკანიანი პერსონაჟები უფრო მეტად ჰგვანან კარიკატურებს, ვიდრე რეალურ ადამიანებს. ყველაფრის მიუხედავად, მხოლოდ იმიტომ, რომ მხატვრული ფილმი არ აღნერს ისტორიას ზუსტად, არ ვფიქრობ, რომ მისი გაქრობა და დანანევრება სწორია.

ამერიკელი იურისტი და უურნალისტი მეგან კელი მიჩნევს, რომ ამგვარი თავდასხმა კინოკლასიკებსა და ზოგადად მხატვრულ ფილმებზე არასწორია. ყველა ფილმს მოეძებნება ნაკლი, რომელიც საზოგადოების რაღაც ნაწილში წინააღმდეგობას გამოიწევს და ეს არ უნდა გახდეს ფილმის გაქრობის მიზეზი. – ამბობს ის. „ქარწალებულნის“ არასწორი ნარატივი მონობის მიმართ წლების შემდეგ მაინც ამოტივტივდა და ვთვლი, რომ სწორად გაუმკლავდა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდ პლატფორმა – HBO. რადიკალური მოთხოვნების მიუხედავად „ქარწალებულნის“ შეინარჩუნა ორიგინალი ფორმა, თავისი კინემატოგრაფიული ღირებულება, ამავდროულად კი დაერთო ისტორიული კონტექსტი, რაც საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. მართალია, „ქარწალებულნის“ ისტორიული კონტექსტი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არ აქვს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ „ქარ-

წალებულნს“ იმდენად ძლიერი გავლენა არ ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოზე, როგორიც ამერიკაზე, ის აღნერდა ამერიკის ისტორიას, თანაც მხოლოდ ერთი პერსპექტივით. „ქარწალებულნის“ ისტორიული კონტექსტი, ვიმედოვნებ, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც დაერთვება ფილმს, საუკეთესო შემთხვევაში – თავად რომანსაც. საზოგადოება დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღებს სწორ პერსპექტივას ისტორიული მოვლენების შესახებ, რადგანაც ისტორიის, წარსულის სწორად გააზრება უკეთესი მომავლის წინაპირობაა.



ნიკა ხაბელაშვილი „დრეზდენი“, გუაში, ზეთი, ქალალდი.  
100 X 70. თბილისის სამხატვრო აკადემია



## ირმა მიძავა

ზუგდიდის შოთა მესხიას  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ეზრა პაუნდის „ქალბატონები“.  
ლექსი დაიბეჭდა 1914 წლის აგვისტოს.*

### აგატა<sup>1</sup>

ჰყავდა აგატას ორმოცი და ოთხი მიჯნური,  
ყველა მათთაგანს უარი უთხრა;  
და იგა ახლა მე მომადგა, მთხოვნის სიყვარულს,  
მისი თმები კი სიოსავით დაეძებს სალბუნს.  
ახალგაზრდა ქალი  
მე მიკვებია შენი ღმერთი ყაყაჩოებით,  
სამი წელია გეტრფი, როგორც კაცი ღვთაებას;  
შენ კი ცოფდები, რადგან კაბა ვეღარ მოირგე  
და ამიტომაც, მეც ასეთი სიტყვა მოგიგე.

<sup>1</sup> სავარაუდოდ საუბარია აგატა სიცილიელზე, რომელიც სენატორ ქინტიანუსმა ანამა მისი უარყოფის გამო. საბოლოოდ, იგი საპყრობ-ილეში გარდაიცვალა.

ლესბია ილლა<sup>2</sup>  
 მემნონ, მემნონ, ის ქალი  
 რომელიც დადიოდა ჩვენს შორის  
 გრაციოზული იჭვნეულობით,  
 თურმე ბრიტანელ სახლის მეპატრონეზე დაქორწინებულა.  
 იგლოვეთ, ვენერებო! იგლოვეთ, კუპიდონებო!  
 წარმავალი  
 აფროდიტესავით უმანკოვ,  
 უსიტყვოდ მშვენიერო და  
 ოდნავ გონიაკლულო,  
 შენი პაჩულის გულის შემაღლონებელი სურნელი,  
 ისეთივე შემაღლონებელი,  
 როგორც ულმობელობის ნაოჭი შენს ნიკაპზე,  
 თავბრის მახვევს და მაპატარავებს.

მემნონი\*\*\* – ეთიოპიის მეფე და გოლიათი, ტროას ომის გმირი.

პაჩული\*\*\*\* – ტროპიკული ბუჩქბალახი, ტუჩოსანთა ოჯახისა.

---

2 აქ პაუნდს, სავარაუდოდ კატულუსის 85-ე პოემიდან ჰყავს ლესბია გადმოყვანილი, რომელსაც იგი ეტრფოდა. მან რამდენიმე პოემა დაწერა, რომელსაც ლესბია უწოდა. ასევე, ლესბია, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თვითონ პოეტის, კატულუსის მეტსახელიც ყოფილა.

**გეგმები  
ეზრა ჰაუნდის მე-14 კანტო**

მევახშეობით არ აქვს არავის აგურის სახლი,  
ისეთი სახლი, სადაც სახეა ნათალი მასზედ.

მევახშეობით,  
სამოთხე არ დახატულა კედელზე ტაძრის,  
აღარც ართა და ლუტნა,  
არც ქალწული ახალი ამბით  
არც შარავანდედი არ ამოუტვიფრავთ.

მევახშეობით,  
ვერ იხილავდა ვერავინ გონზაგას,  
მის მემკვიდრეებს და მიჯნურებს.

მევახშეობით არ შექმნილა ხატი სალოცად,  
რადგან ყიდიან უტიფრად და სწრაფად ბაზარზე.  
მევახშეობით

ცოდვა ედება დედაბუნებას,  
შენი პურიც უგემურდება უხარისხო ფქვილის გამო  
და ემგვანება სიფრიფანა ქაღალდის ნაგლეჯს.

მევახშეობით,  
არ არსებობს გამყოფი ხაზი,  
გაუჭირდება მაძიებელს პოვნა საზღვარის.

ხუროც განმდგარა ქვისაგან და  
ფეიქარსაც აუღია ხელი დაზგაზე.

მევახშეობით  
მატყლი არ მოდის ბაზარზე და  
არც ცხვარს მოაქვს რამე ხეირი.  
მევახშეობა ისეთი ჭირია რომ ნემსსაც

აჩლუნგებს სეფექალის ხელში და  
ძაფის მრთველსაც ურევს გონებას.  
მევახშეობით არ მოსულან პიეტრო ლომბარდო  
და დუჩიო. არც პიერ დელლა ფრანჩესკა.  
ჯოვანი ბელინიც არ მოსულა და „ცილისწამებაც“  
არ „დაწერილა“ მევახშეობით.  
არც ფრა ანჯელიკო, არც ამბროჯიო დე პრედისი არ მოსუ-  
ლან მევახშეობით,  
არც ტაძარში არ ამოუკვეთავთ წარწერა „ადამი და მე“.  
არც წმინდა ტროპიმის და არც  
წმინდა ილერის ტაძარი აშენებულა მევახშეობით.  
მევახშეობა აბლაგვებს საჭრისს,  
იგი აფუჭებს ხელოვანსაც და ხელოვნებასაც.  
იგი ძაფს ხრის სართავ დაზგაზე და  
არავინ სწავლობს მის ნიმუშზე ოქრომჭედლობას.  
ლაუვარდი დაავადებულა მევახშეობით და  
ძონისფერი დარჩენილა მოუქარგავი.  
მევახშეობა ჩასახულ ჩვილს კლავს დედის საშოში.  
ახალგაზრდა კაცის კეთილგანწყობასაც ახშობს და  
საწოლში დამბლა მოაქვს სიძესა და პატარძალს შორის.  
ბუნების საწინააღმდეგოდ.  
მევახშეობით ელევსისში მეძავები შეუყვანიათ,  
გვამები წვეულებაზე დაუსვამთ  
მევახშეობით.



## ანა ილურიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შპანქსპელი ფოთოლი

#### ო. ჰენრი

ვაშინგტონ სქვეარის დასავლეთით, ქალაქის პატარა ნაწილში, მიღრეცილ-მოღრეცილი ქუჩები, ერთმანეთისგან მრავალგზის გადაჭრილი და გადაკვეთილი, პატარ-პატარა ნაწილებად დაქუცმაცებულან, რომელსაც „გასავლელებს“ უწოდებენ. თითო ქუჩა ორჯერ მაინც კვეთს თავის თავს. ოდესლაც, ვიღაც მხატვარს ამ ქუჩის ძალიან მნიშვნელოვანი თვისება აღმოუჩენია. წარმოიდგინეთ, მაღაზიის მოლარე, რომელიც ნისიად გაცემული სამხატვრო მასალების ანგარიშს ხელში აიღებს და გაემართება ფულის შესაკრებად, მაგრამ სანამ მოვალეებამდე მიაღწევს და ერთ ცენტს მაინც მიიღებს მათგან, გზაში, ქუჩის ბოლოს, უკან მომავალს საკუთარ თავი შერჩება და აღმოაჩენს, რომ ხელცარიელი გამობრუნებულა

უკან.

ქალაქის ამ ნაწილს გრინვიჩ ვილიჯი ჰქვია და ხელოვანნი ამ ძველი გრინვიჩ ვილიჯისკენ დაიძრნენ. აქ, იპოვეს მათვის მოსაწონი ოთახები კარგი განათებითა და დაბალი ფასებით.

სიუ და ჯონსი ცხოვრობდნენ სამსართულიანი შენობის ბოლო სართულზე. ამ ქალებთაგან ერთ-ერთი მეინიდან გახლდათ, მეორე კი კალიფორნიიდან. ისინი ეით სთრითზე, რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს. სადაც მათ ხელოვნებაში, საჭმელში და ტანისამოსში საერთო გემოვნება აღმოაჩნდათ. ამიტომ, ერთად ცხოვრება და მუშაობა გადაწყვიტეს.

გაზაფხული იყო.

ზამთრის პერიოდში ცივი, უხილავი უცნობი ესტუმრა გრინვიჩ ვილიჯს. იგი ხან ერთ, ხან კი მეორეს შეახებდა ხოლმე ყინულივით ცივ თითებს. საშინელი ავადმყოფობა იყო. ექიმებმა მას პნევმონია უწოდეს. ამ ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს, მას სწრაფი მოძრაობა ახასიათებდა, ბევრ ადამიანთან ჰქონდა შეხება, მაგრამ გრინვიჩ ვილიჯის ვიწრო ქუჩებში ასე სწრაფად ვერ ახერხებდა გადაადგილებას.

ბატონი პნევმონია არ გახლდათ მშვენიერი ჯელტმენი. მშვენიერი ჯელტმენი არ მიაყენებდა ტკივილს სუსტ, პატარა კალიფორნიელ ქალბატონს. ბატონი პნევმონია ჯონსის მის-თვის დამახასიათებელი ყინულივით ცივი თითებით შეეხო. ის თითქმის გაუნდრევლად იწვა საწოლზე და ფანჯრიდან უყურებდა მეზობლის სახლის კედელს.

ერთ დილას, ექიმი დაელაპარაკა სიუს დერეფანში განმარტოებით, ისე რომ ჯონსის ვერ გაეგო.

— შანსები ძალიან დაბალი აქვს, — თქვა მან. — სიცოცხლე

თუ სურს, აქვს შანსი, მაგრამ თუ ადამიანებს არ სურთ სიცოცხლე, მაშინ მათთვის ბევრი ვერაფრის გაკეთებას შევძლებ. თქვენმა პატარა ქალბატონმა გადაწყვიტა, რომ აღარ გამოჯანმრთელდება. რამე პრობლემა ხომ არ აქვს?

— მას ყოველთვის სურდა იტალიაში წასვლა და ნეაპოლის ყურის პეიზაჟის დახატვა, „-თქვა სიუმ.

— ნახატი? არა, ნახატი კი არა, რამე ისეთი ხომ არ უზის ჭკუაში, რაც სერიოზულ დაფიქრებად ლირს? მაგალითად ვინმე მამაკაცი?

— მამაკაცი? — უთხრა სიუმ. — და ნუთუ მამაკაცი ლირს ამაღ-არა, ექიმო, არანარი მამაკაცი არ არსებობს.

— მაშინ სისუსტის ბრალი ყოფილა, — უპასუხა ექიმმა. — მე ყველაფერს გავაკეთებ, რისი გაკეთებაც შემიძლია, მაგრამ როდესაც ავადმყოფ ადამიანს ისეთი შეგრძნებები უუფლება თითქოს კვდება, ჩემი სამუშაოს ნახევარი უკვე უსარგებლო ხდება. დაელაპარაკეთ მას ზამთრის ახალ კოლექციაზე. მომავალზე რომ ფიქრობდეს, მისი შანსები საგრძნობლად მოიმატებდა.

ექიმის წასვლის შემდეგ, სიუ სამუშაო ოთახში შევიდა და ტირილი დაიწყო, შემდეგ შევიდა ჯონსის ოთახში, თან წაიღო მისი რამდენიმე სამხატვრო მასალა და სიმღერა დაიწყო.

ძალიან გამხდარი და მეტისმეტად ჩუმი ჯონსი კი იქ იწვა, სახე ფანჯრისკენ ჰქონდა მიბრუნებული. სიუმ შეწყვიტა სიმღერა, რადგან ეგონა, რომ ჯონსის ჩაეძინა და სამუშაოს შეუდგა. მუშაობის პროცესში მას ისევდაისევ ესმოდა ჩურჩულის ხმა და მიირბინა საწოლის მხარეს. ჯონსის თვალები ფართოდ გაეხილა, იყურებოდა ფანჯარაში და უკუსვლით ითვლიდა.

„თორმეტი“, – თქვა მან; ცოტა მოგვიანებით კი, „თერთ-მეტი“ შემდეგ, „ათი“ და „ცხრა“; შემდეგ „რვა“, „შვიდი“ და ა.შ.

სიუმ გაიხედა ფანჯარაში. რა იყო იქ დასათვლელი? იქ მხოლოდ მეზობელი სახლის კედელი იყო, მოკლე დაშორებით. იმ კედელზე არც ერთი ფანჯარა არ ყოფილა, მხოლოდ ძველისძველი ხე იზრდებოდა კედლის პირდაპირ. ზამთრის ცივი სუსხი მასაც უკვე შეჰქებოდა. თითქმის ყველა ფოთოლი ჩამოცვენილიყო მისი მუქი შეფერილობის ტოტებიდან.

– აქ რა არის, ძვირფასო? – ჰკითხა სიუმ.

– ექვსი, – უპასუხა ჯონსიმ კვლავ ჩურჩულით. – ახლა ისინი უფრო სწრაფად ვარდებიან ძირს. სამი დღის წინ თითქმის ასი იყო. მათი დათვლა თავს მატკიებდა, მაგრამ ახლა მარტივია, აი, კიდევ ერთი ვარდება, ახლა მხოლოდ ხუთიღა დარჩა.

– ხუთი რა, ძვირფასო? მიდი, უთხარი შენს სიუს.

– ფოთლები ხებზე. უკანასკნელი ფოთოლის ჩამოვარდნის შემდეგ მეც უნდა წავიდე. სამი დღეა რაც ეს ვიცი, ექიმს არ უთქვამს შენთვის?

– ოჸ, ასეთი უაზრობა არასდროს მსმენია, – თქვა სიუმ. ეს ძველი ხე შენთან ან შენს გამოჯანმრთელებასთან რა კავ-შირშია? გასაგებია, რომ ეს ხე ძალიან შეგიყვარდა, მაგრამ ნუ სულელობ. ექიმმა შენს გამოჯანმრთელების შანსებზე მესაუბრა ამ დილით. მან თქვა, რომ მაღალი შანსები გაქვს. ახლა სცადე ცოტა მაინც რომ ჭამო და შემდეგ დავუბრუნდები სამუშაოს, დასრულების შემდეგ გავყიდი ჩემს ნახატს, ამით კი უფრო მეტ საჭმელს გიყიდი, რომ ძალა მოგეცეს.

– ჩემთვის არაფრის ყიდვა არაა საჭირო, – უპასუხა ჯონ-

სიმ და ისევ ფანჯრიდან იყურებოდა. – აი, ისევ წყდება. არა, არაფრის ჭამა არ მინდა. ახლა ოთხია. მინდა ვნახო უკანასკნელი ფოთოლი როგორ ჩამოვარდება დალამებამდე და შემდეგ მეც წავალ.

– ჯონსი, ძვირფასო, – განაგრძობდა სიუ, – დამპირდები რომ თვალებს დახუჭავ და არ გაიხედები ფანჯრიდან სანამ მე მუშაობას დავამთავრებ. ხვალამდე ეს ნახატი მზად უნდა მქონდეს, სინათლე მჭირდება, ფარდას ვერ ჩამოვაფარებ.

– სხვა ოთახში ვერ იმუშავებ? – ჰეითხა ჯონსიმ ცივად.

– მირჩევნია აქ ვიყო, შენთან, – უთხრა სიუმ, – და არ მინდა მაგ ფოთლებს რომ უყურებდე.

– გამაგებინე როგორც კი დაამთავრებ, – თქვა ჯონსიმ თვალებდახუჭულმა, – მინდა ვნახო უკანასკნელი ფოთოლის დაცემა. საკმარისად ვიცადე, საკმარისად ვიფიქრე, ახლა კი მინდა ქვემოთ ჩავცურო, ისე თითქოს იმ ფოთოლთაგან ერთ-ერთი ვიყო.

– შეეცადე დაიძინო, – თქვა სიუმ. – ბეპრმენს უნდა დავურეკო, გამოიაროს. მამაკაცის დახატვა მინდა ამ სურათ-ში და მე მას ბეპრმენს დავამსგავსებ. ერთი წუთიც არ დამჭირდება. ჩემს მოსვლამდე განძრევა არ გაბედო.

ბეპრმენი იყო სამოც წელს გადაცილებული მოხუცი მხატვარი, რომელიც ცხოვრობდა იმავე შენობის მეორე სართულზე. მას, როგორც მხატვარს არანაირ წარმატებისთვის არ მიუღწევია. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხატავდა, თუმცა ღირებული ნახატი არასდროს შეუქმნია. ბეპრმენი ყოველთვის საუბრობდა ღირებული ნახატების შექმნაზე, ხელოვნების ნიმუშზე, მაგრამ მას ეს ყველაფერი არც კი დაუწყია, გარკვეული თანხა იშოვა იმის წყალობით, რომ

ნებას რთავდა სხვებს დაეხატათ მისი პორტრეტი. ძალიან ბევრს სვამდა, საუბრობდა მის ხელოვნების ნიმუშზე და სჯე-როდა, რომ მისი მოვალეობა იყო რაც შეეძლო ყველაფერი გაეკეთებინა სიუსა და ჯონსის დასახმარებლად.

სიუმ ბეჭრმენი ბნელ ოთახში იპოვა და მიხვდა რომ სვამდა, სასმელის სუნი ეცა. მას ჯონსის და ფოთლების შესახებ უამბო, მოუყვა, თუ როგორ წუხდა, რომ ფოთლების მსგავსად ჯონსიც არ მომწყდარიყო სიცოცხლის წყაროს. სამყაროში მისი შენარჩუნების შესაძლებლობა უფროდაუფრო მეტად მცირდებოდა.

მოხუცმა ბეჭრმენმა სიბრაზისგან წამოიყვირა.

— რას ამბობ! — ნუთუ ასეთი სულელებიც არსებობენ? ხალხი ხეებიდან ფოთლების ჩამოცვენის გამო ხო არ კვდება? ასეთი რაღაც აღარ გამიგია. არა, არ მოვალ და არ დაგი-ჯდები იქ ჩემი პორტრეტის დასახატავად. როგორ აძლევ მას ასეთ რაღაცებზე ფიქრის უფლებას? საბრალო პატარა ჯონსი!

— ძალიან ავად და სუსტადაა, — თქვა სიუმ. — ამ ავად-მყოფობამ ასეთი უცნაური იდეები ჩაუწერგა თავში. ბატონო ბეჭრმენ, თუ არ მოხვალთ, ნუ მოხვალთ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს კარგი საქციელი იყოს თქვენი მხრიდან.

— ქალი კი არ ვარ! — წამოიყვირა ბეჭრმენმა. — ვინ თქვა არ მოვდივარო? მიდი, მოვდივარ. ნახევარი საათია იმის ახსნას ვცდილობ შენთვის, რომ მოვდივარ. ღმერთო ჩემო! ჯონისივით არც ერთ ადამიანს, არც ერთ ადგილას არ გამოს-დის ავად ყოფნისას ასე კარგად წოლა. ერთ დღეს შევქმნი ხელოვნების ნიმუშს და ჩვენ ყველა წავალთ აქედან შორს. ღმერთო! გთხოვ.

ჯონსის ეძინა, როცა ისინი ავიდნენ. სიუმ ფანჯარას ფარ-და ჩამოაფარა და ბეჭრმენი მეორე ოთახში გაიყვანა. იქ ისინი ფანჯრიდან შიშით გაჰყურებდნენ ხეს, შემდეგ ხმამოულებლად წუთიერად შეხედეს ერთმანეთს. თოვლჭყაპი იყო. ბეჭრმენი დაჯდა, სიუმ კი დაიწყო ხატვა. ის უმეტესად ღამის პერიოდში მუშაობდა ხოლმე.

დილით, ერთ საათიანი ძილის შემდეგ, სიუ შევიდა ჯონსის საძინებელში. ჯონსი ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდა ფანჯრისაკენ.

— მინდა დავინახო, — უთხრა მან სიუს.

სიუმ გადასწია ფარდა.

იმ ძლიერი წვიმისა და საშინელი ამინდის მიუხედავად, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა, ერთი ფოთოლი მაინც შეიმჩნეოდა კედლის პირისპირ. ეს ხის უკანასკნელი ფოთოლი იყო. ისევ მუქი მწვანე ფერის იყო ტოტი, მაგრამ მის გარშემო კიდეები წლებთან ერთად გაყვითლებულიყო. ის ფოთოლი კი იმ ტოტზე იყო ჩამოკიდებული, რომელიც მინდან სადღაც 20 ფუტამდე იყო დაშორებული.

— ეს უკანასკნელია, — თქვა ჯონსიმ. — დარწმუნებული ვიყავი, რომ ღამის განმავლობაში ჩამოვარდებოდა. ქარის ხმა მესმოდა. ვიცი, დღეს ჩამოვარდება და მეც იმ დროს მოვკვდები.

— ძვირფასო, ძვირფასო ჯონსი! — უთხრა სიუმ. — თუ საკუთარ თავზე არ ფიქრობ, ჩემზე მაინც იფიქრე. მერე მერა უნდა ვქნა?

ჯონსის პასუხი არ გაუცია. ყველაზე საშინელი მარტოობა სამყაროში ის ფაქტია, როდესაც სული ემზადება შორი მოგზაურობისთვის. ის კავშირები, რომელიც მას მეგობრობასთან

და დედამიწასთან გააჩნდა, ერთი მეორეს მიყოლებით ქრებოდა.

დღემ ნელი ტემპით ჩაირა. უფროდაუფრო ბინდდებოდა, თუმცა ისინი კვლავ ხედავდნენ კედლის პირისპირ ტოტზე ჩამოკიდებულ ფოთოლს. და როცა დალამდა, ისევ ამოვარდა ჩრდილოეთის ქარი და წამოვიდა ძლიერი წვიმა.

მომდევნო დილას, როცა უკვე კარგად გათენებულიყო, ჯონსიმ კვლავ მოითხოვა უკანასკნელი ფოთოლის დანახვა.

ფოთოლი ისევ იქ იყო. წამოწოლილი ჯონსი დიდი ხნის მანძილზე უყურებდა მას, შემდეგ კი დაუძახა სიუს, რომელიც იმ დროს მისთვის საჭმელს ამზადებდა.

— ცუდი გოგო ვიყავი სიუ, — უთხრა ჯონსიმ. — რაღაც ძალამ არ ჩამოაგდო ეს ფოთოლი, რათა ეჩვენებინა ჩემთვის როგორი ცუდი ადამიანი ვარ. ჩემი სურვილი სიკვდილის თაობაზე არასწორია. ახლა ვეცდები ვჭამო, მაგრამ ჯერ სარკე მომიტანე, საკუთარი თავი მინდა რომ დავინახო. შემდეგ კი წამოვჯდები და ვნახავ რა მოამზადე.

ერთი საათის შემდეგ კი თქვა მან, — სიუ, იმედი მაქვს, ერთ დღეს, დავხატავ ნეაპოლის ყურეს.

შუადღისით ექიმი მოვიდა. ჯონსის ოთახიდან გასვლისას, სიუ მას დერეფანში უკან მიჰყვებოდა, რათა მასთან ესაუბრა.

— შანსები მაღალია, — უთხრა ექიმმა. და ხელი მოკიდა სიუს გამხდარ და აკანკალებულ ხელს. — მასზე კარგად იზრუნე და გამოჯანმრთელდება. ახლა კი წავალ, ვნახავ მეორე ავადმყოფს, რომელიც ამავე სახლში ცხოვრობს — ბეჟრმენს, მგონი მხატვარია. აქაც პნევმონია. მაკავი მოხუცი, სუსტი კაცია და ძალიან ავადაა. მისი გადარჩენის იმედი არ

არსებობს, მაგრამ მას დღეს საავადმყოფოში გადავიყვანთ. რამდენადაც შევძლებთ მდგომარეობას დაუსტაბილურებთ.

მეორე დღეს ექიმმა უთხრა სიუს: – მის მდგომარეობას საფრთხე აღარ ემუქრება. თქვენ ეს შეძელით. ახლა მხოლოდ საჭმელი და ზრუნვა-სულ ესაა.

იმავე შუადღეს სიუ მივიდა ჯონსის საწოლთან, მოეხვია მას და უთხრა:

– რაღაც უნდა გითხრა, ბატონი ბეჭრმენი პნევმონიით დღეს საავადმყოფოში დაიღუპა. ის ავად მხოლოდ ორი დღე იყო. ვიღაცას უპოვია ერთ დილას მისსავე ოთახში. ტკივილისა-გან იტანჯებოდა და ვერ დაეხმარნენ.

– მისი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი სველი და ყინულივით ცივი იყო. ყველას აინტერესებდა სად იმყოფებოდა. გასული ლამე ხო ძალიან ცივი და საშინელი იყო.

– შემდეგ კი მათ რაღაც იპოვეს. ნათურა, ხატვისთვის საჭირო მასალა, საღებავი, მწვანე და ყვითელი სალებავი ჰქონდა გატანილი. და კიდევ…

– ძვირფასო, გაიხედე ფანჯრიდან, ხედავ იმ უკანასკნელ ფოთოლს კედელზე? არ გაინტერესებს რატომ არასდროს არ მოძრაობდა ქარის დროს? ო, ჩემო ძვირფასო, ეს ხომ ბეჭრმენის დიდებული ხელოვნების ნიმუშია-მან ის იმ ლამეს დახატა, როდესაც უკანასკნელი ფოთოლი ჩამოვარდა.



## რუსულან ჯავახალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### თეორიი სოგალდი

#### ჰ. პ. ლავკრაცი

მე ბასილ ელტონი ვარ, მცველი ჩრდილოეთის შუქურისა, რომელსაც მამა და პაპა იცავდნენ ჩემამდე. ნაცრისფერი შუქურა სანაპიროდან მოშორებით დგას, ჩაძირულ, მოლიპულ ქვებზე, რომელიც თვალისოვის ხილული მიქცევის დროსაა მხოლოდ. უკვე საუკუნე მიითვალა, რაც შუქურის სინათლე შვიდ ზღვაში მცურავ დიდებულ გემებს ეფინება. პაპაჩემის დროს გემი ბევრი იყო, მამაჩემის დროს – ნაკლები, მერე კი ისე შემცირდა, ზოგჯერ უჩვეულოდ მარტოსულად ვგრძნობ თავს, თითქოს უკანასკნელი ადამიანი ვიყო დედამიწაზე.

აღმოსავლეთის შორეული ნაპირებიდან თეთრიალქნიანი ხომალდები მოცურავდნენ ხოლმე, საიდანაც მზე ანათებს და ტკბილი სურნელება ეფინება უცნაურ ბალებსა და ინდურ

ტაძრებს. ხანშიშესული კაპიტნები ხშირად მოდიოდნენ პაპაჩემთან და მოუთხრობდნენ ამბებს, რომელთაც ის შემდგომ მამაჩემს გადასცემდა, მამა კი მე მიყვებოდა საღამოობით შემოდგომაზე, როდესაც ავისმომასწავებლად ქროდა აღმოსავლეთის ქარი. თუმცა ამ ამბებზე იმ წიგნებიდან უფრო მეტი ამომიკითხავს, კაპიტნებმა რომ მისახსოვრეს ცნობისმოყვარეობით სავსე ყმაწვილს.

მაგრამ მოხუც კაცთა და წიგნის მონათხრობზე უფრო შესანიშნავი ოკეანის საიდუმლოება იყო. ლურჯი, მწვანე, მოუამული, თეთრი ან შავი; გლუვი, აფოფრილი ან აზვირთებული – ოკეანე არ არის მდუმარე. რაც თავი მახსოვს, მას ვუსმენ და ვუცქერ, შევიცან იგი. თავიდან უბრალო, პატარა ამბებს მიყვებოდა მშვიდ სანაპიროებსა და ახლომდებარე პორტებზე, მაგრამ წლების განმავლობაში, უფრო მეგობრული გახდა და სხვა რაღაცების შესახებაც ამეტყველდა, რაღაც უფრო უცნაურსა და მოშორებულზე სივრცესა და დროში. ზოგჯერ, შებინდებისას, ჰორიზონტის ნაცრისფერი ნისლი გარღვეულა და მიღმიერის ჭვრეტის შანსი უბოძებია ჩემთვის, ზოგჯერ კი, ღამღამობით, ზღვის ღრმა წყლები ისეთი კამკამა და გამჭვირვალე გამხდარა, სიღრმეთა ხილვის შანსიც მომცემია. ეს შემთხვევები იმ სიხშირით მომზდარა, რა სიხშირითაც წარსულში იყო, არის და იქნება; რადგანაც ოკეანე მთებზე უფრო ძველია, მოგონებებითა და დროის ზმანებებით დატვირთული.

თეთრი ხომალდი სამხრეთიდან მოცურავდა ხოლმე, როდესაც ცის ზენიტში იყო სავსე მთვარე. სამხრეთიდან მომავალი ურყევად და მდუმარედ გაისრიალებდა ზღვის ზედაპირზე; იმის მიუხედავად, ზღვა ღელავდა თუ წყნარი

იყო, მეგობრული თუ მტრული, გემი ყოველთვის ურყევი და მდუმარე იყო, უჩვეულოდ ფრიალებდნენ მისი იალქნები და რიტმულად მოძრაობდნენ უცნაური ნიჩბები.

ერთ ღამეს, ხომალდის კიჩოზე წყერიანი და მოსასხამიანი კაცი დავლანდე. მომეჩვენა, თითქოს ხელით მიხმო ბორტზე, უცნობი ნაპირებისკენ. ის კაცი დიდი ხნის შემდგომ კიდევ დავინახე ბადრი მთვარის ქვეშ – კვლავ მიხმობდა. მკვეთრად ანათებდა მთვარე იმ ღამით, როცა მის ძახილს გამოვეხმაურე და წყლის თავზე გაბმულ სინათლის სხივებზე გავიარე თეთრი ხომალდისკენ. ის კაცი, ვინც მიხმობდა, რბილად მუღერ ენაზე მომესალმა, ენაზე, რომელიც, როგორც ალმოჩნდა, კარგად ვიცოდი. საათები გადიოდა მენიჩბეთა ტკბილი სიმღერის ფონზე, სანამ იდუმალი სამხრეთისკენ მივცურავდით, სავსე, მშვიდი მთვარის ნათების ქვეშ.

და როცა ვარდისფრად ირიჟრაჟა, შორეული მიწების სიმწვანეს ვკიდე თვალი, ნათელს, მშვენიერსა და ჩემთვის უცხოს. ზღვის მიღმიერიდან დიდებული ტერასები ნამოიმართა, მწვანე საფარველითა და ხეთა მწკრივებით დახუნდლული, პრიალა თეთრი სახურავებითა და უცნაური ტაძრების სვეტებით. სანაპიროსთან მიახლოებისას, წვერიანმა კაცმა მიამბო ამ მიწის, ზარის, შესახებ, სადაც ის სიზმრები და მშვენიერებაზე ფიქრები ყოფიერებენ, რომლებიც ადამიანებს ერთხელ ეწვევა და შემდეგ დავიზყებას ეცემა. როდესაც ტერასებს კვლავ ავხედე, მივხვდი მისი სიტყვების ჭეშმარიტებას – ჩემ წინ გადაშლილ ხედებს შორის ბევრი რამ იყო ისეთი, რაც ერთხელ მეხილა ჰორიზონტზე გაფანტულ ნისლებს მიღმა და ოკეანის გამჭვირვალე ზედაპირის სიღრმეში. ეს ფორმები და ფანტაზიები იმაზე დიდებული იყო,

რაც კი ოდესმე მენახა; ახალგაზრდა პოეტთა ხილვები, რომლებიც სურვილის ქარცეცხლში გახვეულნი დაიხოცნენ, მანამ, სანამ სამყარო გაიგებდა მათი ხილვებისა და ოცნებების შესახებ. მაგრამ ჩვენ ფეხი არ დაგვიდგამს ზარის კალთებსა და მდელოებზე, რადგან ნათქვამია, ის, ვინც ამ მიწებზე გადაბიჯებს, მშობლიურ ნაპირს ვერასდროს დაუბრუნდება.

როცა თეთრი ხომალდი მდუმარედ გაცურდა და უკან მოიტოვა ზარის ტაძრებიანი ტერასები, ჩვენ წინ, შორეულ ჰორიზონტზე წამოჭიმული ძლევამოსილი ქალაქის კოშკურები დავინახეთ. წვერიანმა კაცმა მითხრა:

— ეს თალარიონია, ათასი საოცრების დედაქალაქი. აქ იმ საიდუმლოებებს დაუდიათ ბინა, რომელთა ჩაწვდომაც ამაოდ უცდია კაციობრიობას.

ქალაქს კვლავ შევავლე თვალი, ამჯერად უფრო ახლოდან, და დავინახე, რომ ეს ქალაქი იმათზე უფრო დიადი იყო, რაც აქამდე მეხილა ან დამსიზმრებოდა. მისი ტაძრების კოშკურები ცას სწვდებოდა, რომელთაც ვერასდროს შეეხებოდა ადამიანის მზერა. ჰორიზონტის მიღმა კი მოქუფრული, ნაცრისფერი კედლები წამომართულიყო, მათ უკან მხოლოდ რამდენიმე სახურავის დალანდვა შეიძლებოდა, უცნაურისა და ავისმომასწავებლის, თუმცა უხვად მორთული ფრიზებითა და მიმზიდველი სკულპტურებით. ძლიერ მსურდა ამ გასაოცარ, თუმცა აუტანელ ქალაქში შესვლა, და შევევედრე წვერიან კაცს, რომ აკარიელის უზარმაზარ, ჩუქურთმებიანი კარიბჭის ქვის ზღუდესთან ჩამოვესვი, მაგრამ მან წყნარად უარყო ჩემი სურვილი, და დასძინა:

— არაერთი შესულა თალარიონში, ათასი საოცრების ქალაქში, მაგრამ უკან არავინ დაბრუნებულა. აქ მხოლოდ

დემონები და შეშლილი არსებები დააბიჯებენ, რომლებიც ადამიანებად აღარ იწოდებიან, ქუჩები კი გადათეთრებულია დაუმარხავთა ძვლებით, რომლებიც ქალაქის გამგებელ ეიდელონ ლათის ზემოდან დასცექროდნენ. თეთრმა ხომალდმა გვერდი აუარა თალარიონის კედლებს და დღეების განმავლობაში მიჰყვა სამხრეთისკენ მონავარდე ჩიტს, რომლის მბზინვარე ბუმბულთა საფარი ცას ერწყმოდა, საიდანაც ასე მოულოდნელად გამოჩნდა.

შემდეგ საამო სანაპიროს მივადექით, სადაც ყველა ფერის ყვავილი ხარობდა და სადამდეც კი თვალი მიგვიწვდებოდა, ლამაზი წარაფები და ნათელი ტალავრები გადაჭიმულიყო ზენიტში მყოფი მზის გულზე.

უცპად ჩვენამდე მხედველობის მიღმა, მზისგან დამალული, დაჩრდილული ადგილებიდან სიმღერის ნაკადებმა და ლირიული ჰარმონიის ფრაგმენტებმა მოაღწია, სუსტ სიცილთან შერეულმა, იმდენად ტკბილმა, რომ ამ ადგილამდე მისვლის სურვილით შეპყრობილმა, მენიჩბეთ წინსვლა მოვთხოვე. წვერიანი კაცი უსიტყვოდ მომაჩერდა, სანამ ლილიებით მოფენილ ნაპირს მივაღწევდით.

უეცრად ქარმა დაუბერა ყვავილებით მოჩითული მდელო-სა და ფოთლოვანი ტყების მიღმიერიდან. მოტანილმა სუნმა ამაკანკალა. ქარი გაძლიერდა, და ჰაერი წაბილნა შავი ჭირით დაავადებული ქალაქებიდან და ლია სამარხებიდან მოვარდნილმა ხრწნის მომაკვდინებელმა სიმყრალემ. ამ დაწყევლილი ნაპირიდან უკანმოუხედავად გაცურვისას, წვერიანმა კაცმა სიჩუმე დაარღვია: – ეს შურაა, მიუწვდომელ სიამოვნებათა მიწა.

და თეთრი ხომალდი კვლავ მიჰყვა სამოთხის ჩიტს. არო-

მატული ქარები გველამუნებდა თბილ, დალოცვილ ზღვებზე მცურავთ. დღეს დღე ცვლიდა, ლამეს – ლამე, სავსემთვარეობისას კი მენიჩბეთა ნაზ სიმღერებს ვისმენდით, ისეთივე ტკბილს, როგორსაც იმ ღამით, ჩემი მშობლიური მიწიდან რომ გავცურეთ. მთვარე მაშინაც სავსე იყო, როცა, როგორც იქნა, ღუზა სონა-ნილის ნავსადგურში ჩავუშვით. მას კრისტალური ყურით ორად გაპობილი ხმელეთი იცავდა, ზღვიდან ამოწვერილნი ბრწყინვალე თალს რომ ქმნიდნენ. ეს ფენსის მიწა გახლდათ, რომლის ხასხასა მწვანე ნაპირისკენ გავემართეთ ფეხქვეშ ხიდად გადაჭიმული მთვარის მოოქროვილ სხივებზე.

სონა-ნილის მიწაზე არ არის დრო და სივრცე, ტანჯვადა სიკვდილი. აქ ათასწლეულები დავყავი. მწვანეა წარაფები და საძოვრები, კამკაშა და სურნელოვანია ყვავილები, ლურჯი და მელოდიურია ნაკადულები, გამჭვირვალე და გრილია შადრევნები, მშვენიერი და დიდებულია ტაძრები, ციხესიმაგრეები და ქალაქები სონა-ნილისა. ამ მიწას არ აქვს დასაბამი, თითოეული ლამაზი ხედის მიღმა ახალი მშვენიერება იმალება.

ბრწყინვალე ქალაქების შუაგულში მხიარულად დასეირნობდა დიადი გრაციითა და შეუბლალავი ბედნიერებით დაჯილდოებული ხალხი. აქ ეონთა განმავლობაში ცხოვრებისას ნეტარებით დავხეტიალობდი ბალებში, სადაც თვალწარმტაცი პაგოდები იჭვრიტება მიმზიდველი ბუჩქებიდან, და თეთრ ბილიკებს ნაზი კვირტები მიუყვება კვლებად. ხავერდოვან გორაკებს ავუყვებოდი, რომელთა მწვერვალებიდანაც მწვანე ველებზე შეფენილი კოშკურებიანი ქალაქების მომხიბვლელი პანორამები იშლება, ოქროსფრად მბზინვარე გუმ-

ბათებით უსასრულოდ შორ ჰორიზონტზე. მთვარის შუქზე აბრჭყიალებულ ზღვას ვუცქერდი, კრისტალურ ყურეს, და წყნარ ნავსადგურს, სადაც თეთრ ხომალდს ჩაეშვა ღუზა.

ერთ ლამესაც, სავსემთვარეობისას, თარპის უხსოვარ წელიწადს, სამოთხის ჩიტის მიმზიდველი სილუეტი დავ-ლანდე, და შფოთვის პირველი ნიშნები ვიგრძენი. წვერიან კაცს დაველაპარაკე, ვუამბე საკუთარი შორეული კათურია-ში გამგზავრების ახლად გალვივებული ლტოლვის შესახებ, რომელიც სულიერს არასდროს ენახა, მაგრამ ყველას სჯე-როდა, რომ დასავლეთის ბაზალტის ბოძების მიღმა მდებარე-ობდა. ეს იმედის მიწა გახლდათ, სადაც ყველაფერი არსებუ-ლის სრულყოფილი იდეალები სუფევდა. თუმცა წვერიანმა კაცმა მითხრა:

— უფრთხილდი იმ საშიშ ზღვებს, სადაც კათურია ძევს. სონა-ნილში არ არის ტკივილი და სიკვდილი, მაგრამ ვის შეუძლია, თქვას, რა იმალება დასავლეთის ბაზალტის ბოძთა მიღმა?

ამის მიუხედავად, მომდევნო სავსემთვარეობისას თეთრ ხომალზე ავედი, წვერიანმა კაცმა მხიარული ნავსადგური უხალისოდ დატოვა ამოუცნობი ზღვებისკენ.

ჩვენ წინ კვლავ სამოთხის ჩიტი მიფრინავდა, დასავლე-თის ბაზალტის სვეტებისკენ მიგვიძლოდა, მაგრამ ამჯერად, მენიჩბენი ალარ მლეროდნენ ნაზ სიმლერებს სავსემთვარო-ბისას. გონებაში ხშირად წარმოვიდგენდი კათურიას უცნობ მიწებს დიდებული წარაფებითა და სასახლეებით; მაინტერ-ესებდა, რა ახალი სიამოვნება მელოდა იქ.

„კათურია“, ვფიქრობდი, „ლმერთებისა და ოქროს ურიცხ-ვი ქალაქების სამყოფელია. ტყეები სავსე ალოესა და სანდლის

ხეებით, კამორინის არომატული წარაფების მსგავსად, ხეთა შორის კი მხიარულად და ტკბილად ჟღურტულებენ ჩიტები. კათურიას მწვანე, ყვავილებით მოჩითულ მთებზე ვარდის-ფერი მარმარილოს ტაძრებია წამოჭიმული, ჩუქურთმებითა და მრავალფერი მოხატულობებით მდიდარი, სასახლეთა შორის ბარებში ვერცხლის გრილი შადრევნებით, სადაც მღვი-მედან გამომავალი მდინარე ნარგის სურნელოვანი ტალღების მუსიკალური ჩქეფა გაისმის. კათურიას ქალაქები მოიქროვი-ლი კედლებითაა შემოზღუდული, ოქროსია მისი ტროტუარე-ბიც. ამ ქალაქების ბალებში უჩვეულო ორქიდეები ხარობენ, არომატულ ტბები კი მოფენილია მარჯნითა და ქარვით.

ღამღამობით ქუჩები და ბალები ნათდება კუს სამფერო-ვანი ბაკანის ფარნებისგან, და მომღერლისა და ფლეიტის რბილი ჰანგები გაისმის. კათურიას ქალაქებში საცხოვრებლად სულ სასახლეებია, თითოეული წმინდა ნარგის სურნელოვანი წყლის არხებზეა აშენებული. მარმარილოს და პორფირის სახლებს ბრჭყვიალა ოქროს სახურავები ადგას, რომლები-თაც არეკლილი მზის შუქი ქალაქის სიდიადეს კიდევ უფრო აძლიერებს შორეული მწვერვალებიდან მაცქერალ ნეტარ ღმერთთა დასანახად. სასახლეთაგან ყველაზე ნათელი დიდე-ბული მონარქის, დორიებისაა. ზოგიერთი ამბობს, ნახევრად ღმერთიაო იგი, სხვები კი ღმერთად მოიხსენიებენ. თვალუ-წვდენელია დორიების სასახლე, მდიდარი მარმარილოს კოშკებით. ძველი ნაკეთობებით მდიდარ განიერ დარბაზებში მრავალი ადამიანი იყრის თავს. ლალისა და ფირუზის მაღალ სვეტებზე დაშენებული ჭერი წმინდა ოქროსია, რომელთაც ღმერთებისა და გმირების ისეთი ჩუქურთმები აქვს, მაღლა ამხედავი იფიქრებს, ოლიმპოს ცოცხალ ღმერთებს ვუმზე-

რო. სასახლის იატაკი შუშისაა, რომლის ქვემოთაც ცელქად მოჩხრიალებს ნარგის წყალი, სავსე მოელვვარე თევზებით, მშვენიერი კათურიას გარდა რომ ვერსად იხილავს ადამიანის თვალი.

ასე ვესაუბრებოდი საკუთარ თავს კათურიას შეს-ახებ, მაგრამ წვერიანი კაცი დაუინებით მაფრთხილებდა, დავბრუნებოდი სონა-ნილის მხიარულ ნაპირებს, რადგანაც კაცობრიობისთვის იგი ცნობილია, კათურია კი არასდროს არავის უხილავს.

სამოთხის ჩიტის დევნის ოცდამეთერთმეტე დღეს, დასავლეთის ნისლში გახვეული ბაზალტის ბოძები დავლანდეთ. არასდროს არავის მიეპყრო მათთვის ან მათი მწვერვალებისთვის მზერა – ზოგი ამბობდა, სამოთხემდე აღწევენო. წვერიანი კაცი კვლავ უკან გაბრუნებას შემევედრა, მაგრამ აინუნშიც არ ჩამიგდია. ნისლში ჩამალული ბაზალტის სვეტებმა მომხიბლა, რომელთა მიღმიერიდანაც მომღერლისა და ფლეიტის ჰანგები გაისმა, სონა-ნილის უტკბეს სიმღერებზე უფრო ტკბილი, ჩემი საქებარი სიტყვებით აღვსილი, რომელმაც სავსე მთვარის ქვეშ გადავხურე ზღვა და ფენსის მიწაზე ვიცხოვრე.

მელოდიას მიყოლილი თეთრი ხომალდი დასავლეთის ბაზალტის სვეტებს შორის, ნისლში შეცურდა და როცა მუსიკა შეწყდა და ნისლიც გაიფანტა, კათურიას მიწის მაგიურად, ჩვენი მზერა შეუვალი ზღვის სწრაფ ნაკადებს შეხვდა. ჩვენი უმწეო გემი უცნობი დანიშნულების ადგილისაკენ მიცურავდა. მალევე, ყურამდე წყლის ვარდნის შორეულმა გრუხუნმა მოაღწია და ჩვენ თვალწინ, ჰორიზონტზე, ტიტანური ჩანჩქერი გადაიშალა. მსოფლიოთა ოკეანეს შთანთქავდა

უფსკრულის სიცარიელე. ლოყაზე ცრემლმომდინარმა წვერიანმა კაცმა მითხრა:

– ჩვენ სონა-ნილის ლამაზი მიწა უარვყავით, რომელსაც ველარასდროს შევავლებთ მზერას. ღმერთები კაცზე დიადნი არიან და მათ გაიმარჯვეს.

შეჯახებამდე, რომელიც ვუწყოდი, გარდაუვალი იყო, თვალი დავხუჭე, დავიხშე გრძნობა, რითაც ღვთიურ ჩიტსა და მის ლურჯ, ანც ფრთებს ვხედავდი დინებების თავზე. შეჯახების შემდგომ სიბნელე ჩამოწვა, ადამიანებისა და სხვა არსებების ყვირილი მომესმა. აღმოსავლეთიდან ქარიშხალი გამდვინვარდა და სიცივემ ძვალ-რბილში შეატანა. მოლიპული ქვის ფილას ჩავებდაუჭე ფეხქვეშ. კიდევ ერთი შეჯახების შემდეგ თვალი გავახილე და შუქურის პლატფორმაზე აღმოვჩნდი, საიდანაც ამდენი ეონის წინ გავცურე. ქვემოთ, სიბნელეში, დაუნდობელ ქვებზე გადაჩეხილი ხომალდის სილუეტი მოჩანდა. მას მზერა მოვაშორე და დავინახე, რომ შუქურა ჩაქრა – პირველად პაპაჩემის მეთვალყურეობის შემდეგ...

გვიან ღამით, როცა კოშკი ავედი, კედელზე გაკრული კალენდარი დავინახე – იმავე დროს აჩვენებდა, როდესაც აქედან გავცურე. განთიადზე დავლა დავეშვი და ნამსხვრევებს გავხედე, თუმცა რაც დავინახე, ეს იყო მხოლოდ: უსულო, უცნაური, ლაუგარდისფერი ჩიტი და დამსხვრეული ანძა, აქოჩრილ ტალღებსა და თეთრ მწვერვალებზე უფრო ქათქათა. ამის შემდგომ, ოკეანეს აღარ მოუყოლია ჩემთვის საიდუმლოებები; ბადრი მთვარეც კიდევ მრავალჯერ ყოფილა ცის ზენიტში, მაგრამ თეთრი ხომალდი სამხრეთიდან აღარასდროს გამოჩინილა.



ნიკა ხაბელაშვილი. „მოხუცი წყვილი მწვანე საწოლზე“  
22/24 სმ გუაში, ზეთი, ქაღალდი. თბილისის სამხატვრო აკადემია



## მაგლა გალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

## მოხუცი მისი გქვი

### 30 ჯინი ვულფი

ისეც ხდება ხოლმე, რომ ინგლისშიც კი ყველაზე საქმიანი და ყველაფრით კმაყოფილი ადამიანი ხელიდან უშვებს იმას, რასაც ფლობს-ეს შეიძლება მთელი კვირის სარეცხიც კი იყოს. მათ ხელში თეთრეულები და საღამურები ნადგურდება და ქუცმაცდება, რადგან ამაზე ბევრს მაინც არ საუბრობენ, სისულელეა სარეცხის მისის პილის სამრეცხაოში წალება, მაშინ, როცა, იქ, მთებისა და გორაკების გადაღმა სამრეცხაო საერთოდ არ არსებობს, არც სარეცხის გასაფენი მავთულებია; არც თეთრეულის დაუთოებაა შესაძლებელი; ირგვლივ დაუსრულებელი შესვენებაა; სივრცე-უკიდეგანო, ბალახი-გაუთელავი; გორაკებზე მფრენი გარეული ჩიტები, რომელთა სწორი აღმაფრენა აგრძელებს ამ სიმყუდროვეს.

ამ ყველაფრიდან შორს, მისის გრეის თვალსაწიერი თავისი კუთხიდან მხოლოდ 7 ფუტი და 4 ინჩი იყო. ეს მოხუცის წინა კარის ზომა იყო, რომელიც ფართოდ გაეღოთ, იქიდან კი ცხაურაში დანთებული ცეცხლი მოჩანდა.

ბუხარში მოკიაფე ცეცხლის ალი სინათლის პატარა, მტვრიან წერტილს ჰგავდა, რომელიც უძლურად ცდილობდა მზის შუქის შემაცბუნებელ წნებს გაჰქიცეოდა.

მისის გრეი კუთხეში მდგარ მაგარ სკამზე იჯდა და რაღაცას გაჰყურებდა-მაგრამ რას? ალბათ არც არაფერს. მზერა ერთი წერტილისკენ მიეპყრო. თითქოს მის სანახავად მოსულ სტუმრებს საერთოდ ვერ ამჩნევდა. მის თვალებს მზერა შეენყვიტათ. ალბათ იმიტომ, რომ ძალა დაკარგეს. სიბერისგან შორსმხედველი, ლურჯი თვალები ჰქონდა. სათვალეს არ ატარებდა. მისის გრეის დანახვა შეეძლო მზერის გარეშე.

მას არასდროს მიეპყრო მზერა რაიმე რთულზე ან უმნიშვნელოზე. მხოლოდ სახეებს, თეფშებსა და მდელოებს უყურებდა. ახლა 92 წლის ასაკში მარტო ტკივილის ზიგზაგს ხედავდა, კარის გასწვრივ რომ იკლაკნებოდა, მის სხეულს მარიონეტივით აქეთ-იქით აქანავებდა.

მისის გრეის სხეულს ტკივილო ისე შემოხვეოდა, როგორც ნესტიანი ქალალდი შემოხვევა ხოლმე მავთულს. მავთული იმ ტკივილისგან ირხეოდა, რომელსაც უხილავი ხელი აყენებდა. მისის გრეიმ ჯერ ფეხი შეატოკა, მერე-ხელი. შემდეგ გაჩერდა. ერთი წუთით საკუთარი თავი წარსულში დაინახა, როცა ათი, ოცი, ოცდახუთი წლის იყო. თერთმეტ და-ძმასთან ერთად ხის სახლში შერბოდა და გამორბოდა. ხაზი შეტოკდა. ტკივილმა უკან თავის სავარძელში გადაისროლა.

„ყველანი დაიხოცნენ. ყველანი დაიხოცნენ“ – ბუტბუტებ-

და ის.

„ჩემი დები და ძმები. ჩემი ქმარიც წავიდა ამ ქვეყნიდან. ქალიშვილიც დავკარგე. მე კი ისეც ცოცხალი ვარ. ყოველ დილით ვლოცულობ, რომ ღმერთმა ჩემი სული მიიბაროს“.

შვიდი ფუტისა და ოთხი ინჩის რადიუსზე მწვანე და მზიანი დილა იმ მარცვლების მსგავსად გაიფანტა, ჩიტები რომ თესავენ. მტკიცნეული ხელის ჩემეტამ კვლავ შეატოკა.

„უვიცი მოხუცი ქალი ვარ. არც წერა ვიცი, არც-კითხვა. ყოველ დილით, როცა მე ქვემოთ მობობლავს, მინდა რომ ლამე იყოს; და ყოველ ლამე, როცა მე დასაძინებლად ზემოთ მიბობლავს, დღეს ვნატრობ. მე მხოლოდ უვიცი მოხუცი ქალი ვარ, არც წერა ვიცი, არც-კითხვა“.

და როცა უკანასკნელი ფერიც გაქრა, მისის გრეი სხვა განათებულ მხარეს ვერც კი ამჩნევდა. არც წლების განმავლობაში ნამდერი ან მოჩხუბარი ხმები ესმოდა.

შეტოკებული კიდურები კვლავ უმოძრაო გაუხდა.

„ექიმი ყოველ კვირას მოდის ჩემ სანახავად. სამრევლოს ექიმი. რაც ჩემი ქალიშვილო გარდაიცვალა, ექიმი ნიკოლსის მომსახურებაზე ხელი აღარ მიგვინვდებოდა. მაგრამ ეს ექიმი კარგი კაცია. უკვირს, ჯერ კიდევ ცოცხალი რომ ვარ. მისი თქმით, ჩემი გული მხოლოდ ქარი და წყალია. ჯერ სიკვდილი მაინც არ მიწერია“.

ჩვენ, ადამიანები, დაუინებით ვცდილობთ ჩვენი სხეულები მავთულს ჩავაბლაუჭოთ. თვალებს ვიბრმავებთ და სმენას ვიხშობთ; მაგრამ სხეულს აქ, ამ ცხოვრებაში წამლებით ერთი ფინჯანი ჩაით, ჩამქრალი ალით ვტოვებთ, ბელელის კარზე შემომჯდარი ჭილყვავას მსგავსად, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, ლურსმანგაყრილიც კი განაგრძობს

ცხოვრებას.

### ზაჰვანების სიკვდილი

ფარვანებს, რომლებიც დღისით დაფრინავენ, სინამდვილეში ბინდის პეპლები არ უნდა ვუწოდოთ; ისინი არ აღძრავენ ჩვენში შემოდგომის ბნელი ღამეებით გამოწვეულ გრძნობას და არც აყვავებული სუროს ქვეშ ბინადრობენ. ჰიბრიდული არსებები არიან, არც პეპლებივით ჭრელ-ჭრელები და არც მათი სახეობებივით მუქი შეფერილობისა არიან. მგონი, ეს ჩალისფერი, ვინროფრთიანი ფარვანა, ფარდის ფოჩოში რომ გახვეულა, თავისი ცხოვრებით კმაყოფილი ჩანდა.

შუა სექტემბრის თბილი, საამური დილა იდგა. თუმცა ზაფხულის თვეებისგან განსხვავებით უფრო გრილი ნიავი ქროდა. ფანჯრიდან მდელო მოჩანდა, რომელზეც გუთანი უკვე ხნულს ავლებდა. ნაკვეთი სადაც მდებარეობდა, მიწა გატკეპნილი და ნესტისგან ოდნავ მბრნყინავი იყო.

ჭილყვავები თავიანთ ყოველწლიურ მხიარულებას მის-ცემოდნენ; ხეების თავზე, მაღლა ცაში ისე ლივლივებდნენ, თითქოს ვინმეს უზარმაზარი ბადე ზემოთ აეტყორცნოს; შემდეგეს ბადე ხეზე ნელა ეშვებოდა და თითოეულიტოტის ბოლოში კვანძს კრავდა. მერე უეცრად ბადე ისევ ცაში აიტყორცნებოდა ხმაურიანი ჩხავილით და ფართოდ იშლებოდა. ამგვარი აღმასვლა და შემდეგ უეცარი დაშვება საყურებლად საშინლად ამაღლელვებელი იყო.

ძალა, რომელიც სიცოცხლის სტიმულს აძლევდა ჭილყვავებს, გუთნისდედას, ცხენებს, ფარვანას აიძულებდა ფანჯრის მინაზე აქეთ-იქით ეფრთხიალა. მავანი აღბათ თვალს ვერ მოაშორებდა და მის მიმართ უცნაური თანაგრძნობით

განიმსჭვალებოდა.

იმ დილით სიამოვნების მიღების შესაძლებლობები უზარმაზარი და მრავალფეროვანი იყო, ფარვანას ხვედრი ამ ცხოვრებაში კი-მძიმე, და მისი სწრაფვა ესიამოვნა მწირი შესაძლებლობებით-პათეტიკური. მთებზე, ცაში ნავარდისა და ზღვაში მყოფი ორთქლის ძრავიანი გემიდან მომავალი რომანტიკული ხმებით ტკბობის ნაცვლად მხოლოდ ფანჯრის მინასთან წინ და უკან ფრენა შეეძლო. რაღა დარჩენოდა ამის მეტი? იღონა, რაც მის შესაძლებლობებს არ აღემატებოდა.

მისი ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სამყაროს მამოძრავებელი უზარმაზარი ენერგია ამ უსუსურ, უმანკო არსებაში თავმოყრილიყოს. ფანჯრის მინაზე ყოველი აფრთხიალებისას ჩემთვის სიცოცხლის მთავარი არსი ნათელი ხდებოდა. ფარვანა სულ პატარა, ან სულაც არაფერი იყო სიცოცხლის გარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს და სხვების ცნობიერება-ში, იმ უზარმაზარი ენერგიის ძალიან პატარა და უმნიშვნელო გამოვლინება იყო, იგრძნობოდა მასში რაღაც პათეტიკური და განსაცვიფრებელი. თითქოს ვიღაცას სიცოცხლის პანაწინა, უბინო მარცვალი აეღოს და უმნიშვნელოდ მოერთოს ბუსუსებითა და ბეწვებით, აეცეკვებინოს და აქეთ-იქით ეფრთხიალებინოს ჩვენთვის იმის საჩვენებლად თუ როგორია სიცოცხლის ჭეშმარიტი ბუნება. ამგვარი გამოვლინების უცნაურობას ვერავინ გაუძლებდა.

ზოგჯერ ცხოვრება ისე რთულდება, ისე მძიმდება ან იკაზმება, რომ ადამიანებს მისი ნამდვილი არსი ავიწყდებათ. ალბათ ყველა სიბრალულით განიმსჭვალებოდა იმის წარმოდგენით, რომ ფარვანა შეიძლება სულ სხვა ფორმით მოვ-

ლენილიყო ამ ქვეყანას.

აშკარად დაღლილი თავისი ცეკვით, მზის სხივებ ქვეშ ფანჯრის კანტზე დაფრინდა, უცნაური სანახაობით გართულს კი მისი არსებობა სრულებით გადამავიწყდა. შემდეგ ჩემი მზერა კვლავ მიიპყრო. ცეკვის გაგრძელებას ცდილობდა, მაგრამ ისეთი მოუქნელი და ტლანქი იყო, მხოლოდ ფანჯრის მინაზე ფრთხიალი შეძლო; მან აფრენა სცადა, მაგრამ ამაოდ სხვა საქმეებზე ფიქრში გართული მის ფუჭ მცდელობებს დაკვირვების გარეშე ვუმზერდი, გაუცნობიერებლად ველოდებოდი, როდის განაგრძობდა ფრენას, ისე, როგორც ადამიანები ელოდებიან ხოლმე მოულოდნელად გაჩერებული მანქანის ამუშავებას, გაჩერების მიზეზით დაინტერესების გარეშე. აფრენის შვიდი უშედეგო მცდელობის შემდეგ, ფარვანა ფანჯრის კანტიდან ფრთების ფრთხიალით გადმოეშვა და რაფაზე ზურგით დაეცა. მისმა უმწეობამ შემძრა. მივხვდი, რომ გასაჭირში იყო; აფრენას ვეღარ შეძლებდა; ფეხებს ამაოდ აფართხალებდა. ფანქარი ავიღე მის დასახმარებლად, მაგრამ მალევე გავიაზრე, რომ ეს წარუმატებლობა და მოუქნელობა მოახლოებულ სიკვდილს მოასწავებდა. ფანქარი უკან დავდე. ფეხები ისევ გაიქნია, თითქოს უხილავ მტერს ებრძოდა. კარიდან გარეთ გავიხედე. შეიცვალა რამე? ალბათ უკვე შუადღე იყო და მინდვრის სამუშაოებიც დასრულდა, დილანდელი სიხალისე სიმშვიდესა და უმოძრაობას ჩაენაცვლებინა. ჩიტები გამოსაკვებად ნაკადულთან მიფრენილიყვნენ. ცხენები უმოძრაოდ იდგნენ. ის ძალა უწინდებურად გარეთ ტრიალებდა, ნეიტრალურად, უპიროვნოდ. ეს ყველაფერი რაღაცნაირად თივისფერ ფარვანას უპირისპირდებოდა. ყველა მისი მცდელობა უსარგებლო ჩანდა. თვალს

ვერ მოწყვეტდი ამ პატარა არსების უჩვეულო მცდელობებს, ასე გააფთრებით რომ ებრძოდა მოახლოებულ საბედისწერო აღსასრულს, აღსასრულს რომელიც თანაბრად წალეკს ქალაქებსა და ადამიანთა მოდგმას.

ვიცოდი, სიკვდილის წინააღმდეგ არანაირი შანსი არ ჰქონდა. და მაინც, დაქანცულობისგან წუთით შეჩერებულმა, ფეხების ქნევა ისევ დაიწყო. საუცხოო იყო ფარვანას ბოლო გაბრძოლება და ისე ძლიერად ცდილობდა, რომ ბოლოს გადმობრუნება მოახერხა. მავანის სიმპათია, რა თქმა უნდა, სიცოცხლის მხარეს იქნებოდა. არავინ იყო რომ უმნიშვნელო ფარვანას უზარმაზარი მცდელობები დაენახა, ეხილა თუ როგორ ებრძოდა უძლეველ სიკვდილს, იბრძოდა იმოს შესანარჩუნებლად, რასაც ზოგი საერთოდ არ აფასებს. ამის ყურება უცნაურ შეგრძნებას აღძრავდა. და ჩვენ სიცოცხლის წმინდა მარცვალს ვხედავთ. ფანქარი ფარვანას დასახმარებლად კვლავ ავიღე, მაგრამ, ვიცოდი, რომ ეს უსარგებლო იყო. ამას რომ ვაკეთებდი, ფარვანას სიკვდილის აშკარა ნიშნები დაეტყო. სხეული მოუდუნდა და მყისიერად უმოძრაო გაუხდა. ბრძოლა დასრულდა. უმნიშვნელო პატარა არსებამ სიკვდილი შეიცნო. დიადი ძალის გამარჯვებამ სუსტ მოწნალმდეგებზე გამაოცა. როგორც აქამდე სიცოცხლე მეჩვენებოდა უცნაური ახლა სიკვდილიც ასეთივე გამხდარიყო.

ფარვანა, რომელმაც გადმობრუნება მოახერხა, ახლა მშვიდად და უშფოთველად გაშოტილიყო. თითქოს ამბობდა, ო, დიახ, სიკვდილი ჩემზე ძლიერია!



## მარიამი რაზმაძე

ბუქარესტის კორვინუსის უნივერსიტეტი

### ალექსანდრელის დღე

#### სილვია პლათი

ჩერჩეტი ჩიტი, გაბრუებული, თავს ყოფს ნელ-ნელა  
დამსხვრეული საკაცობრიო საათის წვერზე:  
დრო გაშმაგებულ ცამეტზე ყივილით ჩერდება.

თეატრის მოხატული დარბაზები სცენა-სცენა იშლება  
მსახიობები წარმავლობის შფოთვით ცბებიან:  
ჩერჩეტი ჩიტი, გაბრუებული, თავს ყოფს ნელ-ნელა.

აოხრებული ხეობებივით ქუჩებიც ტყდება და ტყდება  
მარცხეული ქალაქი კი აგურ-აგურ ინგრევა:

დრო გაშმაგებულ ცამეტზე ყივილით ჩერდება.  
 პზარშეპარული შუშა ნატეხ-ნატეხ მიწაზე ეცემა;  
 ქარს გაჰყოლია ჩვენი იღბლიანი რელიქვიები:  
 ჩერჩეტი ჩიტი, გაბრუებული, თავს ყოფს ნელ-ნელა.

ქანჩის ძალით ყველა მექანიზმი ფეთქდება;  
 ვინ იფიქრებდა, თუ წმინდა მამალიც დაიყივლებდა.  
 დრო გაშმაგებულ ცამეტზე ყივილით ჩერდება.

გვიანია ფიქრი, რამ მოგვიტანა ეს უბედურება,  
 გვიანია უვარგისი ძვირფასეულის თვლა:  
 ჩერჩეტი ჩიტი, გაბრუებული, თავს ყოფს ნელ-ნელა,  
 დრო გაშმაგებულ ცამეტზე ყივილით ჩერდება.



## ქათევან გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შილიამ სომხეთი მოვა

#### საზოგადოებრივი კულტურული მოვა

თვალი შუა სპექტაკლის დროს მოვკარი და რადგანაც ხელით მიმანიშნა, მოდიო, შესვენების დროს მივედი მასთან და გვერდით ჩამოვუჯექი. დიდი ხანი გავიდა, რაც ბოლოს ვნახე და ვინმეს რომ არ ეხსენებინა მისი სახელი, ალბათ ვერც კი ვიცნობდი. ლალი ხმით მომმართა.

— აბა, დიდი დრო გავიდა მას მერე რაც ბოლოს ვნახეთ ერთმანეთი. დრო როგორ სწრაფად გადის, არა? ასაკი უფრო და უფრო გვემატება. გახსოვს პირველად რომ შეგხვდი? საუზმეზე დამპატიუე?

მახსოვდა თუ არა?

ეს ოცი წლის წინანდელი ამბავია და მაშინ მე პარიზში ვცხოვრობდი. ლათინურ კვარტალში პატარა ბინა მქონდა, რომელიც სასაფლაოს გადაჰყურებდა. იმისთვის რომ თავი გამეტანა საკმარის ფულს ძლივდლივობით ვშოულობდი. მას თურმე ჩემი წიგნი წაუკითხავს და ამის თაობაზე წერილიც მოუწერია. ვუპასუხე და მადლობა გადავუხადე. მალევე, მისგან კიდევ ერთი წერილი მივიღე, სადაც მატყობინებდა რომ პარიზში ცოტა ხნით აპირებდა ჩამოსვლას და ჩემთან საუბარი სურდა. მაგრამ დროში შეზღუდული იყო და თავისუფალი მხოლოდ მომდევნო ხუთშაბათს იქნებოდა. დილას ლუქსემბურგში გაატარებდა და მე გავიფიქრე, როცა ჩამოვიდოდა „ფოიოტში“ ხომ არ წამეყვანა. „ფოიოტი“ ის რესტორანია, სადაც ფრანგი სენატორები ხშირად დადიან და ალბათ, გასაკვირიც არ უნდა იყოს რომ გაფიქრებითაც კი არასდროს მიფიქრია მანდ წასვლაზე. მაგრამ რა მექნა, მესიამოვნა და თანაც, ზემდეტად ახალგაზრდა ვიყავი იმისთვის რომ მცოდნოდა როგორ მეთქვა ქალისთვის უარი. (უნდა ავღნიშნო ისიც, რომ სანამ არ დაბერდებიან, ძალიან ცოტა კაცმა თუ იცის საკუთარი ნათქვამის ფასი). ოთხმოცი ფრანკი მქონდა (ოქროს ფრანკი) და ამ ოთხმოცი ფრანკით მთელი თვე უნდა გამეტანა თავი. წესით, მოკრძალებული საუზმე თხუთმეტ ფრანკზე მეტი არ უნდა დამჯდარიყო. შემდეგი ორი კვირის განმავლობაში ყავას თუ აღარ დავლევდი, ფული კარგად მეყოფოდა.

მიმოწერით გაჩენილი ახალი მეგობრის წერილს იმით ვუპასუხე, რომ ხუთშაბათს, პირველის ნახევარზე „ფოიოტ-თან“ შევხვდებოდი. არც ისეთი ახალგაზრდა იყო, როგორიც წარმომედგინა, გარეგნობითაც უფრო შთამბეჭდავად გამოი-

ყურებოდა, ვიდრე მიმზიდველად. სინამდვილეში, ორმოცი წლისა იყო (შესანიშნავი ასაკია, მაგრამ არა ისეთი პირველი დანახვისთანავე მოულოდნელად მოზღვავებულმა ვნების ქარ-ცეცხლმა გაგიტაცოს და აღელდე). თეთრი, დიდი და სწორი კბილები ჰქონდა, მაგრამ ისეთი შთამბეჭდილება დამიტოვა, რომ იმაზე მეტი კბილი ჰქონდა ვიდრე ადამიანს ზოგადად აქვს. ლაქლაქა ქალი იყო, მაგრამ აშკარად ჩემზე ლაპარაკს აპირებდა და მეც მზად ვიყავი ყურადღებით მომესმინა მის-თვის.

ძალიან გავოცდი როდესაც მენიუ მოიტანეს, რადგანაც ფასები იმაზე მეტად ძვირი აღმოჩნდა ვიდრე ვვარაუდობდი. მაგრამ მან დამარწმუნა, საუზმეს არასდროს მივირთმევო. მეც დიდსულოვნად ვუპასუხე რომ ეგ არ ეთქვა.

— ერთზე მეტ კერძს არასდროს მივირთმევ. ჩემი აზრით, ხალხი ამ ბოლო ხანებში ძალიან ბევრს ჭამს. პატარა თევზს ავიღებ, ალბათ. ნეტავი ორაგული თუ აქვთ?

ორაგულისთვის ჯერ ადრე იყო და არც მენიუს ჩამონათვალში ყოფილა, ამიტომ მიმტანს ვკითხე თუ ჰქონდათ. დიახ, ახლახანს ჩინებული ორაგული მოიტანესო. ამიტომ, ჩემი სტუმრისთვის თევზი შევუკვეთე. მიმტანმა გვკითხა, სანამ ორაგული მომზადდებოდა რამეს ხომ არ ვინებებდით.

— არა, — უპასუხა ქალმა, — ერთზე მეტ კერძს არასდროს მივირთმევ თუ, რა თქმა უნდა, ხიზილალა გაქვთ. ხიზილა-ლაზე არასდროს ვამბობ უარს.

გული დამიმდიმდა. ვიცოდი ხიზილალას ვერ გავწვდებოდი, მაგრამ ამას ვერ ვეტყოდი. მიმტანს ვუთხარი რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა ხიზილალა უნდა მოეტანა. ჩემთვის ყველაზე იაფიანი კერძი ავიღე, ცხვრის ხორცის სტეკი.

– ვფიქრობ, ხორცის ჭამა არც ისეთი ბრძნული გადაწყვეტილებაა, – თქვა მან, – არ მესმის, ასეთი მსუყე რამის ჭამის შემდეგ, როგორიც ცხვრის ხორცია როგორ აპირებ მუშაობას. სულაც არ მიმაჩნია სწორად რომ ჯუჭი ეგეთი რაღაცებით უნდა გადავიტვირთოთ.

- მერე, სასმლის დალევის დრო მოვიდა.
- საუზმის დროს არაფერს ვსვამ.
- ისევე როგორც მე, – სწრაფად ვუპასუხე მე.
- თეთრი ღვინის გარდა, – გააგრძელა მან, როგორც კი წინადადება დავასრულე.
- ეს ფრანგული თეთრი ღვინოები ისეთი მსუბუქია... შესანიშნავია საჭმლის მონელებისთვის.
- რას ინებებ? – ვკითხე, ახლა უკვე ნაძალადევი სტუ-მართმოყვარეობით.
- გულითადად და კაშკაშად შემომანათა თავისი თეთრი კბილები.
- ჩემი ექიმი შამპანურის გარდა სხვა სამელის დალევის უფლებას არ მაძლევს.
- ნარმოვიდგინე თუ როგორ გადამივიდა ფერი სახიდან. ნახევარი ბოთლი შევუკვეთე, თანაც გაკვრით ვახსენე რომ ჩემი ექიმი საერთოდ მიკრძალავდა შამპანურის დალევას.
- მაშინ რას დალევ?
- წყალს.
- ქალმა ხიზილალაც შეჭამა და ორაგულიც. ხალისიანად დაინტენ ხელოვნებაზე, ლიტერატურასა და მუსიკაზე ლაპარაკი. მე კიდევ მხოლოდ ანგარიშზე ვფიქრობდი. როდესაც ჩემი ცხვრის ხორცის სტეიკი მოიტანეს, დასერიოზულდა.
- ვხედავ, საუზმეზე ასეთი მსუყე საჭმლის ჭამა ჩვევად

გაქვს. დარწმუნებული ვარ, ეს უბრალო შეცდომაა. მე რატომ არ მომპაძავ და მხოლოდ ერთ რამეს რატომ არ შეჭამ? დარწმუნებული ვარ ამის შემდეგ უფრო კარგად იგრძნობ თავს.

— მხოლოდ ერთი რამის ჭამას ვაპირებ ისედაც, — ვუპასუხე, როგორც კი მიმტანი მოვიდა. ხელში მენიუ ეჭირა.

ქალმა ხელი აუქნია და იქით გასწია.

— არა და არა. საუზმის დროს არასდროს ვჭამ. ერთი ლუკმითაც ვკმაყოფილდები. ეგეც იმიტომ, რომ საუბრის დასაწყებად მიზეზი მქონდეს. ახლა ნამდვილად ვერაფერს შევჭამ, თუ, რა თქმა უნდა, მოზრდილი სატაცურები არ გაქვთ. გულწრფელად დამწყდება გული თუ პარიზს ისე დავტოვებ, ეგ რომ არ გავსინჯო.

გული მომენტურა. მაღაზიაში მინახავს სატაცური და ვიცოდი რომ საშინლად ძვირი იყო. მათ დანახვაზე ხშირად მომდგომია პირში ნერწყვი.

— მადამს აინტერესებს მოზრდილი სატაცურები თუ გაქვთ, — ვკითხე მიმტანს.

მთელი ჩემი არსებით ვისურვე რომ არა ეთქვა. მისი ფართო სახე, რომელიც სხვათაშორის მღდვლისას ჰგავდა, ბედნიერმა ღიმილმა მოიცვა. დაგვარწმუნა რომ ისეთი დიდი, საუცხოო და რბილი სატაცურები ჰქონდათ, რომ გაოცებულები დავრჩებოდით.

— ოდნავადაც არ მშია, — ამოიოხრა ჩემმა სტუმარმა, — მაგრამ რადგანაც ასე დაუინებით ითხოვ, სულაც არ ვარ სატაცურის გასინჯვის წინააღმდეგი.

ხოდა, შევუკვეთე.

— შენთვის შეკვეთას არ აპირებ?

— არა, სატაცურს არასდროს მივირთმევ.

— ვიცი რომ არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არ მოსწონთ. უნდა ავლნიშნო, რომ ამდენი ხორცის ჭამით, სასას გაიფუჭებ.

ველოდებოდით სატაცური როდის მომზადდებოდა. პანიკამ მომიცვა. ის კი აღარ მაინტერესებდა რამდენი ფული დამრჩებოდა, არამედ ანგარიშისთვის მეყოფოდა თუ არა საერთოდ. თავს ნამდვილად შეურაცხყოფილად ვიგრძნობდი ოთხმოცდაათი ფრანკი რომ ყოფილიყო. აი მაშინ, ჩემი სტუმრისთვის ათი ფრანკი უნდა გამომერთმია. ამას კი ნამდვილად ვერ ვიზამდი. ვიცოდი, ზუსტად რა თანხა მქონდა და თუ ანგარიში იმაზე მეტი იქნებოდა რაც რეალურად გამაჩნდა, დრამატულად ჩავიყოფდი ჯიბეში ხელს და ვიტყოდი რომ ფრანკები ამომაცალეს. რა თქმა უნდა, ის უფრო უხერხული იქნება თავადაც რო არ ჰქონდეს საკმარისი ფული ანგარიშის გადასახდელად. ამ შემთხვევაში, ერთადერთ გამოსავალს ჩემი საათის დატოვებაში ვხედავდი. დავტოვებდი და როდესაც ფული მექნებოდა, მოვიდოდი და გადავიხდიდ.

სატაცური მოიტანეს. მართლაც, უზარმაზარი იყო, წვნიანი და მადისალმძვრელი ჩანდა. დამდნარი კარაქის სუნმაცხვირის ნესტოებში მომიღუტუნა. ვუყურებდი ქალი როგორი გრძნობით ყლაპავდა მის ნაჭრებს, მე კიდევ თავაზიანად განვიხილავდი ბალკანებში წარმოშობილ დრამატულ მოვლენებს. ბოლოს ჭამა დაასრულა. ყავა შევთავაზე და ისიც დამთანხმდა ყავა და ნაყინი თუ შეიძლებაო. მზრუნველობას მოვეშვი. უბრალოდ ყავა შევუკვეთე ჩემთვის და კიდევ ერთი ყავა და ნაყინი მისთვის.

— იცი, ერთი რაღაცის მწამს. ზოგჯერ ადამიანმა სხვა რამეც უნდა ჭამოს.

- ისევ გშია? – ძლივს ამოვთქვი მე.
- ო, არა. არ მშია. იცი, საუზმეს არ მივირთმევ. დილით ყავას ვსვამ ხოლმე და მერე სადილს ვიკეთებ, მაგრამ ერთზე მეტ კერძს არ ვჭამ საუზმის დროს. ის რომ ზოგჯერ ადამიანმა სხვა რამეც უნდა ჭამოს, შენზე ვთქვი.

მერე საშინელი რაღაც მოხდა. სანამ ყავას შევექცეოდით, ჩვენთან უფროსი მიმტანი მოვიდა ყალბ სახეზე გამოსახული მომხიბვლელი ლიმილით, თან დიდი კალათით უზარმზარი ატმები მოგვართვა. იტალიური პეიზაჟისათვის დამახასიათებელი მდიდრული ტონალობები და სირცხვილისგან აწითლებული ლოყების ფერი დაჰკრავდათ. ატამი ხომ არ სეზონზე არ მოდიოდა? ლმერთმა უწყის რა ელირებოდა. ლაპარაკში გართულმა ჩემმა სტუმარმა უგულისყუროდ დაავლო ერთერთს ხელი.

- იცი, ძალიან ბევრი ხორცით გაივსე კუჭი, ჩემი, პატარა, საცოდავი ცხვრის ხორცის ნაჭერი, – მეტი აღარ უნდა ჭამო. ახლახანს კი წავიხემსე, მაგრამ ატამზეც არ ვიტყოდი უარს.

ანგარიში მოვიდა და როდესაც თანხა გადავიხადე, აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ შეუფერებელი რაოდენობის თანხმა შემომრჩა მიმტანისთვის რომ დამეტოვებინა მომსახურეობისთვის. ქალის თვალები წამიერად შეჩერდა მიმტანისთვის განკუთვნილ სამ ფრანკზე. დარწმუნებული ვიყავი ძუნწად ჩამთვალა. როდესაც გარეთ გამოვედით გავიაზრე რომ წინ მთელი თვე მქონდა, ჯიბეში კი ერთი პენიც არ მეგდო.

- მე მომბაძე და ერთზე მეტი რამ აღარ ჭამო საუზმეზე,
- მითხრა როგორც კი ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. მე კი იმით ვუპასუხე რომ უკეთეს რამეს ვიზამდი და საუზმეზე

საერთოდ არაფერს შევჭამდი.

— ხუმარა, — შესძახა მხიარულად, თან ტაქსიში შეხტა, — რა ხუმარა ადამიანი ყოფილხართ.

საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ჩემი შურისძიების დროც მოსულა. სულაც არ მივიჩნევ საკუთარ თავს შურისმაძიებელ ადამიანად, მაგრამ როდესაც უკვდავი ღმერთები დახმარების ხელს გიწვდიან, ეს პატარა განზრახვაც საპატიებელია. თანაც, ძნელია შედეგის შემყურე თვითკმაყოფილების გრძნობა არ დაგეუფლოს. დღეს ეს ქალბატონი ას ოცდაათ კილოს იწონის.

## სარჩევი

## პრეზიდენტი

ავთანდილ ხარაიშვილი .....	4
შოთა ვეძუა .....	8
ანასტასია ელბაქიძე.....	12
გიორგი ზუბიტაშვილი .....	15
გიორგი ზარნაძე .....	19
ზაალ ჯიქიძე.....	25
თელო ქარცივაძე .....	29
ია მერაბიშვილი .....	32
მაგდა ჩანქელიანი .....	36
რევაზ ბაჯელიძე.....	39
ქეთეგან ჯოლბორდი .....	41
დაჩი ჩალაბაშვილი .....	48

## პროფესია

ალექსანდრე კუკავა .....	50
სულიერ ფაიქრიძე .....	56
ანა გლუწიაძე.....	67
ანა სიჭინავა .....	76
გიგა ფიფია .....	84
თამარი კენჭია .....	90
დიანა დევაძე .....	97
თამარ ნოზაძე.....	104
თეკლა გოცაძე.....	111
თორნიკე ზვიადაური .....	118
ლუკა სატიაშვილი .....	125
მარიამ ლაზარაშვილი.....	131
მარიამ ჩხეიძე.....	136
ნათია კოტორაშვილი.....	143

ნინო ბუზარიაშვილი.....	149
ნინო გოგუა.....	157
ნინო ცქიტიშვილი .....	160
ნათია მარგიანი .....	168
ზურა გორგოძე.....	175
ტატო ლაფაური.....	186
 პუბლიცისტიკა	
მელანო ჩოქორაია.....	194
გიორგი ცერცვაძე .....	201
გიორგი გოგუა.....	207
მარიამ კაკალაშვილი .....	216
 თარგმანები	
ირმა მიქაელი.....	226
ანა ილურიძე .....	230
რუსუდან ჯანჯალაშვილი.....	239
მაგდა გელაშვილი.....	250
მარიამი რაზმაძე.....	257
ქეთევან გელაშვილი.....	259
 მხატვრები	
ვანო ქაგშბაია	
ნინა ნარიძანიშვილი	
ნიკა ხაბელაშვილი	